

644  
1969 / 4



# ԳԻՆԵԱՆ

11

1969



საქართველოს  
ხალხური ბიბლიოთეკა



ლილია მჭამბიალი

# სსსრ

150

გამოცემის მეცამეტე წელი

11281

11

ნოემბერი

1969

თბილისი



საქ. კვ ცვ-ის გამოცემით

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

# შინაქრონი

## ლენინიანა

3. ლინა დასკალოვა, შალვა სანუღია. ლექსები  
თარგმნა გივი კაკაბაძემ

## პროზა, პოეზია

5. არჩილ სულაიაშვილი. შანი დანკინებისა. მოთხრობა  
39. თეიმურაზ ჯანაშვილი. ლექსები

41. სიმონ ჯაფარიძე. მივლინება. მოთხრობა

46. მურმან ჯგუჯური. ლექსები

48. ასათ დავითაშვილი. როცა მოგვკვდები. მოთხრობა

54. გივი ალხაიშვილი. ლექსები

56. ვახტანგ ძეღლაძე. ლექსები

57. სამაღ შაპირი. მაღალი ციცილი, კეთილი ციცილი  
ლექსი. თარგმნა გივი ძნელაძემ

## პოეზიის მერიდიანები

59. რსინი. ფიდრა. დასასრული. თარგმნა ოთარ ჭილაძემ

## ახალი თარგმანები

80. ჯეიმზ ჯონსი. ჯაპომო ჯონსი. თარგმნა, წინასიტყუ-  
ვაობა და შენიშვნები დაურთო ნიკო ყიასაშვილმა

## ჩვენი კალენდარი

90. ირაკლი აბაშიძე. ლექსები

92. „ცისკარი“ ულოცავს

## მილოცვები

94. ვერიკო ანჯაფარიძე, ნიკა აბიჯაშვილი, ელგუჯა  
ანაშუკალი, ანდრია ბალანჩივაძე, ლადო გული-  
შვილი, ნოდარ დუმბაძე, მურმან ლეგანიძე, რევაზ  
ჯაფარიძე, სერგი ვილანია

## ლენინიანა

103. არჩილ კოკილაშვილი. ლენინი ჩვენს სოფელში  
პრიტიკა

115. აბაკი ბაქრაძე, არც ისე ვვიძს, როგორც ძუხს

119. ზურაბ კიკნაძე. დიონისესა და კრონოსის ბაგო  
„ვიფხისტყაოსნის“

## კოლეგია

123. პროკოფი რატინი. ესე ვიფხისტყაოსნის ავტო-  
რის ვინაობაზე. დასაწყისი

## „ცისკარი“ კუბლიკატია

139. გორის პასტარნაკი. წერილები მართლად მებო-  
რებს. დასასრული. თარგმნეს: ლევან ბოლქვაძემ, გივი  
კიკილაშვილმა

159. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი  
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:

- გურამ ასათიანი,
- აბაკი ბაქრაძე,
- ია გამრეკელი,
- გივი გეგეჭკორი,
- გურამ გვირდვინიძე,
- მერაბ ელიოზიშვილი,
- ბარლო ძეღლაძე,
- კონსტანტინე
- ლორთქიფანიძე,
- ოტია პაპოვიანი,
- (პასუხისმგებელი მდივანი),
- ნოდარ წულუბსარი,
- ბარიელ ზანტუჩია,
- სერგი ვილანია,
- თამაზ ვილანია,
- ლუა ჯანაშია.



ლიანა ლასკალოვა

ბულბარეთი

არქიველი ხსრასჩვიდეტში

„მომეცით მე საყრდენი წერტილი  
და მე გადავებრუნებ დედამიწას“.

ტორტმანებს,  
ბობოქრობს  
ქალაქი ვეება, ---  
მსოფლიოში ვრცელდება  
პეტროგრადის ხმაური...  
მოლოდინით დამუხტულა დღეები,  
ქუჩებში დათარეშობს ზღვაური.

ლენინი  
დაჰყურებს მსოფლიო რუკას,  
გამჭრიახი მზერა  
პეტროგრადს  
ეყრდნობა!  
ოთახი ააესო  
ღიმილის შუქმა,  
რაც აღმოაჩინა,  
ეტყობა!..

— გამარჯვება! —  
წამოიძახა რუსულად, —  
— ვერია! —  
პეტროგრადია  
საყრდენი წერტილი!..  
არქიველის მხარეზეა  
ისტორია,—

ღმერთივით იდეაა,  
ღმერთივით!..

მომეცით  
რევოლუციის საჭე,

ხომალდი დასძრას  
რევოლუციის  
ტალღამ  
და „ინტერნაციონალის“ ხმაზე

დედამიწა  
მოვატრიალოთ  
წადმა!..

ჭრიალებენ პარალელები  
დედამიწის ბურთზე  
ვითარცა კასრზე  
ჟანგიანი სალტენი...  
ნგრევით აღშენებას  
სათავეში უდგას  
ვლადიმერ ლენინი!

ათას ცხრაას ჩვიდმეტის  
არქიმედმა

მასას  
ბრძოლის მეცნიერება აჩუქა;  
სალხს —

მისი სიდიადის  
მომედეს,—

გამოუჭედა ფორმულა:  
ნამგალი და ჩაქური!  
ქალაქი აქცია

ლაბორატორიად,

იყო სამზადისი  
ავღარში,

დარში!..  
მხნედ და ამაყად


გასძახა ისტორიას:  
— ცდები გააკეთე  
ფიზიკის დარგში!

გრიალებს,  
გუგუნებს

ქალაქი ვეება,  
მსოფლიოში ვრცელდება  
პეტროგრადის

მოლოდინით  
დამუხტულა  
დღეები, —

ქუჩებში  
მძვინვარებს  
ძალუმი  
ზღვაური!..



## მალვა სანგულია აფხაზეთი

### სოცხალი აზრი

ღეღამიწაზე  
იდგა  
წყვედიადი  
და ერეოდა  
დაღლილ მზეს რული...  
უგანთიადოდ,  
უგანთიადოდ  
ენთებოდა სამყაროს სული.

შავი ღრუბლები  
ცაზე ბობლავენენ,  
დიდ საპყრობილეს  
მსოფლიო ჰგავდა,  
ცისკრის ამოსვლას  
გზას უღობავდა  
დამძიმებული  
ღრუბლების ფარდა!

ქვეყნად ყველაფერს  
ედება ბოლო —  
და ამ ტანჯვასაც  
დაუდგა ჯერი:  
რუსეთის ცაზე  
ძღვევის სიმბოლოდ  
ამოგიზგიზდა  
წითელი ფერი!..  
დიდება

ათას ცხრაას  
ჩვიდმეტ წელს,  
რომ მოგვანათა  
დიდი ოქტომბრით,  
წინ გადაუდგა  
ისტორიის ეტლს  
და შიგ ბორბლებში  
შეუგდო ბომბი!

და გაჰყვა ხალხი,  
და გაჰყვა ხალხი  
დიდი ლენინის  
ნაბიჯებს  
მტკიცეს!..  
ახალი სუნთქვის  
მალაღმა ტალღამ  
გადაანათა  
მსოფლიო სივრცე!

ლენინის სიტყვა  
ელვარებს ყველგან,  
ვით იარაღი  
მჭრელი და ბასრი,  
ფეთქავს და იბრძვის,  
იბრძვის და ფეთქავს  
ბრძენი ილიჩის  
ცოცხალი აზრი!

# ქაი დასვენება



## სხვათა შორის

პირველსავე სალამოს მათ უკვე იცოდნენ, ვინ რომელი ქალაქიდან ჩამოვიდა, რა საქმიანობას ეწეოდა და რა დამსახურება მიუძღოდა ერისა თუ ქვეყნის წინაშე. გარდა ამისა, ისინი წერილმანებსაც ანიჭებდნენ უდიდეს მნიშვნელობას. ამიტომ საჭიროდ თვლიდნენ სცოდნოდათ, ვინ იყო გათხოვილი ან გაუთხოვარი, ცოლიანი ან უცოლო, ოჯახი რამდენი სულისაგან შედგებოდა და სხვა. თუ ვინმე ისეთი ახალგაზრდა გახლდათ, რომ მის ღვაწლსა თუ საქმიანობაზე ლაპარაკი ჯერ-

ჯერობით ნაადრევი იყო, მაშინ მშობელთა საზოგადოებრივი მდგომარეობა აინტერესებდათ. ერთი სიტყვით, სალამომდე თითქმის ყველა საკითხი გაირკვა და დადგინდა. დამსვენებლები ვახშმის შემდეგ, ასე თუ ისე, დამშვიდდნენ და კმაყოფილები თავიანთ პალატებში წავიდ-წამოვიდნენ, რათა მეორე დილას საკურორტო სამმართველოს მიერ შემუშავებული შინაგანაწესის მიხედვით განეგრძოთ ცხოვრება. დასასვენებელი სახლი ზღვიდან ორმოც მეტრამდე აღმართულ ტინის

კლდეზე იდგა. ნაპირის გასწვრივ, რამოდენიმე კილომეტრის მანძილზე, სხვა შენობა არ ჩანდა.

ეტყობა, არქიტექტორებს შენობის გარეგნული იერისთვის ბევრი უზრუნვიათ და ძველებური ქონგურებიანი ციხე-კოშკის ფორმა მოუხნახავთ ილდეც. თვალშისაცემ ბუტაფორულობას თუ არად ჩავავდებთ, ხუროთმოძღვრების ჩანაფიქრმა ერთგვარად მაინც

ეზოში სამნი დასეირნობდნენ: მაგრა ჩუბინიძე, თეიმურაზ მებუჯე და არკაღი ცეზარი. პირველს პედაგოგიურმა მოღვაწეობამ თმა გაუქაღარავა, იგი სოლფეჯიოს ასწავლიდა თბილისის ერთ-ერთ მუსიკალურ სასწავლებელში. მეორე ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი გახლდათ, — ჩია, ავადმყოფურად ფერმკრთალი კაცი. ხოლო მესამე ძველი ილუზიონისტი იყო, პენსიონერი. სიბერისა თუ გრიმის ხშირი ხმარებისაგან სახე დანაოკებოდა, დაჰქნობოდა, რქის სათვალღიდან ბებრულად სევდიანი თვალები მოუჩანდა.

პალატებიდან აღრიანად გამოსულიყვენენ: ხარბად ისუნთქავდნენ იოდით გაჟღენთილ დილის ზღვაურს. ნაბიჯებს, რამდენადაც შეეძლოთ, ფრთხილად ადგამდნენ, მაგრამ ეზოში დაყრილ კენჭებს მაინც ვაჰქონდა ფეხქვეშ ხრამხარუში. მოხუც ილუზიონისტს ვერცხლის მონოგრამიანი ხელჯოხი ეჭირა. ეს ხელჯოხი გზის გასაკვლევად უფრო დაჰქონდა, ვიდრე დასაყრდნობად. ბოლო ხანებში მხედველობას უჩიოდა.

გამოიარა ქათქათახალათიანმა დიასახლისმა. მან თითის ტუჩზე მიდებთა და სახის დამტუქსავი გამომეტყველებით სამივეს ანიშნა, უფრო ფრთხილად იარეთ, დამსვენებლებს ჯერ კიდევ სძინავთო. ამ დროს, თითქოს განგებ, სამგზავრო მატარებელმა გუგუნითა და დგანდგარით ჩაიარა. შენობა აძაგძაგდა და ფანჯრის მინებმა ზრიალი დაიწყო.

გაუმართლა. სახლი შორიდან ლამაზად გამოიყურებოდა, განსაკუთრებით, თუ ნავით შეცურდებოდი ზღვაში და სიქიდან შეხედავდი. ზოგიერთი არქიტექტორი, საპროექტო მაგიდაზე მუშაობისას, ადგილსა და შემოგარენს იშვიათად ითვალისწინებს ხოლმე. ჩვენი დასასვენებელი სახლი ამ მხრივაც იშვიათ გამოჩაყლისს წარმოადგენდა...

თანაც ელმავალმა მთელი შესაძლებლობით შეჰკვილა ზეცას და იქაურობა გააყრუა.

დიასახლისმა ისეთი შეშფოთებული მზერა დაადევნა ვაგონებს, თითქოს პირველად ხედავდა მატარებელს და ეს გამაყრუებელი ხმაურიც პირველად ესმოდა. მერმე საათს დახედა, ალბათ შეამოწმა, მატარებლები ზუსტად, განრიგის მიხედვით მოძრაობენ თუ არაო, რაღაცაში ეჭვი შეეპარა და თავი უკმაყოფილოდ გააქნია. სამივე დამსვენებელი უსიტყვოდ მისჩერებოდა დიასახლისს. კაცს ეგონებოდა, რამე გადამწყვეტ სიტყვას ანდა მნიშვნელოვან დავალებას ელოდებიანო, ისე იდგნენ გაშეშებულნი.

ყველასათვის მოულოდნელად დასასვენებელი სახლის ტერიტორიაზე ოციოცდაერთი წლის ვაჟი გამოცხადდა და დიასახლისს საგზური წარუდგინა. დიასახლისმა საგზურს დახედა და ხმამაღლა წარმოსთქვა:

— თქვენ სამი დღით დაიგვიანეთ, ყმაწვილო!

— ვიცი, ქალბატონო, — უპასუხა ვაჟმა და უხერხულად აიწურა.


— დაკარგულ დღეებს დასასვენებელი სახლი ვერ აგინაზღაურებთ.

— ვიცი, ქალბატონო.

ახალი დამსვენებელი დიასახლისმა გასაფორმებლად წაიყვანა.

სოლფეჯიოს მასწავლებელმა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა და პენსიონერმა ილუზიონისტმა მზერა შუა ეზოში უპატრონოდ მიტოვებულ ყვითელ ჩემოდანზე გადაიტა-





ნეს. დამსვენებლებს ერთმანეთისათვის არ გაუმხელიათ და არც უგრძობინებიათ, უპატრონოდ მიტოვებული ჩემოდანი თუ აღიზიანებდათ. თავი ისე ეკირათ და მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე ისე საუბრობდნენ, თითქოს ტყავის ეს ყვითელი ჩემოდანი, საერთოდ, დედამიწის ზურგზე არ არსებობდა. ყველაფრის მიუხედავად, მაინც დაინახეს, მზარეულის განებივრებული ნაგაზი როგორ მიუახლოვდა ეზოში მდგარ ყვითელ საგანს. ნაგაზმა უდიდესი ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა ეს საგანი და ძაღლური სიფრთხილით დაყნოსა კიდევ. სამივეს ეგონა, ძაღლი ახალ დამსვენებელს დასჯიდა და სასჯელი სამართლიანი იქნებოდა: სად გაგონილა, ასე დაუდევრად, სხვის ანაბარად ბარგის მიტოვება?! მაგრამ ნაგაზმა ჩემოდნის პატრონი შეიბრალა და დაუდევრობისათვის არ დასაჯა. ჩვეულებისამებრ უკანა ფეხი არ აუწევია, ისე გაეშურა სამზარეულოსაკენ. ძაღლს გამოიმუშავებული ჰქონდა პირობითი რეფლექსი და რა დროს უნდა მისულიყო მზარეულთან, არ ეშლებოდა.

ახალი დამსვენებელი მალე მობრუნდა. დაავლო ხელი თავის ყვითელ ჩემოდანს და მთავარი კორპუსისკენ გასწვია.

— რა ფუფუნებაა სამი დღით დაგვიანება! — თავი ველარ შეიკავა არკადი ცეზარმა — ძველმა ილუზიონისტმა. — ვითომ სამი დღე არაფერია! ჩვენ საშინლად ვუფრთხილდებოდით დროს... ოო, დრო საშიში რამეა!

ყოფილი ილუზიონისტის ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქმულმა სიტყვამ, როგორც ჩანს, დანარჩენი ორიც ჩააფიქრა. ისინი უხმოდ დაეთანხმნენ ამ ქეშმარიტებას. ყოველმა მათგანმა კარგად იცოდა დროის ფასი, მით უმეტეს, უკვე იმ ასაკისანი იყვნენ, რომ ამის არცოდნა დანაშულად ჩათვლებოდათ.

ჭალარა პედაგოგმა ქალმა მაინც მოინდომა ამ საკითხზე გამოეთქვა საკუთარი აზრი, მაგრამ ეზოში მარკია შე-

მოვიდა. მარიკას წითელი ტრუსები და წითელი სანდლები ეცვა. თანხუ მხნის გან ფერშეცვლილი და ალგულოვ გემოქმული უზარმაზარი სომბრერო ეხურა (სომბრერო, ალბათ, ვიღაც დამსვენებლის წყალობა იყო). გრძელი, სწორი ფეხები და გამხდარი სხეული მზეს შეერუჯა და უბზინავდა.

გოგონას გამოჩენამ დასასვენებელი სახლის ეზოში გამეფებული განწყობილება სრულიად შეცვალა. სამივეს კეთილი ღიმილით გაეხადრა სახე, განსაკუთრებით მაშინ, როცა მარკია ხელის აწევით მიესალმა.

„რა მიმუნია!“ — გაიფიქრა სამივემ ერთად.

ბუნებრივად, ძაღლაუტანებლად მოძრაობდა. თავისი უშუალოებით გვიბლავდა. გინდოდა, ყოველთვის შენს ახლოს ყოფილიყო. ამიტომ ცდილობდა, რითიმე მიგექცია ამ პატარა გოგონას ყურადღება, როგორმე მისი კეთილგანწყობილება დაგემსახურებინა. ზოგიერთი გულუბრყვილო დამსვენებელი ამ კეთილგანწყობილების მოპოვებისათვის განსაკუთრებული მზრუნველობასაც კი იჩენდა:

— მარკია, ამდენ ხანს მზეში ნუ დგახარ!

— მარკია, შენ უკვე დიდი ხანია წყალში ხარ! გეყოფა! ახლავე ამოდი ზღვიდან!

— სად მიდიხარ, მარკია? ბამბუქის ქალაში კი არა, ახლა მკვდარი საათია და უნდა დაიძინო!

მარიკას კი საშინლად სძულდა, როცა მასზე ზედმეტად ზრუნავდნენ და ასეთი მიაბიტური რჩევა-დარიგებებით აპურებდნენ...

უზარმაზარმა სომბრერომ მფრინავი თევზივით ჩაუქროლა დამსვენებლებს. სასადილოში შეუხვია და ზღვის მარილიანი სურნელი და ნესტიანი სიგრილე დაუტოვა ეზოს. გოგონას ტრუსები სველი ჰქონდა და სხეულზეც

**არჩილ სულააკაური**  
შამი დასმენიზისა

წყლის წვეთები შერჩენოდა. დამსვენებლებმა თვალი გააყოლეს, რაღაცნაირად გულიც კი დაწყდათ, მარიკამ ამ დილით მათთან შეჩერება და საუბარი რომ არ მოინდომა.

— მშვენიერი გოგონაა, — თქვა პენსიონერმა ილუზიონისტმა, — სამი დღეა რაც ჩამოვედი და უკვე ისე შევეჩვიე, რომ ამ დასასვენებელი სახლის წარმოდგენა უმისოდ არ შემიძლია.

— ბავშვს მშვენიერი თვისებები აქვს, ოღონდ, ჩემი ღრმა რწმენით, მაინც აკლია აღმზრდელის ხელი. — საკუთარი აზრი გამოთქვა სოლფეჯიოს მასწავლებელმა, — ბავშვი თავის ნებაზე მიშვებული და მთელ დღეს ისე ატარებს, როგორც მოესურვება, სადაც უნდა, იქ დატანტალებს.

— ბარბარას მთელი დღე არ სცალია, ბავშვს კი, ვგონებ, სხვა მომგლელი არ უნდა ჰყავდეს, — სცადა მშობლის გამართლება არკადი ცეზარმა.

— არა ხართ მართალი! ბავშვისთვის ყოველთვის უნდა გამოინახოს დრო! — მკაცრად, თითქოს ვილაცას ტუქსავდა, თქვა ჭალარა პედაგოგმა.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი თავს იკავებდა. უხმოდ უსმენდა მოკამათებს.

დამსვენებლები წყალსადენის მიღებისაგან გაკეთებულ მოაჯირს მიადგნენ. მოაჯირის ყოველი ხარისხა სხვადასხვა ფერად იყო შეღებილი: წითლად, ლურჯად, ყვითლად. ქვევით გლუვი, ნაცრისფერი ზღვა მოჩანდა და სანაპიროს ვიწრო, უსასრულოდ გრძელი ზოლი. ორი კაცი ნაპირიდან ზღვისკენ მიათრევედა ცისფერ ნავს.

ბებერ ილუზიონისტს მარიკაზე საუბრის გაგრძელება უნდოდა, მაგრამ თანამოსაუბრეებს გადახედა და დარწმუნდა, რომ საუბარი აღარ ღირდა: სოლფეჯიოს მასწავლებელი ნეტარებით მისჩერებოდა უსაზღვრო სივრცეს, თითქოს მთელი სხეულით ისრუტავდა იოდით შეზავებულ მშვენიერ ჰაერს. ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდი-

დატი კი გაფითრებული, ტანჯული სახით ჩასტკეროდა ზღვის უფსკრულს.

გურამს პალატაში სამი საწოლი დახვდა.

ერთზე გულადმა გამოტილიყო შავტრუსებიანი მელოტი მამაკაცი. დაკმუშნულ ზეწარში ფეხები გაეხლართა და გოლიათის ჯანსაღი ძილით ეძინა. ეტყობოდა, მზეს დახარბებოდა: ღონიერი, დაკუნთული სხეული ერთიანად უღვივოდა წითლად. მეორე საწოლი ფანჯარასთან იდგა, გემბანივით მოვლილი და სუფთა. სასთუმალთან. ტუმბოზე ცარიელი ბორჯომის ბოთლი, ფინჯანი და ვაშლები ელაგა. რაც შეეხება მესამე საწოლს, ის პირველ საწოლსა და პატარა კარადას შორის ჩაეჩხირათ ფართობის სიმციროს გამო.

პალატაში თეთრთავსაფრიალი დედაბერი შემოჰყვა, დამკვანარი და დაღეუული, ზეწრები, ბალიშის პირი და პირსახოცები შემოიტანა და შემოსვლისთანავე შეუდგა ლოგინის გაწყობას. გურამმა ჩემოდანი თავისუფალ სკამზე დადო და ფანჯარაში გაიხედა. რატომღაც ეგონა, ზღვას დაინახავდა, მაგრამ ფანჯრიდან მხოლოდ პალმის გაფარჩხული ფოთლები და ჰორტენზიის აყვავებული ბუჩქები მოჩანდა.

— რომელ საათზეა საუზმე? — იკითხა გურამმა ჩურჩულით.

— ცხრიდან ათამდე. — ჩურჩულითვე უპასუხა დედაბერმა, თან ლოგინს მისი ასაკისთვის შეუფერებელი სიმარჯვით აწყობდა.

— კარგია. ბანაობას მოვასწრებ?


— რასაკვირველია, მოასწრებ. — ცნობისმოყვარეობა დაიკმაყოფილა: — სადაური ხარ, შვილო?

— თბილისელი.

— რა საქმეს ადგახარ?

— სტუდენტი ვარ, ქალბატონო, სამედიცინოზე ვსწავლობ.

— ეს კაცი ხომ არ გეცნობა, — დედაბერმა თავი საწოლზე გამოტილ შავტრუსებიანი მამაკაცისკენ მიაბრუნა.



— არა, — მელოტი მამაკაცი პირით კედლისკენ იწვა და გურაში ვერ ზედავდა მის სახეს.

— ამ საწოლზე კი მეცნიერი წევს, — ახალი ცნობა მიაწოდა დედაბერმა და რატომღაც ამოიოხრა, — თუმცა რად გინდა ეგეთი მეცნიერობა?! კაცი წიგნებს შეუჭამია. ისეა გამხდარი, მუცელში ლანდი გასდის. ეს კი სულ სხვაა, ეს მუხსანავით მაგარია. თვითონვე ნახავ როგორიცაა. აბა, კარგ დასვენებას გისურვებ, შვილო!

გურამმა მადლობა გადაუხადა. დედაბერი უხმოდ წაფაჩუნდა და კარი ფრთხილად გაიხურა. პალატაში დარჩენილმა ჩემოდანი გახსნა და ტანსაცმელი გამოიცვალა. გახდილი შარვალი და პერანგი სკამზე გადაკიდა და სკამი ჩემოდნიანად კუთხეში მიდგა.

გარეთ მხარზე პირსახოცვადაკიდებული გამოვიდა. ეზოში ახლადგაღვიძებული დამსვენებლები გამოფენილიყვნენ.

დამსვენებელთა დაყინებული, ცნობისმოყვარული მზერა იგრძნო, გამბედაობამ უღალატა, დაიბნა და ბავშვით გაწითლდა. ისე უხერხულად ადგამდა ნაბიჯს, თითქოს სხვისი ფეხები ება. ამიტომ გაქცევა ამჯობინა. დაყინებულ მზერას მალე გავცვლებიო. სირბილით გაიარა გზის დარჩენილი მონაკვეთი და სირბილითვე დაეშვა ზღვისკენ, ვითომ ერთი სული ჰქონდა, როდის შეცურდებოდა წყალში.

ბილიკზე შეჩერდა და ერთგვარად შვებთაც კი ამოისუნთქა. ვიწრო ნაპირს ქაფიანი ზოლი გასდევდა და საღვალაც შორს იკარგებოდა.

ქვევით წრედშეკრული ექვსი თუ შვიდი კაცი ფრენბურთს თამაშობდა. თიხნარ ბილიკს ნელ-ნელა დაჰყვა. ხშირი ბალახით დაფარულ ფერდობს, ზღვის ნაპირსა და ზღვას ჩრდილი ეფინა, მაგრამ სივრცეში მაინც იგრძნობოდა მზე. მზე უკვე ამოსული იყო, ოღონდ ნარინჯის ხეებით დაბურთულ გორებს ეფარებოდა.

შესაძლებელია, დამსვენებლებს მისი

წუთიერი დაბნეულობა არც კი შეეძინა, ნევიათ, მაგრამ ეს ახლა სრულად არ ამშვიდებდა. წელანდელი დაბნეულობა, იცოდა, შემთხვევითი არ იყო. და თუ ახლა ბილიკზე თავქვე მიმავალი უღარდელად მიიქნევა ხელებს და გარემოს ტურისტის თვალით აკვირდებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი თავის მოტყუებას ცდილობდა.

ნაპირს კიჩოთი მოადგა ნავი და ნავიდან ორი ბრინჯაოს ვაჭი თითქმის ერთდროულად გადმოხტა. ერთმა, მუხლებამდე წყალში მდგარმა, ნავის ფერდს ჩასჭიდა ხელები, ხოლო მეორემ, თითქოს მინის საგანი გადმოჰქონდა და გატყდომის ეშინოდა, ნაპირზე ფრთხილად გადმოიყვანა ეთიოპიის პრინცესასავით შავი ქალიშვილი.

გურამმა ფეხსაცმელები წაიძრო და პირსახოცი ნაპირზე მოისროლა. შარვალი და მისიური იქვე დაყარა დაუღევრად...

ჯერ დაყვინთული მიცურავდა, წყალი თბილი მოეჩვენა და სიამოვნებდა წყალქვეშ ყოფნა. მერმე წყლიდან თავი ამოჰყო, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა. მერმე ასიოდე მეტრი გატურა და გულარმა ამოტრიალდა...

- მომაწვევინე სიგარეტი.
- დაიძინა?
- კი.
- დღეს რამდენი მოწიე?
- არ დამითვლია. რა დახუთული ჰაერია, სუნთქვა აღარ შეიძლება.
- შეთანხმდით?
- ასანთი.
- აგერ არა დევს, შე ქალო?!
- საშინლად მტკივა გული.
- თუ გული გტკივა, ვადააგდე ეგ ოხერი სიგარეტი.
- ვერა, ვერ გავუშვებ.
- თავის ღროზე აჰმევენ და ასმევენ, თეთრეულსაც გამოუცვლიან.

**არჩილ სულააური**  
 შამი დასვენებისა

— შენ ხომ არ ურჩიე ზღვაზე წასვლა?

— თვითონ მოვიდა, ბატონო, და მკითხა: რა მოხდება, მარტო რომ გამიშვათო?

— შენ რა უპასუხე?

— ისეთი არაფერი. ვუთხარი, მაინც დღედაშენს დაეკითხე-მეთქი.

— კარგად გიპასუხია!

— აბა, რა მეთქვა?

— უსათუოდ მე უნდა გადავწყვიტო ყველაფერი?!

— სადამდე ვდიოთ კუდში ამხელა კაცს?!

— რაც შენა ხარ, ისაა შენი შვილიც. არცერთი არ ვარგინხართ უჩემოდ!

— გადააგდე ეგ ოხერი, მოგკლავხელებამ!

— ასე ჰგავდეს შვილი მამას, პირველად ვხედავ.

— მეხუთე კურსზე რომ გადავედი, ქვეყანა ჩემი მეგონა.

— კიდევ კარგი, უცხო კაცი არ გისშენს, მართალი ეგონება. ჩემთან მაინც ნუ ამბობ მაგას, მე რომ არ შეგხვედროდი, ორლობებში წანწალით ამოგხდებოდა სული.

— იქნებ სამივე ერთად წავსულიყავით... თუმცა ეს გუშინ ვუთხარი და არ ჰქნა.

— ათასი ოხერი დაეთრევა ამ ზღვაზე. მეშინია, ბავშვს გამიფუჭებენ. ხომ იცი, რა გამოუცდელია, გულუბრყვილო, საწყალი, ვინც მოინდომებს, ყველა გააბრყვიებს. შეიძლება, ვილაც გადამთიელსაც გადაეყაროს!..

— შარშანწინ ისე შორს გაცურა, მთელი ნაპირი მაგას მიჩერებოდა.

— ბავშვობიდან ზღვა არ დამიკლია და რატომ არ ეცოდინება ცურვა... (ცოტა ხნის დუმის შემდეგ) მართალი ვითხრა, მაგ ცურვისაც მეშინია, ნამეტანი შორს იცის წასვლა.

— ისე, რომ ვთქვათ...

— არ გავუშვებ! მორჩა და გათავდა!

— თუ დაგვიჩერა, კი.

— რას ჰქვია, თუ დაგვიჩერა?! დღემდე მე მიჩერებდა და დღეის შემდეგაც

მე დამიჩერებს. თავხედი და ფავაშვე-ბული სხვისიც მეჩაფრებდა.

— მეც ვერ ვიტან. შიშლინითაა...

— სანამ მე ამ ოჯახს უფროსი მქვია, ჩემს ნება-სურვილს დაემორჩილება.

— მაინც რაღაცას ხომ ნიშნავს, ეს ოხერი, ოცდაერთი წლის რომ გახდა და მეხუთე კურსზე გადავიდა.

— ჩემთვის არაფერს არ ნიშნავს... ინსტიტუტში მე შევიყვანე, მე ავურჩიე ფაკულტეტი.

— რა შუაშია ახლა, შენ აურჩიე თუ სხვამ?!

— სწორედ რომ შუაშია! შენ ისეთ კაცად გაქციე, როგორც მე მინდოდა ყოფილიყავი და ჩემი შვილიც ისეთი იქნება, როგორსაც მე მოვისურვებ; თავისუფლად პარპაშის ნებას არ მივცემ!.. სულ მალე ცოლსაც შევრთავ! მხოლოდ იმას მოვუყვან, ვინც მე მომეწონება!.. თქვენ შეგწირეთ ჩემი ახალგაზრდობა, ამქვეყნად ყველაფერი დავიკელი... თქვენზე დღედაღამ ფიქრსა და ზრუნვაში წავიდა ცხოვრება და ვერაფრით ავინაზლაურებ იმას, რაც დავკარგე... დავიღალე, ლაპარაკის თავი აღარ მაქვს... წავალ და დავიძინებ... ნეტავი რომელი საათია?

— ორის ნახევარია.

— ო, რა ცხელა! — სული მეხუთე-ბა...

— ხომ გააღე შუშაბანდის ფანჯრებიც?


— კი... მაგრამ ეგ არ შევლის საქმეს. ჰაერი არ მოძრაობს.

— ამ სიციხეში გინდა ამოახრჩო ბავშვი?

— თუ წავალთ, ყველანი ერთად წავალთ...

გურამი გულადმა გაწოლილიყო ზღვაზე და ხელები ჯვარცმულივით გაეშალა, ასე უმოძრაოდ იწვა ერთხანს, თვალმდებარე უქმელი.

შიში, რომელიც დასასვენებელი სახლის ეზოში იგრძნო, რა თქმა უნდა,



მოულოდნელი და უჩვეულო არ ყოფილა. ასეთი რამ არაერთხელ განუცდიდა. მან კარგად იცოდა, რასაც ნიშნავდა ეს დაბნეულობა და შეკრთომა. ბევრჯერ დაფიქრებულა, დაუპირებია კიდევ მისი დათრგუნვა, მაგრამ ვერაფრით მოუხერხებია. ერთ პიროვნებასთან, ასე თუ ისე, მაინც შეეძლო ხანდახან ურთიერთობის დამყარება. ხოლო იქ, სადაც ბევრი ხალხი ირეოდა, აუდიტორიებსა თუ ინსტიტუტის დერეფნებში, ქუჩებსა თუ ოჯახებში, ყოველთვის იბნეოდა და საკუთარი თავისადმი რწმენას ჰკარგავდა. გაუბედობა ეუფლებოდა, ყოველ წარმოთქმულ სიტყვაზე წითლდებოდა და, რაც მეტს ცდილობდა, ლალად და თავისუფლად დაეჭირა თავი, მით უფრო ვერ ახერხებდა, დაბნეულობის ქსელში უმწეოდ იხლართებოდა.

სასადილოში შესვლისას სცადა, თავისუფლად, უკვე გაშინაურებულ კაცივით მოქცეულიყო. მაგიდებს შორის გავლას ახლა ყველაფერი ერჩია, მაგრამ წინასწარი შიშის დასაძლევად საკუთარი თავის შემზადება ამოი გამოდგა. შესვლისთანავე მიმტანმა ქალმა იქვე, კართან მდგარ მაგიდაზე მიუთითა:

— თქვენი ადგილი აქ იქნება.

მაშინვე დაჯდა და იდაყვებით დაეყარნო მაგიდას. მისი წილი პური, კარაქი და ერთი მათლაფა დაკონსერვებული ბადრიჯნის ხიზილალა მაგიდაზე დახვდა. „რა შეჭამს ამდენ ბადრიჯანს?“ — გაიფიქრა და მათლაფა ახლოს მოიდგა. დასასვენებელ სახლში პირველად არ უხდებოდა ყოფნა და იცოდა, დამსვენებლისთვის ულუფა გაანგარიშებულად მოჰქონდათ, ზუსტად იმდენი, რამდენიც ერთ ჩვეულებრივად მჭამელ კაცს ეყოფოდა, არც მეტი, არც ნაკლები. ამიტომ დაუფიქრებლად შეუდგა ჭამას. საჭმელი მაინც ებებერა და გაუკვირდა: შარშანდელს აქეთ ულუფა როგორ გაუზრდიათო.

მისი მაგიდის წევრებს უკვე ესა-

უზმათ. ცარიელი ჩაის ჭიქები, ნახშირი დანა-ჩანგალი და საუზმის ნამუსტრები ისევ ელაგა ხელუხლებლად.

ჭამის დროს თვალი გადაავლო სასადილო დარბაზს. თვითეულ მაგიდას ჩვეულებრივად ოთხ-ოთხი დამსვენებელი უჯდა. ყველანი უხმოდ შეექცეოდნენ თავიანთ წილს და ისე იყვნენ ჭამით გართულნი, რომ გურამის შემოსვლა არავის შეუმჩნევია. წელანაც, ალბათ გააზვიადა. მოეჩვენა, თითქოს განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია, რახან სამი დღით გვიან ჩამოვიდა.

სასადილოს საკმაოდ დიდ დარბაზში ბევრს ვერ მიაწვდინა თვალი, ბევრი ზურგით იჯდა და მათ სახეს ვერ ხედავდა. მაინც შეატყო, რომ ამდენ ხალხში, ერთი ნაცნობიც არ ერია. ყველა უცნობი და უცხო იყო. ერთადერთი, ვისი სახეც ეცნაურა, ანა შავდია გახლდათ, რესპუბლიკის სახალხო არტისტი. ეს მსახიობი ხშირად ენახა თეატრის სცენაზე და კინოფილმებში.

მესამედი რომ შეჭამა, ღრმად ამოისუნთქა. უკვე საკმაოდ დანაყრდა და ეჭვი შეეპარა, ვაითუ ეს ულუფა ოთხი კაცისთვის იყო განკუთვნილიო. ჩემს თანამესუფრეებს არ მოეწონათ და დატოვესო. ისევ სხვა მაგიდებისაკენ გაექცა მზერა. დარბაზი ამჯერად უფრო მზიარული მოეჩვენა. დამსვენებლები ერთმანეთს საეჭვოდ უღიმოდნენ და ეჩურჩულებოდნენ კიდევ. უცებ შავგვრემანი ქალიშვილის თვალებს წააწყდა. გურამისკენ ზურგით მჯდარს თავი მოებრუნებინა და შეძრწუნებული იხედებოდა. ეს ქალიშვილი ეთიოპიის პრინცესა იყო, ორმა ბრინჯაოს ვაჭმა რომ გადმოიყვანა ნავიდან.

მომტანმა ქალმა ხორციანი კერძი დაუდგა წინ გურამს.

— ერთი რაგუ თქვენ.

— ეს წაიღეთ. — უთხრა გურამმა და ბადრიჯნის ხიზილალა გაუწოდა,--

**არჩილ სულავერი**  
 შანი დანაშაუნი

მეტი აღარ მინდა... ვერც ამას შევქამ.  
— რაგუხეც უარი თქვა.

მიმტანი ქალი გაოცებული დაჰყუ-  
რებდა მათლავას, ეტყობოდა, ვერ  
მიმხედარიყო, რა ხდებოდა.

— საიდან გაჩნდა აქ ამდენი ბადრი-  
ჯანი?

გურამმა მხრები აიჩეჩა და იგრძნო,  
უცებ როგორ გაწითლდა.

ვილაცამ დაურიდებლად გაიცინა.

— ეს ხომ ორმოცდაათი კაცის ნორ-  
მაა?! — გაკვირვებას ვერ მალავდა  
მიმტანი ქალი.

— ბარბარა, ჭამა დააცადე! დღეს  
ჩამოვიდა და, ალბათ მშვიდია! —  
დაიძახა ვილაცამ შორეული კუთხიდან.  
ბარბარამ გაიღიმა და თანაგრძნობით  
შეხედა გურამს.

დარბაზში ისევ გაისმა სიცილი.

— ნუ გეშინია, ბარბარა, თუ დაეჩ-  
ვია, ჩვენ წილ ბადრიჯანს ყოველთვის  
დაეუთმობთ... ჩვენ მაინც ვერ ვჭამთ.

— რა თქმა უნდა, აბა, შიმშილით  
ხომ არ მოგვკლავთ!

დამსვენებლები უკვე გულიანად  
იციროდნენ.

— დაგვანახეთ რომელია!

— ფეხზე ადგეს!

— ცუდად ხომ არ გახდა?!  
— თუ ცუდად არის, ექიმს დავუძა-  
ხებ.

გურამმა თავი ასწია და თავის მაგი-  
დასთან დაინახა ნახევრადტიტველი,  
პატარა გოგონა, რომელსაც გახუნებუ-  
ლი დიდი სომბრერო ეხურა.

უნებურად წამოდგა. ალბათ, წასვლა  
დააპირა, მაგრამ წამოდგომისთანავე  
დარბაზში თავზარდამცემი სიჩუმე ჩა-  
მოვარდა. ამ სიჩუმემ ადგილზევე გაა-  
შეშა. მიხვდა, რომ ახლა უსიტყვოდ  
წასვლა სრულ დამარცხებას ნიშნავდა.  
უსათუოდ უნდა მოეკრიბა ძალა და რა-  
ღაც ეთქვა.

— გმადლობთ... — დაიწყო ენის  
ბორძიკით, — მე მართლა მშვიერი ვი-  
ყავი, — ერთხანს შეყოვნდა და სახეზე  
ისევ ცეცხლი მოეკიდა. — შემდეგშიც  
სიამოვნებით მივიღებ ყველაფერს, რა-  
საც თქვენ გაიმეტებთ!

— ოღონდ ერთი პირობით: ბოლომ-  
დე უნდა შექამო!

დამსვენებლებს სიწითლსა და სიწყ-  
რადლებს რომ არ მიეცათ, ბარბარამ  
სწრაფად გამოართვა მათლავა და ისევ  
მიუჯდა მაგიდას.

— მარკა, შენ რაღა გესაქმება აქ?  
— ბარბარამ ხელი მოჰკიდა პატარა გო-  
გონას და ძალით წაათრია. გოგონას  
ბადრიჯანიან მათლავაზე რჩებოდა თვა-  
ლი. ეტყობოდა, ძალიან უნდოდა აქ  
დარჩენა. ერთი სული ჰქონდა, ენახა,  
რას იზამდა ახალი დამსვენებელი. ბო-  
ლომდე შექამდა, თუ არა, ბადრიჯანის  
ხიზილალას?

თავს ძალას ატანდა, მეტისმეტად  
უჭირდა ჭამა. ამ ტანჯვას ბევრმა ვერ  
გაუძლო, გურამისთვის არც კი შეუხე-  
დავთ, ისე დატოვეს დარბაზი. მხოლოდ  
ერთი შეჩერდა კართან და ხელის არ-  
ტისტული მოძრაობით წარმოსთქვა:  
— მეგონა, მარტო მე ვიყავი აქ ილუ-  
ზიონისტი, თურმე სხვებიც ყოფილან,  
ჩემზე მაგრები.

მოხუცის ზეაღმართულ ხელში საი-  
დანღაც გაჩნდა სიგარეტი, რომელიც  
მთელ სასადილოს აჩვენა. მერმე ხელი  
გაიქნია და თითებში გაჩრილი სიგარე-  
ტი უკვალოდ გააქრო.

— მე სიგარეტს ჰაერში გავაჩენ და  
ჰაერშივე გავაქრობ... მაგრამ ამ ხიზი-  
ლალის გაქრობას თვით ბებერი და გა-  
მოცდილი ილუზიონისტიც ვერ შეძ-  
ლებდა.

ბებერი ილუზიონისტი ტაშითა და  
მოწონების შედახილებით გააცილეს.  
გურამს სახეზე ცივმა ოფლმა დაას-  
ხა. ცხვირსახოცის ამოღება და ოფლის  
მოწმენდა ნამდვილად არ ღირდა, დამ-  
სვენებლებს უფრო გააციუნებდა. და  
მხიარულებისთვის მეტ საბაბს მისცემ-  
და. თუმცა ისინი უამისოდაც ბევრს  
იციროდნენ, ხუმრობდნენ და დროს  
ატარებდნენ.

— აი ნამდვილი ქართველი!  
— ჭეშმარიტი ქართველია, თავისი  
სიტყვის პატრონი!

— აბა, რა გეგონა?!  
— აი ნამდვილი ქართველი!  
— ჭეშმარიტი ქართველია, თავისი  
სიტყვის პატრონი!

- გაჩუმდით, ჭამას ნუ უშლით!
- რამდენი წლისაა?
- ცოლიანია თუ უცოლო?
- დრო უნდა დაგკენიშნა, ისე არაფერი გამოვა!

გურამმა ჩანგალი მაგიდაზე მიაგდო. წამოდგომისას, თავგზადაბნეულმა, სკამი წააქცია.

დიდად გამხიარულა მოწყენილი ხალხი, დაცინვისა და მასხრად აგდების საბაბი მისცა. თუმცა გამხიარულებული დამსვენებლები მას უკვე აღარ აღიზიანებდნენ...

არც დამცინავი შეძახილებით, არც მოთრიდებელი სიცილით, არც ცბიერი და ვერაგი სახეებით, იგი საკუთარი უმწეობით იყო დათრგუნული. მთელი სიძაკრით თუ სიცხადით იგრძნო, მისი ცხოვრება ისე წარმართა ანდა ისე წარმართეს, უშუამავლოდ, სხვის დაუხმარებლად ძალზე გაუჭირდებოდა ადამიანებთან დაახლოვება. ერთი წუთით ისიც კი ინანა, მარტო რომ წამოვიდა დასასვენებლად. როგორც ჩანს, მშობლებთან უფრო სრულყოფილად გრძნობდა თავს. მშობლები უმსუბუქებდნენ ცხოვრებას, უადვილებდნენ ადამიანებთან ურთიერთობას. უკვებდნენ იმ სიკარიელეს, რომლის ამოკვება, ჭერჭერობით, თვითონ ვერ შესძლო. ამავე დროს, როცა მის მაგივრად სხვა იძლეოდა პასუხს და მის საქმეებს სხვა განაგებდა, თავს დამცირებულად და შეურაცხყოფილად გრძნობდა.

დასასვენებელი სახლის ჭიშკრიდან გასულმა მარცხნივ გაუხვია. სუროს ფოთლებით დაბურულ კბოდესა და ლიანდაგს შორის ჩაჭედულ ვიწრო ბილიკს მიჰყვებოდა. მერმე მოასფალტებულ ღია ბაქანზე აღმოჩნდა და მის წინ დიდი სივრცე გადაიშალა. ლურჯი და დასალიერზე ფერმკრთალდებოდა და მუქი ლილისფერი ზღვა პორიზონტის ზოლს მკაფიოდ აჩენდა. ბაქანზე მარტომარტო მდგარს გაახსენდა, საუზმის შემდეგ ისევ ზღვაზე აპირებდა

საბანაოდ წასვლას, მაგრამ წელანდელმა უსიამოვნებამ და ახლა ამ ბაქანში ისეთ გუნებაზე დააყენა, მზად იყო, რველსავე მატარებელს გაეყოლოდა, სულერთია, საით...

მერმე თვითონვე დაიჯერა, რომ მატარებელს ელოდებოდა. ცოტათი აღელდა კიდეც. ასეთი მსუბუქი მღელვარება ყოველთვის ეუფლებოდა ხოლმე სადგურზე მატარებლის ჩამოდგომამდე.

ზღვისკენ ზურგით მიქცეულ მერხზე მოწყვეტით დაეშვა და გაშლილი ხელები სკამის საზურგეზე ისე დააწყო, თითქოს რინგის კუთხეში მჯდარი ნაცემი მოკრივე იყო და თოკებზე ასვენებდა დაღლილ მკლავებს. ასე იჯდა დიდხანს და მოწყენილი მისჩერებოდა მხვიარა ბალახით დაფარულ ეკალიპტებიან ფერდობს, რომელიც იქვე, რკინიგზის გადაღმა იწყებოდა.

მერმე სომბრერო დაინახა. გოგონა მოდიოდა იმავე ბილიკით, რომლითაც გურამი ეს-ესაა მოვიდა. უსიამოვნოდ შეიშმუშნა და გვერდზე შებრუნდა. ცოტა მოშორებით ახლალა შენიშნა მწვანეში ჩაფლული ცისფერი ფარდული. ფარდული ღია იყო. თეთრხალათიან გამყიდველს დიდი თავი საკუთარ ხელებზე დაესვენებინა და ეძინა.

სომბრეროს არსებობა ხელმეორედ მაშინლა გაახსენდა, როცა წინ ჩაუარა და ბაქნის კუთხეში დადგა. სომბრერომ თვალი ლიანდაგს ისე გააყოლა, თითქოს მატარებელს ელოდებოდა და ღელავდა, ამდენხანს რატომ იგვიანებდა.

გურამი წამოდგა. მერხს უკნიდან მოუარა და ნაპრალს ჩახედა. აქეთ ზღვის ნაპირი კლდოვანი იყო. ნაპირიდან თხუთმეტითოდ მეტრის დაშორებით ზღვაში ამოჩრილიყო სამი მოშავომონაცრისფერო კლდე. ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილით დაცილებული პაწაწინა კუნძულები მართკუთხა სამ-

არჩილ სულაკაური  
შანი დასმენებისა

კუთხედს ქმნიდნენ. ეს კლდოვანი ნაპირი და ზღვიდან ამოშვერილი კლდეები, ეტყობა, დამსვენებლებს მაინცდამაინც არ იზიდავდა. გურამს კი მოეწონა და გადაწყვიტა, საერთო ნაპირს გარიდებოდა და ყოველდღე აქ ევლო საცურაოდ.

მობრუნებულს თვალი ბაქნის კუთხისკენ გაექცა, სომბრერო ძველ ადგილზე აღარ იდგა. ბაქნის კუთხიდან წამოსულიყო და მერხზე მეტიჩრულად დასკუპებულიყო, სწორედ იქ, სადაც ახლახანს გურამი იჯდა. გურამმა წასვლა დააპირა, მაგრამ გოგონას ხმამ შეაჩერა.

— მატარებელს ელოდებით? — ჰკითხა ისე, არც განძრეულა.

— არა.

გურამი არ დაინტერესებულა, არც არაფერი უკითხავს, სომბრერომ საკუთარი სურვილით უპასუხა:

— არც მე... ისე გამოვიარე, სხვათაშორის.

ეს პატარა, მზისგან გატრუსული გოგონა ისე იჯდა, თითქოს გურამისაგან ათასნაირ შეკითხვას ელოდა და ყოველგვარ შეკითხვაზე პასუხი წინდაწინვე ჰქონდა მზად. მაგრამ გურამს წასვლა უნდოდა: სომბრერო სასადილოში მისი აბუჩად აგდების მოწმე იყო და ამ უნებური მოწმის ახლოს ყოფნა არ სიამოვნებდა.

— მე სულ ვიცი, მატარებლები როდის მოდიან, — დაარღვია დუმილი სომბრერომ, — ძალიან მიყვარს, მატარებლებს რომ ვხვდები. ბაქანზე მხიარულებაა. ზოგი მიდის, ზოგი მოდის..

— ალბათ, ახლაც მატარებლის დასახვედრად გამოხვედი.

— მატარებლის მოსვლამდე ჯერ კიდევ აღრეა, — თქვა სომბრერომ და მერმე დაუმატა, — ხომ გითხარით, შემთხვევით გამოვიარე-მეტქე.

პატარა გოგონა ბაქანზე შემთხვევით გამოვლას განსაკუთრებით უსვამდა ხაზს. ამიტომ გურამს ეტყვი არ ეპარებოდა, რომ სომბრერო აქ ბავშვურმა ცნობისმოყვარეობამ მოიყვანა. ეტყო-

ბა, საშინელი ცნობისწყურვლი ჰქონდა, უნდოდა გაეგო, როგორ გრძობოდა თავს ახალი დამსვენებელი რომელიღაც ათი კაცის ულუფის შთანთქმის შემდეგ.

— თქვენ გურამი გქვიათ, არა?

— დიახ.

სომბრერომ გაიცინა.

— რას იცინი?

— თქვენ უკვე მეშვიდე ხართ.

— მეშვიდე? როგორ თუ მეშვიდე?

— ეერ გაიგო გურამმა.

— ამ ნაკადში შეიდი გურამია.

— ეს მართლა სასაცილო ყოფილა.

— მე მარიკა მქვია.

ეს სახელი გურამს პირველად არ ესმოდა. გაახსენდა: ასე დაუძახა სომბრეროს მომტანმა ქალმა. ისიც გაახსენდა, იმ ქალს ბარბარა ერქვა.

— ძალიან კარგად ცურავთ... სასადილოს ფანჯრიდან დაგინახეთ როგორცურავდით... — სომბრერომ თავი მიაბრუნა და გურამს ახედა.

გურამმა დაინახა გოგონას სახე, რომელსაც აქამდე უზარმაზარი სომბრერო უმაღლავდა. დაინახა გასაოცრად დიდი და წყლიანი, იისფერი თვალები, პატარა და ოდნავ წვეტიანი, დაჭორფლილი ცხვირი, მარიკას მზერა იმდენად ფიქრიანი და გამჭოლი იყო, გურამი მოულოდნელობისაგან გაოცდა.

სომბრერო უცებ წამოდგა, თითქოს რაღაც გაახსენდა, ანდა, რაც გასარკვევი ჰქონდა, გაარკვია და ახლა აქ არაფერი ესაქმებოდა.

— მიდიხარ?

— კი.

— სად?


— ტყეში.

— ტყეში რა გინდა, წითელქუდა ხომ არა ხარ?

— წითელქუდა? — ისევ შეაფრქვია მარიკამ ღიმილის იისფერი შუქი. გურამს მოეჩვენა, მარიკას წაკითხული არ ჰქონდა ეს ზღაპარი და არ იცოდა, ვინ იყო წითელქუდა.

— გიყვარს ზღაპრები?





— ტყეში უნდა წავიდე. აქ მალე დაცხება, მზე მოადგება ბაქანს.

— შენ ისეთი სომბრერო გახურავს, მზის არ უნდა გეშინოდეს.

— არც მეშინია, — მარიკა დაფიქრდა. — მერმე ბამბუკის ჭალაშიც გავივლი.

— მარტო დადიხარ ტყეში?

— სულ მარტო... თუ ტყეში სხვებიც არიან, ის ტყე ჩემი აღარ არის..

— დედა არ გიშლის მარტო სიარულს?

— რატომ უნდა დამიშალოს.

— რა ვიცი.

სომბრერომ მხრები აიჩეჩა და წავიდა. ათიოდე ნაბიჯი რომ გაიარა, შეჩერდა, თითქოს მობრუნებას და რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ არ მობრუნებულა. ბაქანი ზომიერი ნაბიჯით გაიარა. მერმე ბაქნიდან ბილიკზე ისკუბა და ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა. სიმწვანეში დროდადრო გაკრთებოდა წითელი ტრუსები და წითელი სანდლები.

გურამს ცისფერი ფარდული გაახსენდა და ინანა, მარიკა ლიმონათზე რომ არ დაპატიყა. პატარა ბავშვებს ხომ ძალიან უყვართ ლიმონათი!

სოლფეჯიოს მასწავლებელი, მოხუცი ილუზიონისტი და ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ამ საკურორტო სეზონზე, როგორც ჩანს, ერთი ნიშნის მიხედვით დამეგობრდნენ: ზღვაში არცერთი მათგანი არ ბანაობდა. დასასვენებელი სახლის ტერიტორიიდან ფეხს ვერ მოაყვლევინებდი. დროის უმეტეს ნაწილს ბამბუკის ფანჩატურებში, საჩრდილობელი სოკოების ქვეშ და მაგნოლიების ჩრდილებში ჰკლავდნენ. მზის ამოსვლამდე და მზის ჩასვლის შემდეგ გაზონებს შორის დასეირნობდნენ. თავს საუბრით ირთობდნენ, ზღვაში არც რესპუბლიკის სახალხო არტისტს უბანავია, მაგრამ ამთგან მაინც განცალკევებით ცხოვრობდა, საკუთარ საყაროში დაძირული. ალბათ, იმიტომ, რომ ანა შავდია საღამოობით ხანდახან

მაინც აკითხავდა ზღვას და ფეხებს წყალში ისველებდა.

დასასვენებელი სახლის სხვა მდივანრები ახლაც ზღვაზე წავიდნენ და ეზოში მაგნოლიების მძიმე ჩრდილები და სიჩუმე დატოვეს. ანა შავდია ბამბუკის ფანჩატურში იჯდა და წიგნს კითხულობდა, ხოლო სამნი ხის გრძელ მერხზე ისხდნენ, რკინის მოაჯირთან, საიდანაც ზღვა და დამსვენებლებით გაქედილი ზღვის ნაპირი მოჩანდა.

— ბატონო თეიმურაზ, როგორ გეძინათ წუხელ? — ჰკითხა ფილოლოგს მავრა ჩუბინიძემ — სოლფეჯიოს მასწავლებელმა.

— ცუდად, ძალიან ცუდად. — უპასუხა თეიმურაზმა წამებულის ხმით.

— გეტყობათ... საშინლად გამოუძინებელი სახე გაქვთ. როდის დაბრუნდა წუხელ ალექსანდრე მაყაშვილი.

— გვიან.

— ფანჯრიდან გადმოძვრა?

— რა თქმა უნდა.

— ნასვამი?

— რასაკვირველია.

— ქალბატონ ანას რომ ჰკითხოთ, ნამდვილი მამაკაციაო! ვერაფერი ზრდილობაა, ბატონო, პალატაში მთვრალი შემოხვიდე, ისიც ფანჯრიდან.

— ალბათ, ნამდვილი მამაკაცები ასე იქცევიან. — თქვა დამცინავი ღიმილით ფილოლოგმა. გაღიზიანებული ჩანდა. ეტყობა, გუნებაში წყინდა, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სახელგანთქმული მსახიობი ქალი, მამაკაცურ ღირსებებს რომ აფასებდა ისეთი საქციელის მიხედვით, რომელიც თეიმურაზის აზრით, ნამდვილად გაკიცხვის ღირსი იყო.

— ის მაინც ვიცოდეთ, ვინ არის, რა პროფესიისაა?!

— ეგ არავე იცის, ქალბატონო!

— ანკეტა ხომ შეავსო? იქნებ არ შეუქსია?

— ალბათ, გამორჩა.

**არჩილ სულააკური**  
ჟანი დასმენიძისა

— როგორ არა, გამორჩა! არ ამხელს, ბატონო, მალავს.

— ალბათ, არცაა გასამხელი.

ბებერი ილუზიონისტი ამ საუბარში მონაწილეობას არ იღებდა. თავისთვის იჯდა, ორივე ხელი ხელჯოხზე ჩამოეყრდნო და მიწას ჩასცქეროდა.

— ისევ ხვრინავდა?

— მაგას ნუ მკითხავთ, — უპასუხა წამებულმა და მერმე გესლიანად დასძინა, — როგორც ჩანს, ყველა ნამდვილი მამაკაცი ხვრინავს.

— რატომ არ ეუბნებით ღირექტორს? უთუოდ გადაიყვანენ იზოლირებულ ოთახში... უსათუოდ.

— მაგას ვერ ვიზამ. ექვსი დღე გაშიძლია და თვრამეტ დღესაც როგორმე გავძლებ.

— ღმერთმა კარგი გაძლება მოგცეთ.

— ყველა მხვრინავი მამაკაცი რომ ერთ პალატაში მოათავსონ, ნეტავი რა მოხდება? — დანტერესდა არკადი ცეზარი, პენსიონერი ილუზიონისტი.

— ახალი დამსვენებელი როგორღა იქცევა? — სოლფეჯიოს მასწავლებელმა სხვა საგანზე გადაიტანა საუბარი.

— წესიერი კაცი ჩანს... ყოველ შემთხვევაში თავისთვის არის და არვის აწუხებს.

— ეგ თავისთვის ყოფნაც საეჭვოა. — თქვა მავრა ჩუბინიძემ, — არ ღამივია, ახალგაზრდა კაცი ასე რომ გაურბოდეს ყველას. სულ მარტო დადის, არავის არ ეკარება.

მთავარი კორპუსიდან ალექსანდრე მაყაშვილი გამოვიდა. სპორტული ლურჯი შარვალი და თეთრი მაისური ეცვა. ერთი გაიზმორა და პირსახოცი მხარზე გადაიგდო.

— გაუღვიძია. — თქვა თეიმურაზ მებუქემ, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა.

სამივემ მთავარი კორპუსისკენ მიაბრუნა თავი.

— ბარბარა, მოდი აქ! — გაისმა მქექარა ხმა.

გრძელ მერხზე მსხდარნი ბარბარას

ვერ ხედავდნენ, ალბათ სასადილოში იყო.

— მოდი, ნუ გრცხვენია, ბოლოსდაბოლოს ვარტყილნიანი ბარბარაც გამოჩნდა. თავდახრილი მივიდა ალექსანდრესთან და შორი-ახლო გაჩერდა. ალექსანდრე მაყაშვილმა სამი თუ ოთხი საფეხური ჩამოიარა და ბარბარას მხარზე მოხვია ხელი...

— რა ლამაზი ხარ, ქალო! — აღტაცება ვერ დამალა. მერმე ღიმილით ჰკითხა, — პოლონური თუ იცი?

— არ ვიცი, ბატონო.

— აბა, ისე რა პოლონელი ხარ?

— მე აქ დავიბადე და გავიზარდე... ჩემი მშობლებიც...

— თქვენ ალბათ იმ პოლონელთა შთამომავლები ხართ, რუსთა ხელმწიფემ რომ გადმოჰასახლა საქართველოში.

— ალბათ, ბატონო.

— ეს შენ... — ალექსანდრე მაყაშვილმა შარვლის უკანა ჯიბიდან მწვანე კოლოფი ამოიღო, გაუწოდა და რატომღაც ხმამაღლა გაიცინა, — საჩუქრად... კარგი მომსახურებისათვის.

— თქვენ რა იცით, როგორ ვემსახურები? ერთხელაც არ შემოსულხართ სასადილოში.

— მე ყველაფერი ვიცი, ბარბარა! ისიც კი ვიცი, ცაში რამდენი ვარსკვლავია, სულ დათვლილი მაქვს.

— ყველა ქალი ერთ დღეს უნდა გაწყვიტო! — ჩაიბუტბუტა სოლფეჯიოს მასწავლებელმა. — ვითომ არაფერს ნიშნავს, ვიღაც უცხო მამაკაცი ხელსა ხვევს და მკერდზე იხუტებს... ერთი შეხედეთ, როგორ კეკლუცობს და ინახება!

— დარწმუნებული ვარ, არ გამოართმევს.

— რას ბრძანებთ, ბატონო თეიმურაზ, — უთხრა ილუზიონისტი, გეტყობათ ქალებს კარგად არ იცნობთ.

— სცდებით, ბატონო არკადი, ქალს გაჩნია! — დატუქსა სოლფეჯიოს მასწავლებელმა.

ბარბარა მართლა ინახებოდა, ხელე-ბი უკან-უკან წაეღო და საჩუქარს არ

ართმევდა. მაყაშვილმა მწვანე კოლოფი  
ძალით მიაჩეჩა. ქალი აიღეწა, სახეზე  
ალმურმა გადაჰკრა.

— თქვენი სახელიც კი არ ვიცი...

— ალექსანდრე მაყაშვილი გახლავარ, გეთაყვა, მთელი ქვეყანა ასე მიცნობს.

— გმადლობთ, ბატონო ალექსანდრე! — ბარბარა ადგილს მოწყდა და სასადილოსკენ გაიქცა, მაგრამ ალექსანდრეს ხმამ შეაჩერა.

— მარიკა სად არის?

— სად უნდა იყოს, ზღვაზე იქნება.

— მარიკასთვისაც მაქვს საჩუქარი, ოღონდ ჯერ ნურაფერს ეტყვი... მერმე მე თვითონ გადაცემ... პირადად.

— რატომ წუხდებით, ბატონო ალექსანდრე.

— ეს რა შეწუხებაა, გეთაყვა! — ალექსანდრე მაყაშვილმა ისევ გაიცინა და სტვენა-სტვენით წამოვიდა. ნაბიჯსა და სხეულის მოძრაობას რომელიღაც ძალიან ნაცნობ მელოდიას უთანხმებდა.

„თურქული მარშია!“ — გაუკვირდა მარა ჩუბინიძეს, სოლფეჯიოს მასწავლებელს.

— გამარჯობათ, კეთილო ხალხო! — სამივეს მიესალმა მაყაშვილი და შეჩერდა.

სოლფეჯიოს მასწავლებელმა მხოლოდ თავი მოაბრუნა, ისე, რომ საკუთარი ღირსება არ შეუღახავს. ყოფილი ილუზიონისტი და ფილოლოგი მერხიდან ელდანაკრავებივით წამოცივიდნენ და გაღიმებულებმა სალამი მოწიწებით დაუბრუნეს.

— წუხელ შეგაწუხე, არა, თეიმურაზ? გვიან დავბრუნდი...

— რას ბრძანებთ, ბატონო ალექსანდრე, არც კი გამიგია.

— ვხვრინავდი?... ქალბატონთან ბოდიშს ვიხდი, ასე უხეშად და მოურიდებლად რომ ვლაპარაკობ.

— თქვენ რომ დაბრუნდით, მე უკვე მეძინა.

— ხანდახან ნაბახუსევზე ვიცი ხოლმე... უნდა მაპატიო, გეთაყვა...

დღეს ვეცდები, დროზე დავბრუნდე და რაც მთავარია, კარიდან შემოვიდე... თუმცა ჩემი მეგობრების გასამატიეს მეთქვება. — მაყაშვილი გასტროლიდა და წავიდა. ბამბუკის ფანჩატურში ანა შავდიას მოჰკრა თვალი და აღტაცებულმა წამოიძახა.

— ოო, ქალბატონო, ნამდვილად არა ვარ ღირსი, რომ ჩემს ცოდვილ თვალებს თქვენი სილამაზით ტკობის უფლებას ანიჭებთ.

— ჩვენ ყველანი ცოდვილები ვართ! — პასუხი და ღიმილი ერთად შეაგება ანა შავდიამ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა.

ყოფილი ილუზიონისტი და ფილოლოგი თავიანთ ადგილებზე დამნაშავეებივით დასხდნენ. საკუთარი თავით უქმაყოფილონი და დაბოღმილნი. ალექსანდრე მაყაშვილის ყბედობას ყურს აღარ უგდებდნენ. სოლფეჯიოს მასწავლებელიც გუნებაში ორივეს ჰკიცხავდა. ამჟამად დაინახა არკადი ცეზარი და თეიმურაზ მეტუკე რა მლიქვნელურად შესციცივებდნენ იმ კაცს, რომელსაც ჩვეულებრივი სალმის ღირსადაც კი არ თვლიდა. განსაკუთრებით თეიმურაზზე გაუტყდა გული: არაფრით არ ეგონა, თუ მაყაშვილთან პირისპირ შეხვედრისას ასე მხდლურად დაიხევდა უკან.

მღუმარედ ისხდნენ და გულში დაგროვილ ბოლმას დუმილით იკლავდნენ. თეიმურაზს უკვირდა და ვერაფრით აეხსნა, რა შინაგან ძალას ფლობდა ეს კაცი. ჭკუით, განათლებითა და ზრდილობით — ამ სამი ნამდვილმამაკაცური თვისებით — ალექსანდრეს მიმართ დიდ უპირატესობას გრძნობდა; მაგრამ თავის უპირატესობას მასთან პირად დამოკიდებულებასა და ურთიერთობაში ვერ იყენებდა. პირიქით, ყოველთვის თვითონ აღმოჩნდებოდა ხოლმე ალექსანდრე მაყაშვილის მიერ მოწუხებული და დაპყრობილი. მარტო თეი-

არჩილ სულაკაური  
შაში დასვენებისა



მურაზს კი არა, მთელ დასასვენებელ სახლს ასე ემართებოდა, ყველა რიდი-თა და კრძალვით ეპყრობოდა, თუმცა არავინ იცოდა, ვინ იყო ალექსანდრე მაყაშვილი და რას წარმოადგენდა, შეკითხვასაც ვერ უბედავდნენ.

უამრავი ფული ჰქონდა და ფულს უანგარიშოდ, დაუზოგავად ფანტავდა. ფულიანი სხვაც ბევრი უნახავს ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, უფრო დიდი მფლანგველები და დარდიმანდები. ასეთი ადამიანები მუდამ ზიზღს გვრიდნენ და მათი ფულისმიერი უპირატესობანი არასოდეს არ უღიარებია.

— მე ვყოფილვარ პოლონეთში, ერთხანს მიცხოვრია კიდეც... ოღონდ ძალიან დიდი ხნის წინათ. პირველი ცოლი სწორედ იქ დავმარხე. ოცი წელი იყო, თუ ოცდაორი, კარგად აღარც კი მახსოვს. პირველისაგან შვილი არ მყოლია, რატომღაც არ გაუჩნდა. მეორეს სამი შეეძინა, სამივე გოგო. ომის დაწყების წინ ლვოვში ვცხოვრობდით. მე გასტროლებზე ვიყავი და გაღავრჩი... ისინი საკონცენტრაციო ბანაკში მოხვდნენ და უკვალოდ გაჰქრნენ...

— ვიცი, ბატონო არკადი, თქვენ უკვე ერთხელ მიამბეთ...

— დამავიწყდა, ქალბატონო, საშინლად გულმავიწყი გავხდი ამ ბოლო დროს.

— ნეტავი რა აჩუქა ბარბარას? — იკითხა თეიმურაზ მებუკემ, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა.

— მას შემდეგ დიდი დრო გავიდა... თურმე ყველაფერს ეჩვევა კაცი.

— საინტერესოა, რა აჩუქა ბარბარას? — ახლა უფრო ხმამაღლა იკითხა ფილოლოგმა.

— ბედნიერი კაცი ვიქნებოდი... სამი ულამაზესი ქალიშვილი დავკარგე... ყველაზე ბედნიერი კაცი ვიქნებოდი... მეყოლებოდა უამრავი შვილიშვილი... შვილთაშვილები... მაგრამ ვინ გაცალა!

— მე მაინც მგონია, რომ ძალით მიაჩეჩა... ბარბარა არაფრით არ აიღებ-

და საჩუქარს, მით უმეტეს, მაყაშვილს საგან.

ორივე მამაკაცი ცალ-ცალკე მიმართავდა მავრა ჩუბინიძეს, მაგრამ გულგატეხილი სოლფეჯიოს მასწავლებელი თავისი ფიქრებით იყო გართული, არც ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, არც ყოფილ ილუზიონისტს ყურბი არ ათხოვია.

● გურამმა პირველსავე დღეს აღმოჩენილი სამი პაწაწინა კუნძული იმავე საღამოს დაიპყრო. მეორე დილა კუნძულების შესწავლასა და შემოწმებას მოანდომა. შეამოწმა სამ წერტილს შორის მომწყვედელი ზღვის სიღრმე. შეიძლება, ვერაგულად ყოფილიყო ჩასაფრებული საბედისწერო კლდე, რომელსაც ზღვის ზედაპირი არ ამხელდა. საბედნიეროდ, ახლომახლო ასეთი რამ არ აღმოჩნდა და გურამი თავისუფლად ცურავდა კლდეებშორის, გულდამშვიდებული თავდაყირა ხტებოდა ხოლმე კლდიდან ზღვაში.

ნაპირიდან ყველაზე მეტად დამორბული კუნძული იმით განსხვავდებოდა დანარჩენი ორისაგან, რომ ზღვის ზედაპირიდან უფრო მაღლა იყო ამოზრდილი. თან ერთი მხარე დაქანებული ჰქონდა და ადვილად შეიძლებოდა ზედაცოცება. რაც მთავარია, ღელვის დროს ტალღებს კლდე ზემოდან მოეგულუვებინა და კუნძული დასაწოლად მეტად მოსახერხებელი გავხადა.

ცურვით დაღლილი გურამი თავის კუნძულზე ახლაც პირქვე იწვა და მზეს ეფიცებოდა. ამ ერთი კვირის მანძილზე მზე საკმაოდ მოჰკიდებოდა და გამორჩეულად თეთრი კანი შერუჯოდა, სხეულისათვის სიჯანმრთელის იერი მიეცა.

კლდეზე გაწოლილს ზღვიდან ლაპარაკი შემოესმა და არ ესიამოვნა. ვიდეცები, როგორც ჩანს, ცურვით უახლოვდებოდნენ კუნძულს. გურამს თავი არ აუღია, გატრუნული ელოდებოდა, რო-

დის მოადგებოდნენ კლდეს მოცურა-  
ვნი.

— კლდეზე ვილაცა წევს, — გაიგო-  
ნა ქალის ხმა.

— მართლა ვილაცაა. — დაუდასტუ-  
რა ვაჟმა.

— გაებრუნდეთ. — თქვა ქალმა.

— ცოტა ხომ არ დავისვენოთ. —  
იკითხა ვაჟმა.

— არა... არა... ვითომ ახლა ჩვენი  
ხმა ესმის?.. ეტყობა, არ უკვირს სტუ-  
პრები.

— ეს კუნძული მაგის საკუთრება კი  
არ არის!.. ავიდეთ ცოტა ხანს.

— ბიჭი განმარტოებულა და ნუ შე-  
ვაწუხებთ. როცა არავინ იქნება, მაშინ  
მოვიდეთ.

გურამი გაუნძრევლად იწვა. მოცუ-  
რავეებისთვის ისეთი შთაბეჭდილება  
უნდოდა შეექმნა, ვითომ ეძინა და მა-  
თი ლაპარაკი არ ესმოდა.

მოცურავენი უხმოდ გაერიდნენ.

გურამმა ოდნავ აწია თავი და ცალი  
თვალი ზღვისკენ გააპარა. გაუჭვირდა,  
ზღვაში სამი თავი რომ დაინახა. რა-  
ტიმლაც წარმოიდგინა, რომ ორნი იყ-  
ვნენ. ალბათ, მესამეს ხმა არ ამოუღია.  
მაშინვე იცნო ეთიოპიის პრინცესა და  
მისი მუღმივი თანამგზავრები — ბრინ-  
ჯაოს ვაჟები.

კმაყოფილი დარჩა, კუნძულზე რომ  
არ ამოვიდნენ, გულადმა ამოტრიალდა  
და ხელები თავქვეშ ამოილაგა.

მერმე, ეტყობა, მზემ გააბრუა და  
წათვლიმა...

დიდხანს დაცურავდა წყალქვეშ ლო-  
რწოვან და მოჩვარულ წყალმცენარე-  
ებს შორის. წყალი მომწვანო იყო, გამ-  
ჭვივრალე. ირგვლივ ფერად-ფერადი  
თევზები დასრიალებდნენ და ზღვის  
სიღრმეში შემოდრეულ მზის სხივებზე  
თვალისმომკრელად ელვარებდნენ, გა-  
დმოკარკლული დიდი თვალებით აკვი-  
რდებოდნენ უცხო სხეულს, თან ფან-  
ტასტიკური საკრავებივით უცნაურ,  
უჩვეულო ხმებს გამოსცემდნენ. გუ-  
რამს უკვირდა, წყალში სუნთქვა რომ  
არ უჭირდა. ოღონდ ცურვის დროს

სხეულზე ლორწოვანი წყალმცენარე-  
ები ეწებებოდა და ზიზლით იჭრებოდა,  
გული ერეოდა.

იცოდა, სადღაც რომ უნდა მისული-  
ყო. მაგრამ არ იცოდა, სად. ბოლოს  
ბნელ გამოქვაბულს მიაღვა და გაჩერ-  
და. გამოქვაბული უცებ მწვანედ განათ-  
და და სიღრმიდან გამოვიდა მწვანე  
ქალი, რომელსაც თავზე დიდი მედუ-  
ხა ეხურა. კიდურების ნაცვლად წყალ-  
მცენარეები გამოზობოდა. წყალმცენარე-  
ები განუწყვეტლივ ირხეოდნენ, ნარნა-  
რად მოძრაობდნენ და მწვანე ქალს  
ერთ დონეზე აკავებდნენ. გურამს არა-  
ვითარი გრძნობა არ დაუფლებია, ცი-  
ვად მისჩერებოდა ამ უცნაურ არსე-  
ბას და მოთმინებით ელოდებოდა, რას  
ეტყოდა.

მწვანე ქალი ხმას არ იღებდა. მკაც-  
რად უმზერდა გურამს სახეში. მერმე ეს  
სიმკაცრე თანდათან გაუნელდა და თვა-  
ლებში ჩაუდგა ნაღველი, რომელიც  
საყვედურისმიერი იყო...

გურამი მზემ შეაწუხა. კლდეზე წა-  
მოჯდა და თვალები მოიფშვნიტა. მზე  
ისე აჭერდა, რომ კუნძულზე ყოფნა  
უკვე შეუძლებელი ხდებოდა. კლდე  
თონესავით ხურდა.

ზმორებით წამოდგა. იგრძნო, გუნე-  
ბა შეცვლოდა და გაღიზიანებულიყო.

წამოდგომისთანავე გადაეშვა ზღვა-  
ში.

დედა ყოველდღე უგზავნიდა წე-  
რილს... ყოველ დღე... პირველი სამი  
გულდასმით წაიკითხა...

მოსაწყენად გრძელ წერილებში ეწ-  
თიდაიმავეს უმეორებდა დაეინებით.  
ასწავლიდა, როგორ მოქცეულიყო, რო-  
გორ დაეჭირა თავი. საკუთარი შინაგანა-  
წესიც კი შეუშუშავა და მკაცრად მოი-  
თხოვდა, ამ შინაგანაწესის მიხედვით  
ეცხოვრა. წერილებიდან ირკვეოდა,  
რომ ყველა ადამიანს არ უნდა ნდობო-  
და, განსაკუთრებით ქალებს. თურმე  
ქალები ცბიერნი და ვერაგნი ყოფი-

---

არჩილ სულააკური  
შამი დასმენებისა

ლან, ყოველგვარ ხერხსა და ღონეს ხმარობენ, ხელში რომ ჩაიგდონ გამოუცდელი და გულუბრყვილო ვაჟები, მითუმეტეს, კარგი ოჯახის შვილები. ასეთებზე უსიკრებლოდ, მოურიდებლად ნადირობენ თურმე.

არავითარი მოთხოვნილება არ ჰქონდა, ნაცნობი, გულისშემალღონებელი შეგონებანი ყოველდღიურად ეკითხა. ამიტომ დანარჩენ წერილებს გაუხსნელად ინახავდა ჩემოდანში. მიუხედავად ამისა, ეს გაუხსნელი კონვერტები მარტო ყოფნის, დამოუკიდებელი ცხოვრების სიამოვნებას თუ გემოს აკარგვინებდა. ეჩვენებოდა, თითქოს დედა შორიახლო იყო ჩასაფრებული და უთვალთვალვებდა, შვილის ყოველი გადადგმული ნაბიჯი რომ აღენუსხა...

გურამმა გადაწყვიტა უფრო შორს აღარ შეცურებულყო და ნაპირისკენ მობრუნდა, შორიდან თავის სამფლობელოს გახედა.

გურამის აღმოჩენილ და დაპყრობილ კუნძულს ვიღაც ეპოტინებოდა, ზედ აცოცებას ლამობდა. „მთავარია აღმოაჩინო, — გაეღიმა გურამს, — აღმოჩენილს მერმე ბევრი წამპოტინებელი აღმოუჩნდება“. რამდენიმე მეტრი გაცურა და ახალი გადაწყვეტილება მიიღო: ის, რაც სამართლიანად მე მეკუთვნის, ცოცხალი თავით არავისთვის დაეთმო.

სწრაფად მოუსვა, — მთავარი იყო, იმ ვილაცისათვის კუნძულზე ასვლა დაესწრო. ამოდ გაისარჯა. ის ვილაცა კლდეზე წამოსკუბებული დახვდა. საკუთარ წვივებზე ხელები შემოეხვია. ნიკაპი მუხლებზე ჩამოედო და ილიმებოდა. გურამს მყუდროებისა და სუვერენიტეტის ხელყოფის შიშისგან გამოწვეული რისხვა მაშინვე დაუცხრა. კლდეზე სომბრერო იჯდა.

— გამარჯობა, მარიკა.  
მარიკამ მუხლებიდან თავი აიღო და უსიტყვოდ მიესალმა.

— სადა ხარ, სად დაიკარგე?  
— მე კი არა, თქვენ იკარგებით ხო-

ლმე... მთელი დღე ამ კლდეზე ზიხით და არავის არ ეკარებთ.

— ასე მირჩევნია... აქ გვემყოფი ხია... — გურამმა კლდეს მოჰკიდა ხელი და დაეკიდა.

— წუხელ რატომ არ იყავით კინოში?

— ეგ კინო უკვე ნანახი მქონდა.

— მე შემიძლია, ხუთჯერ ვნახო ერთი და იგივე კინო. რა თქმა უნდა, თუ მომეწონა.

— შენხელა რომ ვიყავი, მეტჯერაც შემიძლო ნახვა... — გურამი ცურვით მივიდა კუნძულის დადაბლებულ ადგილთან და კლდეზე აცოცდა.

კუნძულზე რომ ავიდა, მარიკა იქ აღარ დახვდა, ზღვაში გადამხტარიყო. ცალი ხელი კლდის შვერილისთვის ჩაეველო და ილიმებოდა. სველ წამწამებზე წყლის წვეთები ეკიდა. დიდი თვალეები დაახამხამა, თავი გაიქნია და წამწამებიდან წყლის წვეთები მოიშორა.

წყალში დროდადრო გაკრთებოდა, წითელი ტრუსები და წვრილი ფეხები, რომლებსაც გამაღებულად ამოძრავებდა.

მერმე კლდეს ხელი გაუშვა და ზურგზე გაწოლილმა ათიოდე მეტრი გაცურა. ისევ გადმობრუნდა, კუნძულს ცურვით შემოუარა და იმავე შვერილს მოეჭიდა.


— იმ დღეს ტყეში თუ წახვედი? — გურამმა არ იცოდა, რა ეთქვა და ბედზე გაახსენდა, ამ ერთი კვირის წინ ტყეში რომ აპირებდა წასვლას.

— აბა, რა! საღამომდე ტყეში ვიყავი.

— კარგი იყო?  
— ძალიან.

გურამს უნდოდა ეკითხა: „მგელი ხომ არსად შეგხვედრიო?“ მაგრამ მარიკან თვალეები დახუჭა და ზღვაში ჩაყურყუმელავდა, თითქოს ვილაცამ დაქაჩა ქვემოდან. ცოტა ხნის შემდეგ ამოყურყუმელავდა და ისევ გაიქნია თავი, ზღვის გლუვ ზედაპირზე წყლის წვეთები ჩინჩხლებივით გაყარა.

— მე შემიძლია, ზღვაში ჩავეყინო



და დავინახო, ვინც მინდა. — თქვა მარიკამ.

გურამმა მარიკას ნათქვამი ვერ გაიგო. მარიკა მიხვდა, რომ გურამმა ვერ გაუგო და ირიბად ასედა. მერმე გულადმა ამოტრიალდა, ზღვაში რამდენჯერმე მალაყი გააქეთა და კლდის შვერილს დაეკიდა.

— ჩაყვინთავ და, ვისაც გულით მოვიწოდებ, იმას დავინახავ.

მარიკა ისევ მოწყდა კლდის შვერილს და დასასვენებელი სახლის ნაპირისაკენ გასცურა.

— მარიკა, ერთი წუთით მოიცადე! მარიკა მობრუნდა.

— ახლა რომ ჩაყვინთე, ვინ დაინახე?

— არავინ... ახლა არ მინდოდა და იმიტომ.

მარიკას აღარაფერი უთქვამს, სწრაფად ამოძრავა ფეხები და წავიდა. გურამსაც აღარ დაუყოვნებია, ზღვაში ჩახტა. ტანსაცმელი ნაპირზე ჰქონდა დატოვებული და იქით გაეშურა. დროდადრო წყალში ჩაყვინთავდა, ცდილობდა მარიკასავით დაენახა ის, ვისი ნახვაც უნდოდა. რა თქმა უნდა, არავინ დაუნახავს. მოლურჯო-მომწვანო წყალი ტკივილებამდე აწევებოდა თვალის გუგებს. ხედავდა მხოლოდ საკუთარ კიდურებს, რომლებსაც უმწეოდ ასავსავებდა, თითქოს სიბნელეში ხელის ფათურით მიიკვლევდა გზას.

● ალექსანდრე მაყაშვილი, თეიმურაზ მებუჯე და გურამი ერთ პალატაში ცხოვრობდნენ. გურამი და თეიმურაზ მებუჯე უფრო მეტად დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ისინი თითქმის ვერ ხვდებოდნენ ალექსანდრეს. დილით, როცა იღვნიებდნენ და დგებოდნენ, ალექსანდრეს ეძინა, ზოლო, როცა შუალამით ბრუნდებოდა, თეიმურაზ მებუჯე და გურამი შუა ძილში იყვნენ.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა თვითონაც კარგად იცოდა რა აწუხებდა და მაინც გაასინჯვინა თავი

გურამს. დიდი პატივისცემითაც განიკითხველა მომავალი ექიმისადმი რაფაელის სატკივარს კიდევ ერთხელ დაუნიშნის ის სამკურნალო რეჟიმი, რომელიც კარგა ხნის წინათ ჰქონდა დანიშნული.

— თქვენისთანა ავადმყოფი ზღვაზე არ უნდა ისვენებდეს, ბატონო თეიმურაზ! — უთხრა გურამმა ერთგვარი ღირსების გრძობით, თან ცდილობდა, როგორმე დაემაღლა ის აღლევება, რომელიც მისდამი ასეთმა დიდმა ნდობამ გამოიწვია.

— ვიცი, ჩემო კარგო.

— თქვენ სულ სხვა კვება და სხვა რეჟიმი გჭირდებათ, ბატონო თეიმურაზ.

— ეგეც ვიცი. ჩემო კეთილო.

— ან ბორჯომში ან მინერალურ წყლებზე უნდა წაბრძანებულოყავით. კუჭის წყლულთან ხუმრობა არ შეიძლება, ბატონო თეიმურაზ. — გურამი უკვე თვითდაჯერებული ელაპარაკებოდა, როგორც გამოცდილი ექიმი.

თეიმურაზ მებუჯემ არაფერი უბასუხა, მწარედ გაიღიმა და ლოვინში შეწვა. თუმცა ვიდრე შეწვებოდა, სკამი, რომელზეც თვითონ იჯდა, რატომღაც ღია ფანჯარასთან დადგა.

— ბატონო თეიმურაზ, შუქი ჩავაქრო?

— ჩააქრე... თუ გეძინება, ჩააქრე.

გურამი უკან გადაიხიჩქა და ელექტრონის ღილაკს თითით მიწვდა. მერმე გაიფიქრა: „ამ კაცმა თუ თავს არ მიხედა, დაიღუპება“...

შუალამით ორივე სკამის წაქცევის ხმაურმა გამოაღვიძა.

— რა მოხდა!? — წამოძახა თეიმურაზ მებუჯემ შეშფოთებული ხმით.

— ჯანდაბას ამის თავი, სკამი წაქცა! — უბასუხა ალექსანდრე მაყაშვილმა, — ვილაცას ზედ ფანჯარასთან დაუდგამს.

— ჩემი ბრალია, ბატონო ალექსან-

**პარილ სულაპური**  
შანი დასმინებისა

დრე, ამ საღამოს მე ვიგეჟი მანდ და გადადგმა გადამავეიწყდა.

თეიმურაზ მებუჯეს არ ეგონა, თუ გურამსაც ეღვიძა, თორემ ასეთ ცოცხალ ტყუილს არ იტყოდა.

გურამი, რა თქმა უნდა, მიხვდა, სკამი მახესავით რომ იყო დადგმული და გაუკვირდა.

— ძალიან ჯანმრთელი ბრძანდებით, ბატონო ალექსანდრე, — უთხრა ჩურჩულით თეიმურაზ მებუჯემ, — თითქმის ყოველდღე გიწევთ სმა.

მაყაშვილს ლაპარაკის თავი არ ჰქონდა, მაგრამ ზრდილობის გულისათვის მაინც უპასუხა:

— ყველა ისე ისვენებს, როგორც სურს, ანდა როგორც შეუძლია, — მერმე ტანსაცმელი ხვნიშა-ხვნიშით გაიხადა და დაწვა. — თუმცა ამ ჯურღმულში რომ არ დალიო, შეიძლება გაგიჟდე კიდევ.

— თქვენის აზრით ეს დასასვენებელი სახლი ჯურღმულია?

— ჯურღმულია, მა რა არის! მე შემედლო, სადაც მოვინდომებდი, იქ წავსულიყავი, მაგრამ არ მიყვარს საქვეყნოდ აღიარებული ეს ფეშენებლური სანატორიუმები თუ სასტუმროები, მათი მოჩვენებითი, ყალბი, თუ გამოგონილი წესრიგი...

— რა თქმა უნდა... თქვენ ასეთი ჯანმრთელი ხართ...

— მაინც შევცდი, აქ რომ წამოვედი... ასეთი მოსაწყენი ხალხი ჩემს დღეში არ შემხვედრია. სასაცილოა, გეთაყვა, დღეში სამჯერ ესაღებთან ერთმანეთს... საუზმის, სადილისა და გახშმის წინ... ხოლო ერთხელ ეშვინდობებთან... დასაძინებლად რომ მიდიან.

— წელს მართლაც მოსაწყენი ნაკადია... აი შარშან...

— შენ რა, შარშანაც აქ ისვენებდი?

— არა თუ შარშან, შარშანწინაც აქ გავატარე ზაფხული.

— ბარაქალა, გეთაყვა! — ალექსანდრე მაყაშვილმა დაამთქნარა და კედლისკენ გადაბრუნდა.

თეიმურაზ მებუჯე შეყოვნდა. გაუბედობა დაეუფლა. ცდილობდა, ეს გაუბედობა როგორმე დაეშინებინა, მაგრამ სათქმელი ან ახლა უნდა ეთქვა, ან და... ველარასოდეს ეტყოდა.

— იმ დღეს ძალიან ესიამოვნა ბარბარას თქვენი საჩუქარი...

— მართლა?.. კარგი ქალია ბარბარა... მშვენიერი გოგო ჰყავს.

— ახლა გაიცანით თუ მანამდეც იცნობდით?

— ღმერთო, როგორ მომაბეზრეს თავი!

— ბატონო ალექსანდრე, თუ თავი გაბეზრებთ ახლაც ვაგჩუმდები.

— რა მითხარი?

თეიმურაზ მებუჯემ გაუგებრა ნათქვამი.

— არა, გეთაყვა, შენ არ გგულისხმობდი. — ალექსანდრე მაყაშვილი გადმობრუნდა და ხელის ფათურით გამოალო ტუმბოს კარი. ცარიელი ბოთლები აახმაურა. ერთი წააქცია კიდევ, თუ არ გატეხა.

— რას ექებთ?

— ბორჯომი მქონდა სადღაც... ყველა ბოთლი ცარიელია...

— ახლაც მოგართმევთ. — თეიმურაზ მებუჯე სწრაფად წამოვდა საწოლზე, თავისი ტუმბოდან ბორჯომი გამოიღო და ბოთლს საცობი მოაძრო. — ქიქაში დავისხათ?


— თუ კიდევ გაქვს, ბოთლიანად მომეცი, პირი გამიშრა... ღმერთმა უწყის, რას გვასმევინ ეს ოხრები.

თეიმურაზ მებუჯემ ბოთლი გაუწოდა, ალექსანდრე მაყაშვილი წამოიწია, ბორჯომის წყალი ყურყურით დალია და მერმე ბოთლი საწოლთან დაიდგა.

— დაილოცოს ამის მომგონი! ქვეყანა მომივლია და ასეთი წყალი ჯერ არსად შემხვედრია. უკვდავების წყალია, მა რა ოხრობაა! — მერმე ღრმად ამოისუნთქა და ისევ მიწვა.

ღია ფანჯრიდან მთვარის შუქით გაყვნილი ცა მოჩანდა. ვერცხლის მტვერი ცვიოდა ციდან, სილურჯეში იფანტებოდა და ღამეულ სივრცეს აე-





ლვარებდა. დრო და დრო ისმოდა ზღვის ღონიერი ფშვინვა, თითქოს საღვალად ახლომახლო დევს ეძინა.

საწოლზე წამოძვარ თეიმურაზ მებუჯეს არ დავიწყებია, ისევ ლოგინში რომ უნდა შეწოლილიყო, მაგრამ ჯიუტად იჯდა და მყაშვილთან დაწყებულ საუბარის გაგრძელებას აპირებდა.

— გძინავთ, ბატონო ალექსანდრე?

— ჯერ არა.

— არც მე მეძინება.

ალექსანდრე მყაშვილი ხელმეორედ დაწვდა ბოთლს და ბორჯომის წყალი მოსვა.

— თქვენ ბედნიერი კაცი ხართ, ბატონო ალექსანდრე... ჯანმრთელობა ბედნიერებაა. მე კი ავადმყოფი ვარ და მკურნალობის ნაცვლად, უკვე მესამე ზაფხულს ამ ჯურღმულში ვატარებ. რატომ? ალბათ სუსტი, უნებისყოფო კაცი ვარ. ეს არის ცხოვრება?! თითქოს ნებისყოფაც მქონდა და მაგარიც ვიყავი. ჩემი მეგობრები დროს რომ ფლანგავდნენ და ერთობოდნენ, მე წიგნებს ვაკლავდი თავს, წიგნებთან ვაღამებდი და ვათენებდი. ერთი სოფელი ბიჭი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი გავხდი. ყველაფერს ჩემი მეცადინეობით მივალწიე. ახლა ლექციებს ვკითხულობ ქუთაისის პედინსტიტუტში... ბინაც მივიღე... ამხანაგებსა და მეგობრებს შორის კარგი ავტორიტეტით ვსარგებლობ. პედინსტიტუტის კოლექტივი მაფასებს... შარშანწინ, ჩემდა საუბედუროდ, ჩამოვეთრიე ამ დასაქცევში, მაშინ წყლული არ მაწუნებდა... ჩამოვედი და ველარ მოვეშვი... ბატონო ალექსანდრე, მე მინდა, თქვენც ისეთივე გულწრფელი იყოთ ახლა, როგორც მე ვარ... სიმართლე უნდა მითხრათ. — თეიმურაზ მებუჯე გაჩუმდა, ეჭვით დახედა მეზობლად მდგარ საწოლს. — ხომ არ დაგეძინათ, ბატონო ალექსანდრე.

— არა. — უპასუხა ნახევრად მიძინარემ.

— ჩემთვის დღევანდელ დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, — გა-

ნაგრძო შეწყვეტილი საუბარი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა თქვენ, როგორც ჩანს, ბევრად უფრო გაქვთ, ჯანმრთელი ხართ და არც გარეგნული მომხიბლავობა გაკლიათ... თუმცა ამ მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკს, სჯობია, პირდაპირ გითხრათ... თქვენთვის ის ქალი არაფერს არ წარმოადგენს, როგორც კი დატოვებთ ამ სახლს, აღარ გეხსომებათ. მე კი მესამე წელია ამოდ ვწვალობ და ვერაფრით დავაჯერებ, რომ ჩემთან ბედნიერი იქნება. მისი დავიწყებისთვის არ მყოფნის ნებისყოფა, ამიტომ თანმიმდევრულად ვუმეორებ ერთდამივეს. ბოლო ხანებში თითქოს ჩემკენ მოიქცა კიდევ. მაგრამ უცებ თქვენ გამოჩნდით ჰორიზონტზე, თქვენი ფულით, თქვენი ჯანმრთელობით, თქვენი... ეგრეთწოდებული მამაკაცური ღირსებებით... მაპატიეთ, ბატონო ალექსანდრე, ასე დაუბრუნებლათ რომ გეუბნებით ყველაფერს... არ გეწყინოთ... მე სხვა გზა არა მაქვს... მე ვიტანჯები... ვწვალობ... მტკივა... მე მიყვარს ბარბარა...

ალექსანდრე მყაშვილს უცებ ისეთი ხმა აღმოხდა, თითქოს ვილაცამ წაუჭირა ყელში ხელი. მერმე შეიშმუნა, მხარი იცვალა და პალატაში სიჩუმე გამეფდა.

— გძინავთ, ბატონო ალექსანდრე?


მყაშვილს ნასილოდალი ბახუსის ღრმა ძილით ეძინა.

ღია ფანჯარაში დიდმა და ყვითელმა მთვარემ შემოიხედა. მერმე შემოვიდა და პალატა გრილი სხივებით აავსო. გურამმა გარკვევით დაინახა საწოლზე წამოძვარი თეიმურაზ მებუჯე. ყვითელი შუქი ეცემოდა და მისი უძრავი, გამხდარი სხეული ცვილისას ჰგავდა.

მთვარე კარგა ხანს დარჩა პალატაში. იგი თავისი არსებობით არავის აწუხებდა. პირიქით. ყვითელი და გრილი სხივებით პატარა ოთახს უფრო მყუდროსა და ასატანს ხდიდა.

**არჩილ სულააშური**

შანი დანდინიანი



როცა მთვარე ოთახიდან გავიდა, თეიმურაზ მებუჯე წამოდგა და ფანჯარას მიუახლოვდა, გარედან მთვარის სხივებმა უფრო მკაფიოდ გამოკვეთა ვიწრო მხრები, წვრილი კისერი და დიდი თავი. თეიმურაზ მებუჯე ასე იდგა გაუნძრევლად, მერმე გამობრუნდა და რამდენიმე წუთი იწრილა თავისი საწოლის წინ. ხოლო, როცა ალექსანდრე მაყაშვილის ხვრინვა გაისმა, ელდანაკვრავივით შეჩერდა და მძინარეს დააშტერდა.

გარეთ მზარეულის ძალი აყეფდა. იგი ან მთვარეს უყეფდა, ანდა ალექსანდრე მაყაშვილის ხვრინვამ დაუფრთხო მშვიდი ძილი.

გურამი გადაძვრა იმავე ფანჯრიდან, რომლიდანაც ალექსანდრე მაყაშვილი გადმოცოცდა. თეიმურაზ მებუჯე თავს იკატუუნებდა, ვითომ ეძინა, მაგრამ გურამმა იცოდა, რომ იგი მოწამის შეუპოვრობით უძლებდა მაყაშვილის ყელიდან ამოხეთქილ ჯოჯოხეთურ ხმებს.

როგორც კი მიწას მიაწვდინა ფეხი, ისევ გაისმა მზარეულის ძალის ყეფა და მოქნარება. ეტყობა, ძალიან ფხიზელი ძალი იყო, თუმცა გურამმა ვერ გაიგო, სად ამოქნარებდა. თითქმის მთელი ეზო ისე გაიარა, ნაგაზი არ გამოჩენილა.

მაგნოლებიკენ გასწია. იქ ზღვისკენ მიქცეული შეზღონგები იდგა. ამ შეზღონგებიდან დამსვენებლები საათობით გასტუმროდნენ მზის ჩასვლას და ტკებოდნენ ბუნების საოცრებით.

უგუნებობა მიეძალა. ეს რომ არა, იგი ბედნიერი იქნებოდა იმითაც კი, რომ ამ შუალამით ფანჯრიდან გადმოიპარა და ახლა თავისუფლად დასეირნობდა ეზოში. ასეთი თავისუფლება მისთვის არასოდეს მიუნიჭებიათ, მაგრამ ამ ბედნიერების განცდა დათრგუნა ნადველმა, რომელიც ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს წელანდელი გულახდილობის შედეგად შეეპარა. ამ ჩია კაცის მიმართ ერთდროულად ზიზ-

ლიცა და სიბრაღულიც იგრძნო: მერმე ორივე გრძნობა თანდათან დასუსტდა და გულის სიღრმეში გაქვიშა ვილიშა გაუარა.

მერმე გაუგებრობა თუ გაურკვეველობა დაეუფლა. მისთვის უცხო იყო ის ტანჯვა, რომელსაც თეიმურაზ მებუჯე განიცდიდა. ვერ გაიგო და არც ცდილობდა გაეგო, რატომ იბოჰავდა თავს ეს მარტოხელა, არავისგან დამოკიდებული კაცი, რატომ ცდილობდა დაედგა საკუთარ ქედზე უღელი, როცა შეეძლო ლაღად ყოფნა და ამ თავისუფლებით ტკბობა. ადამიანებმა ნამდვილად არ იციან ჭეშმარიტი თავისუფლების ფასი, — დაასკვნა ბოლოს.

მთვარე უკვე ზღვისკენ წამოსულიყო. ფერი დაეკარგა. ძალა ოდნავ გამოცლოდა და თავის ყვითელ სხივებს ისე უხვად ვეღარ ღვრიდა, როგორც წელან ოთახში. მაგრამ ზღვის ერთ მონაკვეთზე მაინც დაეყარა ოქრო, დამეშვიგ ხელებს ურევდა და აბრწყვილებდა.

საათი პალატაში დარჩა და არ იცოდა, რა დრო იყო. თუმცა გორაკების თავზე გაფერმკრთალებულ ცას ეტყობოდა, რომ გათენებას ბევრი აღარ უკლდა.

მოულოდნელად სიბნელიდან ქალი გამოვიდა. იგი პირდაპირ გურამისკენ გამოემართა მთვარით განათებულ ბილიკით. გურამს შეეშინდა, დიასახლისი არ იყოსო. დიასახლისი დასასვენებელი სახლის შინაგანაწესს შეახსენებდა და უსათუოდ დააბრუნებდა პალატაში.

საბედნიეროდ ეს ქალი ბარბარა აღმოჩნდა, სომბეროსი დედა. გურამს ეგონა, მისალმების შემდეგ ჩაუტევიდა და თავის სასადილოს მიაშურებდა, მაგრამ ბარბარა შეჩერდა და საუბარიც კი გაუბა.

— შორიდანვე მივხვდი, რომ თქვენ იქნებოდით.

გურამმა უხერხულად გაიღიმა.

— ძალიან ადრე გამოსულხართ. დიასახლისმა თუ დავინახათ, ალბათ უკანვე დაგაბრუნებთ. მაგრამ თქვენ

შეგიძლიათ, დასასვენებელი სახლის ტერიტორიიდან გახვიდეთ. იქ ვერავინ შემოგედევებათ. — დაარიგა ბარბარამ.

— გმადლობთ, უკიდურეს შემთხვევაში ასე მოვიქცევი.

— რომელ პალატაში ხართ?

— მეხუთეში.

— აა... ბატონ ალექსანდრესთან და თეიმურაზთან ერთად!

გურამს უცებ გაახსენდა თეიმურაზ მებუქეს ცვილისფერი სხეული. გაახსენდა ისიც, საწოლზე საცოდავად ჩამოძვარი როგორ ცდილობდა ბარბარაზე საუბრის დაწყებას. სულ ამოდკი დაშვრა. ალექსანდრეს მისი საყვედურებით აღსავსე სიტყვები არ გაუგონია. სასაცილო კია, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა, რომელიც თავის კოლექტივში კარგი ავტორიტეტით სარგებლობს, ახლა ყველაფერი ისევ თავიდან უნდა დაიწყოს. ალბათ ბატონი თეიმურაზი სკამს ისევ ფანჯარასთან დადგამს მახესავით. ბატონი ალექსანდრე ფანჯრიდან გადმოცოცდება, ფეხს წამოჰკრავს და სკამი შუაღამის სიჩუმეში ხრიგინით წაიქცევა. ბატონ თეიმურაზს გაეღვიძება და შეშფოთებული წამოიძახებს: „რა მოხდა!“ ასე დაიწყება ყველაფერი თავიდან.

გურამს რატომღაც არ სჯეროდა, თითქოს ალექსანდრე მაცაშვილის გამოჩენამ დაწყვიტა კეთილი ურთიერთობის ის ძაფები, რომლებიც ბარბარასა და თეიმურაზ მებუქეს შორის, ჰა და ჰა, იმეზობდა.

— თქვენ ძალიან ხშირად გახსენებთ მარიკა.

— მართლა?

— მგრძნობიარე ბავშვია... ალბათ, მიხვდით, რატომ მივიდა იმ დღეს ბაქანზე.

— შევეცოდე.

— არა, შეცოდება სხვაა. მე მგონია, უფრო ვითანაგრძნოთ.

— უცნაური გოგოა.

— მე გუშინწინაც დავინახე, როგორ ამოცოცდა თქვენს კუნძულზე... თქვენც საკმაოდ უცნაური ხართ... არავის არ

ეკარებით, ყველას გაუბრახართ... თქმ-  
ცა ეს რა ჩემი საქმეა.

— არ გეშინიათ, მარტო ვიქცევი მარიკას?

— მარიკა უჩემოდ ნაბიჯსაც არ ადგამს. სულ ვიცი, სად დადის, რას აკეთებს, რას ფიქრობს, რას განიცდის... ჩვენ უკვე უსიტყვოდაც ვუგებთ ერთმანეთს. მარიკა ძალიან ჭკვიანი გოგოა. — ბარბარას კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ გაჩუმდა. მერმე ამოიოხრა: — ეჰ, წავედი! საქმეს უნდა მივხედო.

— ასე ადრე იწყებთ მუშაობას.

— სასადილოს ხომ უნდა დალაგება? მაგიდებს გაწყობა? — ბარბარამ გაიღიმა და წავიდა.

გურამმა მაგნოლიებისკენ გასწია. ერთი ყველაზე ნაკლებადმორყეული შეზღონგი ამოარჩია, რკინის მოაჯირთან მიაჩოჩა და ჩაწვა.

თურმე რა სასიამოვნო, თანაც რა ადვილი ყოფილა, აი თუნდაც ასე, რამდენიმე წუთით შეჩერდე გუშინწინ გაცნობილ ადამიანთან და ისაუბრო, გინდაც არაფერზე. ასეთი საუბარი ანდა, უფრო ზუსტად, ლაყბობა, გურამს ამშვიდებდა და სიმხნევეს მატებდა.

გურამს არასოდეს არ ჰყოლია მეგობარი. მეგობრობა მსხვერპლად დიდ დროს მოითხოვს. გურამი კი ვერასოდეს ვერ პოულობდა, ანდა საშუალებას არ აძლევდნენ ებოვა თუ გამოენახა ეს დრო. უმეგობრო და უამხანაგო კაცს კი ყველა ადამიანი ერთნაირად ეუცხოვება და საკუთარ ნაქუქში გამომწყვდეული, შეგნებულად თუ შეუგნებლად გაურბის ადამიანებთან ურთიერთობას. ასეთ დროს ზოგს განდიდება იპყრობს ხოლმე, ეჩვენება, რომ განგებამ რაღაც განსაკუთრებული ნიშნის მიხედვით განაცალკევა იგი სხვებისაგან, აღამალა და ჩვეულებრივ მოკვდავთ აღარ ძალუძთ მისი გაგება. ზოგს პირიქით ემართება. სრულფასოვნების გრძნობას ჰკარგავს, ზედმეტად ეუფ-

არჩილ სულაბაური  
შამი დანაშაუნიანი



ლება გაუბედაობა და თანდათან ჰვარ-  
გავს საკუთარი თავისადმი რწმენას.

იმ ხანებში გურამისათვის ყველაფე-  
რი ბურჟუსით იყო მოცული. მაგრამ  
შინც ჰქონდა გაუცნობიერებელი სურ-  
ვილი ამ ბურჟუსის გაფანტვისა. ამიტომ  
ბედნიერებად მიაჩნდა, პალატიდან გა-  
მოპარული, გამთენიისას, ასე უბრალოდ  
და მარტივად რომ ესაუბრებოდა ქალს,  
რომელსაც წესიერადაც კი არ იცნობ-  
და...

ეტყობა, მთელი ღამის უძილობამ  
შინც თავისი გაიტანა: გურამმა ჩათვ-  
ლიმა. აღარ ახსოვს, რამდენ ხანს ეძინა.  
უცებ სიცივემ გამოაღვიძა. არა თუ გა-  
მოაღვიძა შეზღონგიდანაც კი წამოახ-  
ტუნა.

შეკრთა.  
თვალეებს არ დაუჭერა. მის წინ ბარ-  
ბარა იდგა. დიდი, იისფერი თვალებით  
მისჩერებოდა გურამს.

— შაბატიეთ, გურამ, მგონი ძილი  
დაგიფერთხეთ.

— არა, არ მეძინა... ისე, ცოტა წამ-  
თვლიმა.

— გურამ, ვახშმის შემდეგ საბა-  
ნაოდ ხომ არ წახვალთ?

— არა... მე ვახშმის შემდეგ, საერ-  
თოდ, არ დავდივარ ზღვაზე.

— მართლა?...  
— რატომ შემეკითხეთ?

— ისე... სხვათაშორის...  
— მაინც?... თქვენ კიდევ რაღაც გინ-  
დოდათ გეტქვათ...

— არაფერი... ისეთი არაფერი... —  
ბარბარამ მზერა მოარიდა გურამს, მერ-  
მე გატრიალდა და ჩქარი ნაბიჯით გას-  
წია სასადილოსკენ.

● გურამი სასადილოში შესვლას აპი-  
რებდა სავახშმოდ. კართან მისული  
დიასახლისმა გამოაბრუნა: ტელეფონის  
ხაზზე თბილისია და ვთხოვენო.

ერთადერთი ტელეფონი დირექტორს  
ედგა კაბინეტში. გურამმა მორიდებით  
შეაღო ოთახის კარი, ოთახში არავინ  
აღმოჩნდა. ყურმილი გადაადებული  
იყო.

— აილო, გისმენთ.

„რომელი ხარ?“

— მე ვარ, დედა... გურამი.

„შეგარცხვინა ღმერთმა! ეგ არის შე-  
ნი პირიბა?! თერთმეტი წერილი გა-  
მოგიგზავს და პასუხი არ მაღირსე!“

— მომისმინე, დედა.

„არაფრის მოსმენა არ მინდა. დღეს-  
ვე აიღე ბილეთი და წამოდი!“

— გამიგონე...

„დღეს თუ ვერ მოახერხე, ხვალისთ-  
ვის უსათუოდ იშოვნე ბილეთი!“

— დედა, ხომ იცი, რა ძნელია ახლა  
ბილეთის შოვნა.

„არაფერი არ ვიცი... ზეგ დილას თუ  
არ ჩამოხვედი, მაშინ მე თვითონ ჩამო-  
გაკითხავ და ისეთ დღეს დაგაყენებ...  
სულ თავბედს გაწყველინებ ხომ იცი,  
რას ნიშნავს ჩემი მანდ ჩამოსვლა?“

— ნუ მიყვირი, რა, დედა, რატომ არ  
გინდა, მომისმინო?!

„არ მოგისმენ, არ მაინტერესებს!“..

— მამა როგორ არის?

„გაიგონე, თუ არა, რაც გითხარი?!  
ერთხელ კიდევ გაფრთხილებ, მანდ არ  
ჩამომიყვანო!“

— დედა, ერთი სიტყვა მაინც მათქ-  
მევიწე.

„— თუ სათქმელი გქონდა, წერილს  
მომწერდი ან დამირეკავდი.“

აქ შეწყდა დედა-შვილის საუბარი.  
დედამ ყურმილი დაუკიდა.

გურამი გარეთ გამოვიდა. ცხვირსა-  
ხოცით ოფლი მოიწმინდა.

დამსვენებლები სასადილოში თითო-  
თითოდ ისე შედიოდნენ, თითქოს სად-  
ღაც მიიპარებოდნენ. გურამმა ეზო გა-  
იარა, რკინის ქიშკარი ჭრალით გააღო.  
დატუქსული ბავშვივით მიდიოდა. და-  
ტუქსული ცოტაა, თითქოს ყური აუ-  
წიეს და სილა გააწნეს. მისთვის უარესი  
დღევ დაუყენებიათ, მაგრამ ასე შეუ-  
რაცხყოფილად ჯერ არ უგრძნია თავი.

დღეს თუ არა, ხვალ უსათუოდ უნდა  
გაემგზავროს თბილისში. ასე უბრძანეს.  
თუ არ გაემგზავრა, შავ დღეს დააყენე-  
ბენ. თუმცა არც იქ ჩასვლით ელის კარ-  
გი დღე.

გურამი ნახერხით გატენილი თოჯინაა, რომელ თაროზეც უნდათ, იქ შემოსვამენ. ანდა სულაც მოისერიან, როგორც მოესურვებათ. სხვისგან დამოუკიდებლად ერთი ნაბიჯის გადადგმის უფლება არა აქვს.

თავის კუნძულებთან უაზროდ გატარებული დღეებიც კი ახლა წარმოუდგენელ ბედნიერებად ეჩვენებოდა.

ღია ბაქნიდან დასცქეროდა კუნძულებს. ზღვა ლურჯი და წყნარი იყო. ჰორიზონტზე უზარმაზარი წითელი მზე ღრუბლებში ეშვებოდა. ღრუბლები მზეს ზღაპრულ დარბაზებივით გაენათებინა.

ბაქანი სევდისმომგვრელად ცარიელი იყო, დიდი ხნის წინათ მიტოვებულსა ჰგავდა...

ზარი დაირეკა. საკლასო ოთახისკენ გაიქცა. ამხანაგმა ხუმრობით სარმა გამოჰკრა... დაცემისას ხელი ეტკინა, ალბათ, იღრძო კიდეც, ამხანაგი შეწუხდა, დაიბნა. არ ეგონა, თუ ასე დამთავრდებოდა მისი ცელქობა. იმავე წუთში გაიგო დედამ, უთუოდ შინ დაურეკეს. გაგიჟებული მოვარდა. მთელი სკოლა ფეხზე დააყენა. ყველა მასწავლებელი დალანძლა, დირექტორთან უჩივლა, დაემუქრა. კლასის ამხანაგი ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან, ცემას უპირებდა. საწყალი ბიჭი ისე შეშინდა, რომ გაცივთილებიდან გაიპარა.

მეორე დღეს აღარ უნდოდა სკოლაში წასვლა. რცხვენოდა. ხელი დიდის ამბით შეუხვიეს, ზონარით ყელზე დაჰკიდეს, ყველა რომ დარწმუნებულიყო, როგორ დააზიანეს ბავშვი...

მეხუთე კლასამდე ჩანთა არ ჰქერია ხელში...

დედა ან მამა მიაცილებდა და მოაცილებდა... მეშვიდე კლასამდე...

ეს იყო მოსაწყენი და გულისრევამდე ერთფეროვანი გზა...

მზე უკვე ჩასულიყო და ზღვაზე იისფერი, გამჰვირვალე ზურუსი იდგა. გურამმა დაბინდულ სიერცეს ზურგი შეაქცია და მწვანე ფარდულს გახედა, გაახსენდა, რომ არ უვასშმია.

ვიდრე ფარდულთან მივიდოდა, ლაპარაკი შემოესმა, მარჯვნივ, ფერდობსა და ფარდულს შორის ოთხიოდე მაგილა დალანდა მწვანე ბუჩქებში ჩაფლული. ერთ მაგიდას სამნი მისხდომოდნენ და საუბრობდნენ. მოსაუბრეთაგან ალექსანდრე მაყაშვილი იცნო. ბატონი ალექსანდრე რაღაცას უხსნიდა ახალგაზრდებს, რომლებიც ბეჯითი მოწაფეებივით დაძაბულები უსმენდნენ. სამივენი ისე იყვნენ გართულნი, რომ გურამის მისვლა არ გაუგიათ. რამდენიმე ნაბიჯი გაიარა და კიდეც მიხედა: მაგიდაზე ცარიელი კონიაკის ბოთლი, ყავის ფინჯნები და სირჩები ელაგა უწესრიგოდ. სირჩებში ნახევრამდე ესხა კონიაკი.

გურამი ფარდულთან მივიდა და დახლს მკლავით დაეყრდნო. ფარდულში არავინ იყო.

— ამავე დროს, თქვენ უნდა გახსოვდეთ, — გარკვევით გაიგონა მაყაშვილის ხმა, — რომ ელექტრონის შეერთება ნეიტრალურ მოლეკულასთან თავისუფალ ნაკადად გამოჰყოფს იონიზაციის ენერგიას. ხოლო იონების აჩქარებით თითქმის არაფერი იკარგება...

— ბატონო ალექსანდრე, — ჰკითხა ერთ-ერთმა ვაჟმა, რომელიც ხელმარჯვნივ უჯდა, — მე არ ვიცი, როგორ გამოიხატება სიერცობრივი მუხტის ფორმულა.

— ეს ფორმულა ცნობილია და უსათუოდ უნდა იცოდეთ, — ალექსანდრე მაყაშვილმა ცარიელი ბოთლი და ფინჯანი ხელით გვერდზე მოსწია და ჯიბიდან ავტოკალამი ამოიღო.

ორივე ვაჟი წამოდგა და მაგიდას დააშტერდა.

მაყაშვილმა, ალბათ, ფორმულა დაწერა და განმარტა კიდეც. გურამს არ გაუგონია, რადგან ფარდულში კასრით მრგვალი მამაკაცი შემოვიდა და იკითხა: რა გნებაეთო?

— ასი გრამი კონიაკი და რაღაც მისაქმელი.

არჩილ სულაბაური  
შანი დანდინიძისა

— აქვე მოგართვათ, თუ მაგიდაზე ინებებთ?

— აქვე. „რა ჯანდაბად მინდოდა ეს კონიაკი, ჩემს სიცოცხლეში არ დამილევია“.

— ყავას ხომ არ ინებებთ?

— უსათუოდ. ერთი ფინჯანი ყავა გამიკეთეთ.

— მაშინ დაბრძანდით. ფეხზე მდგარი ჩემს ყავას გემოს ვერ ჩაატანთ.

გურამი გააოცა კასრივით მამაკაცის თავზიანობამ. მაგიდებისკენ უნდოდა წასვლა, მაგრამ თავი შეიკავა: მყაშვილმა საათს დახედა და წამოდგა. ვაჟებიც წამოდგნენ.

— მპატიეთ, ბიჭებო... მაგვიანდება... საცაა მატარებელი მოვა.

— პირიქით, ბატონო ალექსანდრე, ჩვენ გიხდით ბოდიშს, ამდენი დრო რომ წავართვით.

ერთ-ერთმა ვაჟმა ჯიბისკენ წაიღო ხელი. ეტყობა, დანახარჯის გადახდა უნდოდა.

— გადახდილია, — უთხრა მყაშვილმა.

— ეს რა გამოვიდა, ბატონო ალექსანდრე, ჩვენ გაპატიებთ და ფულს თქვენ იხდით.

— თქვენ მაშინ გადაიხადეთ, როცა ჩემზე მეტი ფული გექნებათ.

ალექსანდრე მყაშვილმა ბუჩქები გაიარა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა ლიანდაგისკენ. ვაჟები უკან დაედევნენ, ერთმანეთს რალაცას ესაყვედურებოდნენ ჩურჩულით, ალბათ, უკმაყოფილონი იყვნენ, ბატონმა ალექსანდრემ რომ დაასწრო ფულის გადახდა. გურამმა ორივე ვაჟი იცნო. სასადილოში ყოველდღე ხვდებოდა მათ.

გურამი ერთ-ერთ მაგიდას მიუჯდა.

კასრივით კაცმა კონიაკი, ყავა და ცოტა მისაჭმელი მოუტანა, მერმე მყაშვილის მაგიდის ალაგებას შეუდგა. ცარიელი ბოთლი, ფინჯნები და ჭიქები წაიღო.

პატარა ფინჯანი მუქი და სქელი, ამავე დროს საოცრად სურნელოვანი სითხით

იყო სავსე. სითხეს მოყვითალო კაფი მოეყენებინა.

კასრივით კაცი მალევე დაიწყო და თან სველი ჩვარი მოიტანა.

— ამ ხალხმა სისხლი გამიშრო. — თქვა მან, — ისე არ წავლენ, თუ მაგიდაზე რალაც არ დამიხატეს.

გურამი წამოდგა და მეზობელ მაგიდასთან მივიდა. ნაწერს დახედა:

$$i = \frac{\sqrt{2}}{9\pi} \cdot \sqrt{\frac{\varepsilon}{M} \cdot \frac{U^{3/2}}{d^2}}$$

— ხშირად მოდიან ხოლმე?

— ყოველ დღე აქ არიან. ძალიან მოსწონთ ჩემი ყავა.

— ხშირად წერენ ასეთ ფორმულებს?

— ეს მაგიდა სავსე იქნებოდა წარწერებით, რომ არ წამეშალა.

— მე თქვენს ადგილზე არ წავშლიდი.

კასრივით კაცმა გაკვირვებით ახედა გურამს. გურამი თავის მაგიდას დაუბრუნდა და ყავა მოწრუბა. კასრივით კაცი გაჭირვებით დაიხარა და ბალახშორის ცოტათოდენი სილა მოაგროვა. მერმე ეს სილა მყაშვილის ნაწერს მოაყარა და გამწარებულმა სველი ჩვრით ხეხვა დაუწყო.


ამასობაში მატარებელი მოვიდა.

გურამს როგორღაც შეშურდა იმ ბიჭებისა, ასეთნაირად რომ დაახლოვებოდნენ მყაშვილს. თვითონ უკეთესი შესაძლებლობა აქვს, ერთ პალატაში ცხოვრობენ, მაგრამ ვერ იყენებს. „ალბათ, საინტერესო პიროვნებაა ეს მყაშვილი, მისგან ბევრ რამეს გაიგებდა და ისწავლიდა კაცი“.

მერმე რატომღაც თეიმურაზ მებუჯე გაახსენდა.

„დღესაც თუ დაუდგა ფანჯარასთან სკამი, იმ სკამს ფანჯრიდან ვისვრი და ყველაფერს გულახდილად ვეტყვი“. გურამი ველარ უძლებდა თეიმურაზ მებუჯეს ტანჯულ სახეს, მის უსაფუძვლო ეჭვიანობას.

კასრივით კაცი მთელი ძალით დაძვებოდა ნაწერს... ხეხავდა და ასუფთავებდა მაგიდას.



როდესაც გურამი ბაქანზე დაბრუნდა, მატარებელი რამდენიმე წუთის წასული იყო. ერთადერთი მბეჭუტავი ნათურა მკრთალად ანათებდა ბაქანს. მაგრამ ეს სინათლე საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ გურამს სომბრეროს სილუეტი და ასფალტზე გაწოლილი მისი ჩრდილი დაენახა.

სომბრერო მარტო იდგა. ეტყობა, ჩვეულებისამებრ მატარებელს დახვდა და ახლა შინ წასვლას აპირებს.

— სადამო მშვიდობისა, მარიკა!  
 — სადამო მშვიდობისა!  
 — მატარებელს დახვდი?  
 — კი.  
 — ჩამოვიდა ვინმე?  
 — არაფერ.  
 — წასვლით, თუ წავიდა?...  
 — კი. ბატონი ალექსანდრე. ორმა გურამმა გააცილა.

— იმათაც გურამი ჰქვიათ?  
 — ხომ გითხარით, ამ ნაკადში ყველას გურამი ჰქვია. სასაცილოა, არა?  
 — ძალიან.

— თქვენ სად იყავით?  
 — არსად. ყავა დავლიე.  
 — ღღეს რატომ არ ივახშმეთ?  
 — რა ვიცი, არა მშვიოდა. — გურამს გაახსენდა, რატომაც არ ივახშმა და ისევ მოეშხამა გუნება. შინ წასვლა და დაძინება გადაწყვიტა. „წავალ და ბულიშში შევრგავ თავს: თეიმურაზ მებუქესკენ ერთხელაც არ გავიხედავ“.

— ბატონი ალექსანდრეს გაცილებდა მინდოდა... მაგრამ მისვლა მომერიდა...

— რატომ?  
 — სხვები აცილებდნენ... მარტო რომ ყოფილიყო მივიდოდი, მაღლობასაც ვეტყვოდი.

— რისთვის უნდა გეთქვა მაღლობა?

— თეთრი კაბა მაჩუქა. ასეთი კაბა ჯერ არავის სცმია მთელს დედამიწის ზურგზე.

— შენ ყველაზე მეტად ეგ სომბრერო გიხდება.

— არა, დედამ მოთხრა, კაბაც ძალიან გიხდებაო.

— ალბათ მთელმა დასაცემებელმა სახლმა იცის, ლამაზი კაბა რომ გაქვს?

— არა, არავისთვის არ მიჩვენებია. მაშინვე გავიხადე და დედამ შეინახა.

— მე რომ არ მინახავს, გული მწყდება.

— ახლავე გავიქცევი და ჩავიცვამ.

— უკვე გვიანაა, მარიკა...

— იმ კაბის ჩაცმას რა უნდა.

— ტყუილად მიდიხარ...

— ერთი წუთით მომიცადეთ.

— მაშინ მეც წამოვალ. იქ, ეზოში დიდი სინათლეა, უფრო კარგად დაგინახავ.

— ეზოში ბევრი ხალხია. მრცხვენია... მე ჯერ არ მცმია ასეთი კაბა... ამ წუთში აქ გავჩნდები... — მარიკა ისე გაიქცა, პასუხისთვის აღარ დაუცდია.

უცებ სულელურ და სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ახლა სულაც არ აინტერესებდა, რა ფერის ან რა კაბა აჩუქა ალექსანდრე მაყაშვილმა. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა მდგარიყო ამ ბაქანზე და დალოდებოდა ახალ კაბაში გამოწყობილ სომბრეროს. თუმცა რა უნდა ექნა, იმდენად იყო ბევრი გახარებული და ავზნებული, რომ მისი გაწბილება არ შეიძლებოდა. ისე კი გურამს არ ეგონა, თუ წითელტრუსებიან და წითელსანდლებიან სომბრეროს, რომელიც თავის ნებაზე დადიოდა ყველგან, სადაც მოისურვებდა, ასე გაახარებდა და ააღელვებდა კაბა.

ფეხზე დგომა მოსწყინდა და მერხზე ჩამოჯდა. ცოტა ხნის შემდეგ ფეხის ხმა გაიგონა. სომბრერო ეგონა, მაგრამ მოტყუვდა. ვიღაც ქალი მოდიოდა გამაღებელი. გურამი ნიდაყვებით დაეყრდნო მუხლებს და ფეხებშორის მომწყვდიულ ასფალტს ჩააშტერდა. ჩქარი ნაბიჯით მომავალი ქალი უცებ შეჩერდა და გურამმა ნაცნობი ხმა გაიგონა:

**არჩილ სულააპური**  
 შანი დასაქმებისა



— გამარჯობათ, გურამ.  
 — საღამო მშვიდობისა, ბარბარა. —  
 გურამი წამოდგა.  
 — მარიკასთვის ხომ არ მოგიკრავთ  
 თვალი?  
 — საოცარია, როგორ აცდით ერთ-  
 მანეთს, ახლახანს წავიდა.  
 — ალბათ მატარებელს დახვდა.  
 — მაყაშვილის გაცილებას აპირებ-  
 და. სხვები ახლდნენ და მისვლა მოერი-  
 და. თუმცა რა, შეუძლია ხვალ გააცი-  
 ლოს, მაყაშვილი ყოველ საღამოს მიემ-  
 გზავრება ბათუმში.  
 — ბატონმა ალექსანდრემ სამუდა-  
 მოდ მოინადირა მარიკას გული.  
 — ვიცი. მარიკამ ყველაფერი მიამ-  
 ბო. მართლა ასეთი კაბაა?  
 — საუცხოო. ნახვით არ მენახა, ისე  
 კი გავონილი მქონდა, რომ არსებობდა  
 ასეთი ქსოვილი. გამჭვირვალეა, მსუ-  
 ბუქი, ჰაეროვანი... ბავშვი გაგიყებუ-  
 ლია... ყველა პატარა გოგოში მომავა-  
 ლი ქალია ჩასაფრებული. ქალისთვის  
 ჩაცმა ყველაფერს ნიშნავს... ძალიან  
 უხდება ახალი კაბა...  
 — ვნახოთ... მარიკა საცაა მოვა.  
 — აქ რატომ უნდა მოვიდეს მარიკა?  
 — შემპირდა, ახალ კაბას გაჩვენე-  
 ბო. იმდენად იყო გახარებული, რომ  
 უარი ვერ ვუთხარი, ვერ გავაწბილე.  
 — უყურე შენ. დღეს ვეხვეწე, ჩა-  
 იცვი და ეზოში გადი-მეთქი და არ ქნა.  
 — ეგეც მითხრა.  
 სადღაც ქვემოდან ზღვის ფშვინვა  
 ისმოდა.  
 — დღეს სად ივანშემთ?  
 — არსად. ერთი ფინჯანი ყავა დავ-  
 ლეე. აქვე. — გურამმა ფარდულისაკენ  
 გაიხედა. უკვე ნანობდა, რომ მეორე  
 ფინჯანიც არ მოითხოვა. იქნებ რო-  
 გორმე აცდენოდა ამ უხერხულ მდგო-  
 მარეობას. აღარ იცოდა, რა ეთქვა ბარ-  
 ბარასათვის.  
 — მაგ ყავის დასალევად საიდან არ  
 ჩამოდის ხალხი. მე კი ხუთი წელია აქ  
 ვცხოვრობ და ჯერ არ დამილევი...  
 დრო არა მრჩება ხოლმე... ვიღლები.  
 — დღეს მეც პირველად დავლიე.

— მოგეწონათ?  
 — რა ვიცი, ალბათ, კარგია, ჩემთვის  
 მი ცოტა ხნით შეყოვნდა. მინდა მარიკას  
 ლობისთვის უთხრა — მარიკა ველარ  
 მოგვაგნებს, თორემ შეგვეძლო, თითო  
 ფინჯანი ყავა დავგელია.  
 ბარბარამ პასუხი დააგვიანა. გურამს  
 ეგონა, უარს ეუბნებოდა.  
 — მარიკა თუ მოსასვლელი იყო, აქ-  
 ამდე მოვიდოდა.  
 ისინი უსიტყვოდ წავიდნენ ფარდუ-  
 ლისაკენ. ლიანდაგი გადასჭრეს და ბუ-  
 ჩქები გაიარეს. ხეზე დაკიდული ნათუ-  
 რა ოთხივე მაგიდას ანათებდა. ელექტ-  
 რონის შუქზე ხეებს, ბუჩქებსა და ბა-  
 ლახს ბუნებრივი ფერი დაეკარგა და  
 ოდესღაც თეატრის სცენაზე ნანახ დე-  
 კორაციას ჰგავდა.  
 — რომელი მაგიდა გირჩენიათ?  
 — სულერთია... აქ დავსხდეთ.  
 — სწორედ მანდ ვიჯექი წელან.  
 დასხდნენ. მაშინვე მოვიდა კასრივის  
 კაცი. გურამი იცნო და წყალობასავით  
 გაუღიმა.  
 — ხომ გითხარით, ბატონო, ასეთ  
 ყავას ვერსად დალევთ-მეთქი. რა მო-  
 გართვათ.  
 — ორი ყავა.  
 — სხვას ხომ არაფერს ინებებთ?  
 გურამმა ბარბარას შეხედა.  
 — მე სხვა არაფერი არ მინდა.  
 „ახლა ეს ბუჩქები რომ გადაიწიოს  
 და ფოთლებიდან დედაჩემმა გამოჰყოს  
 თავი“... გაიფიქრა გურამმა.  
 — რატომ გაიღიმეთ, გურამ?  
 — რაღაც სისულელე გამახსენდა.  
 — იქნებ არ გინდოდათ აქ წამოს-  
 ვლა და ძალით წამოგიყვანეთ?  
 — არა, რას ამბობთ... პირიქით.  
 „ქალები ცბიერნი და ვერაგნი არიან,  
 ყოველგვარ ხერხსა და ღონეს ხმარო-  
 ბენ, რათა ხელში ჩაიგდონ გამოუცდე-  
 ლი და გულუბრყვილო ვაჟები, მით  
 უმეტეს, კარგი ოჯახის შვილები...“ —  
 გაახსენდა გურამს დედის წერილი...  
 „რა იცის ახლა ბარბარამ, რა ოჯახის  
 შვილი ვარ, კარგისა, თუ ცუდის?“  
 — ჩემთვის აქ ყოფნა დიდი ფუფუ-





ნება. ქმრის დაღუპვის შემდეგ არასოდეს არ მიმიცია ჩემი თავისთვის ამის უფლება. ღმერთო ჩემო, რა მალე გავიდა დრო! თითქოს ყველაფერი გუშინ მოხდა, თითქოს მე ისეთივე უბედური ვარ, როგორც იმ დღეებში ვიყავი.

— ალბათ ომში დაგვლუპათ ქმარი.

— არა. მე ომის შემდეგ გავთხოვდი: ორმოცდაექვსში. ოთხი თვის შემდეგ ჩემი ქმრის სეინერი წყალქვეშა ნაღმს წააწყდა და დაიღუპა... მარიკაც ჩემი ბელისა... არც მე მახსოვს მამა... დედამ გამზარდა...

კასრივით კაცმა ყავა მოიტანა და ბარბარამ ლაპარაკი შეწყვიტა.

— რამე დასაღვეი ხომ არ მოგართვათ?

— არა. — უპასუხა ბარბარამ.

კასრივით კაცი წავიდა.

— ქმრის სიკვდილის შემდეგ მე თითქმის ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი... ჩვიდმეტი წლისა ვიყავი, მარიკა რომ შემეძინა... ძალიან ადრე გავთხოვდი. მეზობლებმა მირჩიეს — პატრონი გეყოლებო... თვითონ ბავშვი ვიყავი და ბავშვის გაზრდა ვიკისრე. პირველ ხანებში ძალიან მიჭირდა... ცხოვრების მეშინოდა...

— რატომ არ გათხოვდით, ბარბარა?.. მაპატიეთ, ასეთ უხერხულ შეკითხვას რომ გაძლევთ.

— მაგ კითხვაზე არც ისე ადვილია პასუხის გაცემა...

— მე ვიცნობ კაცს, რომელსაც ნამდვილად უყვარხართ.

— მეც ვიცნობ და ძალიან გთხოვთ, იმ კაცზე მეორედ ნურაფერს მეტყვიეთ.

— რატომ?

— არ მინდა და იმიტომ. ნუთუ ეს საკმარისი არ არის? მეც ხომ უნდა მომეწონოს, უნდა შემეყვარდეს... მე ერთხელ უკვე გავთხოვდი იმისათვის, რომ პატრონი მეყოლებოდა, შემინახვდა და უზრუნველი ცხოვრება მექნებოდა. ერთხელ ასე გათხოვება საკმარისია. მე შრომას შევეჩვიე და ცხოვრებისა აღარ მეშინია. ჩემს თავს და ჩემს შვილს როგორღაც მოვუძღვო.

— ნუთუ არ შეგხვედრიათ ისეთი კაცი, რომელიც შეგიყვარდებოდა?

— არ შემხვედრია, ყველა ერთნაირად მიყურებდა, ერთი მიზანი ჰქონდათ და თანაც ცდილობდნენ, ძალიან იოლი გზებით და იაფფასიანი საშუალებებით მიეღწიათ ამ მიზნისათვის.

გურამმა ყავა მოსვა. მერმე ბარბარას ხელებს დახედა.

ბარბარას ხელები უთრთოდა.

— რატომ არა სვამთ ყავას?

— იცით რა, გურამ, აღარაფერი აღარ მინდა... წავიდეთ აქედან... რაღაცნაირად სევდა შემომაწვა გულზე. არ მეგონა, თუ ასე წარიმართებოდა ჩვენი საუბარი. ჩემ შვილთან მომიინდა ყოფნა... წავიდეთ...

— როგორც თქვენ იტყვიეთ, ბარბარა.

უსიტყვოდ გავიდნენ ბაქანზე, მერმე ბაქანიც უსიტყვოდ გაიარეს. ბარბარა გულხელდაკრეფილი მოდიოდა, დაფიქრებული. ასე მიადგნენ ხის პატარა სახლს. ფანჯარაში კაშკაშა შუქი ენთო. შუქი გარეთაც იღვრებოდა და იქაურობას ანათებდა.

— ეს სახლი არასოდეს შემიმჩნევია. — თქვა გურამმა.

— ალბათ იმიტომ, რომ ამ სახლში მე ვცხოვრობ. — გაიღიმა ბარბარამ. მერმე სახლისკენ მიბრუნდა. უცებ შეკრთა და წამოიყვირა: — მარიკა! ღმერთო ჩემო! აქ რა გინდა, მარიკა?! ამ ბალახში რატომ წევხარ?!

გურამმა ნაბიჯი წადგა და ფანჯრის ქვეშ, ბალახში, მიგდებული მარიკა დაინახა. მარიკას თეთრი კაბა ეცვა.

— მარიკა! — გაებზარა ხმა ბარბარას.

მარიკა არ განძრეულა.

— ადექი. ნახე, რა დღეში გაქვს კაბა! — ბარბარამ მარიკა წამოაყენა და განათებული ფანჯრისაკენ ზურგით მიაბრუნა. მერმე გურამს მიხედა, — მთლად გაუოხრებია!

**არჩილ სულაპური**  
ქაში დასვენებისა

— არ მინდა ეს შენი კაბა, თავი დამა-  
ნებე! — მარიკამ სწრაფად გაიხადა კაბა  
და ჰაერში მოისროლა. კაბამ თერთად  
გაიფლვა და იქვე სიბნელეში ჩაქრა:

— რა სულელი გოგო ხარ, მარიკა!  
შენ ნუ გეშინია, მე ერთი წუთითაც არ  
დავტოვებ... ჩვენ სულ ერთად ვიქნე-  
ბით, მარიკა... ნუ გეშინია!.. — ბარბა-  
რამ ხელი ფრთხილად მოხვია ქალიშ-  
ვილს და ოთახში შეიყვანა.

გურამი დაიბნა, არ იცოდა, როგორ  
მოქცეულიყო. უნებურად გადადგა რამ-  
დენიმე ნაბიჯი: დაიხარა და მიწაზე დაგ-  
დებულ კაბას დაწვდა. კაბა ღამის  
ცვარს დაესველებინა. ბალახზე წოლი-  
საგან დაქუქულიყო და ალაგ-ალაგ  
შეწვანე ლაქები დამჩნეოდა. „ნეტავი მა-  
რიკა გამოვიდა თუ არა ბაქანზე? თუკი  
კაბა ჩაიცვა, უსათუოდ გამოვიდოდა...  
ვითომ ველარ გვიბოვა? პირიქით, დაგვი-  
ნახა, მე და ბარბარა როგორ ვუსხედით  
მავიდას... რა თქმა უნდა, დაგვინახა...“

უაზროდ ვამტერებული იდგა. მერმე  
კარი გაიღო და შემფოთებულმა ბარბა-  
რამ გამოიხედა:

— თქვენ ისევ აქა ხართ, გურამ?

— ეს კაბა...

— რა მეშველება, გურამ! თქვენ არ  
იცით, რა უმწეო ვარ!

ეტყობა, ბარბარამ წონასწორობა და-  
კარგა. გურამმა ხელი შეაშველა... ქა-  
ლი, თავი რომ შეეკავებინა, ვაჟს მკერ-  
დზე დაემხო.

ქალი ტიროდა...

● დილიდან წვიმდა.

დამსვენებლებმა ამინდის შესაბამი-  
სად მოიწყინეს. ჩის სოკოების ქვეშ, თუ  
ბამბუკის ფანჩატურებში შეხიზნულები  
თავს ჭადრაკისა და ღომინოს თამაშით  
ანდა განვლილი დღეებისაგან მიღებუ-  
ლი შთაბეჭდილებებით ირთობდნენ.

ბამბუკის პატარა ფანჩატურში სამნი  
შეყუთულიყვნენ: სოლფეჯიოს მასწავ-  
ლებელი, ფილოლოგიურ მეცნიერება-  
თა კანდიდატი და პენსიონერი ილუზი-  
ონისტი.

ამ სამთა ურღვევი მეგობრობა სამა-

გალითოდ მიაჩნდა მთელს დასასვენე-  
ბელ სახლს.

— ნეტავი ხვალ როგორ დამინდებ-  
ნება? — იკითხა არკადი ცეზარს.  
სიონერმა ილუზიონისტმა.

— დაწყნარდით, ბატონო არკადი. —  
ანუგეშა მავრა ჩუბინიძემ — სოლფე-  
ჯიოს მასწავლებელმა. — აქ ასე იცის-  
შეიძლება დღესვე გამოიდაროს. ნუ სწუ-  
ხართ!


ბებერი ილუზიონისტი მაინცდამაინც  
შეწუხებული არ ჩანდა. ამინდის შესა-  
ხებ ისე, სხვათაშორის იკითხა.

კარგა ხანია, რაც თავისი არტისტული  
კარიერა დაასრულა. ყველა ტკივილი  
უკვე მოინელა, თუ არ მოინელა, ყო-  
ველშემთხვევაში, შეეჩვია მაინც.

დასასვენებელი სახლის კულტმასობ-  
რივმა მუშაკმა ამირსპასალაროვიჩმა  
ზოგიერთ აქტიურ დამსვენებლებთან  
შეთანხმებით გადაწყვიტა დასასვენე-  
ბელ სახლში ჩაეტარებინათ სახელოვან  
არტისტთან გამოსათხოვარი საღამო.  
საღამოში მონაწილეობის სურვილი  
ბევრმა გამოთქვა, მათ შორის რესპუბ-  
ლიკის სახალხო არტისტმა ანა შვადიამ.  
მავრა ჩუბინიძემ — სოლფეჯიოს მასწავ-  
ლებელმა, ხოლო თეიმურაზ მებუკემ,  
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდი-  
დატმა, ამ ღირსშესანიშნავი დღისადმი  
მიძღვნილი ლექსიც კი დაწერა.

დამსვენებლებმა ფული შეაგროვეს  
და კურორტვაჭრობის მღაზიაში საჩუ-  
ქარი უყიდეს. საჩუქარი საიდუმლოდ  
ინახებოდა სოლფეჯიოს მასწავლებელ-  
თან, არავის არ გაუმხელია საიდუმლო.  
მიუხედავად ამისა, მოხუცმა ილუზი-  
ონისტმა მაინც მოჰკრა ყური, რომ ჯი-  
ბის საათის ჩუქებას უპირებდნენ.

კაცმა რომ თქვას, არკადი ცეზარს რა  
ჰქონდა საღელვებელი? თუ კარგი და-  
რი იქნებოდა, საღამო ღია ცის ქვეშ ჩა-  
ტარდებოდა, თუ იწვიმებდა — სასაღი-  
ლოში. კინოსაც ხომ იქ უჩვენებენ, მა-  
გიდებს მიაწყობენ ერთ კუთხეში და  
დამსვენებელი სადაც მოისურვებს, იქ  
დაჯდება. ეს ყველაფერი იმის გამო  
ხდებოდა, რომ დასასვენებელ სახლს



ჯერჯერობით კლუბი არ ჰქონდა. მშენებლობის დაწყებას კი მომავალი წლიდან აპირებდნენ. ამისთვის დირექციამ საჭირო ფართობიც კი გამოჰყო.

— მთავარია, არ იღელვოთ! — დაიბრუნა სოლფეჯიოს მასწავლებელმა მოხუცი ილუზიონისტი.

— რამ უნდა ამღელვოს, ქალბატონო მავრა?.. ჩემს ძარღვებში უკვე ცივი სისხლი მოძრაობს.

— მაინც... ეს თქვენი ჩვეულებრივი, ყოველდღიური გამოსვლა ხომ არ არის... გამოსათხოვარი საღამოა.

— მე დიდი ხანია გამომეთხოვენ... არათუ გამომეთხოვენ, უკვე მელოდებიან კიდევ.

— არ მიყვარს, ბატონო არკადი, როცა ასეთ ცუდ გუნებაზე ხართ.

— ყველაფერი წვიმის ბრალია. — დაასკვნა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა.

— ამინდი, რა თქმა უნდა, ხშირად მოქმედებს ადამიანის გუნება-განწყობილებაზე. — დაეთანხმა პენსიონერი ილუზიონისტი.

— წუხელაც თუ გაწუხებდათ ტკივილი? — სოლფეჯიოს მასწავლებელი ახლა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს მიუბრუნდა.

— არა.

— მაშ რატომ გაქვთ გამოუძინებელი სახე და თვალები?

— ჩემი საშველი არ არის, ქალბატონო მავრა, ახლა მეორემ დაიწყო ღამობით ფანჯრიდან ძვრომა.

— როგორ?! — გაოცდა ქალბატონი მავრა, — ნუთუ ყველასათვის თითოთ საჩვენებელი ვაჟიც ფანჯრიდან ძვრება ხოლმე?!

— დიან, ქალბატონო მავრა, თითქოს ალექსანდრე მაყაშვილი არ ეპაროდა... ახლა ამანაც დაიწყო... წუხელ შუაღამისას გადმოძვრა.

— ბატონო თეიმურაზ, — აღელდა სოლფეჯიოს მასწავლებელი, — ალექსანდრე მაყაშვილს ბევრი რამ ეპატიება... ბატონი ალექსანდრე ისეთი კაცია..

— ქალბატონო მავრა, — გააწყვეტინა სიტყვა თეიმურაზ მებუჯემ, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა, — ასეთი საქციელი არავის არ ეპატიება. აკადემიკოსი კი არა, ღმერთიც რომ იყოს! ძალიან მალე შეიცვალეთ ალექსანდრე მაყაშვილზე წარმოდგენა.

— რასაკვირველია, შევიცვალე... თუმცა მე მაგ კაცს არ ვამხელდი, თორემ შინაგანად უდიდეს პატივს ვცემდი; მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცოდით ვინ იყო და რას წარმოადგენდა.

— ჩემის აზრით, — თქვა მოხუცმა ილუზიონისტმა, — ახალგაზრდა კაცს უფრო შეჰფერის ფანჯრიდან ძვრომა. ასეთი მშვენიერი ზაფხულის ღამეებია. ასეთი ღვთაებრივი ქალიშვილები... რა გააძლებინებთ დახუთულ პალატაში, სადაც ხუთი თუ ექვსი ჩემისთანა გადაღრმეებული ბერიკაცი ერთად ხვრინავს.

პენსიონერი ილუზიონისტის სიტყვის შემდეგ ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ფანჯატურის გარეთ მავროლის ფოთლებიდან წვიმის დიდი და მძიმე წვეთები ცვიოდა, ხეებშორის მოჩანდა ნაცრისფერი, ხოტიო სივრცე.

— აღარც მე მაქვს ალექსანდრე მაყაშვილზე ისეთი ცუდი წარმოდგენა, როგორიც მქონდა. თუმც მანაც ვამბობ, ასეთი განათლების და მდგომარეობის კაცს უსათუოდ სხვანაირი თავდაჭერა მართებს.

— რას აკეთებს ეს კაცი ასეთს? — იკითხა გამომწვევი კილოთი სოლფეჯიოს მასწავლებელმა.

— რას? ქალბატონო მავრა, ახლა მე გეკითხებით და მიპასუხეთ: რა მაგალითს უჩვენებს იგი ახალგაზრდებს თავისი საქციელით?.. რატომ არ მძლევთ პასუხს? რა ისწავლა სტუდენტმა აკადემიკოსისაგან? ფანჯრიდან ძვრომალი? მთავარი, იცით რა არის? რა მაგალითს აძლევ ახალგაზრდებს შენი მოქცევით. ჩემს თვალში უკვე ახალმა და-

**არჩილ სულაპური**  
შანი დანმინებისა

მსვენებელმაც დაჰკარგა ყოველგვარი ღირსება. იგი ჩემი მტერია!

გურამს ორი კვირის ვასელის შემდეგაც ახალ დამსვენებელს უწოდებდნენ.

— უნაკლო და სრულყოფილი მხოლოდ ღმერთია! — თქვა ბებერმა ილუზიონისტმა, როცა დაატყო კამათის გაგრძელებას აღარ აპირებდნენ.

ფანჩატურში ფეხშიშველა პატარა ბიჭი შემოტყაბუნდა. დანა ითხოვა.

— რად გინდა, გოგონა, დანა? — ჰკითხა არკადი ცეზარმა.

— მე გოგო არა ვარ. — ეწყინა ფეხშიშველა ბიჭს.

— ოჰ, მაპატიე, — მოუხადა ბოდში ძველმა ილუზიონისტმა, — რად გინდა, ბიჭიკო, დანა.

ბიჭმა პასუხი დააგვიანა. მერმე საეჭვოდ მიიხედ-მოიხედა და უბეში დამალული სათამაშო რეზინის ვირი ამოაძვრინა.

— ამ ვირს ყურებს დავუპატარავებ და ცხენი იქნება.

— არაფერი არ გამოგივა, შვილო. როგორც არ უნდა დაუმოკლო ვირს ყურები, მაინც ვირად დარჩება.

ფეხშიშველა ბიჭმა ირიბად ახედა მოხუცს, გატრიალდა და ფანჩატურიდან იმედგაცრუებული გავიდა.

— თქვენ ბრძენიც ყოფილხართ, ბატონო არკადი! — აღტაცება ვერ დაფარა სოლფეჯიოს მასწავლებელმაც.

ძველმა ილუზიონისტმა ბებრულად ჩაიხითხითა.

— ვისი ბავშვი იყო!

— ვერ იცანით, ბატონო არკადი?

— ვერა.

— ჩვენი მთავარი ბუღალტრის...

— მე ვიცი, ვისთანაც იყო წუხელ! — წამოიძახა უცებ თეიმურაზ მებუჯემ.

სოლფეჯიოს მასწავლებელმა და მოხუცმა ილუზიონისტმა შეშფოთებით გადახედეს ერთმანეთს. თეიმურაზ მებუჯემ ფანჩატური დატოვა და წვიმაში გვიარ-გამოიარა. მერმე ისევ დაბრუნდა და თავის ადგილზე დაჯდა.

— რა მოგივიდათ, ბატონო თეიმუ-

რაზ? — ჰკითხა სოლფეჯიოს მასწავლებელმა.

— არაფერი. — ცივად უპასუხა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა.

— რა ჩვენი საქმეა ვინ სად დაეთრევა დამამობით. ჩვენ ახლა სხვა ამოცანის წინაშე ვდგავართ. ჩვენთვის მთავარია, კარგად ჩავატაროთ ხვალინდელი საღამო, არ შეგვრცხვეთ. მე მგონია, თქვენს ლექსს დიდი წარმატება ექნება. ამიტომ, ყოველი შემთხვევისათვის მეორეც უნდა მოამზადოთ... შესავალი სიტყვა ამირსპასალაროვიჩმა უკვე წამიკითხა, მშვენივრად შეუდგენია.

— მე არავითარ ლექსს არ წავიკითხავ!

— ეს ხომ ჩვენი ღალატი იქნება, ბატონო თეიმურაზ? მთელმა დასასვენებელმა სახლმა იცის, რომ თქვენ საკუთარ ლექსს კითხულობთ.

— საიდან იცის?

— პროგრამა ყველასთვის ცნობილია.

— არ არის სავალდებულო ლექსის წაკითხვა, — თქვა მოხუცმა ილუზიონისტმა. — მე ბედნიერი ვარ იმიტაც, რომ თქვენს მშვენიერ ენაზე ასეთი ლექსი დაიწერა.

თეიმურაზ მებუჯე წამოდგა და სწრაფი ნაბიჯით წავიდა. ამჯერად უკან აღარ დაბრუნებულა.


— რა ემართება ამ კაცს? — წუხდა სოლფეჯიოს მასწავლებელი, — ამ ბოლო დროს სულ გამოიცვალა.

— ავადმყოფი კაცია, ჭალბატონო მაგრა... თანაც უძილო დამეები...

— იმ ბიჭისაგან, მარტალი ვითხრათ, ასეთ რამეს არ მოველოდი. ისეფი თავზიანი ჩანდა, კარგად აღზრდილი... მორცხვი, მორიდებულნი... თავს არავის უყადრებდა... ნუთუ იმანაც ფანჯრებში დაიწყო ძვრომა?

— იქნებ სხვა რამ აწუხებს ბატონ თეიმურაზს? — დაეჭვდა ბრძენი მოხუცი.

— არ მესმის, სხვა რა უნდა აწუხებდეს?!



მკვდარი საათის შემდეგ სასადილო დამსვენებლებით გაიჭედა. ყველა მოუთმენლად ელოდა საღამოს დაწყებას. როგორც იქნა, სამზარეულოს კარი გაიღო და სასადილო დარბაზში შემოვიდა კულტმასობრივი მუშაკი ამირსპასალაროვიჩი. ამირსპასალაროვიჩმა სადაფისფერი აკორდეონი გაწელა და დაუკრა მარში, რომელიდაც ომამდელი კინოფილმიდან. დამსვენებლებს ისე გაუხარდათ, რომ ტაშით დააჯილდოვეს კულტმასობრივი მუშაკი, რომელსაც უსაშველოდ დიდი ცხვირი და არაჩვეულებრივად შავი და ხუჭუჭი თმა ჰქონდა. მარშის დაკვრა რომ მოთავდა, გერმანელ ფაშისტებთან ხუთი წლის ბრძოლით მოპოვებული აკორდეონი იქვე მაგიდაზე დაასვენა და ხელების ფშვენტით ხალხისაკენ წამოვიდა.

— პატივცემულო საზოგადოებავ, — დაიწყო ამირსპასალაროვიჩმა. — დღეს ჩვენი დასასვენებელი სახლის სინამდვილეში დიდი რამ ხდება. ცირკის არენიდან მიდის, ანუ უკვე წავიდა არკადი ცეზარი — ძალიან დიდი ილუზიონისტი... ცირკაჩი...

ამირსპასალაროვიჩმა ვრცლად ილაპარაკა ძველი ილუზიონისტის ღვაწლსა და ამავზე, ხაზგასმით აღნიშნა მისი დამსახურება საბჭოთა ცირკის განვითარების საქმეში.

თვით ილუზიონისტი პირველ რიგში იჭდა, დირექტორისა და მთავარი ბუღალტერის შუა მომწყვდეული. ეს დიდი პატივი იყო...

როდესაც ამირსპასალაროვიჩმა სიტყვა დაასრულა და სახელოვან ილუზიონისტს ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე უსურვა, სასადილო დარბაზი ტაშმა შეაზანხარა. მერმე დირექტორმა მოხუცს ხელი მოჰკიდა და ხალხს წარუდგინა.

სამზარეულოს კარი ისევ გაიღო და ახლა მავრა ჩუბინიძე შემოვიდა, სოლფეჯიოს მასწავლებელი. უკან მოჰყვებოდა ეთიოპიის პრინცესა, რომელსაც დასასვენებელი სახლის გაზონებში დაკ...

რეფილი ყვავილების თაიგული მოჰქონდა.

სოლფეჯიოს მასწავლებელი მიესალმა ზღვის პირას გაცნობილ მეგობარსა და ტაშის გრიალში დამსვენებელთა სახელით ოქროს საათი გადასცა. ხოლო ეთიოპიის პრინცესამ მიართვა თაიგული. აღელვებულმა მოხუცმა ერთსაც და მეორესაც ხელები დაუჯოცნა.

ამირსპასალაროვიჩმა ისევ დასცხო მარში, თან დამსვენებლებს შორის ვიდაც თავისიანს უღიმოდა და ისე უკრავდა თვალს, თითქოს ორთავეს ერთად სამყაროს ყველა საიდუმლოება ამოხსნილი ჰქონდათ და არავის უმხელდნენ.

დაახლოვებით ასე დამთავრდა გამოსათხოვარი საღამოს საქმიანი ნაწილი, მერმე გაიმართა კონცერტი.

ეთიოპიის პრინცესამ მშვენივრად იმღერა ძველებური ბოშური რომანსები, რა თქმა უნდა, ორივე ბრინჯაოს ვაჟი თან ახლდა. ერთი გიტარას უკრავდა, ხოლო მეორე არც უკრავდა და არც მღეროდა, იქვე იდგა და სიმღერის ტაქტს ფეხს აყოლებდა.

სოლფეჯიოს მასწავლებელმა „მთვარის სონატის“ პირველი ნაწილი დაუკრა. როცა ინსტრუმენტს მიუჭდა და დაკვრა დაიწყო, ალექსანდრე მაყაშვილმა მეზობელს გადაულაპარაკა, მე ეს კარადა მეგონა და თურმე პიანინო ყოფილაო. პიანინო ზოგჯერ ყალბ ან გაზარულ ნოტს ამოისროდა. სოლფეჯიოს მასწავლებელს ასეთ დროს შუბლი ექმუნებოდა, მერმე სახეზე ისეთი გაცოცხლება ეხატებოდა, თითქოს ამ კლავიშებს პირველად ეხებოდა. ხალხმა მთქნარება დაიწყო. მაყაშვილმა პაპიროსის მოწვევა მოიმიზეზა. ადგა და უხმაუროდ გაიპარა დარბაზიდან.

როგორც კი ანა შავდია გამოაცხადეს, მაყაშვილი უკანვე შემობრუნდა. რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დეზდემონას მონოლოგის კითხვა დაიწყო. სამ-

**ახალი სულაპაური**  
შანი დასვენებისა

წუხაროდ, იქაურობა უცებ მატარებლის კივილმა გააყრუა.

— საბარგო მატარებელია. — თქვა ვილაცამ.

— არ გადამრიო, — გაეპასუხა მეორე. — აბა, კარგახანს იგრიალებს ასე.

მატარებელი დგანდგარებდა, სასადილოს ფანჯრებს ზრიალი გაჰქონდა.

რესპუბლიკის სახალხო არტისტის სასახელოდ უნდა ითქვას, მიუხედავად ასეთი ხმაურისა, მონოლოგის კითხვა არ შეუწყვეტია. დამსვენებლებს სიტყვები არ ესმოდათ, მაგრამ მინც გულისყურით უსმენდნენ. ანა შავდია თრთოდა, ცახცახებდა. მისი სახე ხან მუდარას, ხან ვედრებას გამოხატავდა. ზოგჯერ თვალეში იმედის ნაპერწკალი გაიღვებდა და მის სახეს დროებით ბედნიერების შუქი აბრწყინებდა...

— ეს ქალი აღარ ბერდება? — იკითხა საკმაოდ ხანში შესულმა და მსუქანმა ქალმა. — მე რომ სკოლის მოწაფე ვიყავი, მაშინ თამაშობდა დეზდემონას.

მერმე ისევ მუდარა... სასოწარკვეთა...

— რამსიგრძეა ეს შობელქაღლი! — ეს უკვე მამაკაცის ხმა იყო.

— რა, მონოლოგი?

— არა, მატარებელი... აღარ თავდება.

— საბარგოა და იმიტომ.

— რა იცი ახლა, საბარგოა თუ სამგზავრო?!

— ვიცი, ალბათ... მარგანეცი მიჰქვით...

ანა შავდიამ რამდენიმე დღის შემდეგ თქვა:

— მე ვამაყობ, ასეთი მაყურებლით, მხოლოდ ჩვენს მაყურებელს შეუძლია, სიტყვები არ ესმოდეს და მინც გისმენდეს.

მაყურებლებიც თავის მხრით ამაყობდნენ შესანიშნავი მსახიობით.

— საკუთარ ლექსს წაიკითხავს ფილოლოგიის, — აქ ცოტა დაიბნა ამირსპასალაროვიჩი, მაგრამ ღიმილით უშველა საკუთარ თავსაც და საქმესაც, — ერთი სიტყვით კანდიდატი, რა...

თეინურაზ მებუჯე დარბაზში არ აღმოჩნდა, ამ ამბავმა დიდი ჩოჩქოლი გამოიწვია. ყველამ ფილოლოგიური მიტინგებისათვის კანდიდატს დაუწყო მებნა. ამ ჩოჩქოლის ჩასაქრობად თუ გასანელებლად ამირსპასალაროვიჩმა ძველსა და ნაცად ხერხს მიმართა: აკორდეონი გაწელა.

— რა გააწყალა გული ამ ჭიანი მარშით.

— რაც იცის კაცმა, იმას უტრავს. რას ერჩი. ფულს ხომ არ გახდევინებს.

— ოღონდ გაჩერდეს და ფულს იქით მიიცივმ.

გურამი ფანჯარასთან იჯდა. ფანჯრიდან ხედავდა ზღვას და ვიწრო ნაპირს, დაქნძილი, ნაცრისფერი ღრუბლები სველი ჩგრებივით ეკიდა ცაზე.

უკაცრიელ ნაპირზე, შორს, დაპირქვავებული ნავი მოჩანდა. უსაშველოდ წვიმდა. მუქი იისფერი ზღვა ოდნავ ღელავდა, აქოჩრილი ტალღები ნაპირს აწყდებოდა.

— არკადი ცეზარი! — გამოაცხადა ბოლოს ამირსპასალაროვიჩმა.

ისევ იგრიალა ტაშმა. ყველამ იმ ადგილისაკენ გაიხედა, სადაც წელან ცნობილი ილუზიონისტი იჯდა. იგი კი ყველასთვის მოულოდნელად სამზარეულოდან შემოვიდა შავ ცილინდრსა და შავ ფრაკში გამოწყობილი. ცირკის მსახიობთათვის დამახასიათებელი მოძრაობით მიესალმა დამსვენებლებს.

სამზარეულოდანვე გამოუტანეს ბამბუკის პატარა მაგიდა, რომელსაც მწვანე აბრეშუმის სუფრა ჰქონდა გადაფარებული.

ძველმა ილუზიონისტმა ამირსპასალაროვიჩს ანიშნა და იმანაც მთელი ძალით გაჰიმა თავისი აკორდეონი. ამჯერად სხვა მუსიკა გაისმა და ხალხმა შვებით ამოისუნთქა.

ილუზიონისტის ხელში სიგარეტმა გაიღვა. მოხუცის ხელებს სისწრაფე და მოქნილობა დაეკარგათ და ყველამ თვალნათლივ დაინახა, საიდან და როგორ გაჩნდა აკანკალებულ თითებში სიგარეტი...

ზღვის ნაპირზე ვილაც კაცი დაეშვა. იგი პირდაპირ დაპირქვევებულ ნავთან მივიდა. ნავს ორჯერ თუ სამჯერ შემოუარა გარშემო, მერმე დაეჯაჯგურა და გადმობრუნება დაუბირა. დიდი წვალეზის შემდეგ გადმოაბრუნა კიდეც. ნავის ქვეშ ნიჩბები აღმოჩნდა. კაცმა ორივე ნიჩაბი ნავში ჩაყარა. „ზღვაში აპირებს შესვლას“. — გაიფიქრა გურამმა და კაცი, რომელიც შორიდან ჩია და პატარა ჩანდა, ნავს უკვე ზღვისკენ მიათრევდა კიოთი... ეტყობოდა, ძალა არ ჰყოფნიდა, წვალობდა. შორიდან ჰიანჭველას ჰგავდა, რომელიც... როგორც იქნა, ნავი ნახევრამდე შეათრია ზღვაში. შარვლის დასველებას არ მორიდებია. წყალი მუხლებამდე წვდებოდა. მერმე ისევ ამოვიდა ზღვიდან, ნავს მოუარა და ახლა წინიდან მიაწვა.

დარბაზში ისევ დასცხეს ტაში.

ბედნიერი ილუზიონისტი იღიმებოდა, მოწიწებით უკრავდა თავს დამსვენებლებს.

სამზარეულოს ღია კარში თეთრჩაჩიანი და თეთრწინსაფრიანი მზარეული გამოჩნდა. ნაცნობი მზარეულის გამოჩენამ დიდად გამოაცოცხლა დარბაზი. განსაკუთრებით მაშინ გამხიარულდნენ დამსვენებლები, როცა მის ხელში უზარმაზარი შავი ტაფა დაინახეს.

პატარა კაცი მენავე არ უნდა ყოფილიყო. მენავე კი არა, ალბათ, პირველად იჯდა ნავში, აჩხა-ბაჩხად იქნევდა ნიჩბებს.

მოხუცმა ილუზიონისტმა ბამბუკის მსხვილი ჯოხი აათამაშა ხელში. დამსვენებლებს ბამბუკი ყოველი მხრიდან აჩვენა და საზეიმოდ გამოაცხადა: ეს ჯოხი ჯადოსნურიყო.

მზარეულმა თავისი დიდი, შავი ტაფა წინ გაიშვირა. ძველი ილუზიონისტი ჯადოსნური ბამბუკის ჯოხით ტაფას შეეხო. დარბაზში გაისმა შიშინი და შემწვარი ერბო-კვერცხის მადისადმკვრელი სუნნი დატრიალდა... პენსიონერი ილუზიონისტს ზედმეტად ეშმაკი მაყუ-

რებელი ჰყავდა. ყველა მიხვდა, რომ ათქვეფილი კვერცხი ცხელ ტაფაზე ბამბუკიდან გადმოღვარა. უფრო სწორედ კი არ მისვდნენ, დაინახეს.

პენსიონერი ილუზიონისტი მაინც ცბიერად იღიმებოდა, როგორც ჩანს, კმაყოფილი იყო თავისი ოსტატობით.

მზარეულმა წინსაფრის ჯიბიდან ჩანგალი ამოიღო. ეტყობა, ერბო-კვერცხს შექმას უპირებდა, რათა ყველასთვის ეჩვენებინა, რომ ერბო-კვერცხი ნამდვილი იყო... მაგრამ არ დაცალდა.

დარბაზი შემზარავმა ყვირილმა შესძრა:

— კაცი იხრჩობა!

მთელი ხალხი ფანჯრებს მიაწყდა.

ზღვის ტალღებზე ცარიელი ნავი ქანობდა. ნავის ფერღებზე უღონო მკლავებივით ეკიდა ნიჩბები.

დასახრჩობად განწირული კაცი ვერავინ დაინახა.

მერმე ჰაერში უმწეოდ ასაცხავდა ზღვიდან ამოსროლილი ორი ხელი...

გურამი კარისკენ გაიჭრა.

ძლივს გაარღვია ფანჯრებს მოწოლილი ხალხი. გურამს სხვებიც მიჰყვნენ. ორიოდ წუთში დამსვენებლები უკვე ნაპირზე იყვნენ.

სასადილო დაცარიელდა.

მხოლოდ შავცილინდრიანი და შავფრაკიანი მოხუცი კაცი იხედებოდა ფანჯრიდან. ხელში ბამბუკის მსხვილი ჯოხი ეჭირა... მას ფრთხილად მიუახლოვდა ჭადარა ქალი და თითქმის ჩურჩულით ჰკითხა:

— ნუთუ დაიხრჩო?

— მე ვერაფერს ველაზ ვხედავ, ქალბატონო მავრა. — უპასუხა მოხუცმა ილუზიონისტმა.

მოხუცი მართალს ამბობდა. ის პატარა ძალა, რომლითაც სავნებს ერთმანეთისაგან ამ ბოლო დროს ბუნდოვნად ანსხვავებდა, უეცრად დაჰკარგა.

არჩილ სულაბაური

შანი დასმენიხისა

ალექსანდრე მაყაშვილმა იმავე საღამოს თქვა:

— ახლავე უნდა ავიკრა გულა-ნაბადი, აქ გამჩერებელი აღარა ვარ!

არც გურამი აპირებდა დასასვენებელ სახლში დარჩენას. მოითათბირეს. მერმე ერთად გადაბარგდნენ ბათუმის სასტუმროში. გურამი თბილისში აღარ დაბრუნებულა, მაყაშვილის დახმარებითა და შემწეობით, თევზის სარეწვემს გაჰყვა წყნარ ოკეანეში. გამგზავრების წინ მშობლებს წერილი გაუგზავნა. აუხსნა და განუმარტა, მათ დაუკითხავად რატომ გადაწყვიტა გამგზავრება ასე შორს და ასე დიდი ხნით. თან შეჰპირდა, ყოველ ნავსადგურიდან, სადაც კი ჩვენი გემი გაჩერდება, წერილს გამოგიგზავნითო.

პირველი წერილი სტამბოლიდან გაგზავნა, მეორე — ალექსანდრიიდან. ერთი სიტყვით, პირობა არ დაურღვევია.

გემზე ყოფნისას აგონდებოდა დასასვენებელი სახლი, იქ გატარებული დღეები. სამი კლდოვანი კუნძული, მის მიერ აღმოჩენილი და დაპყრობილი. ზღვებსა და ოკეანეებში, უდიდესი და ულამაზესი კუნძულების ნახვის შემდეგ, ზღვიდან ამოზრდილი სამი პაწაწინა კლდის გახსენება სასიამოვნო დიმილსა ჰგვრიდა. აგონდებოდა ბატონო ალექსანდრე, მარიკა, ბარბარა... ბარბარაზე ფიქრი თანდათან შემოეჩვია, გაუშინაურდა...

მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ გრიგალში დღე და ღამე გადაბმულად უწყევდა შრომა, გურამი ბედნიერად გრძნობდა თავს...

გემი მხოლოდ რვა თვის შემდეგ მოადგა მშობლიურ ნაპირებს.

აპრილის მიწურული იყო.

თბილისში გამგზავრებამდე დასასვენებელ სახლში შეიარა, უნდოდა, ბარბარა და მარიკა ენახა. ერთსაც და მეორესაც სხვადასხვა პორტში ნაყიდი ათასნაირი საჩუქარი ჩამოუტანა.

●  
 იგივე ბამბუკის ფანჯატურები... ხის საჩრდილობელი სოკოები... მაგნოლის ჩრდილები... ზღვისკენ მიბრუნებული შეზღონგები...

ეზოში უცხო და უცნობი დამსვენებლები...

გამოიარა ქათქათახალათიანმა დიასახლისმა, გურამი ვერ იცნო, ეტყობა, ახალი დამსვენებელი ეგონა. გურამმა თავი შეახსენა.

— აა! თქვენ ის გურამი ხართ, ჩვენი დამსვენებელი რომ გადაარჩინეთ დახრჩობას?

— დიახ, ქალბატონო, მე და ალექსანდრე მაყაშვილმა.

— თქვენზე დღესაც ლაპარაკობენ დამსვენებლები. ძალიან გამოცვლილხართ, სულ სხვანაირი იყრი გაქვთ... ალბათ დასასვენებლად ჩამოხვედით?

— არა, ქალბატონო, შემთხვევით შემოვიარე... ძველი ნაცნობების სანახავად.

— ძველი ნაცნობებიდან აქ აღარავან არის, დირექტორი დააწინაურეს, დიდი სანატორიუმის დირექტორად დანიშნეს. დირექტორმა, რასაკვირველია, მთავარი ბუღალტერი და მზარეული თან წაიყვანა... კიდევ ვის იცნობდით?.. ბარბარა? ბარბარა გათხოვდა.

— ბარბარა გათხოვდა?!

— კი, გათხოვდა.

— ვის გაყვა?

— ვისა და ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, სწორედ იმას, თქვენ რომ გადაარჩინეთ დახრჩობას... თეიმურაზ მებუჯეს... სხვათაშორის ჩვენ ვურჩიეთ... რაც არ უნდა იყოს, პატრონი ეყოლება... მარიკა ჯერ კიდევ გასაზრდელი ჰყავს... ხომ მართალია?

— რა თქმა უნდა, ქალბატონო. რა თქმა უნდა...



## ს ი მ ა ლ ლ ე ბ ი

— ალა-ტოს მწვერვალზე თოვლი მოსულა!  
— ამ მთებში როდის არ იყო თოვლი...

სიმაღლეს, როგორც ღმერთს, რად ვლოცულობთ,  
ან რად ვთრთით მისი დალაშქერის ლტოლვით?...

ალა-ტოო, ალა-ტოო,  
ატყორცნილან აღმა მთები;  
მუხლო, არ მილალატოო,  
მიმელიან აღმართები.

მწვერვალმა ზეცის კალთა ჩახია,  
მზეში გახვია თოვლის შრეები.  
რად გვეძახიან,  
რად გვეძახიან,  
რად გვეძახიან

სიმაღლეები?!

მთებმა ლაქვარდის მდგლო მოთელეს,  
მზისკენ სწრაფვაში ჰქრიან დღეები;  
რად გვაღელვებენ,  
რად გვაშფოთებენ,  
რად გვიზიდავენ

სიმაღლეები?!

ჩვენ ყველას ჩვენი სიმაღლე დაგვაქვს,  
ზოგს ცოტა მცირე, ზოგს ცოტა მეტი,  
ჩვენ ყველას ერთი წყურვილი გვდაგავს,  
გვშურს და გვაგიჟებს მწვერვალთა ბედი.

ჩვენ ყველას ერთი სურვილი გვდაღავს,  
გვახარებს,

გეტანჯავს,  
გვაფხიზლებს,  
გვათრობს,

ჩვენ ყველას ჩვენი სიმაღლე დაგვაქვს  
და მწვერვალებად გახდომას ვნატრობთ.

ალა-ტოო, ალა-ტოო  
კლავს მზეში ანანთები;  
გულო, არ მილალატოო, —  
მეძახიან აღმართები...

ამ ციცაბოებს რისთვის შევები,  
სად გათავდება გზები სავალი...  
შემომბლავიან დაბლით ხევეები,  
იქ, ძირს დავტოვე მყუდრო სავანე.

ყინვას და სიცხეს არ ვემალეები,  
წანით არ ცხრება გული თავნება;  
რად მამბოდებენ ეს მწვერვალები,  
გზა მწვერვალისკენ რად არ თავდება?..

— ალა-ტოს მწვერვალებზე მზე ჩამომჯდარა!  
— მზე სულ პირველად მწვერვალთან მიდის!

უფსკერო სივრცე ზღვისებრ მომსკდარა,  
ფრთხილად!  
არ ჩატყდეს ცისარტყლის ხიდი...

— ალა-ტოს მწვერვალები დაუთოვლია!  
— თოვლიც პირველად მწვერვალზე მოდის!

ბევრი ციცაბო გზები მოვლიე,  
იმ მწვერვალამდე მივალწვევ როდის...


ალა-ტოო, ალა-ტოო,  
დევეებივით დგანან მთები;  
მუხლო, არ მილალატოო,  
მიმელთან აღმართები.

გასწი, იჩქარე!  
გასწი, იჩქარე,  
რადგან ქარივით ჰქრიან დღეები,  
ახალ სიმღერის გახსენ ჭიშკარი!  
...არ თავდებიან სიმალღეები.

---

წიგნიდან „შუაზიური ჩანაწერები“





კასიანე ნიკოლაიშვილი სატვირთო მანქანის ძარაზე იჯდა, ტილოს კიტელი საყელოსთან გაეხსნა, მუხლებზე პორტფელი ედო. მანქანა ინჯღრეოდა, სიცხისაგან გატანჯული კასიანე წამდაუწუმ შლაპას იხდიდა და მელოტ თავზე ცხვირსახოცი თფლს იმშრალეზდა.

მანქანა სვანეთის ვიწრო აღმართს შეუდგა. კასიანე ბუნების სილამაზემ მონიბლა. ირგვლივ უზარამზარი, ტყიანი მთები აზიდულოიყო, ხევში მთის ჩქარი მდინარე ბორგავდა, შორს რძისფერ ნისლეში გახვეული მარადი თოვლით დაფარული მწვერვალები მოჩანდა.

კასიანე ინტერესით ათვალიერებდა ყველაფერს, მერე დაიღალა, მობეზრდა და თავის თავზე გაბრაზდა, რომ აქ წამოვიდა.

კასიანე ნიკოლაიშვილი ინსპექტორად მუშაობდა სამშენებლო სამმართველოში. ოცი წლის მანძილზე არ ყოფილა შემთხვევა, რომ სამუშაოზე დაეგვიანოს. ზედმეტად პუნქტუალური. ხუთი წუთით ადრე ცხადდებოდა სამუშაოზე, მაგიდასთან ჯდებოდა და მთელი დღე ქაღალდებს ჩაჰკირკიტებდა. ზუსტად ექვსსაათზე სამუშაოს წყვეტდა, მაგიდას

ალაგებდა და შინისკენ მიემართებოდა. ძველებური, გაცრეცილი მუშაობის პორტფელი, რომელშიც რამდენიმე ქაღალდი და „ყაზბეგის“ კოლოფი ედო, მუდამ თან დაჰქონდა. ათი წლის წინ ზშირად დადიოდა მივლინებით, ახლა წნევას უჩიოდა და ერთ ადგილას ჯდომა ერჩია. უფროსებმა იცოდნენ ეს და იშვიათად აგზავნიდნენ ობიექტებზე. კასიანეს ახლაც შეეძლო მივლინებაზე უარის თქმა, მაგრამ განყოფილებაში ახალგაზრდებიდან არავინ იყო, თანაც უფროსი ისე მორიდებულად თხოვდა, თითქოს თავის საქმეზე აგზავნიდა და კასიანეც დათანხმდა. ახლა კი მანქანაში იჯდა, მაღალმთიან მთავლელთა ბანაკში მიდიოდა ბანაკის გაფართოების პერსპექტივის დასადგენად და სიცხისგან და ნჯღრევისგან დატანჯული თავის თავს წყევლიდა, მივლინებაზე უარი რომ არ თქვა.

მანქანა ქმინვით მიბობდავდა აღმართზე. როცა მძღოლი სიჩქარეს ცვლიდა, ძალგამოცლილი წამით ჩერდებოდა და ისევ განაგრძობდა გზას. ასეთ დროს კასიანეს მოუთმენლობა ეუფლებოდა, ჯიბის საათს უცქერდა, მაგრამ ისარი მანქანასავით ზანტად მიიწევდა წინ. დრო მალე რომ გასულიყო, ცდილობდა სხვარამეზე ეფიქრა. როცა ხელმეორედ დახვდავდა საათს, ნახევარ საათზე მეტი არ იყო გასული, გული მოსდიოდა, საათს ინახავდა იმ განზრახვით, რომ დიდი ხნის განმავლობაში აღარ ამოეღო, მაგრამ გული არ უთმენდა და ყოველივე თავიდან მეორედებოდა. მერე თბლისი გაახსენდა. თვალეზი დახუჭა, თავისი თავი სამუშაოს შემდეგ ავტობუსის რბილ სავარძელზე წარმოიდგინა, მერე სახლში, და ცივი „ბორჯომი“ მოუნდა. ამ მოგონებამ კარგ ხასიათზე დააყენა, მერე ვიღაც კაცმა დრო ჰკითხა და ისევ წაუხდა გუნება.

მანქანა ახალგაზრდებით იყო სავსე. ისინი ძარის ძვიდებზე გარდიგარდმო გადაებულ ფიცრებზე და ზურგჩანთებზე ისხდნენ. მაღალი, შავსათვლიანი ბიჭი ფეხზე იდგა და წინ იცქირებოდა. „მთა-


სვლელები იქნებიან“, — გაიფიქრა კასიანემ და წინა სკამზე მჯდომ დედაბერას დააკვირდა. მოხუცს შავი კაბა ეცვა, შავი თავშლიდან პატარა, დანაოჭებული პირისახე მოუჩანდა. გამხდარი, ყავისფერი ხელებით ძარის ძვიდეს ჩასჭიდებოდა და მოჭუტული თვალებით გზას უცქერდა. მანქანა სოფელში შევიდა და სასაღილოსთან გაჩერდა.

— აბა, დავნაყრდეთ, ვისაც შია! — თქვა კაბინიდან გადმოსულმა მძღოლმა. ახალგაზრდები ძარიდან გადახტნენ, ზოგი სასაღილოში შევიდა, დანარჩენები სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ. კასიანე სოფლის მაღაზიაში შევიდა. მაღაზიაში არავინ იყო. აქ სიჩუმე და უძრაობა სუფევდა, თითქოს დრო ერთ ადგილზე გაიყინა. დაგუბულ სიჩუმეში მკვეთრად ისმოდა ბუხის ერთფეროვანი ზუზუნი, რომელიც ჯიუტად ცდილობდა ფანჯრის მინის გახვრეტას. გამხდარ, გაუპარსავ ნოქარს ხელები გულზე დაეკრიფა. მან მოწყენილი თვალებით შეხედა კასიანეს და ისევ ერთ წერტილს მიაჩერდა.

— „ყაზბეგი“ გაქვთ? — ჰკითხა კასიანემ.

ნოქარს არც მოუხედავს მისკენ, მხოლოდ თავი გააქნია. მერე კასიანეს თავისი პორტფელი გაახსენდა და მაღაზიიდან გავიდა. ნოქარმა გულგრილი გამომეტყველებით გააცილა და ისევ ერთ წერტილს მიაშტერდა.

შუაღელზე უფრო დაცხა. კასიანემ შლაბა მოიხადა, თავზე ცხვირსახოცი წაიკრა. მოსახვევში მკვეთრი აღმართი დაიწყო, მანქანას გაუჭირდა. მძღოლმა სიჩქარე გამოცვალა, ძრავი ჩაქრა, მანქანა შეჩერდა, მერე ნელა დაგორდა უკან. კასიანე მარჯვენა მხარეს იჯდა, გვერდზე გადაიხედა: გზა ციცაბო ფერდით თავდებოდა. ქვევით, ხევში მდინარე მოჩანდა, მისი ხმა ყრუდ ისმოდა მაღლა. უკანა თვალი ზედ გზის პირას გაჩერდა, ძარის ბოლო ჰაერში დაეკიდა. კასიანემ შეშინებაც ვერ მოასწრო; როცა მანქანა გაჩერდა, მხოლოდ მამინ იგრძნო შიში. მერე მგზავრებს გადახედა.



რამდენიმე კაცი ფეხზე იდგა, დანარჩენები ისხდნენ, თითქოს არაფერი მომხდარაო. კასიანეს ყოველთვის ეშინოდა სიკვდილის. რაღაც გამოუცნობი მღელვარება და ყრუ სევდა ეუფლებოდა მკვდარი ადამიანის დანახვისას. მაგრამ ის სიკვდილი არ იყო საშიში, რადგან აღარავის ემუქრებოდა და თავისი საქმე უკვე გაეკეთებინა. აქ კი სიკვდილი იყო გვერდით, ძარასთან. იგი შეუმჩნეველად მიეპარა მანქანას და გზის პირას საბედისწეროდ გაქვევებულ თვალთან ჩასაფრდა. სიკვდილი იყო ხევში, სადაც მდინარე უზარმაზარ ლოდებზე გადადიოდა. მის ხმას ახლა განსაკუთრებით მწვეველ აღიქვამდა კასიანე, რადგან ქვეშეცნეულად სიკვდილის ხმად ეჩვენებოდა. მძლოლი კაბინიდან გადმოვიდა, მანქანას მოუარა, ერთხანს მღუპარედ უცქერდა გზის პირას გაჩერებულ თვალს, მერე თქვა:

— აბა, ყველანი ძირს გადმოდი, თორემ ადგილიდან დაძვრა გამიჭირდება!

ძარა დაცარიელდა. ახალგაზრდები გზის პირას გაჩერდნენ.

— თვალს შეხედე, — თქვა შავსათვლიანმა.

— აბა, ბიჭო, ცოტაც და...

— გადავრჩენილვართ.

— აბა.

ამას ისე გულგრილად ამბობდნენ, თითქოს ამინდზე საუბრობდნენ. კასიანეს პორტფელი გაახსენდა.

— ბიძიკო, აგერ მანქანაში ჩემი პორტფელია და მომაწოდე, — სთხოვა შავსათვლიანს. ბიჭმა ფეხისწვერებზე აიწია, ძარიდან პორტფელი გადმოიღო.

— გამაღობთ, ბიძიკო.

მძლოლმა თვალს ქვა შეუღდა, დაქოქა და კასიანეს მოეჩვენა, რომ მანქანა უკან დაგორდა, მაგრამ მანქანა ადგილზე იდგა, მერე აღმართზე ავიდა და მოსახვევს გასცდა.

მზე მთას მოეფარა. აგრილდა. მანქანა პატარა სოფელში შევიდა.

— ეს რა სოფელია? — ჰკითხა კასიანემ გვერდით მჯდომ კაცს.

— ყურულდაშია, აგერ ბანაკიც გამოჩნდა. — კასიანემ ხეობაში განლაგებული რამდენიმე შენობა დაინახა.

— სვანურ სოფელს არ ჰგავს, კომპეზიც არაა.

— ახალი სოფელია, ძველებში ყველგანაა კომპეზი. უმგულში თუ ახვალთ, იქ ნამდვილი სვანური კომპეზია.

ბანაკის უფროსმა კარგად მიიღო კასიანე.

— ერთი ოთახი თავისუფალი გვაქვს, ინსტრუქტორს ველოდებით და დროებით თქვენ დაგითმობთ. რამდენ ხანს დარჩებით?

— მე ორი დღე დავრჩები.

— ხვალ ბანაკს დაგათვლიერებინებთ, თუ გნებავთ მთაში წაგიყვანთ, აქ შესანიშნავი ხედებია.

— რაღა დროს ჩემი მთაა... წნევა მაწუხებს.

— წნევა ცუდია, — თქვა ბანაკის უფროსმა და ჩაფიქრდა. — ნახევარ საათში ვახშამი იქნება და სასადილოში მობრძანდით.

კასიანემ მაღლობა გადაუხადა და გაიფიქრა: „რა მინდა მთაში, ეგლა მაკლია“.

დილით ზარის ხმამ გააღვიძა. სპორტულ მოედანზე მთასვლელები ჩამწყრივებულიყვნენ, მერე ჯგუფებად დაიყვნენ, მოთელვა დაიწყეს. კასიანემ პირსახოცი აიღო და მდინარისკენ გაემართა. მოპირდაპირე ნაპირი მწვანე ფერდათი იწყებოდა. მეჩხერი ბუჩქნარის ზემოთ ტყე იყო. ხეობის თავში, შორს, ჩანდა ნისლში გახვეული თეთრი მთები. მწვერვალები ნისლს იცილებდნენ, ნელა ბოლავდნენ. მდინარის კალაპოტში ჩახერგილ თეთრ ლოდებს ალაგ-ალაგ ყანგისფერი გადაჰკრავდა. წყალი ყინულივით ცივი იყო.

საუზმის მერე ბანაკი დაათვალიერა.

— ამ შენობაში სპორტსმენები ცხოვ-

სიმონ ჯაფარიძე  
მივლინება

რობენ, — უბნინდა ბანაკის უფროსი, — აქ აბანო გვაქვს მოწყობილი, ეს სპორტინვენტარის საწყობია...

— დღეს დილით ჯგუფი გავიდა მწვერვალის საიერიშოდ, — უთხრა ბანაკის უფროსმა, როცა ყველაფერი დაათვალიერეს და მთებისკენ გაიხედა. — ამინდს კარგი პირი არ უჩანს.

— რა მწვერვალზე წავიდნენ?

— ცანაზე.

კასიანემ იქით გაიხედა, საითქენაც ბანაკის უფროსი იცქირებოდა.

— აქედან არ ჩანს. აი, იმ მწვერვალს ხომ ხედავთ, შუაში როა, მაგის მარჯვნივ და ოდნავ უკანაა ცანა. კარგ ამინდში აქედანაც მოჩანს.

— აქ, სადღაც ახლოს მეთავე წყალი ყოფილა? — იკითხა კასიანემ.

— აგერ, მდინარეს თუ გაყვებით, იმ დიდ ლოდს ხომ ხედავთ? იმას გაივლით და იქვეა. ძალიან კარგი წყალია.

— წავალ, გავსინჯავ.

გუბის ირგვლივ ქვებს ქანვისფერი ედო, იგრძნობოდა გოგირდის სუნი. კასიანემ წყალი პეშეში დაიგუბა. თბილ წყალს გოგირდის გემო დაჰკარავდა. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. სიმშვიდეს და უძრაობას არაფერი არღვევდა. გუბის ზედაპირზე წულით დაფრინავდა კოლო; მოლზე რამდენიმე ცხენი ბალახობდა; აბანოს მილიდან ამოსული კვამლი უმოძრაოდ ეკიდა ჰაერში. ყველაფერი ისე ბუნებრივად და მშვიდად ხდებოდა, თითქოს არავითარ ძალას არ შეეძლო დაერღვია ეს უძრაობა, მოესპო ცხოვრების მშვიდი რიტმი. ბანაკი, მეთავეწყლიანი გუბე, კოლო, ცხენები, აბანოდან ამოსული კვამლი, ყველაფერი ეს უზარმაზარ მთებს შორის იყო მოქცეული. მთები იყო მდინარის ორივე მხარეს, მთები იყო იქ, სადაც მდინარე იღებდა სათავეს და იქაც, საითქენაც მიედინებოდა. მთები იყო ყველგან. დიდი მთები და მათ შორის მოქცეული სიმშვიდე. მთები ქმნიდნენ სიმშვიდეს, უძრაობას და კასიანეს ძალიან პატარად მოეჩვენა თავი ამ უზ-

არმაზარ მთებს შორის. „რა უნდათ ამ მთებზე რომ დადიან, — ვაფიქვან მან — ვერ დატევიათ თავის ადგილას. რა სპორტია მთებში სიარული“.

ბანაკში ზარი დარეკეს.

სადილის შემდეგ ბანაკის ეზო დაცარიელდა. ონკანთან ჭრელკაბიანი გოგონა იღვა და ვედროს ავსებდას უცდიდა. სამზარეულოსთან სვანი ბიჭი შეშას ჩეხავდა. ბომბორა ძალს წითელი ენა ვაღმოგვლო და ბიჭს უცქერდა.

ხუთ საათზე ეზოში ბანაკის უფროსი და ინსტრუქტორი გამოვიდნენ. მალე მათ ირგვლივ სპორტსმენები შეგროვდნენ. ყველა მთებისკენ იცქირებოდა. ბანაკის უფროსმა სასიგნალო რაკეტა გაისროლა. რაკეტამ ჰაერში წრე მოხაზა და სადღაც ტყის სიღრმეში გაქრა.

ექვს საათზე ბანაკიდან მამველი ჯგუფი გავიდა. ყველას მოუთმენლობა ეტყობოდა. ბანაკის უფროსი ღელავდა, ჭოგრიტით იქითკენ იცქირებოდა, საიდანაც საიერიშო ჯგუფი უნდა გამოჩენილიყო.

— აგერ, ეშვებიან, — თქვა მან და ჭოგრიტი ინსტრუქტორს გადასცა. კასიანემაც გაიხედა ჭოგრიტში, მაგრამ ტყის მეტი ვერაფერი დაინახა.

ტყიდან რამდენიმე კაცი გამოვიდა. კასიანემ მხოლოდ მაშინ შეამჩნია ისინი, როცა მდინარეს მიუახლოვდნენ. ჯგუფი ბანაკში შემოვიდა. ოთხ კაცს საკაცე მოჰქონდა, დანარჩენები უკან მოჰყვებოდნენ. მათ ნელა გამოიარეს ეზო, საკაცე ფრენბურთის მოედანზე დადეს.

— ცოცხალია? — შეეკითხა კასიანემ გვერდით მდგომ ახალგაზრდას, მაგრამ მერე საკაცეს დახედა და მიხვდა, რომ სისულელე იკითხა. საკაცეს თეთრი ზეწარი ეფარა. ზეწარის ქვეშ მთავლეული ესვენა. ფეხებთან ზეწარი ოდნავ აკეცილიყო და ჩანდა ცხვირებაშვერილი, დიდი, შავი ფეხსაცმელები. ზეწარის ქვეშ იყო სიკვდილი, საშიში და გაუგებარი, გარშემო კი სადამოს ბინდში გახვეული უზარმაზარი მთები. მთები შეთქმულები-



ვით იდგნენ და რაღაც საიდუმლოს ინახავდნენ. ამ მთებს შორის, ქვემოთ ბანაკში, თეთრი ზეწარი მალავდა სიკვდილს, მთებივით დიდსა და იღუმალს. სიჩუმეს არაფერი არღვევდა, მაგრამ ეს სულ სხვა სიჩუმე იყო. ეს იყო სიკვდილით გაქლენთილი სიჩუმე. სიკვდილი მთებიდან მოვიდა. იგი მალულად უკან მოყვებოდა მთასვლელებს, მერე ქურდულად შემოიპარა ბანაკში და სიბნელეში ჩასაფრდა. მთასვლელები მდუმარედ იდგნენ საკაცის გარშემო და მიწას მიჩერებოდნენ. მათ ეცვათ რკინით მოჭედილი დიდი სამთო ფეხსაცმელები და უფრო დიდები ჩანდნენ. „ამათ არ ეშინიათ სიკვდილის“, — გაიფიქრა კასიანემ და საკაცს თვალი მოარიდა.

— როგორ დაიღუპა? — ჩუმად ჰკითხა გვერდით მდგომ მთასვლელს.

— პალო მოუწყდა.

საკაცე შენობაში შეიტანეს.

იმ საღამოს დიდხანს ვერ დაიძინა კასიანემ. დახუჭავდა თუ არა თვალებს, ზეწარგადაფარებული საკაცე ელანდებოდა. მერე თავისი სიკვდილი წარმოიდგინა: იგი ლოგინში წევს და კვდება. მერე კუბოშია. ცოლი ტირის, შვილები სამძიმარს იღებენ, მოსულეებს ხელს ართმევენ. გული მოეწურა, თავისი სიკვდილი ისე პატარად და უმნიშვნელოდ მოეჩვენა იმ სიკვდილთან შედარებით, თეთრი ზეწარის ქვეშ რომ დუმდა...

დილით ადრე ქუთაისში მიმავალ მანქანას გაჰყვა.



სინწა, თენდება შენს სანახებში, სინწა, წკვარამი იძრა,  
 სინწა, თენდება, და ცის კედელზე ისმის კაკუნი მზისა,  
 სინწა, იხსნება ღამის კედელი, მზე უბრუნდება მიწას,  
 მთებმა ხელიხელ გადმოატარეს მანათობელი ცისა,  
 მადლი დაადგა ნათლად ქვეყანას, მადლი უშრეტი მზისა,  
 სინწა, გათენდა შენს სანახებში, სინწა, განათდა მიწა!

## სოფელი ჯგუფი

„საცაა მოვა მალე აკაი“...

ტ. გრანელა

ჩუმაღ მოგროვდნენ სოფლის თავთან სოფლის ბავშვები.  
 გარინდებულან ბალახები, გარინდებულან.

ჩუმაღ მოგროვდნენ სოფლის თავთან სოფლის ქალები,  
 ჩაფიქრებულან ტირიფები, ჩაფიქრებულან.

ჩუმაღ მოგროვდნენ სოფლის თავთან სოფლის კაცები,  
 გაჩუმებულან ბერმუხები, გაჩუმებულან.

მონუსხულივით გატრუნულა შემოგარენი...

## ჩონბური

რამ მოგაწყინა, ძვირფასო, აგრე?  
 ხელში გიღებდნენ, გიყურებდნენ, გეფერებოდნენ,  
 სხვასთან გიშვებდნენ, გეძახოდნენ, ისევ გიშვებდნენ.  
 შენ დადიოდი სოფელ-სოფელ, ხელიდან ხელში  
 გადადიოდი, ტკარცალებდი, სხივებს ფანტავდი;  
 აწ-მოწყენილი, ბნელ კუთხეში ხარ მიყუჟული,  
 ვით ბებრუხუნა, ყელზე ქიცა გამონასკული,  
 და არაფერი გახალისებს, ძვირფასო ჩემო!

## ბგაგე

მზე მალღდებოდა ურთის მთაზე და... ჩადიოდა...  
 ხელმარჯვნივ, შქერით და ბარღებით დაბურულ ტევრში  
 მწუსრის ფრინველი ეძახოდა მოძმეს თავისას,  
 დაიძახებდა და უსმენდა და დახანებით



იძახდა ისევ, და დახანება  
დაძახილსა და დაძახილს შორის  
ნელა, სულ ნელა იზრდებოდა და გულსაწვავი  
იყო უცალო ფრინველის ხმა  
და შელამება...


## ლ ა ქ ა შ ი

თავქვე —  
წყალივით მიირხევა ვიწრო წარაფი,  
დაბურულია არემარე მზეს მოწყვეტილი,  
მწვანე ლაქაშში, სიზმარივით ნათობს ყვავილი,  
და იმზირება მოწყენილი და მარტოსული.  
სიჩუმეა გულისწამლები.  
აქ არასოდეს მე არავინ არ შემხვედრია,  
აქ მარადია შელამება და უკუნეთი.  
ჯერ ამ ლაქაშებს გარიჟრაჟი აღარ სწვევია,  
მხოლოდ შორს, ხეთა ნაწვერალზე ჟონავს ფაფარი  
გაფრენილი და გაფოფრილი ვრცელი სივრცისა;  
ხის კენწეროდან ზეცა მოჩანს მარადიული,  
ხეების ტანი —  
სუროსავით მწუხრს დაუფარავს,  
ფუძემ არ იცის ცის არსებობა  
და ფშინავს მიძიმედ მწვანე ლაქაში.  
ჟამი-ჟამ, ყანჩა წამოფრინდება  
და ბნელი სივრცის ჭუჭრუტანით აიწვევრება,  
და კვლავ სხვადასხვა ფრინველების ისმის წიაჭი,  
მხოხავები ადგილს იცვლიან,  
ხმებს იწაფავენ ხის ფოთლები და შრიალებენ.  
ხოლო ყელყელა, სიზმარივით უცხო ყვავილი  
დგას უჩუმარი, მარტოსული და იმზირება.  
და სიჩუმეა, სიჩუმეა გულისწამლები.  
და ამ ყვავილში, წვეთ-წვეთობით, ჩუმად გროვდება —  
მთელი სამყაროს დიდი მოწყენა.

●  
ო, რა ჩქარია დინება დროის!..  
ვერ მოათავა მთიბაგმა თიბვა,  
ვერ მოათავა ჯარგვალი ხურომ,  
ვერ მოათავა თუთუნი გლეხმა,  
და სოფელს უცებ დაეცა მწუხრი.



# როსა მოვკვდები



„ცუდად ვარ, სასწრაფო დახმარება ხომ არ გამოვაძახებინო?“ — გაიფიქრა ვალერიანმა. სწორედ ამ დროს საათმა ორჯერ ჩამოკრა. „ვენერა მოვა, ნემსს გამიკეთებს და ყველაფერი გამივლის. მთავარია, არ ავდელდე. ექიმმაც ხომ მი-თხრა, — შეეცადა იგი თავის დამშვიდე-ბას, მაგრამ ამოიღ. გული ამჯერად ძა-ლზე უცნაურად უცემდა, არასოდეს ასე არ მოსვლია: ჩქარა, ნელა, ისევე ჩქარა. თან თითქოს ამოვარდნას ლამობდა.

— ხომ კარგად ბრძანდებით, ბატონო ვალერიან? — მოესმა ექთანის ხმა და ცოტა გულს მოეშვა. იცოდა, რომ ამას

ისე ეკითხებოდნენ, მაგრამ მაინც გაეხა-რდა ყურადღება.

ახლა, როდესაც მართლაც იყო ცუდად, შეეცადა თავი შეეკავებინა და ავადმყო-ფობაზე კი არა, სრულიად სხვა რამეზე ელაპარაკა, მაგრამ ვერაფერი მოიგონა. მაშინ გადაწყვიტა, მადლობა მაინც გა-დაეხადა ყურადღებისთვის, მაგრამ შე-ა-მჩნია, რომ ენა არ ემორჩილებოდა და ეუცხოვა ეს ამბავი. სწორედ ამ დროს ვენერამ მკლავი გადმოუწია.

სპირტის სუნი ესამოვნა, ვენერას ხე-ლის ფრთხილი შეხებაც.

ვალერიანს სრულებით არ ეშინოდა



ზოგიერთებივით ნემსის ჩხვლეტისა. ორი წელი იქნება, მხოლოდ წამლებით, ნემსებით, ნებისყოფითა და სიცოცხლისადმი უსაზღვრო სწრაფვით ცოცხლობდა.

„გამიკეთებს და ყველაფერი თავისით გაივლის“.

ექთანი ვენას ეძებდა. აგერ, მონახა, მაგრამ რატომღაც წამალი სისხლში არ შედიოდა. იფიქრა კიდევ, ხომ არ ავცილო და შესამოწმებლად ოდნავ, სულ ოდნავ გამოქაჩა სისხლი. იმავე წამს მოყვითალო ფერის სითხე წითლად შეიღებდა. „მაშ, რატომ არ მიდის?“ — გაუკვირდა ექთანს. რამდენჯერმე კიდევ სცადა, მაგრამ ამაოდ. შეშფოთებულმა ვენერამ ნემსი ფრთხილად გამოიღო და ნაჩხვლეტ ადგილას სპირტიანი ბაშბა დააქირა. შემდეგ მკლავი მოლუნა.

— ნინელი, ნუ ედები დეიდას ფეხებში. — შემოესმა ვალერიანს უმცროსი ქალის, ნანის ხმა. შემდეგ ნანი შემოვიდა და ორი წლის დისშვილი მეორე ოთახში გაიყვანა. ვენერამ გადაწყვიტა, ახლა მეორე მკლავში გაეკეთებინა ნემსი, მაგრამ ვალერიანს რომ დახედა, რაღაც უსიამოვნო გრძნობამ გაჰკრა გულში.

— ხომ კარგად წავიდა? — მოესმა ვალერიანის მიყრუებული, სუნტი, თითქოს უცხო ხმა.

ვენერა შეკრთა.

— როგორც ყოველთვის, შესანიშნავად, ბატონო ვალერიან! — უთხრა აჩქარებით, შემდეგ შუბლზე ხელი შეახო და ჰაღარა, ხვეული და ხნოვანებისთვის უჩვეულოდ სქელი თმა გადაუწია. — ხომ არაფერი გნებავთ? — ჰკითხა მზრუნველობით.

ვალერიანმა თავი გაიქინა.

ვენერამ ვიტამინი გაუკეთა კანქვეშ, აუადმყოფის მახლობლებს გამოემშვიდობა და წავიდა.

„ისევ ცუდად ვარ“, — გაიფიქრა ვალერიანმა. შემდეგ მკლავი გაშალა. „სისხლი გამომივა, უნდა მოვღუნო“, — მაგრამ ძალა აღარ ეყო მკლავი მოვლენა. თუმცა იქვე გადაავიწყდა თავისი გადაწყვეტილება — გული კვლავ უთანაბ-

როდ უცემდა და გამწარებით სავსე იქნებოდა საგულედან ამოვარდნილი ღებღებები. ოდნავ დაცხრა.

„აჰა, წამალმა იმოქმედა,“ — გაიფიქრა ვალერიანმა.

ნანიმ შემოიხედა.

— მამა, ხომ არაფერი გინდა? — მისწვდა მის სმენას შვილის შეშფოთებულ ხმა.

„არა, არაფერი მინდა. რა უნდა მინდოდეს. თავი დამანებეთ. არაფერი მინდა. დედა მინდა მომეფეროს მხოლოდ, მეტი არაფერი. დედა, დედა...“

დედა ყველაზე მორჩილი, ყველაზე წყნარი, ყველაზე გამგები და ყველაზე მიხვედრილი ადამიანი იყო, ვინც კი შეხვედროდა ვალერიანს ცხოვრებაში. და ახლა ისე მოუნდა მოფერებოდა, ეკოცნა და მისი გულისტივილი ჯანელებინა, რომ უნებლიეთ თავბრუ დაეხვია.

„სად არის, რატომ არ შემოვა“, — გაიფიქრა სასოწარკვეთილებით. წლები აერია.

— როგორა ხარ? — შეეკითხა შეშფოთებული ნანი, მაგრამ ვალერიანს მოეჩვენა, რომ ოცდათხუთმეტი წლის ქალიშვილი კი არა, დედა ეკითხებოდა, როგორ ხარო და მაშინვე დამშვიდდა.

„კარგად, დედა, კარგად ვარ. ახლა ყველაფერმა გამიარა.“ — მას ეგონა, ასე უპასუხა, სინამდვილეში არაფერი უთქვამს.

„დედა“ კი ფრთხილად ჩამოჯდა ლოგინზე და ლოყაზე ჩამოგორებული ცრემლი მოწმინდა. დედა ეფერებოდა, კოცნიდა და ათასნაირ საალერსო სიტყვებს ეუბნებოდა. და გულამოძღარი ვალერიანიც, ისევ პატარა, სულ პატარა ბიჭი, ტიროდა. ეს სიხარულის ცრემლი იყო. უხაროდა, რომ დედა ეფერებოდა, რომ პატარა იყო, რომ გული აღარა სტიოდა.

უცებ დედა გაჰკრა.

— დედა! დედა! — იყვირა ვალერიანმა.

ასმათ დავითაშვილი  
როცა მოგვადვიბი

არა, არ უყვირია. ეგონა, რომ იყვირა და გამოფხიზლდა.

„რა მემართება? ექთანს ხომ არ გამოვძახებინო!“ — გაიფიქრა, მაგრამ უცებ თითქოს უფსკრულში ჩავარდა. საშინელი შეგრძნება იყო — კლდეებს ეხეთქებოდა, ყველაფერი სტკიოდა, სუნთქვა ეკვროდა. „მთავარია, თავი არ მივიარტყა“, — გაიფიქრა ვალერიანმა და შეეცადა ხელები თავზე შემოეჭდო. „რა ღრმა უფსკრულია, უკან როგორღა ამოვიდე!“ — გაიფიქრა სასოწარკვეთილებით, თან კვლავ სწრაფად მიჰქროდა. უცებ რაღაც მოაწვა გულთან. საშინელმა ტკივილმა დასერა მთელი სხეული.

„გათავდა!“ — გაიფიქრა, თუმცა არ იცოდა, რა გათავდა — უფსკრული, თუ გაწამებული, ავადმყოფობისაგან ჯვარცმული ცხოვრება.

ამ დროს საათმა მელოდირად ჩამოჰკრა. ჩამოჰკრა ერთხელ — სამის თხუთმეტი წუთი იყო. უკანასკნელად გაიბრძოლა, და მალე საბოლოოდ დაცხრა, საბოლოოდ დამშვიდდა, საბოლოოდ გაირინდა.

— ჩქარა, სასწრაფო! — საშინელი ხმით იყვირა ნანიმ. დედას თეფში გაუვარდა ხელიდან. თეფში დაიმსხვრა. დედა ამოდ ცდილობდა სასწრაფო დახმარების გამოძახებას. ნანიმ კვლავ იყვირა და დედამ ყურმილი მიაგდო, ოთახში შემოვარდა.

მეზობლები მოცვივდნენ, ბიძებს დაუტყვეს, დეიდებსა და მამიდებს შეატყობინეს.

ყველაფერი თითქოს სიზმარში ხდებოდა.

ნანიმ ფიქრის უნარი დაკარგა და ნათესავებისა და მეზობლების ნათქვამს უსიტყვოდ ასრულებდა.

ყველაზე მოგვიანებით ნინელის დედა, ლამაზი, ოდნავ თავქარიანი დალი მოვარდა. საშინელი ხმით მოსთქვამდა. ქმარმა უყვირა და ისიც გამგონედ გაჩუმდა.


უკვე სადამოსთვის დიდი ოთახი მოასუფთავეს, ავეჯის ნაწილი მეორე ოთახში გაიტანეს, ნაწილი მეზობლებთან და-

ალაგეს, შემდეგ შუაში ტახტი დადგეს. ზედ ვალერიანი დასვეს. ნანიმ უყვირა და დაფარეს.

ნანის ძალა არ შესწევდა, გარდაცვლილი მამისთვის შეეხედა. როდესაც დღისით, ოთახში ყოფნისას უცნაური ხრიკიანი შემოესმა, სწრაფად გამოვიდა და სწორედ მაშინ შეხედა უკანასკნელად. სახე შეშლოდა მამას — ოდესღაც ასეთი ლამაზი სახე, პირი ოდნავ დაეღო და ხრიკილებდა. ნანიმ იყვირა და თითქოს ამ ყვირილის საპასუხოდ ხრიკიანი შეწყდა. მანამდე მამას სამჯერ თუ ოთხჯერ ჰქონდა ძლიერი შეტევა და მხოლოდ სასწრაფო დახმარების შემდეგ აბრუნებდნენ. ბოლო ორი წლის განმავლობაში ყოველთვის ელოდნენ უკანასკნელი წუთების მოახლოებას, მაგრამ რა დიდი განსხვავება ყოფილა მოლოდინსა და სიცოცხლის აღსასრულის ქამის დადგომაში!

როგორც ყოველთვის მძიმე წუთებში, ნანი თითქოს სიზმარში იყო, თითქოს სხვა ადამიანი ჩასახლდა მასში და მის მაგივრად აკეთებდა ყველაფერს, თვითონ მხოლოდ თვალყურს ადევნებდა ამ ადამიანს.

ოთახში კი ცხედარი ესვენა. საღამოთი სკამები შემოიტანეს. კედლის გასწვრივ ქალები ჩამოსხდნენ: დედა, ნანი და უფროსი და — ლამაზი, მაგრამ ოდნავ თავქარიანი დალი. შემდეგ ნათესავები: დედის გვერდით — დეიდები, ნანის და დალის გვერდით — მამის ნათესავი ქალები. კაცებიდან ზოგი დერეფანში იდგა, ზოგიც შუშაბანდში. სიძე და მისი ნათესავ-მეგობრები მეორე ოთახში ისხდნენ და წყნარად ლაპარაკობდნენ. ნანის არ ესმოდა, რაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ მასში ჩამოსახლებულს უცხო ადამიანი დაჟინებით არწმუნებდა, თავს იქცევენ და მომხდარი ამბავით სრულებით არ არიან დამწუხრებულები. ნანის საბაბი არა ჰქონდა ასე ეფიქრა. პირიქით, სიძე ყოველთვის უღრმესი პატივისცემითა და მოკრძალებით ეპყრობოდა სიმამრს, უყვარდა კიდევ, რამდენადაც შეეძლო მეუღლის მამის სიყ-



ვარული. არა, ნანის საბაბი არ ჰქონდა ასე ეფიქრა სიძეზე, რომელიც თვითონაც ძალიან უყვარდა. მაშ ახლა რაღა დაემართა? და რამდენს არა ცდილობდა, მზე-რა აერიდებინა სიძისა და მისი მახლობლებისთვის, მაინც მთელი საღამო მისჩერებოდა და მათზე ფიქრობდა.

ცხედარი კი თავისთვის ესვენა, თეთრი ზეწარი ეფარა. თეთრი ზეწარი არ ირხეოდა.

ათი საათისთვის არაოფიციალური პანაშვილი დამთავრდა, მეგობარ-ამხანაგები ნელ-ნელა დაიშალნენ. მხოლოდ ახლობლები დარჩნენ და ნათესავებმა უკვე გაბედულად დაიწყეს ლაპარაკი, აგერ, მერამდენჯერ გამოჰკითხეს ნანის გარდაცვლილის უკანასკნელ დღეებსა და წუთებზე. ნანი აულელებლად, წყნარად ყვებოდა. ზოგჯერ საკუთარ თავს გარეშე, უცხო თვალთ შეხედავდა ხოლმე და უკვირდა, როგორი თავშეკავებული იყო. არა, თავშეკავებული კი არა, დამშვიდებული. არა, არც დამშვიდებული. თუმცა, ეს ხომ თვითონ არ იყო. ვიღაც სხვა ლაპარაკობდა მის მაგივრად, ნანი კი ამ ვიღაც სხვის ხმას უსმენდა. ხმას და არა ცალკეულ სიტყვებსა და ცალკეულ წინადადებებს. უსმენდა, თვალკურს ადევნებდა ადამიანს, რომელსაც ნანი ერქვა და ვინც ჯერ კიდევ ამ დილით თვითონ იყო.

ცხედარი კი მშვიდად ესვენა შუა ოთახში. საოცრად უწყინარი იყო. თეთრი ზეწარი ეფარა. თეთრი ზეწარი ფარავდა მის სახეს და ნანის ზოგჯერ ეჩვენებოდა, არა, ეს მამა არ იყო. ეს სულ სხვა რამ (სხვა რამ და არა სხვა ვინმე) იყო.

მამის ნათესავებმა მორიდებით დაიწყეს ლაპარაკი ასეთ შემთხვევაში აკრძალულ თემაზე — მეგვიდრეობაზე. დალისგან იცოდნენ, რომ ავადმყოფობის განმავლობაში ვალერიანი თავის პენსიას შემწახველ სალაროში ინახავდა. თანხა საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო, იმიტომ, რომ პენსია კარგი ჰქონდა. ახლა ზუსტად უნდოდათ გაეგოთ თანხაც და ისიც, ვის დარჩებოდა ფული — ნანის თუ დალის. შეიძლება მეუღლეს. თან

შურით ოხრავდნენ და შემფასებლად თვალთ იყურებოდნენ მეორე ოთახში რომელიც საუკეთესო ავეჯით იყო სავსე. ვალერიანს კარგი გემოვნება ჰქონდა და ცხოვრების გემოც იცოდა. ახლა ვალერიანის ნათესავები შურით შესცქეროდნენ ნანის და მის უფროს დას. ნანი გრძობდა, როგორ აწვებოდა გულთან რაღაც, თვალთ უბნელდებოდა და თავბრუ ეხვეოდა. და რაც უფრო მეტ ცნობისმოყვარეობას, შურსა და სიხარბეს ამჩნევდა, მით უფრო ცუდად ხდებოდა; სულ მალე მიხვდა, თუ არ ადგებოდა და ამ ლაპარაკს თავს არ გაარიდებდა, რაღაც უბედურება დაემართებოდა.

ნანი წამოდგა და ნათესავთა გაცეცხლებული მზერა გაიყოლია.

ცხედარი კი შუა ოთახში ესვენა. თეთრი ზეწარი ეფარა და არავინ ხედავდა მის სახეს, უკვე სილურჯეშეპარულს.

იმ ჯოჯოხეთურ ღამეს გადაება მომდევნო ჯოჯოხეთური დღე.

ნანიმ თქვა, არავითარი ქელეხიო.

აღსდგნენ მაშინ ნათესავები და ახლობლები. მისი უფროსი დაც კი. როგორ, სხვები მართავენ და...

ნანის წინააღმდეგობის თავი არა ჰქონდა და მაშინვე მიწებდა ყველაფერს. ნათესავები, ახლობლები ფუსფუსებდნენ.

ცხედარი კი შუა ოთახში ესვენა. თეთრი ზეწარი ფარავდა მის ვალურჯებულ სახეს. იგი მხოლოდ ერთს საჭიროებდა — რაც შეიძლება მალე გაეყენებინათ უკანასკნელ გზას.

ახლობლები კი ფუსფუსებდნენ. სასაფლაოს მესვეურებთან ხანგრძლივი და მძიმე მოლაპარაკება ჰქონდათ. ადგილს ირჩევდნენ. შემდეგ ადგილიც შეარჩიეს. დაფუსფუსებდნენ ახლობლები და ნათესავები, ქელეხისთვის საჭმელს არჩევდნენ, ანგარიშობდნენ, რამდენი მანქანა დასჭირდებოდათ, სიას ადგენდნენ, ქელეხზე ვინ მოეწყიათ, მაგნიტოფონის დასაკრავად ვინ მოეყვანათ, შინ ვინ დარჩენილიყო და სუფრის გამლისთვის თვალი ვის ედევნებინა.

**ასმათ ღამითაშვილი**  
როცა მოვკვდები

ცხედარი კი შუა ოთახში ესვენა. ესვენა და მოთმინებით ელოდა, როდის მოიღებდნენ მოწყალეებს და როდის მიიბარებდნენ უკანასკნელ სამყოფელს.

ახლობლები კი დაფუსფუსებდნენ, ოთახს შავი ხავერდით რთავდნენ, თავთან და ფეხებთან ბროლის ლარნაკებს აწყობდნენ. დეკემბერი იყო და საშინლად გაძნელდა ყვავილების შოვნა. მაგრამ სიძემ იყოჩაღა და ახლა უცნაურად დიდი, თეთრი ქრიზანთემები და შროშნები ობლად იყურებოდნენ ძვირფასი ლარნაკებიდან.

პანაშვიდი დაიწყო.

ნანი არა ტიროდა. არ შეეძლო ტირილი. დედა ცრემლებად დაიდვარა. უფროსი და გულამოსკვნით ქვითინებდა. ნანი კი ისე იჯდა. იჯდა გაშეშებული, ერთი კურცხალიც არ გადმოვარდნილა იმში თვალებიდან. იჯდა გაქვავებული და არაფერზე არ ფიქრობდა. მის სმენამდე არც ბეთპოვენის მესამე სიმფონიის მეორე ნაწილი აღწევდა, არც შოპენის სამგლოვიარო მარში, არც სხვა სევდიანი მელოდია. ვერც იმას არჩევდა, ვინ შემოდრიოდა, ვინ ჰკოცნიდა, ვინ ეუბნებოდა სამძიმარს.

ცხედარი კი შუა ოთახში ესვენა. სწორედ ნანის პირდაპირ. იგი ხომ სულ რაღაც ორიოდე დღის წინ ცოცხალი იყო, გრძნობდა, ფიქრობდა, რაღაც უხაროდა, რაღაცას ელოდა. ახლა იწვა გაუნძრევლად. მის ორგანიზმში თითქმის ყველაფერი მკვდარი იყო, თითქმის ყველაფერი შეეწყვიტა არსებობა. ახლა იგი არც ამ ფუსფუსს, არც ამ ზრუნვას—მოჩვენებითაა თუ გულწრფელს, — სრულებით არ საჭიროებდა. არც მუსიკა ესმოდა მას. არც უფროსი ქალიშვილის მოთქმა აღწევდა მის სმენამდე—უფროსი ქალიშვილისა, რომელიც ასე უყვარდა და რომელიც ასე ჰგავდა. ორივენი ძალზე თავნებანი, ჯიუტები და მძიმე ხასიათისანი იყვნენ. აკი გამოაჩინა კიდევ განსვენებულმა თავისი ხასიათი უკანასკნელ ორ წელს. რა ამბავში იყო ავადმყოფობის დროს! ჩხუბობდა, იღანძვებოდა, გადაიყოლა ნანი და მეუღლე. და-

ლის რა ენაღვლებოდა, ცალკე ცხედრობდა და ყველაფერი შინ დატოვებული გადადიოდა. ნანი მხოლოდ იმხანად იხსენებოდა, რომ ყველაფერი ეს მოახლოებული დასასრულის შეგრძნება და ამ დასასრულის შინაგანი პროტესტი იყო. მამა განსწავლული ადამიანი იყო და კარგად ესმოდა, რას ნიშნავდა მის ხანში გულის ტკივილი. იცოდა, რომ აქვე, საღდაც ახლოს ჩასაფრებელიყო ბოლო წუთები და საკუთარი თავის, სიცოცხლისა და არსებობის მტკიცებად მიიჩნევდა ხმაურს, ჩხუბსა და ორომტრიალს.

ახლა კი მშვიდად იწვა ძვირფასად მორთულ კუბოში და მოთმინებით ელოდა, როდის გაუყენებდნენ უკანასკნელ გზას.

პანაშვილის დამთავრების შემდეგ ნანის ეგონა, ყველა წავიდაო და მეორე ოთახში გავიდა, მაგრამ იქ თავისი და დედის მეგობრების ვარდა, რამდენიმე ამხანაგი დახვდა. ძლივს ეტეოდნენ ავეჯით გამოტენილ ოთახში. ტახტზე მიჯდა და კედელს თავი მიაყრდნო. ესმოდა ამხანაგების ლაპარაკი.

— კოტე, შენი ჰირიმე, სამინისტროში არავის იცნობ? — შეეკითხა ეთერი კოტეს. კოტემ მხრები აიჩეჩა.

— ახლოს არავის ვიცნობ. რა გინდოდა?

— კაცო, ტელეფონი ვერაფრით ვერ გავიყვანე. ვიღუბები ადამიანი.

კოტემ გაიცინა.

— ცოტა მოიცადე. დალი მოგეხმარება. ხომ იცი, ქვეყნის ნაცნობები ჰყავს.

— მართლა? — გაუხარდა ეთერს.

ნანის გვერდით დალი და მისი მეგობრები ისხდნენ — მასავით კარგი შესახედავები და მასავით ოდნავ თავქარიანები. დალის თვალები შესწითლებოდა, მაგრამ მიინც ლამაზი იყო. დაძაბულობასა და ნღველს ოდნავ გადაეწო. მეგობრებმა ლაპარაკში აიყოლიეს. უნივერსიტეტი ერთად დამთავრეს. და როგორც ყოველთვის ასეთ წუთებში, სწორედ ახლა გაახსენდათ სტუდენტობაში გადახდარი სასაცილო ამბები. ჯერ ჩუმად ფხუკუნებდნენ. ნანის ესმოდა მათი ჩუ-

რჩული: გახსოვს, წყალზე რომ წავე-  
დით... არა, არა, ის გახსოვს, დალის რომ  
ლექციაზე დაავიანდა... აქ კი თავი ვე-  
ლარ შეიკავეს და გაიცინეს. ვილაკამ შუა  
კარი გამოკეტა, რათა შეუტრაცხყოფილ  
ნათესავთა ანთებულ მზერას დამალოდ-  
ნენ. როგორც კი ამხანაგები წავიდნენ,  
დალიმ და მისმა მეგობრებმა სიცილით  
გული იჯერეს.

ნანი მძიმედ წამოდგა. მკრეხელობად  
არ მიაჩნდა მათი სიცილი. იცოდა, რომ  
დალის მართლა სტკიოდა გული, მართლა  
იყო დამწუხრებული და მართლა განიც-  
დიდა მამის გარდაცვალებას. ახლა იცი-  
ნოდა... იცინოდა... შეიძლება იმიტომ,  
რომ ოდნავ თავქარიანი იყო, შეიძლება  
ნერვიული ადგზნების გამო, შეიძლება  
ამ მძიმე წუთებში სიცოცხლის წყურვი-  
ლმა სძლია.

გასვენებისას მეგობარი ედგა გვერ-  
დით.

არც გასვენებისას უტირია. არც მა-  
შინ, როდესაც მამა საფლავში ჩაასვენეს  
და სამარის ამოვსება დაიწყო. არც მა-  
შინ, როდესაც უკან გამობრუნდნენ.

ოთახში ცხედარი აღარ ესვენა.

დიდ, ნათელ ოთახში მაგიდები გაშ-  
ლილი დახვდათ. ჭირისუფალნი სუფრას  
მიუხსნდნენ... ახლაც ისევე, როგორც

მთელი ამ დღეების განმავლობაში, ნანი  
თითქოს სიზმარშიაო, ანგარეშეუცემ-  
ლად აკეთებდა ყველაფერს, მორჩილად  
მიუჯდა სუფრას, მორჩილად მოსვა ღვი-  
ნო, მორჩილად გადაიღო კირკაყი...

რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც  
სამსახურიდან დაბრუნდა, ოთახებში  
ყველაფერი თავის ადგილას დახვდა: ავ-  
ეჯი დაელაგებინათ და მამის ლოგინი  
ისევ ფანჯარასთან გაეშალათ.

ყველაფერი უწინდელივით იყო.

შავები ეცვა მხოლოდ დედას და ფე-  
რი დაჰკარგოდა.

ნანიმ მიმოიხედა: მოეჩვენა, თითქოს  
ოთახები იყო საოცრად დიდი, მაღალი  
და ცარიელი.

რალაც აკლდა ოთახებს.

რალაც აკლდა ოთახებს! რალაც არ  
იყო ისე, როგორც უწინ!

მამა!

მამა აღარ ჩხუბობდა და მამა აღარ  
ყვიროდა, სასწრაფო დახმარებას გამოუ-  
ძახებო. მისი ლამაზი, საყვარელი, ჩხუ-  
ბისთავი მამა აღარ დადიოდა ოთახში.

მამა აღარ ესვენა ოთახში ზეწარგადა-  
ფარებული.

შემდეგ ყველაფერი დატრიალდა, ნა-  
ნიმ ოდნავ წამოიყვირა და გონდაკარგუ-  
ლმა იქვე ჩაიკეცა.





როცა პირველად გაახელ თვალებს,  
მე დაგანახებ მზეს და სათიბებს  
და დედა ჩუმი გიმღერებს ნანას,  
რომ შენს სხეულში თიბათვე ენთოს  
და შენი სული სათიბივით ერთვოდეს ზეცას  
და იანანას ფრთხილი ნიავი  
უხილავ ფრთებით არწევდეს აკვანს.

როცა პირველად გაახელ თვალებს,  
მე სულ სხვა თვალთ შევხედავ სივრცეს  
და ვიგრძნობ ჩემი პატარა ფესვის  
მიწის წიაღში გაფარუნებას.

### მ ი ე ტ ნ ა ე ი

გარბოდა ტყეში დაჭრილი კაცი  
მწვანე ბალახზე,  
მწვანე ბურქებზე წვეთავდა სისხლი;  
მზე ჩადიოდა  
და ჭოგრიტში მოჩანდა მკვეთრად

მწიფე ასკილით დახუნძული  
ბურქების ზოლი.  
და მერე ღამით  
ძახილივით ისმოდა დიდხანს  
პროექტორების ცივი სინათლე.

შორი სოფლიდან ნიავს მოაქვს  
თივის სუნი  
და დამწვარი ფოთლების სუნი,  
მიცურავს ნავი  
და ნაპირი მიცურავს ცისკენ,  
ნიჩბის დგაფუნი

ალვიძებს ტალღას

და თეთრი ქაფი  
მთვარის შუქზე ისევ ქათქათებს.

რომ არ მელოდე,  
რომ არ ნიხმობდე  
იქ, ხმაურის ოკეანეში

აქ დავრჩებოდი და მოეუსმენდი  
თვალდახუჭული,  
როგორც აგრძელებს ლელონი  
მთვლენმარე ტბის იდუმალ შრიას,  
მაგრამ შენ მიხმობ  
და ნაპირი მოცურავს ჩემკენ,  
ამ სიმშვიდეში მე მომენატრა  
ხმამალალი სიცილი შენი,  
ამ სიმშვიდეში უფრო კარგად გავიგონებ  
შენს გულისცემას, ჩურჩულს, სიხარულს.  
იქ, ქალაქში კი,  
ხმამალალი სიცილი შენი  
უფრო ჩემია,  
ვიდრე წვიმის წვეთის დაცემა.





გუშინ საღამოს,  
შოულოდნელად გავარდა თოფი,  
შეგრთა აული  
და ჯარისკაცი ჩაეხუტა გამხმარ ბალახებს.

რომ გაიგონე და შეგართო ძილში,  
აანთე შუქი და მძინარე ბავშვებს დახედე...  
აანთე შუქი და მძინარე ბავშვებს დახედე,  
როგორც ფოთლებში ჩამალულ სხივებს.

მას სიკვდილის წინ მოეჩვენა:  
კენტი ალვის ხე, რომელიც თითქოს  
ჰგავდა სტეპის ცისაკენ ლტოლვას,  
ვიღაცამ მოსჭრა ბასრი ნაჯახით.  
დაფრთხნენ ჩიტები, ცა აამღვრიეს  
და ალვის ჩრდილი მათრახივით  
მოხვდა სიჩუმეს,  
შერე მიყურდა მყისვე ყოველი  
და მშობლიური ზეცის სილურჯე  
თვლებში ჩაჭრა.

მზით დამწვარ ველებს ქარი ეხლება,  
უფრო მატულობს მერე და მერე  
და კაქტუსების გრძელი ეკლები  
ანტენებივით იჭერენ ბგერებს.

მაღალ ბალახში მოცურავს ბინდი,  
მოცურავს ბინდი და მანაც ვხედავ:  
შორს, ჰორიზონტზე აქლემი მიდის,  
მიაქვს უდაბნოს უსაზღვრო სვედა.

გავარდა თოფი.  
მე ვიცი, დედა,

შენ გძინავს ახლა, შენი სიზმარი  
ბაბუაწვერას სუნთქვაა თითქოს,  
რომელმაც იცის სიმკაცრე ქარის  
და უსასრულო სიმშვიდეს ითხოვს.

## ქმათა სასაფლაო არყების ტყეში

ოეთრი არყები...

მე შემაკრთო თქვენმა სითეთრემ —  
ტოტებს შორის მოჟონავს ზეცა,  
თითებს შორის მოჟონავს ზეცა.

თეთრი არყები...

სმაურისგან დაფეთებულ პატარა ჩიტებს  
ყვავილებივით ისვრიან ცაში.

ზეთა ფესვებმა ამოზიდეს  
ცოცხალი სული მიწადქცეულთა  
და შეუერთეს მთვარის სხივებს.  
ჩუმი ჩრდილებით აივსო ტყე,  
მე მეშინია სიარული

ცოცხალ ჩრდილებზე.



## გაგაფსულის ლექსი

გვეფერება და გვირიგებს  
უკვდავებით სავსე სურებს,  
ყვავილების ცეცხლს აჩაღებს  
და შლის ზამთრის ნაფხურებს.

მზის უზადო მუზად დადის,  
დგამს ბაჯაღლო ფერთა ზვინებს,  
ყალყუე შემდგარ მეტაფორებს  
ულაყივით აჭიხვინებს.

ცის და მიწის ფიქრად იწვის  
თვალთა მისთა ნაზი მზერა,  
მეც მესტუმრა, ვით მეგობარს,  
და ეს ლექსი დამიწერა.

## ენგური

ასალ სინათლედ, ახალ სიმღერად  
იგი იფეთქებს,  
ამჩქეფარებს ულევ სიხარულს,  
ზღაპრულ სიკეთეს.

ვათვინიერებთ ველურ ტალღათა  
მბორგავ შლევ ურდოს.  
ჩვენს გულისთქმაშიც, ენგურის ხმაშიც  
დროის მზე ბუდობს.

დიდება გმირ ხალხს, ჯერ გაუკვალავ  
გზათა მაძებარს,  
რონლის კარნახით წერს დღეს ენგური  
„მზის მოტაცებას“.



## გაღალი სხსლი, კეთილი სხსლი!..

თათრეთელი პოეტი სამად შაჰირი ეწვია საბჭოთა კავშირის გმირს მელიტონ ჭანთარისას, რომელმაც საბჭოთა კავშირის გმირ მიხეილ ეგოროვთან ერთად რაიხსტაგზე აღმართა გამარჯვების დროშა.

პოეტმა „ცისკარს“ გამოუგზავნა ამ შეხვედრით შთაგონებული ლექსი.

მე არ მენახა შენი მამული,  
დედული შენი მე არ მენახა, —  
მე შენს მიწა-წყალს  
გადმოცემით ვიცნობდი მხოლოდ...  
შენი გმირობით ვამაყოფ ახლა,  
შენი  
ცათამდე აღმართული  
კაცობის ძეგლით!..

ბოლავდა კერა...  
ლეგენდებით და თქმულებებით  
იზრდებოდი შენ;

კლდე-ღრეხებიდან  
ყოველ საღამოს  
რუსი ურჩხული  
თავს ესხმის სოფელს,  
სოფელთა რიცხვი  
ყოველ საღამოს მცირდება ერთით...  
ადგილსამყოფელს ურჩხულისას  
კაცი კი არა,  
ვერ მიაგნებს და ვერ შეადწევს  
არწივიც ლადი...

ცრემლების ტბაში  
ნალვლიანად ცურავდა მთვარე...

მაგრამ...  
დრო დადგა შურისგების, —  
განოჩნდა მოყმე,  
სოფელში კოხტა მზეჭაბუკი

განოჩნდა ერთი, —  
მიუხტა ურჩხულს,  
შეუტია,  
ჩეხა და ჩეხა...  
ლაბლაპებს ხმალი,  
„მეთვისტო ნაპერწკლებს ისვრის,  
იძვრის ყოველი,  
ეჯახება კლდეები — კლდეებს,  
ქედები — ქედებს,  
ირყევა და ტორტმანებს ხევი,  
ჰა, დედამიწა შეასკდება  
საცაა ზეცას,  
ეჭახუნება ვარსკვლავს ვარსკვლავი!

ბოლავდა კერა...  
ლეგენდებით და თქმულებებით  
იზრდებოდი შენ...  
იმ რუხ ურჩხულთან მორკინალი  
მზეჭაბუკის ბედს ნატრობდი —  
პატარა ბიჭი!..

შენ რაიხსტაგზე აიტაცე  
ამაყი დროშა!..  
და მთელ ვეროპას,  
მთელ მსოფლიოს  
განეფინა დიდებული ნათელი მისი!..

ახსოვდეს ყველას,  
ახსოვდეს ყველას,  
მტერს და მოყვარეს  
ახსოვდეს ყველას:

მტერს — გაფრთხილებად,  
მოყვარეს კი —  
იმედად და გულის სითბოდ  
უნდა ახსოვდეს —  
საბჭოთა დროშის  
მაღალი ცეცხლი —  
რაიხსტაგზე რომ დააგვიზიჯა  
კავკასიელმა მზეჭაბუკმა —  
რუს ძმასთან ერთად!..

მე არ მენახა  
შენი მამული,  
დედული შენი

მე არ მენახა...  
მე შენს მიწა-წყალს  
გადმოცემით ვიცნობდი მხოლოდ,  
ახლა შენს ღამაზე ოჩამჩირეთში  
შენს გვერდით ვდგავარ და... მიხარია!..  
ირგვლივ მზიანი სიწყნარე სუფევს  
და სიტკბოთია წუთები სავსე,  
როგორც ბადაგით — მარცვლები მტვენის!..

შენი  
ცათამდე აღმართული  
კაცობის ძეგლით  
ვამაყობ, ძმაო!

თარგმნა ზივი ძნელაძე.





## ფ ე ღ რ ა

მისამე მოკმედეზა

ფედრა, ენონა

გამოსვლა პირველი

ფ ე ღ რ ა

მე ვერ მივიღებ ათენელებს, არ შემიძლია.  
და შენც ტყუილად მაიძულებ. ნუ მთხოვ, გეყოფა!  
ველარაფერი ვერ მოხიბლავს ჩემს სულს დღეიდან.  
დამმალე სადმე! მე ბევრი ვთქვი უკვე ისედაც.  
მანც თავისი გაიტანა შეშლილმა ვნებამ.  
როგორ მისმენდა! რა გულგრილად იგერიებდა  
ჩემს აღსარებას! გაქცევაზე ეჭირა თვალი,  
რომ კიდევ უფრო ნათლად მეგრძნო და განმეცადა  
ჩემი შერცხვენა, დამცირება და შეგინება.

ე ნ ო ნ ა

ხელი რაღაზე შემისალე, არ ჯობდა განა,  
წყვეული გული მის მახვილზე რომ დამეხია?  
ხომ ნახე: ფერიც არ შეცვლია, არც განძრეულა,  
არც ხმლის წართმევა არ უცდია, ჩემმა შეხებამ  
მისი მახვილი სამუდამოდ წაბილწა თითქოს.  
ოხვრა და ცრემლი არ უშველის უბედურებას.  
რაღად აღვივებ ამ დამლუპველ ვნებას თავიდან?  
მინოსის ასულს სხვა საქმე აქვს, სხვა ევალება.  
უმადურს თვალი გაქცევაზე უჭირავს მარად.  
აიღე სკიპტრა და იმეფე, როგორც წესია.

ფ ე ღ რ ა

იქ მოუბოვებ შენს სულს შვებას და ნეტარებას.  
ვიმეფო? მაგრამ ხალხზე როგორ უნდა ვიმეფო,  
როცა ჩემზედაც ველარ მეფობს ჩემი გონება,  
როცა საკუთარ გრძნობებისთვის ვერ მომივლია,  
როცა დამახრჩო სამარცხვინო ვნების უღელმა  
და როცა ვკვდები?

ე ნ ო ნ ა

თუ ასეა, წადი აქედან.

ფედრა  
ენონა  
ფედრა

ვერ მოვშორდები, უმისოდ არ შემიძლია.  
ადრე ხომ თვითონ იშორებდი?  
ადრე სხვა იყო,  
მე ჩემი ხელით დავარღვიე ყველა ჯებირი  
და გამარჯვებულს გავუშეღავნე ჩემი შერცხვენა.  
ფესვი გაიდგა უნებურად გულში იმედმა..  
შენ მომამბრუნე სასიცოცხლოდ, როდესაც სული  
უკვე მზად იყო გასაფრენად. შენი ბრალია.  
შენ ჩამჩურჩულე, გამამბრვიე და დამაჯერე,  
რომ ამ სიყვარულს არსებობის უფლება ჰქონდა.

ენონა

მეც ვარ თუ არა დამნაშავე ამ სატანველში,  
ერთი ცხადია, ყველაფერი შენთვის მინდოდა.  
მაგრამ არ ვიცი, როგორ გინდა, რომ აიტანო  
მისგან ასეთი სიამაყე და დამვირება?  
რა ყოყორად გიყურებდა, ერთი გენახა,  
ლამის ფეხი რომ დაუკოცნე გრძნობააშლილმა,  
ველური იდგა შენს წინაშე, თავხედი, გულქვა,  
ჩემი თვალებით შეგეხედა იმ წუთას ნეტავ.

ფედრა

ენონა, მასაც გადაუვლის ეს ქედმაღლობა.  
მან ხომ ტყეებში გაატარა მთელი ბავშვობა.  
ისიც იფიქრე, რომ დღეს მისი გული და სმენა  
პირველად შესძრა ქალის ვნებამ და სიყვარულმა.  
გაოცებისგან, ალბათ, ენა დაეხა, საწყალს,  
მე კი ტკივილმა გამაცეცხლა, ალბათ, ზედმეტად.

ენონა  
ფედრა  
ენონა  
ფედრა

არ დაგავიწყდეს, დედამისი სკვითი რომ იყო.  
სამაგიეროდ სიყვარული შეეძლო მასაც.  
ქალებს ვერ იტანს იპოლიტი, ესეც იცოდე.  
მით უკეთესი! არც მეტოქე არ მეყოლება.  
დაგავციანდა, ნულა წვალბო, აღარ მჭირდება,  
ახლა ჩემს გრძნობას მოეხმარე, თუ შეგიძლია.  
და თუ ამ გრძნობამ მისი გული ვერ შეარყია,  
იქნებ სხვა რამით შეიძლება მისი მოხიბვლა,  
მე მგონი მეფის გვირგვინია მისი ოცნება,  
ათენი უნდა და არც მალავს, აკი თვითონაც  
უკვე საცაა ათენისკენ გაემგზავრება.

წადი, ენონა, გადაეცი ჩემგან გვირგვინი,  
დე, მისი შუბლი დამშვენოს სამეფო ჯილამ,  
ძალაუფლება მისი იყოს, მე არ მჭირდება,  
ოლონდ ის იყოს ჩემთან ერთად და ჩემი მარად.  
• თვითონვე გაწვრთნის და ასწავლის ჩემს შვილს მეფობას  
და მამობასაც ღირსეულად გაუწევს, ალბათ,  
დედაც და შვილიც ვალიარებთ მის მორჩილებას.  
რაც გინდა ჰქენი, ოლონდ იგი მობრუნდეს უკან,  
შენს სიტყვას მეტი შეუძლია, ენონა, ახლა.  
თხოვე, იტირე, ნუ შეგრცხვება თხოვნის და ცრემლის,  
ჩემზე უთხარი, მოკვდებო... ენონა, ჩქარა!  
შენს იმედზე ვარ, შენ ხარ მთელი ჩემი იმედი  
და ჩემი ბედიც შენს ხელშია, შენ გთვლის პატრონად.



ფ ე ლ რ ა

ფ ე ლ რ ა

აჰა, ხომ ხედავ ჩემს შერცხვენას, დიდო ქალღმერთო!  
 ამაზე მეტად ვინ შესძლებდა ჩემს დამცირებას.  
 უკვე ყველა ზღვარს გადაცილდა შენი სიმკაცრე,  
 არ აწყდენია შენი ბასრი ისარი მიზანს.  
 მაგრამ თუ გინდა, გამარჯვება რომ იხეიმიო,  
 ის გამოცადე, ვინც ნამდვილად შენი მტერია:  
 იპოლიტია შენი მტერი და შენი ურჩი,  
 გზაც კი არ იცის შენი ტაძრის და ქების ნაცვლად  
 ყოველთვის ზიზღით იხსენიებს შენს სახელს ყველგან.  
 დასაჯე იგი! დაგვამცირა მან ორივენი.

ე ნ ო ნ ა

დე, შეიყვაროს იპოლიტმაც... აგერ, ენონაც,  
 ჩემო ენონა, შენს თვალებში ჩემს სიკვდილს ვხედავ!  
 ნულარ გაღელვებს, დედოფალო, ეგ შლეგი ვნება  
 და კვლავ იცხოვრე პატიოსნად, ვით გიცხოვრია.  
 მეფე დაბრუნდა, მკვდრად რომ ეთვლიდით უკვე ყველანი  
 გმირი თეზევსი გეახლებათ მალე თვითონაც.  
 მთელი ქალაქი გამოსულა მის შესახვედრად.  
 როგორც მიბრძანე, მე იპოლიტს ვეძებდი, მაგრამ  
 უცებ გაისმა ღრიანცელი და ხალხის ზღვაში...

ფ ე ლ რ ა

რა თქვი? თეზევსი ცოცხალია? კმარა, ენონა!  
 მე ერთხელ უკვე შევაგინე მისი სახელი  
 და ჩემგან კმარა. აღარ მინდა, არც შემიძლია.  
 ასეც ვიცოდი, სწორედ ამას მიგრძნობდა გული,  
 მაგრამ მე მაინც გადამძლია შენმა ცრემლებმა.  
 დილით შემეძლო პატიოსნად მოვმკვდარიყავი,  
 ახლა კი უკვე შერცხვენილი ვტოვებ ქვეყანას.

ე ნ ო ნ ა

ფ ე ლ რ ა

რაო? ვტოვებო?  
 რა თქმა უნდა, რა დამრჩა მეტი.  
 ქმარი დაბრუნდა, შვილიც უკან მოყვება, ალბათ,  
 რომ უთვალთვალოს მეუღლესთან ჩემს თვალთმაქცობას  
 და ნახოს ცრემლი, მის გულისთვის რომ ვღვრიდი წელან,  
 უსმინოს ოხვრას, თვითონ ზურგი რომ შეაქცია.  
 მას ეჭვიანად უყვარს მამა და ნუ გგონია,  
 რომ დაამციროს საამაყო მამის ღირსება  
 და დაუმალოს სამარცხვინო ეს სიყვარული,  
 არ უღალატებს იპოლიტი მეფეს და მამას.  
 გინდაც დამალოს, მე ხომ ვიცი ჩემი ამბავი,  
 იმ ქალებივით მე ცხოვრება არ შემიძლია,  
 ქმრებს რომ ზურგს უკან დალატობენ, ხოლო თვალებში  
 შესცივინებენ ჯულუბრყვილო ბავშვების დარად.  
 მე ფასიც ვიცი ჩემი ვნების და ჩემი ცოდვის.  
 ალბათ, ჩემს სახელს შეაგინებს მთელი ქვეყანა.  
 ასე მგონია ეს კედლებიც და ეს თაღებიც  
 ამოიდგამენ უცებ ენას ჩემს ჩასაქოლად.  
 მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილია ჩემი მშველელი,



რა მოხდა, იგი ნუთუ მართლა ასე ძნელია?!  
 არა, სიკვდილი არ მამოკებს იმაზე უფრო  
 სიკვდილის მერე ჩემზე ხალხში რასაც იტყვიან.  
 მემკვიდრეობად ეს დარჩებათ ჩემს შვილებს მხოლოდ.  
 იუბილტერის სისხლი უდულთ ძარღვებში თუმცა,  
 როგორც არ უნდა იამაყონ დიდი წინაპრით,  
 მაინც ლოდივით დააწვებათ დედის შერთცხვენა.  
 მათ მომავალზე როცა ვფიქრობ, ფიქრიც კი მზარავს.  
 ყოველ ნაბიჯზე წამოსძახებთ ჩემს სახელს ვილაც.  
 სამართლიანი საყვედური თავს ჩაუქინდრავთ  
 და ვერასოდეს შეხედავენ ზეცას თამამად.  
 მეც მცოდნება, დამიჯერე, შენი შვილები.  
 როგორც შენ ამბობ, ყველაფერი ისე მოხდება  
 და ასეთ დღეში რატომ უნდა ჩაყარო ნეტავ?  
 ანდა სიკვდილით რას მიაღწევ, რა შეგიძლია?  
 მხოლოდ და მხოლოდ შენს წინააღმდეგ განაწყობ ყველას.  
 ქმარს ვერ დახვდარი, რას იტყვიან, როგორ გგონია?  
 და იპოლიტსაც გაახარებ, რადგან სიკვდილით  
 დაუდასტურებ, რასაც იგი შენზე მოყვება.  
 როგორ ვუსმინო შენს გინებას და განქიქებას?  
 რა ვუპასუხო, რითი შევძლებ შენს გამართლებას?  
 არა, ჯობია ჩამიტანოს მიწაში მეხმა.  
 ერთსა გთხოვ მხოლოდ, მიპასუხე ოღონდ გულწრფელად.  
 ისევე აღმერთებ? ძველებურად კვლავ ძვირფასია?  
 ის ახლა ჩემთვის ყველა მხეცზე ავი მხეცია!  
 თუკი ასეა, რაღად უთმობ მას გამარჯვებას?  
 ის საშიშია, ამიტომაც დაასწრო უნდა,  
 შენ გაამტყუნე, სანამ შესძლებს შენს გამტყუნებას.  
 ვინ არ ირწმუნებს? ყველაფერი შენს მხარეზეა:  
 მისი მახვილიც, ბედმა ხელში რომ შეგატოვა,  
 ძველი წუხილიც, ძველი სევდაც და მღელვარებაც.  
 თვითონ თეზევისიც, ვისაც ხვეწნით და საჩივრებით  
 ძლივს აიძულე საკუთარი შვილის განდევნა.  
 კი მაგრამ, ის ხომ დამნაშავე არ არის მართლა?  
 შენ ერთი რამე გევალება: იყავი ჩუმი.  
 ხოლო დანარჩენს მე მოვუვლი, სინდისი მეც მაქვს,  
 მაგრამ მე სინდისს და სიმართლეს რომ ავყვე ახლა.  
 შენ უნდა დაგთმო, სამუდამოდ დაგკარგო უნდა.  
 მე კი ყველაფერს დავთმობ ქვეყნად შენი გულისთვის.  
 ნუ გეშინია, მამის გული მალე დაცხრება,  
 შვილის განდევნით დაიმშვიდებს თეზევისი რისხვას.  
 მამა როდესაც მსაჯულია, მაინც მამაა.  
 და გინდაც უფრო მკაცრი იყოს მისი სასჯელი,  
 ჩვენს სახელს უნდა გავუფრთხილდეთ, ეს გვევალება,  
 უნდა გავწიროთ ყველაფერი სახელის გარდა.  
 ახლა გავჩუმდეთ. გესმის? მგონი აქეთ მოდიან.  
 აგერ თეზევისი...

ენონა

ფედრა  
ენონა

ფედრა  
ენონა





ფედრა

იპოლიტი! მისმა თვალებმა  
ლამის დამგლიჯონ! ვერ გავუძლებ ამ ზიზღს და რისხვას  
რაც გინდა ის თქვი, აღარა მაქვს არაფრის თავი,  
ჩემი სიცოცხლე მომიდევია შენთვის მოლივანად.

**გამოსვლა მესამე**

თეზესი, იპოლიტი, ფედრა, ენონა, ტერამენი

თეზესი  
ფედრა

თავის ნებაზე უგზოუყვლოდ მატარა ბედნა  
და აი, ისევ შენთანა ვარ...  
თეზეს, გეყოფა!  
დაიცხრე შენი სიხარული და აღტაცება.  
მე არ მეკუთვნის ასე თბილი სიტყვები შენგან.  
შენ რომ გატარა და გაწამა ამდენი ხანი,  
არც შენი ცოლი არ დაინდო წყეულმა ბედმა.  
მე შენთან ერთად ვერ ვიცოცხლებ, ღირსი არა ვარ  
და ისღა დამრჩა, რომ ჩავბარდე ქვესკნელის წყვდიადს.

**გამოსვლა მეოთხე**

თეზესი, იპოლიტი, ტერამენი

თეზესი


შენ მაინც მითხარ, შვილო ჩემო, როგორ გავიგო,  
ან როგორ ავხსნა ეს სიტყვები...

იპოლიტი

დედოფლის გარდა  
ამ საიდუმლოს ვერ ავიხსნის ვერავინ ქვეყნად.  
მე კი ერთსა გთხოვ, თუ მომისმენ და მომცემთ ნებას.  
დღეიდან ველარ დაინახავს ჩემს სახეს ფედრა.  
დაე, წავიდეს იპოლიტი ბედუკუდმართი,  
ამ ჰერქვეშ მისთვის აღარ არის ადგილი მართლა.  
ჩემგან მიდიხართ?

თეზესი  
იპოლიტი

მე ყოველთვის თავს გარიდებდი.  
ის ამ ქალაქში მოიყვანა თქვენმა სურვილმა,  
აქ მიუჩინეთ საიმედო თავშესაფარი,  
მე კი მიბრძანეთ, რომ ვხლებოდი დედოფალს მცველად.  
ახლა კი წავალ, რომ წვრილფეხა მტრებთან ბრძოლაში  
არ გაიაროს სიჭაბუკემ უკვალოდ, უქმად.  
მეც მინდა ვცადო ჩემი ბედი და ჩემმა ხმალმაც  
იგემოს სისხლი, უზრუნველი ცხოვრების ნაცვლად.  
ჯერ ჩემი ხნისაც არ იყავით, როცა ტირანებს  
ნაგემი ჰქონდათ უკვე თქვენი მარჯვენის ძალა,  
დაიმორჩილეთ ორივე ზღვის სანაპირონი,  
ოქვენი წყალობით ხალხი ზღვებზე მგზავრობდა მშვიდად  
და ჰერაკლესაც თავისუფლად შეეძლო უკვე,  
თქვენი იმედით, მისცემოდა განცხრომას ნეტარს.  
მე კი აქამდე უსახელოდ ვცხოვრობ ჩეროში,  
ხალხი კი მიცნობს სახელოვან თეზესის შვილად.  
მომეცით ნება, არ შევბოჭო ჩემი ძალღონე  
და თუკი დარჩა თუნდაც ერთი ურჩხული ქვეყნად,  
დავაგდო მისი მყრალი ლეში მამის ფეხებთან.



თ ე ვ ე ს ი

და თუ ვერ შევძლებ, ჩემს საცოცხლეს ისიც ეყოფა. თუ დასრულდება სახელოვნად და პატიოსნად. თქვენ რომ იყავით ქვეშაირტად ჩემი მშობლები, მე ამ სიკვდილით დავუმტკიცებ შთამომავლობას. ოი, ღმერთებო, იმის ნაცვლად რომ მომეგებოს, შიშისგან ლამის მიმატოვოს მთელმა ოჯახმა. ათუ არავისთვის აღარა ვარ აქ სასურველი, რად დამიბრუნე, დიდო ზეცავ, თავისუფლება. არ მსურდა, მაგრამ ვერ ვუთხარი ძმობილს უარი, უაზრო იყო და საშიში ჩვენი განზრახვა, ორივე ტირანს ჩავუვარდით ხელში კიდევაც, ბოროტმა ბედმა დაგვიბნელა თვალები, ალბათ. მე თვითონ ვნახე ურჩხულებმა როგორ დაგლიჯეს ჩემი ძმობალი, ძმობილისთვის ერთგული მარად. მე კი ქვესკნელში დამამწყვდიეს, რათა წყვდიადში კბილებით მეღრღნა ბორკილები, სევდა და ბოღმა. ექვსი თვე ასე გავატარე, მაგრამ ღმერთებმა წყალობის თვალით გადმომხედეს კვლავ ძველებურად. შევძლე დარაჯის მოტყუება და ახლა, როცა ხელებგაშლილი მოვისწრაფი, რომ ჩავიხუტო ის, რაც ყველაზე ძვირფასია ჩემთვის ამქვეყნად და როცა ჩქარობს ჩემი სული, რომ კვლავ იგემოს დიდხანს ნანატრი სიმყუდროვე, ალერსი, შეება, — შვილი ცახცახით შემომტკერის, გამიბრბის ყველა, თითქოს ოჯახში მომეტანოს შიში და რისხვა. გულიც კი მწყდება, რომ დავბრუნდი, ასეთ შეხვედრას ისევ ქვესკნელი მირჩევნია, ისევ ტყვეობა. თქვი! იქნებ ვინმემ შეაგინა ჩემი სახელი! ვინ მილატა? ვინ შებღალა ჩემი ღირსება? ან იქნებ ჭერქვეშ შეიხიზნა ბოროტი სული ჩემმა ქვეყანამ, მე რომ თავი შევწირე მსხვერპლად. რამ გავაჩუმა? მიბასუხე! ან იქნებ შვილიც მამის წინაღობა აამხედრეს ვერაგმა მტრებმა? წავალ, გავიგებ, თორემ ლამის დამახრჩოს ეჭვმა, რაც ღვიძლმა შვილმა ვერ ამიხსნა, ამიხსნას ფედრამ. კვალს ვერ დამალავს ბოროტება, ეს არ სჩვევია.

**გამოსვლა მხუთი**

იპოლიტი, ტერამენი

იპოლიტი

ნუთუ გაბედავს და გაუმხელს ფედრა ყველაფერს? ნუთუ საკუთარ სიცოცხლესაც გაწირავს მართლა? რას იტყვის მეზე? ან კედლები როგორ უძლებენ ამ სამარცხვინო სიყვარულის შხამსა და ბაღლამს? მეღ ზომ ის მიკვარს, ვინც მამისთვის მართლაც მტერია? ხედავთ. როგორი ვაჟიშვილი გაზარდა გმირმა! თუმცა მართალი მსაჯულის წინ არ უნდა თრთოდეს, — გულზე უემური წინაგრძნობა შემომხვევია.



არა, ყველაფერს ის ჯობია, ვეახლო თავად  
 და გავუშვალავნო ჩემი გრძნობა გულწრფელი, წმინდა. **ეროვნული**  
 მას განარისხებს, რა თქმა უნდა, ეს სიყვარული, **ბიზლიროთქა**  
 მაგრამ ვერ მოსპობს. არ არსებობს ასეთი ძალა.

**მეოთხე მოქმედება**

**ბამოსვლა პირველი**

თეზესი, ენონა

თეზესი

ეს რა გავიგე! მოლაღატე, ვერაგი, ბილწი!  
 მამის სახელიც არ დაინდო შესაგინებლად.  
 ოხ, ბედისწერავ, რატომ დამსდევ ფეხდაფეხ ასე!  
 აღარაფერი აღარ მესმის: სადა ვარ, ვინ ვარ!  
 ეს ერგო ჯილდოდ ჩემს სიყვარულს და ჩემს სიკეთეს.  
 ო, რა მზაკერული განზრახვაა, თქმაც კი მრცხვენია.  
 ძალა იხმარა, ძალით სურდა, უგნურს და თავხედს,  
 თავისი ბინძურ მიზნისათვის რომ მიეღწია.  
 ხმალიც ვიცანი, მე ვაჩუქე ეს ხმალი თვითონ.  
 ნუთუ არც სისხლმა შეაწუხა და არც სინდისმა!  
 ფედრა კი მაინც თავს არიდებს მის გამტყუნებას.  
 და ამ საზიზღარ დანაშაულს ღუმლით მალავს.  
 ფედრა თქვენს სახელს უფრთხილდება, თქვენ გზოგავთ  
 იგი.

ენონა

სირცხვილისაგან არ იცოდა რა ექნა, საწყალს.  
 სიკვდილს ნატრობდა, შეაძრწუნა ველურმა ვნებამ,  
 ის კი თავისას მოითხოვდა მაინც ჭიუტად.  
 და როცა ხმალი დავინახე, ძლივს მივუსწარი,  
 თორემ ვერასდროს იხილავდით, ალბათ, დედოფალს.  
 ესაა მისი შემფოთების მიზეზი, მეფევ,  
 ვერ უთქვამს თვითონ, მე კი, რა ექნა, ვერ დაგიმალავთ.  
 არარაობა! ახლა მივხვდი, რატომ გაფითრდა,  
 ანდა თვალს რატომ მარიდებდა და ცახცახებდა.  
 მიკვირდა კიდევ, ვერ გამეგო, რა აშინებდა,  
 მეც დამაბნია, თბილი სიტყვა ტუჩზე შემაშრა.  
 ნუ დაჟიბალავ, აშის მსგავსი სიბილწე მისგან  
 მითხარი, აღრეც, ათენშიაც თუ შეგინიშნავს.  
 ფედრამ რამდენჯერ შემოგჩივლათ?! მხოლოდ ეს ვნება  
 იყო მიზეზი, ეს იწვევდა დედოფლის რისხვას.  
 თეზესი  
 ენონა  
 თეზესი  
 ენონა  
 აქ კი დაიწყო ყველაფერი ისევ თავიდან?  
 მე რაც ვიციოდი. მოგახსენეთ, ხელმწიფე ჩემო,  
 ახლა კი წაველ, დედოფალსაც უნდა მიხედვა,  
 ვერ მივატოვებ ახლა მარტოს, ისიც ცოდოა.

**ბამოსვლა მეორე**

თეზესი, იპოლიტი

თეზესი

აგერ, შეხედეთ! მე კი არა, ვის არ შეაცდენს  
 კეთილშობილი გარეგნობით. ოხ, დიდო ზეცავ!



დალო ღმერთებო, რატომ ხდებდა, რისი ბრალია ასე უმანყო საჩე რომ აქვს მრუშს და გარეწარს. განა არ ჯობდა, მოღალატის დაგესვათ და რომ არ მოვტყუვდეთ და მაშინვე რომ ვეძინებოდა რამ შეაწუხა ნამაჩემი, მის ნათელ შუბლზე წუხილის ღრუბელს შავი კალთა დაუფენი. რაა მიზეზი? რა გაწუხებთ? იქნებ მეც მითხრათ?

ხმას როგორ იღებ, მოღალატე! როგორ მიბედავ! თუ ურჩხული ხარ, აქამდე რომ დანდო ზეცამ? ავაზაკი ხარ, შენი მსგავსიც ბევრი მინახავს! როგორ გაბედე ჩემთან მოსვლა, შენ, ვისაც ვნებამ შხამით და გესლით დაგიბნელა ცა და გონება, შენ, ვისაც მამის სარეცელის წაბილწვაც გასურდა და კიდევ გყოფნის თავხედობა, მიყურო მშვიდად და არც გარბინხარ ამ სახლიდან, ამ კედლებიდან, შენი აქ ყოფნით სამუდამოდ რომ წაბილწულან? წადი, მომშორდი! იქნებ სადმე მონახო კუთხე, სადაც ჩემს სახელს ჯერ კიდევ არ შეუღწევიან. მომშორდი-მეთქი, სანამ რისხვა არ მომრევიან, ნუ გამაცეცხლებ, თორემ გული ისეც ყელში მაქვს. ჩემს სახელს შენი ბილწი სისხლით ვერ დავამცირობ, შვილი რომ გქვია, სამარცხინოდ ისიც მეყოფა. არ დამენახო, თავს უშველე, თორემ იცოდე, შენც მიგამატებს იმ ურჩხულებს ჩემი მარჯვენა. მომშორდი-მეთქი: დღეის მერე ჩემს სიახლოვეს აღარ გამოჩნდე, არ დაგლანდონ ჩემმა თვალებმა, მზემ არასოდეს არ დახედოს შენს ნაფეხურებს, აღარ წაბილწოს შენმა სახემ ჩემი ქვეყანა. შენ კი, ნებატუნო! შეისმინე დღეს ჩემი თხოვნა, მე მოვაშორე შენს ნაპირებს ბუდე ავსულთა. მაგრამ ქვესკნელშიც ვერ გავბედე შენი ხსენება და აი, თხოვნით შეგაწუხე ახლა პირველად. შენი იმედი, ჩემო დიდო და მკაცრო ღმერთო, ძუნწი კაცით შავი დღისთვის შემომინახავს. ეს დღეც მოვიდა, შერცხვენილი და უბედური შენ დამამშვიდე, შენგან ველი შურისძიებას. შვილმა გამწირა, შეაგინა მამის სახელი, სისხლში ჩაუხშვე უგუნური და ბილწი ვნება. ამით მივხვდები, ყურს რომ უგდებ თეზევსის თხოვნას. მკაცრი ყოფილხარ ბედისწერავ! ბარემ ჩამქორლე! რატომ ამკიდე, როგორ ვზიდო ამხელა ცოდვა? ან თვითონ ფედრას ენა როგორ მოუტრიალდა? თუმცა ლაპარაკს რა აზრი აქვს, რას შეცვლის სიტყვა. დიან, მოტყუვდი და ტყუილად გქონდა იმედი, რომ დამალავდნენ შენს სიმრუშეს და ავხორცობას. ასე თუ გასურდა, ჭკუაც მეტი უნდა გეხმარა: რად შეატოვე შენი ხმალი ხელში საბუთად?

იპოლიტი

თეზევსი

იპოლიტი

თეზევსი



ან, რახან უკვე ჩაიდინე დანაშაული,  
 მოგეკლა კიდევ, ვერ გაგცემდა მკვდარი ნამდვილად  
 შეურაცხყოფილს ამ უგვანო ცილისწამებით,  
 აღარაფერი არ მაჩერებს, სიმართლე რომ ვთქვა.  
 მაგრამ სიმართლე უფრო მეტად დაამცირებდა  
 თქვენს სიამაყეს, ამიტომაც ვჩუმდები ახლა.  
 თავს ნუ იტანჯავთ, მამაჩემო, დაფიქრდით კარგად  
 და გაიხსენეთ თქვენი შვილის მთელი ცხოვრება.  
 მხოლოდ ბოროტი იბადება ბოროტისაგან  
 და ის გაბედავს და წაბილწავს სხვა წმინდა გრძნობას,  
 ვინც ერთხელ მაინც უღალატებს მოვალეობას.  
 დიდ დანაშაულს მუდამ უსწრებს პატარა ცოდვა.  
 როდის ყოფილა, თვითონა სთქვით, რომ სათნოებას  
 სიაყვაცეში გაერიოს ხელი უეცრად,  
 არც პატიოსან ადამიანს არ შეუძლია,  
 რომ წამში იქცეს გარეწარად, მკვლელად და მრუშად.  
 მე პატიოსან ძუძუს ვწოვდი, ამ ქვეყანაზე  
 გზა დამილოცა საამაყო დედის ხელებმა,  
 მერე პითეი, უბრძენესი მოკვდავთა შორის,  
 თვითონ მიწერთნიდა და მიწრთობდა სულს და გონებას.  
 მე თავის ქებას არ ვაპირებ, რა საჭიროა,  
 მაგრამ თუ რამე შემძლია შევიქო მართლა,  
 ეს ის ზიზღია, რითაც მუდამ თავს ვარიდებდი  
 ამგვარ საქციელს, რაც მე ბრალად მედებოდა ახლა.  
 მე ხომ თავიდან სიყვარულის მტრად მიცნობს ყველა.  
 მე ხომ ყოველთვის გავუბრძოდი ქალის ცთუნებას  
 და ჩემი სული დღემდე მზეზეც უფრო სუფთაა,  
 მაინც ამბობენ. თითქოს ველურ და ბინძურ გრძნობას...  
 ნულა თვალთმაქცობ, ყველაფერი ცხადია უკვე.  
 განგებ გეჭირა, ჩემო კარგო, თავიც ამაყად.  
 ფედრამ მოხიბლა უსირცხვილო შენი თვალები  
 და ამიტომაც გაუბრძოდი გულგრილად ყველას.  
 პატიოსანი სიყვარული არც განგიცდია.

იპოლიტი. არა, გეშლება მამაჩემო, არც დაგიძლავ  
 და ვალიარებ შენს წინაშე ჩემს ნამდვილ ცოდვას.  
 ამ წმინდა გრძნობით ჩემი გული მართლაც სავსეა.  
 დიახ, მეც მიყვარს და ის მიყვარს, ვინც აშკრადღეთ,  
 ჩემი ღმერთი და მბრძანებელი არიციან.  
 პალანტიდია ჩემი გულის მეფეც და საჭეც.  
 აი, ხომ ხედავთ, დავარდვიე თქვენი ბრძანება.  
 ვერაფერს ვიტყვი, ეშმაკური ხერხია მართლაც,  
 ცოდვილი სულის და სიცოცხლის გადასარჩენად.  
 მე გულში ვმალავ ამ სიყვარულს მთელი წელია  
 და აი, მაინც ვალიარებ, გულმა დამძლია.  
 ნუთუ არ გჯერა? რა ვიღონო, რომ დაგაჯერო?  
 ვიფიქრებ კიდევ, თუ ჭირდება ფიცი ჩემს სიტყვას!  
 დე, დიდმა ზეცამ, დედამიწამ, მთელმა ბუნებამ...  
 ბოროტმოქმედი ფიცისათვის მზადაა მუდამ.

იპოლიტი

თეზევსი

იპოლიტი

თეზევსი

იპოლიტი

თეზევსი



იპოლიტი კმარა, გეყოფა, თუ უკეთესს ვერაფერს იტყვი,  
სჯობს სულ გაჩუმდე, აღარ მინდა შენი მოსმენა.  
რატომ გგონია, რომ ვატყუებ. უსამართლო ხარ,  
ფედრაზეც მეტად, ფედრა უფრო დამიჯერებდა.  
თეზევსი ფრთხილად, თვალთმაქცო, საზღვარი აქვს ჩემს მოთმინებას.  
იპოლიტი როდის წავიდე, ანდა საით? ველი ბრძანებას.  
თეზევსი ახლოს იქნეზი, გინდაც გასცდე პერაკლეს სვეტებს,  
ეს მწარე გრძნობა არასოდეს არ მომშორდება.  
იპოლიტი საით წავიდე, ვის მივადდე მე ამ ბრალდებით,  
თეზევსი როგორ ვითხოვო მოწყალება თქვენგან დევნილმა?  
მრუშებს შიმართე, ავაზაკებს, ქურდებს და მკვლელებს,  
სიამოვნებით მივიღებენ ძმად და მეგობრად.  
იპოლიტი ბევრია ქვეყნად შენი მსგავსი, იმათ შიშართე,  
თეზევსი ვისაც კანონად გაუხდია უკანონობა.  
იპოლიტი მრუშობას მწამებთ, მაგრამ ახლა თავს არ ვიპართლებ.  
თეზევსი თქვენი მეუღლე გაიხსენეთ ვისი შვილია,  
მისი ჯილაგი გაიხსენეთ და დარწმუნდებით,  
რომ ეს ბრალდება მათთვის უფრო შესაფერია.  
თეზევსი როგორ გაბედე, უბედურო, ფედრას ვინება!  
უკანასკნელად გეუბნები: მომწყდი თავიდან,  
სანამ ჯერ კიდევ თავს ვიკავებ და სასახლიდან  
საქვეყნოდ, ყველას დასანახად არ გამიგდისარ.

**გამოსვლა მესამე**

თეზევსი სირბილით! შენი სიკვდილისკენ მირბინარ ახლა!  
ფეხდაფეხ მოგდევს მამის რისხვა და მამის წყევლა.  
ნებტუნიც, ჩემი დიდი ღმერთი, დიდი მფარველი,  
არ დააყოვნებს და იჭექებს შენს თავზე მეხად.  
მე კი მიყვარდი, ის კი არა, მე ახლაც ვღელავ,  
ამ განაჩენმა ჩემი სული შესძრა მთლიანად.  
მაგრამ თვითონ ხარ დამნაშავე. თავს დააბრალებ,  
ვინ მოსწრებია ამგვარ სირცხვილს, რომელი მამა?  
დიდო ღმერთებო, თქვენ ხომ მაინც ხედავთ ჩემს ტანჯვას,  
რატომ მსჯით ასე, რაც ვიტანჯე, ნუთუ არ კმარა!

**გამოსვლა მეოთხე**

ფედრა, თეზევსი

ფედრა თეზევს, გონს მოდი, მოერიე გულსა და რისხვას.  
თავზარი დამცა, შემაძრწუნა შენმა ყვირილმა  
და გულიც მიგრძნობს, რომ მკაცრია შენი სასჯელი,  
სისხლს გაუფრთხილდი, ნუ დაიდებ ოჯახის ცოდვას.  
აჰა, ცრემლებით გეხვეწები, გემუდარები,  
ნუ გამომიყვან, თეზევს, შენი შვილის ჯალათად,  
ნუ მომიმატებ, ნუ გამიჩენ ახალ სატანჯველს,  
არ წაიბილწო შვილის წმინდა სისხლით მარჯვენა.  
თეზევსი არა, ის სისხლი ჩემი ხელით არ დაიდგრება,  
მაგრამ სასჯელი არ ასცდება, აღრე თუ გვიან.

ფედრა  
თეზეუსი

განაჩენს თვითონ გამოუტანს უკვდავი ხელი,  
თავისი სიტყვის შესრულება იცის ნებტუნმა.  
ნებტუნნი?! როგორ გაიმეტე ასე გულგრილად..  
რა იყო, ხომ არ შეგეცოდა, იქნებ უშველო?!  
ჩემი სიბრაზე გააღვივე ის გირჩევნია,  
რომ ვეღარ შევძლო დაოკება, ვერ მოვერიო.  
შენ ჯერ არ იცი ყველაფერი: ისიც კი მითხრა,  
ფედრა ტყუისო, ცილს მწამებსო, მომიგონაო,  
მართლა მიყვარსო, მაგრამ სხვაო, არიციანო,  
ისაა მხოლოდ ჩემი მზეო...

ფედრა  
თეზეუსი

რა...?  
ასე თქვა.  
მაგრამ ეს მხოლოდ თვალთმაქცური ნაბიჯი იყო,  
მეც ხომ მაშინვე დაუუჯერე ამ ეშმაკობას.  
ნებტუნნი განსჯის უკეთესად. მე კი მივდივარ  
მადლი და მსხვერპლი რომ მივართვა ნებტუნის ტაძარს.

**გამოსვლა მისთვის**

ფედრა

წავიდა. ღმერთო, ეს რა მითხრა, რა გავიგონე!  
ძლივს ჩაფერდლილმა ცეცხლმა თავი წამოყო ისევ,  
ისევ დამატყდა ზეცის რისხვა მოულოდნელად.  
მე კი სულელი. მის საშველად მოვრბოდი აქეთ.  
ძლივს დავადწიე შეშინებულ ენონას თავი,  
სინდისის ქენჯნამ გამომავლო და კიდევ კარგი  
თეზევსმა დროზე შემაჩერა, თორემ ყველაფერს  
გავუშლავნებდი. ვაჩვენებდი ჩემს ნამდვილ სახეს.  
მას კი სხვა უყვარს! არიციან! რა სიხარულით  
ეახლებოდა, ალბათ, იგი თავის საყვარელს.  
რა ბრმა ვყოფილვარ! რა სულელი! რა გულუბრყვილო!  
მეგონა ვერტინ ვერ შესძრავდა მის სულს და თვალებს.  
ჩემს წინ რომ იდგა მოღუშული, ზვიადი, მჭახე.  
ამ დროს კი თურმე სხვას ჰქონია მის გულში ბინა,  
ის, რაც ვერ შეძლო ჩემმა ვნებამ, სხვამ შესძლო თურმე.  
იქნებ პირველი არც ისაა? ვინ იცის, იქნებ  
მე ვიწვევ მხოლოდ მის სიძულვილს ამ ქვეყანაზე?  
მე კი საშველად გამოვრბოდი... ოხ, ღმერთო, მალე!

**გამოსვლა მათგან**

ფედრა, ენონა

ფედრა  
ენონა


ენონა. იცი რა გავიგე? ვერც კი იფიქრებ.  
მე ერთი ვიცი, რომ ეს შიში მომიღებს ბოლოს,  
არ შეიძლება შენი მართო გაშვება არსად.

ფედრა  
ენონა

ენონა, თურმე მეტოქე მყავს, გესმის ენონა?  
რას ამბობ?

ფედრა

გული იბოლიტსაც ჰქონია თურმე,  
შეურაცხყოფად რომ იღებდა ქალების ოხვრას.



ენონა  
ფედრა

მოუთოკა არიციას პირქუში ვეფხვი,  
 მე რომ შიშისგან ახლოს მისვლაც ძლივს გავუბნებდ  
 არიციასო?

ღიახ, თითქოს მაკლდა ტკივილი  
 და აი, კიდევ მივიმატე ცეცხლად და შხამად.  
 რაც კი აქამდე ავიტანე: შიშიც და თრთოლვაც,  
 შფოთიც, სიშმაგეც, სიყვარულიც, სინდისის ქენჯნაც,  
 ბოლოს უარიც, წინასწარ რომ ვგრძნობდით თვითონვე,  
 მოგონილია ყველ-ფერი ამ სატკივართან.  
 მათ ერთმანეთი მართლა უყვართ! ანდა აქამდე  
 როგორ ვერ მივხვდი! შენც იცოდი და დამიმალე!  
 არ შეიძლება არ გცოდნოდა, თქვი, სად ხვდებოდნენ?  
 როდის ხვდებოდნენ? რას ამბობდნენ? რას აკეთებდნენ?  
 ჩუმად ხვდებოდნენ ტყის წიაღში იქნებ ერთმანეთს?  
 თუმცა რას ვამბობ! მათ შეეძლოთ, რომ ერთმანეთი  
 დღის სინათლეზეც ყვარებოდათ, ვით წმინდა ბავშვები.  
 ზეცა ღიმილით დასცქეროდა, ალბათ, მათ ვნებას  
 და ყოველ დილით უკოცნიდათ მზე ნათელ თვალებს.  
 მე კი, წყუელი, დღის სინათლეს ვემალეობოდი,  
 მზის მეშინოდა, სიკვდილს ვთხოვდი ყოველდღე ღმერთებს  
 ველოდებოდი ჩემს აღსასრულს ბედის მორჩილი,  
 შხამივით ვსვამდი ჩემს საკუთარ ცრემლსა და ნაღველს.  
 თან ვთვალთმაქცობდი, სხვებისათვის რომ დამემალა  
 საბედისწერო ჩემი ვნება, შლეგი და მწარე.  
 კი მაგრამ, იმათ რა მოიგეს? ველარასოღეს  
 ეგრე შეხვდებოდა.  
 მაგრამ მათი ვნება იცოცხლებს!  
 მე ახლა, როცა ვლაპარაკობ, ოხ, ბედისწერავ,  
 ჩემს უგუნურობას დასცინიან ისინი მწარედ.  
 რა არის მათთვის გაძევება?! უკვდავი ფიციოთ  
 ეთხოვებიან, აღვზნებულნი, ახლა ერთმანეთს.  
 არა, მე ამას ვერ ავიტან, არ შემიძლია.  
 ისევ შენ უნდა მომეხმარო, ენონა, მალე!  
 შენ შემიცოდებ, შენ გამიგებ ამქვეყნად მხოლოდ,  
 უნდა დავღუპო არიცია, უნდა როგორმე  
 კვლავ გავაღვივოთ ძველი რისხვა თეზევსის გულში.  
 ის ძმებზე უფრო საშიშია! და მეც ვილოცებ,  
 რომ გამოეტყუო ღირსეული სასჯელი თეზევსს.  
 ღმერთო, რას ვამბობ! დამიბნელდა სულმოთლად გონება  
 სხვისგან მოკლული, შველას ქმრისგან მოვითხოვ ისევ,  
 ის ხომ ჭერ კიდევ ცოცხალია, მე კი სხვა მიყვარს,  
 თანაც ვინ მიყვარს? ვინ შეუნთო ცეცხლი ჩემს ძარღვებს?  
 ფიქრიც კი მზარავს და მიჯიჯნის სულსა და სხეულს,  
 ყოველგვარ საზღვარს გადასცილდა ჩემი სიბილწე.  
 კახბა, ვარ, კახბა, სიმრუშით და სიცრუით საეცე!  
 და შეპყრობილი უსამართლო შურისძიებით,  
 ისევ უმანკო სისხლს ვთხოულობ, ვნატრულობ, ვეძებ.  
 სასწაულია მე რომ ვსუნთქავ და ვცოცხლობ კიდევ


ენონა  
ფედრა



და კეთილშობილ მზეს უტიფრად თვალს რომ ვუსწორებ.  
შვილიშვილი ვარ მე ამ მზისა, ოი, სირცხვილო,  
ცა და ოლიმპი გაუფესიათ ჩემს დიდ წინაპრებს.  
სად დავიშალო, სად გავიქცე! იქნებ ქვესკნელში,  
მაგრამ ქვესკნელში მამაჩემი ზის მოსამართლედ.  
რა ვუთხრა მინოსს, სასწორი რომ უჭირავს ხელში,  
ყველა მოკვდავის სულს რომ წონის, ბედს რომ განაგებს  
როგორ შეკრთება ალბათ მისი შეფუტი ჩრდილი,  
მისი ასული ვერაფრით რომ ვერ გააშართლებს  
ქვესკნელისთვისაც გაუგონარ ვნებას და ცოდვას.  
მე უკვე ვხედავ, მამაჩემო, შენს პირქუშ სახეს,  
აი, სასწორიც დაგივარდა და რისხვით სავსე  
იგონებ სასჯელს, ჯერ არ ნახულს, ჯერ არ გავგონილს,  
შზად ხარ ჯალათად რომ დაუდგე შენს შვილს თვითონვე.  
ნუ მიწყენ, მამავ, ჩვენს დიდ ოჯახს ღმერთები მტრობენ,  
მათი ბრალია მეც თუ ვცოდე, მეც თუ ვეწინა.  
თვითონვე მზარავს ჩემი ცოდვა და დავილაღე,  
მე ხომ ამქვეყნად სიხარული ვერც დავინახე.  
მე ხომ ყოველთვის თავზე მადგა უბედურება!  
ტანჯვით ვამთავრებ, მამაჩემო, მე ჩემს სიცოცხლეს.  
შიშმა ოჯალები გაგიდიდა. ნუ აზვიადებ!  
ნუ გეშინია, მოევლება ქვეყნად ყველაფერს.  
ბედისწერაა სიყვარული. რა მოხდა მერე,  
ვინ გაჰქცევია ბედისწერას. ასეა დღემდე.  
ნურც ის გკონია, რომ შენა ხარ მხოლოდ ასეთი,  
არც პირველი ხარ, მსგავსი რამე მომხდარა ბევრჯერ.  
ადამიანი უმწყნოა, ეს ყველამ იცის,  
მაგრამ მოკვდავი მოკვდავით უნდა ცხოვრობდეს.  
ეს ტანჯვა სხვებსაც განუცდიათ. შენ რას უჩივი,  
თვითონ ღმერთებიც, ცოდვებისთვის რომ გგსჯიან ხოლმე,  
ძალიან ხშირად ნებდებიან უგუნურ ვნებებს.  
ხედავთ, რას ამბობს? რა მირჩია? როგორ გაბედე!  
თუ შენმა გესლმა ვერ გამოქვინთა კარგად, ბოლომდე?  
ოხ, უბედურო! შენ დალუბე, იცოდე, ფედრა,  
შენი ბრალია, რომ გრძელდება მისი სიცოცხლე.  
შენი ბრალია, ჩემი ვალი თუ დავივიწყე,  
ის დამლუბებელი აღსარებაც შენ მათქმევინე.  
ან ეგ წყეული ენა როგორ მოგიტრიალდა,  
როცა მიწასთან ასწორებდი უცოდველ სახელს?  
ხომ შეიძლება დაიღუპოს? ხომ შეიძლება  
ნებტუნმაც მართლა შეუსრულოს პირობა თეზევს?  
მომწყდი, წყეულო, აღარ გისმენ, არ დაძრა სიტყვა,  
ჩემს ბოროტ ბედთან ახლა მაინც მართო დამტოვე.  
დაე, სასჯელი მოგიგონონ თვითონ ღმერთებმა,  
რომ ყველა ავი და ბოროტი შიშით შეძრწუნდეს,  
ვინც ჩვენს სისუსტეს ხელზე იხვევს და ბილწი ენით  
უფსკრულსიაკენ მიგვაქანებს და ხელს გვიბიძგებს.

ტ ნ ო ნ ა

ფ ე დ რ ა



ენობა

წყევლიმც იყოს საზიზღარი მლიქვნელთა მოღვაძე!  
მომშორდი! მძულხარ! მე ამ სიტყვას ვიტყვი ადრევე!  
მისი გულისთვის ყველაფერი დავთმე ამ ქვეყნისათვის  
და ერთგულების საფასურად ესლა მარგუნეს.

### მესუთე მოქმედება

#### გამოსვლა პირველი

იპოლიტი, არიცია, ისმენე

არიცია

სიმართლე რატომ დაუმალე! როგორ გაჩუმდი!  
ისედაც სულმოთლად არეგია თეზევს ვონება.  
ან მე როგორ მთმობ? მაგრამ მე თუ მთმობ და მიდიხარ,  
შენს სიცოცხლეზე და სახელზე მაინც იზრუნე.  
ჯერ კიდევ დროა, აუხილე თეზევს თვალები,  
კვლავ მოუბრუნდეს იქნებ გული და მოგხსნას წყველა.  
შენ შენი სცადე, უბრძოლველად ნუ დამარცხდები,  
ან რატომ უნდა მოითმინო ცილისწამება!  
უთხარა თეზევს...

იპოლიტი

განა რამე დარჩა სათქმელი?  
არ შემიძლია, ვერ მივახლი პირში სიმართლეს,  
ვერ მოვეუწამლაე მზეს და ზეცას, ვერც იმას ვნახავ,  
სირცხვილი როგორ გააწითლებს, როგორ დააბნევს.  
შენ იცი მხოლოდ ყველაფერი, შენ და ღმერთებმა.  
რა ძლიერია ჩემი გრძნობა, თვითონ განსაჯე:  
რომ შეძლებოდა, არც საკუთარ თავს გავუშხელოდი,  
შენ კი გითხარი ყველაფერი და თუკი შეძლებ  
გულის სიღრმეში ჩაიმარხე ეს საიდუმლო,  
რომ არ იხილოს მზის სინათლე აღარასოდეს.  
დაე, განსაჯონ ყველაფერი თვითონ ღმერთებმა.  
ისანი, ალბათ, ჩემს სიცოცხლეს არ გაწირავენ.  
ფედრაც მოიმკის თავის სასჯელს ადრე თუ გვიან,  
გამომეღაგნდება ყველასათვის მისი სიმართლეც.  
ჩვენ არ გვეხება ეს ამბავი, ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს.  
თუმცა ამ ტყვივლს ვეღარავინ ვერ გამინელებს.  
შენც მოიშორე სამუდამოდ მონის ბორკილი,  
წაოდი ჩემთან, ჩემი ბედი გაიზიარე.  
დასთვე სასახლე ცოდვით სავსე და დაწყევლილი,  
სადაც სიწმინდეს საწამლავის ახრჩობს სიმყრალე.  
დროს ნუ დავკარგავთ, ახლა ყველა არეულია  
და შენს გაქცევას, ალბათ, დიდხანს ვერ შეამჩნევენ.  
მეც ხელს შევიწყობ, გავაფრთხილებ ჩემს ერთგულ  
მცველებს,  
ისინი ჩემთვის სიცოცხლესაც არ დაზოგავენ.  
გამოგვიჩნდება ძლიერი და დიდი მფარველიც,  
არგოსიც, სპარტაც სიხარულით გავვიღებს კარებს  
და თუ სიმართლეს გავამჟღავნებთ, მივიმხრობთ ყველას,  
და კიდევ უნდა გავამჟღავნოთ, თორემ ორივეს  
ფედრა ტახტიდან სამუდამოდ ჩამოგვიშორებს.



არ შეიძლება ამ შემთხვევის ასე გაშვება.  
 მთლად გაყინულხარ, მე კი ლამის დამფერფლოს ცეცხლში.  
 რატომ ყოყმანობ? რა გაჩერებს? რა გააკანკალებს?  
 თუმცა, ძნელია გაძევებულ კაცთან ცხოვრება...

არიცია

ოხ, ბედნიერი ვიქნებოდი შენს გვერდით ყველგან  
 და სიხარულით ვიცხოვრებდი, თუკი ამქვეყნად  
 შენს გარდა, ყველა სამუდამოდ დამივიწყებდა.  
 მაგრამ ის წმინდა კვანძი სანამ არ შეგვეერთებს,  
 როგორ ვიცხოვრო შენთან ერთად მე პატიოსნად.  
 მე არ გავრბივარ საკუთარი მამის სახლიდან,  
 არ ჩანეთვლება ეს გაქცევა დანაშაულად  
 და, რა თქმა უნდა, არც ისაა დანაშაული.  
 ტირანის რისხვას და ბორკილებს თუ მოვიშორებ.  
 მაგრამ მე სახელს ვუფრთხილდები, ქალის ღირსებას,  
 და თუკი მართლა ასე გიყვარს შენც არიცია...

იპოლიტი

თვალის ჩინივით ვუფრთხილდები მეც შენს ღირსებას.  
 უწმინდესია ჩემი გული, ჩემი განზრახვაც.  
 ქმარი ვარ შენი, წამომყევი შენს ქმარს თამამად,  
 ფრთები შეასხა ჩვენს სიყვარულს უბედურებამ.  
 ჩვენ სამუდამოდ შეგვეერთეს თვითონ ღმერთებმა,  
 ჰიმენე მინც ჰიმენეა უჩირადნოდაც.  
 მაგრამ, მისმინე: ტროიძენის ძველ კარიბჭესთან,  
 საფლავებს შორის, სადაც დაღლილ წინაპრებს სძინავთ,  
 არის ტაძარი, სიყალბის და ფლიდობის რისხვა  
 და იქ ტყუილზე ჯერ კაციშვილს არ დაუფიცავს.  
 ადგილზე მოსპობს უჩინარი მსაჯული ვერაგს  
 და გარდუვალი სასჯელის და სიკვდილის შიშით  
 სიცრუე დღემდე მიჩქმალულა ტაძრის კარებთან.  
 იქ შემოგფიცავ, იქ დავადგათ წმინდა გვირგვინი  
 ჩვენს დიდ სიყვარულს, საზღვარი რომ არა აქვს ქვეყნად.  
 ჩვენს ერთგულებას თვითონ ღმერთი დაუდგეს მოწმედ,  
 ვთხოვოთ გვიშვილოს, ღმერთი გვეყავდეს დღეიდან მამად.  
 ოლიმპს შევფიცავ, მაღალ ოლიმპს, რომ ყველა ღმერთმა  
 არ დააყოვნოს ჩემი სიტყვის დადასტურება.

არიცია

თეზევისი მოდის, გაიქეცი, არ დაგინახოს.  
 მე კი დავრჩები, დაეჭვდება მეც რომ ვერ მნახავს.  
 ერთგული მცველი დამიტოვე ოლონდ მეგზურად,  
 უკან რომ მოგყვე. ახლა წადი, ნახვამდის! ჩქარა!

**გამოსვლა მორე**

თეზევისი, არიცია, ისმენე

თეზევისი

დიდო ღმერთებო, გაანათეთ ჩემი გონება!  
 სიმართლეს ვეძებ და ვერაფრით ვერ მიპოვნია.

არიცია

უნდა გავიქცეთ, მზად იყავი, ჩემო ისმენე.



თეზესი, არიცია

თეზესი შეკრთი თუ შეგრცხვა? აღარ გადევს სახეზედერი.  
 არიცია რა საქმე ჰქონდა ჩემს ვაჟიშვილს, რისთვის მოვიდა?  
 თეზესი დამემშვიდობა, სამუდამოდ დამემშვიდობა.  
 არიცია შენმა თვალებმა მოარჯულეს ჯიუტი სული  
 და მიითვისეს სიყვარულის პირველი ოხვრაც.  
 თეზესი არ დაგიმაღავთ, უსამართლო ეს სიძულვილი  
 არ გადასულა თქვენს შვილზედაც მემკვიდრეობად.  
 არიცია გავიგე, გული მოუძღვნია შენთვის საჩუქრად.  
 თეზესი მაგრამ შენ მაინც ნუ ენდობი იმ თავქარიანს,  
 არიცია მას სიყვარული აუხსნია ბევრჯერ, სხვისთვისაც.  
 თეზესი სხვისთვისაც?  
 არიცია მაგრად ამოგედო უნდა აღვირი.  
 არიცია ან როგორ ითმენ საზიარო ვნებას და გრძნობას?  
 კი მაგრამ, თვითონ როგორ ითმენთ, ბილწი ენები  
 ასე ურცხვად რომ გიგინებენ შვილის ღირსებას?  
 იქნებ არ იცნობთ საკმარისად საკუთარ შვილსაც,  
 დაუდევრად რომ დააკისრეთ ამხელა ცოდვა?  
 ან რატომაა, რომ სიბრაზით თვალეზახვეულს,  
 ყველასთვის ცხადი, სათნოება ვერ დაგინახავთ?  
 მიხედეთ, ავსულს ნუ ჩაუგდებთ პირში საჯიჯგნად,  
 მოინანიეთ, სანამ დროა, თქვენი შეცდომა  
 და გეშინოდეთ, გეშინოდეთ, თეზეს, ღმერთების,  
 უკან წაიღეთ უსაფუძვლო რისხვა და წყევლა,  
 თორემ იცოდეთ, მსხვერპლსაც მართლა შეიწირავენ.  
 თეზესი ამგვარად სჯიან სიბეცისთვის ღმერთები მოკვდავს.  
 ტყუილად ცდილობ, გაამართლო ჩემს თვალში იგი,  
 იმ უმადურის სიყვარულით დაბრმავებულმა.  
 მე ამ საქმეში უტყუარი მოწმე მყავს ბევრი,  
 დამიდასტურეს ყველაფერი მათმა ცრემლებმააც.  
 არიცია გონს მოდით, თეზეს! გამწარებულ ხალხს და ქვეყანას  
 ბევრი ურჩხული მოაშორა თქვენმა მარჯვენამ,  
 მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალია ერთი ურჩხული...  
 გეტყოდით, მაგრამ ფიცითა მაქვს შეკრული ენა.  
 თქვენს შევფიცე და არც მინდა მოვუკლა გული,  
 თქვენი სახელი და ღირსება მისთვის წმინდაა.  
 და ამიტომაც, პირაკრულმა და შერცხვენილმა,  
 ახლა მეც უნდა მიგატოვოთ, ვით თქვენმა შვილმა.

გამოსვლა მეოთხე

თეზესი რისი თქმა უნდათ? რა იციან, ნეტავ, ასეთი,  
 რომ ეყრც კი უთქვამთ, შუა გზაზე უწყდებათ სიტყვა.  
 რა ხდება, ვეღარ გამიგია, ნუთუ ორივე  
 მართლა თვალთმაქცობს, მართლა ცდილობს ჩემს  
 მოტყუებას?  
 თუკი ასეა, გულში ეპვი საიდან გაჩნდა?



რატომ წუხს გული, რას მანიშნებს, რას მოხოვს, რა უნდა  
 არა, ენონა, ერთხელ კიდევ უნდა დავკითხო, ვინ იცის, იქნებ ძაღლის თავი სხვაგან მარხია. ჰეი, მცველებო, მოიყვანეთ ენონა ჩემთან!

**გამოსვლა მახუთე**

თეზეუსი, პანოპე

პანოპე

არ ვიცი, ჩემმა დედოფალმა რა განიზრახა, მაგრამ საზღვარი აღარა აქვს მის მღელვარებას. განწირულია დედოფალი, დიდო ხელმწიფევე, გადაუთეთრა სულშთლად სახე სიკვდილის შუქმა. ხოლო ენონა, დედოფალმა რომ გააძევა, აბობოქრებულ ზღვის უფსკრულში გადაჩეხილა. არავეინ იცის, რა მიზეზით მოიკლა თავი, მაგრამ ვერასდროს დაბრუნდება უკან ენონა. თავი მოიკლა?

თეზეუსი  
 პანოპე

დედოფალიც გაგიყდეს ლამის, გაურკვეველი და უთქმელი აწამებს სევდა, ცდილობს, როგორმე გადაიყაროს გულიდან დარდი, ბავშვებს იხუტებს და იღვრება მაინც ცრემლებად. მერე კი, თითქოს უცხო იყოს, იშორებს შვილებს, დადის ოთახში და ბრმასავით კედლებს აწყდება. ჩვენ სულ ვეღარ გვცნობს, დააბრმავა წუხილმა მართლა. წერილი სამჯერ დაწერა და სამჯერ დახია.

თეზეუსი

იქნებ უშველოთ, ჩქარა, მეფევე, დროც აღარაა. ენონა მოკვდა, ფედრაც მალე მოკვდება, ალბათ, დაე, დაბრუნდეს ჩემი შვილი და თუკი შესძლებს იმართლოს თავი, მე მზადა ვარ მის მოსასმენად.  
 (მარტო)

დიდო ნებტუნო, მომიტევე ეს აჩქარება, ნურც ჩემს სათხოვარს ნუ შეისმენ, ნუ აღსრულდება ის, რაც სიბრაზემ და სიბეცემ გულს ათქმევინა. იქნებ ბოროტი და ცბიერი მოწმის მსხვერპლი ვარ და შეგაწუხებ ნაადრევად, დაუფიქრებლად.

**გამოსვლა მინაზე**

თეზეუსი, ტერამენი

თეზეუსი


მარტო რატომ ხარ? იპოლიტი რაღა უყავი? ის ხომ შენს ხელებს ჩავაბარე გაჩენის დღიდან? რა მოხდა-მეთქი? რა გატირებს? რა მექნა შვილი? ხმა ამოიღე!

ტერამენი

დაგვიანდა, თქვენი სინაზე და მზრუნველობა ვერ უშველის იპოლიტს ახლა!

თეზეუსი

ოი, ღმერთებო!



ტერამანი

თეზესი

ტერამენი

უკეთესი მოკვდავთა შორის  
 ჩაბარდა სიკვდილს უსამართლოდ და განუსჯელად.  
 მოკვდაო! როდის? როგორ მოკვდა ანდა რამ მოკვდავნი  
 ძლივს მომიბრუნდა შვილზე გული და სწორედ მაშინ  
 ვერ მოითმინეს სულწასულმა ღმერთებმა ცტა!  
 გავცდით თუ არა ტროიძენის მაღალ კარიბჭეს,  
 ის ეტლზე შედგა. გვერდით გაცუნენ მცველები მწყრივად,  
 სიტყვა არავის არ დაუძრავს, დუმდნენ ყველანი.  
 თვითონ აიღეს მიკენისკენ გეზი ცხენებმა.  
 ფიქრებში წასულს მიშვებულნი ჰქონდა სადავე-  
 ცხენებიც, მისი ერთგულნი და მორჩილნი მუდამ,  
 თავჩაქინდრულნი მიდიოდნენ, თითქოს ესმოდათ  
 მათი პატრონის უსასრულო ფიქრი და ჰმუნვა.  
 უცებ ზღვის ტალღებს შემზარავი მოწყდა კივილი.  
 ძარღვეებში სისხლი გაგვეყინა, შეგვეკრა სუნთქვა.  
 ჰაერიც შეკრთა, შეტორტმანდა და მიწიდანაც  
 უფრო ძლიერმა და საზარმა ხმამ ამოხეთქა.  
 ყალყზე დაუდგათ აწეწილი ფაფარი ცხენებს.  
 წამოიშარათა უზარმაზარ მთასავით ტალღა  
 და ნაპირისკენ გამოქანდა, ქვებს მიენარცხა,  
 ირგვლივ შეფეხბად დაიღვარა, ხოლო ქაფიდან  
 ამოიშვირა საზარელი რქები ურჩხულმა.  
 ყვითელმა ქერცლმა მზის სხივებზე გაიბრჭყვიალა.  
 ის გაცოფებულ ხარსაც გავდა და გველეშაპსაც,  
 ეკლანებოდა გრძელი კუდი ათასნაირად.  
 მთელი ნაპირი შეარყია მისმა ბლავილმა,  
 შიშისგან პირი მოარიდა ურჩხულს ზეცამაც  
 მიწა ათრთოლდა, მთლად გაჟღინთა ჰაერი შხამმა.  
 ტალღაც, ურჩხული ნაპირზე რომ გადმოისროლა,  
 შეშინებული და შემცბარი ზღვას დაუბრუნდა.  
 ჩვენც შეგვეშინდა და ტაძარში შევცვივდით ყველა,  
 აზრი არ ჰქონდა გულადობას, ხმალსა და მაჯას.  
 მაგრამ ის მაინც არ დაიბნა, მტკიცე მარჯვენით  
 ეტლი ადგილზე გააშეშა თეზესის შვილმა,  
 შემართა შუბი, ნამდვილ გმირებს როგორც სჩვევიათ,  
 და ურჩხულს ფერდი შეუნგრია და შეუღეწა.  
 მაგრამ ურჩხული გადარია ტკივილმა სულმთლად,  
 უფრო აღმუვლდა, მიუჩოჩდა ცხენებს ფეხებთან  
 და ქვესკნელივით საშინელი დააღო ხახა  
 და ცეცხლთან ერთად შავი სისხლიც ამოანთხია.  
 მაშინ კი დაფრთხნენ იპოლიტის ფიცხი ცხენები,  
 ვერც პატრონის ხმამ შეაჩერა და ვერც აღვირმა,  
 გადაირივნენ, შეეღებათ ლაგამი სისხლით,  
 გევონებოდათ უხილავი ღმერთი სდევნიდათ.  
 და აი, უკვე კლდეებს შორის მიჰქროდა ეტლი,  
 გადატყდა ღერძი, აისხლიტა ქვები ბორბალმა.  
 მან კი ბოლომდე არ გაუშვა სადავეს ხელი,  
 არ გაიხლართა სადავეში სანამ თვითონაც.



გამოეცალა ფეხქვეშ ეტლი, სულმთლად დაშლილი, ოხ, მაპატიე ეს ცრემლები, მაგრამ სიკვდილზეც შემზარავია, რაც ვიხილე მე უბედურმა.

მე ვნახე, როგორ მიათრევდნენ თქვენს შვილს ცხენები, თავის ხელით რომ გამოკვება, თვითონ რომ ზრდიდა. ეძახდა თავის ერთგულ ცხენებს, მაგრამ ისინი უფრო დააფრთხო, გააცოფა მისმა ძახილმა.

მისი სხეული უზარმაზარ ჭრილობად იქცა. მიდამო შესძრა ჩვენმა მოთქმამ, ჩვენმა ყვირილმა. ბოლოს კი დაცხრნენ, დაიოკეს ლტოლვა ცხენებმა, მოიკლეს ჟინი და შეჩერდნენ იმ ძველ სამართან სადაც ზვიადად განისვენებს ნაშთი მეფეთა.

ჩვენც გავიქეცი, მივაშურეთ იმ ადგილს ყველამ. სისხლი და ხორცის ნაფლეთები გზას გვიჩვენებდა, წითლად ელავდნენ ბასრი ქვები, ხოლო ბუჩქებზე მისი სამოსის ნაგლეჯები და თმა ეფინა.

მე ძლივს მივფორთხდი, თან ვეძახდი და აი, ღმერთო... გამოიშვირა ჩემკენ ზელი, ძლივს გაახილა ჩამქრალი თვალი, შემომხედა და ჩუმად მითხრა: „ვკვდებიო, მაგრამ უსამართლოდ ვკვდებიო მართლა. შენ გაბარებო არიციას და მამაჩემმა თუკი როდისმე იგლოვოსო თავის შეცდომა, რომ დაისვენოს ჩემმა სისხლმა და ჩემმა სულმა.“

შენც უთხარიო, არიცია შეიწყალოსო, დაუბრუნოსო...“ ამ სიტყვაზე კიდევ გათავდა. და ჩემს მუხლებზე გმირის გვამი ესვენა მხოლოდ, ის, რაც ვაღარჩა განრისხებულ ღმერთების რისხვას. საბრალო ნაშთი, ვერ იცნობდა მშობელი მამაც.

ჩემივე ხელით მოვიკვეთე იმედი ყველა. რატომ აჩქარდი ულმობელო! ჩემი ცხოვრება ერთ გაბმულ ტანჯვად და წამებად იქცა დღეიდან.


უეცრად თვითონ არიცია დამადგა თავზე; გამოქცეული უსამართლო ზიზღს და ტყვეობას, მოვიდა, რათა გაყოლოდა იპოლიტს ცოლად. მაგრამ რა დახვდა, დაფლეთილი სხეული მხოლოდ. დახვდა, თუმცა ჯერ ვერ მიხვდა, ვერ დაიჯერა, მაგრამ როდესაც შეაღწია მის გონებაშიც მკაცრმა სიმართლემ, გაუშეშა სახე უეცრად, ცას მიაშტერა საყვედურით სავსე თვალები და გულწასულმა ჩაიკეცა გმირის ფეხებთან, რომ მზის სინათლე არასოდეს აღარ ეხილა.

თავზე ადგია უბედური ისმენე ახლაც, რომ მოაბრუნოს საწამებლად და სატანჯველად. მე კი აქეთკენ წამოვედი, რომ გადმომეცა კეთილმა სულმა სიკვდილის წინ რაც დამიბარა. დღეიდან ვიხსნი მე ყოველგვარ მოვალეობას, ამქვეყნად მხოლოდ ერთადერთი ვალიდა დამრჩა:

თ ე ზ ე ვ ს ი

ტ ე რ ა მ ე ნ ი

იმას მივხედო, ვინც მომანდო ჩემმა გაზრდილმა  
აგერ მტარვალიც, გაიხარა მოსისხლე მტერმა...



**გამოსვლა მეზვიდე**

თეზესი, ფედრა, ტერამენი, პანოპე

თეზესი

რამ გაგაჩუმა! იზეიმე, აღარ მყავს შვილი!  
ტყუილად როდი მეშინოდა, სულს და გონებას.  
ტყუილად როდი მიწეწავდა ეს წინაგრძნობა!  
მაგრამ ის უკვე აღარ არის და რა აზრი აქვს  
ახლა სიმართლეს, იზეიმოს დაე, ტყუილმა.  
სიმართლეს ველარ დამიბრუნებს შვილის სიცოცხლეს,  
პირიქით, უფრო ჰომიმატებს შხამსა და ურვას.  
გამარჯვებული ამ ბრძოლაში შენა ხარ მხოლოდ,  
წადი, ნადავლი ჩაიბარე. მე კი დღეიდან  
ვერ გაგჩერდები, ვერ ვიცოცხლებ თქვენს სიახლოვეს,  
უნდა გავექცე ჩემი შვილის აჩრდილს სისხლიანს,  
რომ ქვეყნის წყევლა მომყვებოდეს ლტოლვილს

კვალდაკვალ-

ფედრა

მაგრამ სად უნდა დავიმალო, ჩემი სახელი  
მთელ ქვეყანაზე მოფენილა კვლავ ჩემდა ჭირად.  
მძულს ყველაფერი, არც ღმერთების წყალობა მინდა,  
გამოვიგლოვებ და მოვუვლი ტკივილს თვითონაც.  
რა უნდა ვთხოვო ანდა ღმერთებს, რაც დღეს წამართვეს  
იმას ვერასდროს და ვერაფრით ვერ შემიცვლიან.  
თეზესს, მე ველარ გაგჩუმდები და შენც იცოდე,  
რომ მართალია შენი შვილი, მისი ცხოვრება  
არ შებღალულა არასოდეს.

თეზესი

ოხ, უბედურო!  
მე კი შენს სიტყვებს დავუჯერე, რომ დამელუბა!  
ბოროტო, გულქვავე! ახლა მაინც რას მოიგონებ...

ფედრა

ყოველი წუთი ძვირფასია, თუ შეგიძლია  
ყური დამიგდე: შენი შვილის ნათელი ზეცა  
წაბიწვა ჩემმა ცოდვიანმა და ხარბმა თვალმა.  
ენონას ენამ გააკეთა, რაც მერე მოხდა.  
მას ეშინოდა, რომ იპოლიტს არ გაემხილა  
ეს სამარცხვინო და ბინძური გრძნობა და ვნება,  
ჩემი სისუსტით, რა თქმა უნდა, მეც მივეხმარე,  
და უკუღმართად დაგიხატა შვილის ბუნება.  
ის დაისაჯა. ჩემი რისხვით შეშინებულმა  
ცოდვილი სული მოიშორა უფრო იოლად.  
მეც მსურდა ხანჯლით გამეგმირა ეს ბილწი გული,  
მაგრამ წყვილიაღში დარჩებოდა სიმართლე მარად.  
მე მინდა შენს წინ ჩემი ცოდვა მოვინანიო  
და მერე მშვიდად შევეუერთდე ქვესკნელის წყვილიადს.  
ჩემს სისხლში უკვე გამჯდარია ძლიერი შხამი,  
ერთხელ ათენში მედემ რომ ჩამოიტანა.  
აი, გულზედაც შემომენთო ის შხამი უკვე






საქართველოს  
წიგნიერების  
და ბიბლიოთეკების  
დაცვის კომიტეტი

და გული უკვე ამომივსო სამარის თოვლმა,  
ჩემგან გულმოკლულს ველარ ვხედავ ჩემს მეუღლესა  
უკვე წყვილიაღში გაეხვია ჩემთვის ქვეყანა.  
აი, სიკვდილის შავი ლანდი წინ ამეფარა,  
რომ მზის სინათლე არ წაბილწონ ჩემმა თვალებმა.  
მოკვდა! გათავდა!

პ ა ნ ო პ ე  
თ ე ზ ე ე ს ი

მაგრამ ხსოვნას მაინც შერჩება  
ეს არნახული უხამსობა და ბორბტება.  
წავიდეთ, კარგი გაკვეთილი გვაჩვენა ბედმა,  
ცრემლად და ფიქრად ყველა ჩვენგანს დიდხანს გვეყოფა.  
წავიდეთ, გულში ჩავიხუტოთ წმინდა ცხედარი,  
მდუღარე ცრემლით ჩამოვრეცხოთ ყალბი ბრალდება  
და ვცეთ პატივი ღირსეული, როგორც წესია,  
გამოვისყიდოთ უმეცარი რისხვა და წყევლა.  
და რომ დამშვიდდეს ბობოქარი შვილის აჩრდილი,  
დღეიდან მისი გულისწორი ჩემი შვილია.

თარგმნა ოთარ ზილაძემ.



## ჯიშის ჯოისი

### ჯაკომო ჯოისი

დიდი მწერლის საოჯახო არქივში იშვიათად თუ შემოინახება გამოუქვეყნებელი ნაწარმოების ხელთნაწერი. და თუ ეს მოხდა, მისი აღმოჩენა და პუბლიკაცია მუდამ სენსაციურია ხოლმე.

ჭეიშ ჯოისის (1882-1941) შემოქმედებითი მემკვიდრეობა დიდი ხანია გამოქვეყნებული და საგულდაგულოდ შესწავლილია. მიუხედავად ამისა, გასული წლის იანვარში, ჯოისის ცხოვრების უამთადმწერმა და მისი შემოქმედების მკვლევარმა რიჩარდ ელმანმა გამოაქვეყნა მწერლის უცნობი ხელთნაწერი, რომელიც მან ტრიესტში დასტოვა და რომელიც შემოინახა მისმა ძმამ სტანისლოსმა. შემდგომში ხელთნაწერი შეუძენია ვილაც ევროპულ კოლექციონერს, რომელმაც ამჯობინა ინკოგნიტო დარჩენილიყო.

ხელთნაწერი ჯოისის მიერ გულმოდგინედ არის გადაწერილი და შეადგენს თექვსმეტ გვერდს. იგი უსათუროა და ზემოთა მარცხენა კუთხეში სხვა ხელით მიწერილი აქვს „ჯაკომო ჯოისი“. ჭეიშ ჯოისის სახელის ეს იტალიური ფორმა, რომელიც მას არასოდეს არ გამოუყენებია, ამ ახლადაღმოჩენილი ხელთნაწერის სათურად იქცა. ეს მით უფრო გამართლებულია, რომ ჯოისის ეს ნაწარმოები აშკარად ავტობიოგრაფიულია. მისი გმირი ქალი ჯაკომოს მიმართავს „ჭეიშო“, „ჯიში“, ხოლო ერთგან მწერლის მეუღლის სახელიც კი მოიხსენიება „ნორა“. დასახელებულია აგრეთვე თვით ჯოისის ნაწარმოებები.

ისტორიული რეალიები, რომლებიც ხელთნაწერში გვხვდება, იძლევა საშუალებას ვიფიქროთ, რომ იგი დაწერილია „ახლგაზრდა მხატვრის პორტრეტის“ დასრულების პერიოდში. ელმანი მას უყუყუმანოდ 1914 წლით ათარიღებს (იმ უტყუარი ფაქტების შესახებ, რაც ხელს უწყობს ხელთნაწერის დათარიღებას, იხ. თარგმანის ტექსტის კომენტარები).

„ჯაკომო ჯოისი“ მოგვითხრობს (თუკი შეიძლება ამ შემთხვევაში ტრადიციული, ჯოისამდელი პოეტის ეს ტერმინი ვიხმაროთ) ნაწარმოების გმირის ღტოლვაზე თავისი მოწაფისადმი. ცნობილია, რომ ჭეიშ ჯოისი ტრიესტში ინგლისურ ენას ასწავლიდა და ამ ნაწარმოების გმირი ქალის პროტოტიპი გახდა მისი ერთ-ერთი მაშინდელი მოწაფე ამალია პოპერი, ლეოპოლდო პოპერის ასული, შემდგომში მიკელე რიხოლოს მეუღლე. ვარაუდობენ, რომ ამალიას მამა შეიძლება ჯოისის „ულისეს“ ცნობილი გმირის ლეოპოლდ ბლუმის პროტოტიპი ყოფილიყო, თუმცა არავითარი ვარეგნული პორტრეტული მსგავსება მათ შორის არ შეიმჩნევა. ამალია გარდაიცვალა ფლორენციაში 1967 წელს. მისი ქმარი იხსენებს, ამალია ჯოისის მოწაფე 1907-1908 წლებში იქნებოდაო.

რა თქმა უნდა, გამოქვეყნებულ ხელთნაწერის მნიშვნელობა დიდად სცილდება მასში ასახული ფაქტების სანდოობას. „ჯაკომო ჯოისი“ ჭეიშ ჯოისის შემოქმედების მნიშვნელოვანი ფურცელია.

„მხატვრის პორტრეტის“ მეხუთე თავი, რომელიც ჯოისმა 1914 წლის 11 ნოემბერს დაასრულა, ბევრ ადგილს შეიცავს „ჯაკომო ჯოისიდან“. როგორც ჩანს, ჯოისმა გადაწყვიტა „განე-

ძარცვა: „საკუთარი ხელთნაწერი და მისი ცალკეული პასაჟები გამოიყენა არა მარტო „პორტრეტში“, არამედ „ულისეში“, პიესაში „განდენილი“ და თვით „ფინეანის ქელეხშიც“ კი. მაგრამ „ჭაკომო“ საკმაოდ დამოუკიდებელი, ორიგინალური, საინტერესო ნაწარმოებია, თავისებური „მოკლე რომანის“ აღმოჩენა.

„ჭაკომო ჭოისის“ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით არსებული მრავალი გამგონებებისა და მოვიყვან ორ მეტად ზუსტ შეფასებას. „ნიუ იორკერში“ მწერალი ჯონ ანდჰიკი წერს:

„ჭაკომო წარმოადგენს ისეთ წერტილს, რომელშიც ლირიკული ფორმა — „წამიერი ემოციის უმარტივესი სიტყვიერი ქარა“ — იქცევა უმარტივეს ეპიკურ ფორმად, „როცა ხელოვანი განაგრძობს საკუთარ თავზე, როგორც ეპიკური მოვლენის ცენტრზე, ფიქრსა და მსგელოვანს... ხელოვანის პიროვნება თვით თხრობას შერევია და ცოცხალი ზღვის მსგავსად დასტრიალებს პერსონაჟებსა და მოქმედებას!“. „ჭაკომო არა მარტო ულისეს ტრიუმფის მომასწავებელია, არამედ მისი ზღვარისაც“.

დეი თორპი „უოშინგტონ სანდი სტარში“ აღნიშნავს:  
„ხშირი არაა, როცა დიდი მწერალი სიკვდილის შემდეგ გვიბრუნდება დასრულებული და ბრწყინვალე ნაწარმოებით. ჩვეულებრივ მის საწერ მაგიდაზე ახლად აღმოჩენილი ფურცლები იმდენად უმინშენილო რამაა ხოლმე, რომ მათი აკრეფაც კი არ ღირს. მხოლოდ როგორც წმინდანის რელიქვია. „ჭაკომო ჭოისის სულ სხვაა; ეს მოკლე ნაწარმოებია, მაგრამ არა მცირედს პირველხარისხოვანი ჭოისის“.

სიკვდილის წინა ხანებში ჭოისს უთქვამს, მინდა რაიმე უბრალო და მოკლე დაწერო. იქნებ მწერალი საგულდაგულოდ გადაწერილი და შენახული „ჭაკომო ჭოისის“ შევსებას, ამ პატარა, სათუთი ნაწარმოებისათვის უფრო თამამი, დამოუკიდებელი არსებობის მინიჭებას გულისხმობდა.

ყველაზე მთავარი ამ ნაწარმოებში, ჩენის აზრით, მინც ის არის, რომ იგი თავისებურად ხსნის, ახლებურ მუქს ფენს ჭიმიჭო ჭოისის შემოქმედებით ბიოგრაფიას.

„დუბლინელების“ დამთავრების შემდეგ და „მხატვრის პორტრეტზე“ მუშაობის პერიოდში ჭოისი თანდათან უფრო და უფრო უღრმავდება ახალი მხატვრული მეთოდისა თუ ნოვატორული მხატვრული ხერხების რთულ ერთობლიობას, რასაც „ცნობიერების ნაკადი“ ეწოდა. შინაგანი მონოლოგის ტექნიკა თანდათან ახალ თვისებას იძენს, რაც იმაში გამოიხატა, რომ ევროპული რომანისტიკის ახალი მიმდინარეობების წარმომადგენლებმა (და უპირველეს ყოვლისა თვით ჭოისმა) დაიწყეს ახალი დროის ადამიანის ქაოტური აზრებისა და განწყობილების გამოხატვის ახალი გზების ძიება. უპირველეს ყოვლისა კი საჭირო იყო ერთი შეხედვით უწესრიგოდ მოწოლილ, ქაოტურ ასოციაციათა შინაგანი მხატვრული ორგანიზაცია. „ჭაკომო ჭოისის“ დაწერის პერიოდში მწერალი უფრო დრამა ინტერესით ეკიდება თავისი დროის ახალ ფსიქოლოგიურ მოძღვრებებს და შემოქმედებით ლაბორატორიაში გამოიმუშავებს პერსონაჟების ფსიქოლოგიური განწყობისა და მათი მოქმედების მოტივირების ერთიან ძაფზე აკუმის ხერხს. „ჭაკომო“ ამ მხრივ ჭერ კიდევ „ულისეს“ არ არის, მაგრამ მასში, შესაძლოა უფრო მეტად ვიდრე „პორტრეტში“, განხორციელდა გარეგანი — თხრობითი ელემენტების დაქვემდებარების პრინციპი ნაწარმოების გმირის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფსიქოლოგიური ზეშთავონების და თვითმხილებაზე მისული თვითანალიზის შინაგან ლოგიკისადმი.

ჭაკომოს ძლიერი ფიზიკური ლტოლვა თავის მოსწავლისადმი, რომელსაც ის ხან აღმერთებს, როგორც უმანკო ასულს, ხან ოდნავ დაცინის, როგორც ამპარტავან არისტოკრატს, ხან წარმოიდგენს გათხოვლს, „გამოცდილ“ ქალად, გადმოცემულია ჭოისის მიერ დიდი მხატვრული ემოციურობით და ამავე დროს, ერთგვარად, თვით ჭოისისათვისაც კი ახალი მწერალური მანერით: ოცდათორმეტი წლის ჭოისის ახალგაზრდობის დაკარგვით გამოწვეულმა წუხილმა, რამაც ადრეული პოეტური ცდები გაახსენა და განაპირობა მისი გატაცება ახალგაზრდა „ბეატრიჩით“, არ შემოფარგლა მწერალი საკუთარი პოეზიის სენტიმენტალურ-რმანტიკული განწყობილებით, არამედ მისცა მას მდიდარი ფსიქოლოგიური მასალა მომავალი დე-პეროიზირებული, დე-რომანტიზირებული გმირის სტივენ დედალუსის ხასიათის კონტურების მოსახაზად. ამ მთავარი ის არის, რომ ჭაკომო ამ მხრივ კი არ იმეორებს „მხატვრის პორტრეტის“ სტივენს, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, საკუთარი გზით მიემართება „ულისესაკენ“.

„ჭაკომო ჭოისის“ გმირი ქალი კი — ხან დანტეს ბეატრიჩე პორტინარი, ხან შელის ბეატრიჩე ჩენტი, ხან სინიორინა პოპერია, მაგრამ მულდამ ჩენი საუკუნის მხატვრის მიმქარალი ოცნებისა და ფხვქვეშ გამოცდილი რეალური ნიადაგის განსახიერებაა.

„ჭაკომო ჭოისის“ მოხდენილი პრელუდიაა „ულისესი“, რომელშიც თავის მხრივ, როგორც ტომას ელოტი ამბობს, ჩენმა საუკუნემ თავისი გამოხატულება პოვა. ესეც იკმარებდა იმისათვის, რომ ჭიმიჭო ჭოისის „ახალი“ ხელთნაწერის აღმოჩენა და გამოქვეყნება დიდმნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენად მიგვეჩნია.

ვინ? ფერმკრთალი სახე მძიმე სურნელოვანი ბეწვეულით შემოვლებული. მისი მოძრაობა მორცხვი და ნერვიულია. ხმარობს ლორწეტს.

დი ახ: მეყსეული მარცვალი. მეყსეული ჩაცინება. წამწამების მეყსეული ხამი.

აბლაბუდა ხელთნაწერი, გრძლად და ლამაზად გამოყვანილი, წყნარი ქედ-მალღობითა და მორჩილებით აღსავსე: წარჩინებული ახალგაზრდა.

ნელთბილი საუბრის მსუბუქ ტალღას ავყვით: სვედენბორგი<sup>1</sup>, ფსევდო-არეოპაგელი<sup>2</sup>, მიგუელ დე მოლინოს<sup>3</sup>, იოაჰიმ აბასი<sup>4</sup>. ტალღა დაიშრიტა. მისი სკოლის ამხანაგი გაპრანქულ სხეულს შეარხვეს, უხერხემლო ვენტურ-იტალიურ ენაზე დაიქნაველბს: **Che coltura!**<sup>5</sup> გრძელი წამწამები ახამხამდება: თვალის ხა-იერდოვან ფერად გარსში ანთებული ნემსისწვერი იჩხვლიტება და კრთის.

მაღალი ქუსლები ყრუდ მიაბაკუნებენ ქვის საფეხურებზე. ცივი პაერი ციხე-დარბაზში, აბჯარ-მუზარადის საფრთხობელები, რკინის უხეში სანათურები კოშკის დახვეული კიბის მოსახვევეებში. მოკაკუნე, მობაკუნე ქუსლები, მაღალი და ყრუ ხმა. ქვემოთ ვილაცას თქვენს მოწყალებასთან სურს საუბარი, ქალბატონო.

ცხირს არასოდეს იხოცავს. საუბრის ფორმა: მცირედი დიდის სათქმელად.

დამრგვალებული და მომწიფებული: შიდაწოდებრივი ქორწინებების დაზგაზე დამრგვალებული და მისი მოდგმის განკერძოებულობის სათბურში მომწიფებული.

ბრინჯის ყანა ვერჩელის მახლობლად ზაფხულის რძისფერ ბუღში. ქუდის დახრილი ბოლოები მის ყალბ ღიმილს დაჩრდილავს. ჩრდილები დასერაეს მის ყალბად მომღიმარ სახეს, ცხოველი რძისფერი შუქით განათებულს, ჩამუჭებულ შრატისფერი ჩრდილები ყვრიმლის ძელებთან, კვერცხისგულა-ყვითელი ზოლები დანამულ წარბზე, მძაღე ყვითელი იუმორი თვალის დარბილებულ გუ-გაში ჩასაფრებული.

ყვავილი, ჩემს ქალიშვილს რომ უბოძა. მყიფე საჩუქარი, მყიფე მბოქებელი-მყიფე ცისფერძარღვება ბავშვი<sup>6</sup>.

<sup>1</sup> ემანუელ სვედენბორგი (1688-1772) — შვედი სწავლული და თეოლოგი.


<sup>2</sup> ფსევდო არეოპაგელი ანუ დიონისე არეოპაგელი — მეხუთე საუკუნის ქართველი მოაზროვნის პეტრე იბერიის ფსევდონიმი.

<sup>3</sup> მიგელ დე მოლინოს (1628-1696) — ესპანელი თეოლოგი.

<sup>4</sup> იოაჰიმ აბასი (1145-1202) — იტალიელი თეოლოგი.

<sup>5</sup> როგორი კულტურაა! (იტ.).

<sup>6</sup> ჯ. ჭოისის ლექსი „ყვავილი, ჩემს ქალიშვილს რომ უბოძეს“, დაიწერა ტრიესტში 1913 წ.



პაღუა შორს ზღვის გადაღმა. მდუმარე საშუალო საუკუნეები <sup>1</sup>, ღამე, ისტორიის წყვილიანი თველმს მთვარით განათებულ Piazza delle Erbe-ზე <sup>2</sup>. ქალაქს კინავს მდინარის ახლოს ბნელ ქუჩებში კიშკრის თაღებქვეშ მეძავის თფლი მოუშ მუშტარს დაეძებს. Cinque servizi per cinque franchi <sup>3</sup>. გრძობის ბნელი ტალღა, კიდეც და კიდეც და კიდეც.

წყვილიაღში თვალი ველარას ხედავს, ვერა.  
ძვირფასო, თვალი ველარას ხედავს.

კიდეც. მეტი აღარ. ბნელი სიყვარული, ბნელი დანადვლება. მეტი აღარ. წყვილი-ადი.

ბინდბუნდი. Piazza-ს გადადიან. რუხი საღამო ჩამოწვება გაშლილ შალამანდილ-ძწვანე საძოვრებზე და უჩუმრად დაღვრის მწუხრსა და ნამს. მოუქნელი გრაციით მისდევს ღეღამისს. ფაშატი მიუძღვის საფაშატე კვიცს. რუხი ბინდბუნდი ფაქიზად ძერწავს წვრილ და მოხდენილ თეძოებს, სათუთ მოქნილ ძარღვიან კისერს, ღამაზად მოყვანილ თავის ქალას. საღამო, სიმშვიდე, გოცების მწუხრი..... ჰეი! მეჭინბეე! ჰეი-ჰო! <sup>4</sup>

მამიკო და გოგონები გორაკიდან მოსრიალებენ, ცივაზე გადალაჯულნი: დიდი თურქი და მისი ჰარამხანა. მაგრად ჩაქუდებულ-ჩაქურთუკებულები, ფეხსაცმელი ოსტატურად შეკრული ჯვარედინი თასმით, სხეულით გამთბარი ენის ზემოდან, მოკლე ქვედატანი მრგვალ მუხლისკვრებზე შემოტკლეცილი. ქათქათა ნათელი: ფიფქი, თოვლის ფიფქი:

როცა შინიდან გამოვა გარეთ,  
შინდა შევხედო მეცა! <sup>5</sup>

იამბაქოს დუქნიდან გამოვვარდები და მის სახელს დავიძახებ. მობრუნდება და შეჩერდება ჩემი აბდაუბდა სიტყვების მოსასმენად ჯაკვეთილებზე, საათებზე, გაკვეთილებზე, საათებზე: და მისი მკრთალი ღაწვები ნელ-ნელა აენთება ლალის გაღვივებული შუქით. არა, არა, ნუ შეშინდებით!

Mio padre <sup>6</sup>; ის სულ უბრალო რამესაც გამორჩეულად აკეთებს. Unde derivatur? Mia figlia ha una grandissima ammirazione per il suo maestro inglese <sup>7</sup>. ხანდაზმული კაცის სახე, ღამაზი, ანთებული, აშკარა ებრაული ნაკვებითა და გრძელი თეთრი ბაკენბარდებით მომიბრუნდება, როცა ერთად ჩავივლით გორაკის ფერღობს. ო, შესანიშნავი ნათქვამია: თავაზიანობა, კეთილგანწყობილება: ცნობისმოყვარეობა, მინდობა, ეჭვი, ბუნებრივობა, ხანდაზმულობის უმ-

<sup>1</sup> მწელად გადმოსატანი ორბროვნება: ავტორი გულისხმობს საშუალო საუკუნეებსაც და გმირის საშუალო ასაკს.

<sup>2</sup> ბაზრის მოედანი (იტ.).


<sup>3</sup> ხუთი ვარჯა ხუთ ფრანკად (იტ.).

<sup>4</sup> „ჰეი! ჰეი-ჰო!“ — მარსელუსისა და ჰამლეტის. შემახილი, როცა ერთმანეთს დაეძებენ აჩრდილის სცენაში.

<sup>5</sup> უილიამ კაუპერის (1731-1800) ოდნავ შეცვლილი სტრიქონები.

<sup>6</sup> მამო ჩემო (იტ.).

<sup>7</sup> საიდან არის ეს? (ლათ.) ჩემი ქალიშვილი აღფრთოვანებულია თავისი ინგლისურ ენის მასწავლებლით (იტ.).



წეობა, თავდაჯერებულობა, გულდიობა, სინატიფე, გულწრფელობა, სიფრთხილე, პათოსი, თანაგრძნობა: შესანიშნავი ნაზავი. იგნაციუს ლოილა არიპა, მიშველე!<sup>1</sup>

ეს გული დაკოდილია და დამწუხრებული. უიმედო სიყვარული<sup>2</sup>

ვეება, ვენებიანი, ავბორცი ტუჩები: მუქ-სისხლიანი მოლუსკები.

მოძრავი ბურჟუაზი გორაკზე, როცა დამიდან და ტალახიდან ზევით ავიხედავ. დამბალ ხეებზე დაკიდული ბურჟუაზი. სინათლე ზემოთა ოთახში. თეატრში წასასვლელად იცვამს. სარკეში მოჩვენებებია..... სანთლები! სანთლები!

ნ ა ზ ი ა რ ს ე ბ ა. შუალამისას, მუსიკის შემდეგ, მთელი გზა სან მიკელეს ქუჩის აღმა, ალერსიანად ითქმოდა ეს სიტყვები, კარგი ერთი, ჯეიმში! არასოდეს გაგივლიათ დუბლინის ქუჩებში და გულანუყვებით არ წარმოგიტყვამთ სხვა სახელი?

ებრაელთა ცხედრები აწყვია ჩემს გარშემო და ლება თავის წმიდა ველის მიწაში<sup>3</sup>. აქ მისი ხალხის საფლავია, შავი ლოდი, უიმედო დუმილი.... მუწუკებიან-პა მისიელმა მომიყვანა აქ. იმ ხეებს უკან დგას ქუდიანი, ცოლის საფლავთან, რომელმაც თავი მოიკლა. დგას და უკვირს, თუ როგორ უნდა მისულიყო ასეთ ბოლომდე ქალი, რომელსაც მის სარეცელში ეძინა<sup>3</sup>.... მისი ხალხისა და მისი საკუთარი საფლავი: შავი ლოდი, უიმედო დუმილი და ყოველივე მზად არის. ნუ მოკვდები!

ხელებს ზემოთ სწევს და შავი მარმამის კაბის შებნევას ცდილობს კისერთან. არ შეუძლია: არა, არ შეუძლია. უკან-უკან იწევს ჩემსკენ უსიტყვოდ. ხელებს აწვევ, რომ მივეხმარო: ხელებს დაუშვებს. აბლაბუდასავით რბილი კაბის ბოლოები მიჭირავს და შეკვრისას, შავი მარმამის ჭრილობი ნარინჯისფერ პერანგში გახვეულ მის მოქნილ ტანს დავინახავ. პერანგი ბრეტელეებით მხრებზე სხლტის და ნელა ჩამოსძვრება: მოქნილი გადატყეცილი შიშველი ტანი ვერცხლის ქერქა აციმციმებს. ნელა სხლტის გლუვ, გაპრიალებული ვერცხლის მოხდენილ დუნდულეებზე და მათ ორნატზე, მქრქალი ვერცხლის ჩრდილი... თითები, ცივი და მშვიდი და მოძრავი.... შეხება, შეხება.

პატარა უაზრო უმწეო და სუსტი სუნთქვა. მაგრამ დაინარე და მიაცურე: ხმა. ბელურა ჯაგატანათს<sup>4</sup> ეტლქვეშ, მიწის შერხეული მრხეველი<sup>5</sup>. გეთაყვა, ბატონო ღმერთო, დიდო ბატონო ღმერთო! მშვიდობით, დიდო ქვეყნიერებავ!..... Aber das ist eine Schweinerei!<sup>6</sup>

<sup>1</sup> იგნაციუს ლოილა (1491-1556) იეზუიტთა ორდენის დამაარსებელი.  
<sup>2</sup> ჯოისი გულისხმობს ებრაელების სასაფლაოს (Cimitero Israelitico) ტრიესტში.  
<sup>3</sup> ვინმე ფილიპო მისიელის ცოლმა ადა ჰირშ მისიელმა თავი მოიკლა 1911 წლის 20 ოქტომბერს.  
<sup>4</sup> ჯაგატანათა — ღვთაება ვიშნუს ერთ-ერთი სახე (ინდ. მით.).  
<sup>5</sup> როგორც ჩანს, ჯოისი რობერტ გრინის ცნობილი გამოანთქვამის პაროდირებას ახდენს შექსპირის შესახებ: „სცენის ერთადერთი მრხეველი“.  
<sup>6</sup> ეს ხომ ღორბაა (გერ.).

უზარმაზარი ბავშვები მის მოხდენილ ბრინჯაოს ფეხსაცმელებზე: განებივრებული ფრინველის დეზები.

ბ ა ნ ო ვ ა ნ ი მ ი ი ჩ ქ ა რ ი ს, მ ი ი ჩ ქ ა რ ი ს, მ ი ი ჩ ქ ა რ ი ს... სუფთა პანერი მალღობ გზაზე. ტრიესტი ნოტიოდ იღვიძებს: მზის ნოტიოდ უშუქი მის უწესრიგოდ დახვავებულ ყავისფერ კრამიტთან სახურავებზე, კუს აბჯრები; სიქაგამოცილილი ხარაბუხების ხროვა ეროვნულ განთავისუფლებას მოელის. ბელუომო დგება თავისი ცოლის საყვარლის ცოლის ლოგინიდან: საქმიანი დიასახლისი დაფაცურობს, კვრინჩისთვალეზა, ძმრის მყავიანი ლამაჯით ხელში!... სუფთა პაერი და სიჩუმე მალღობ გზაზე: და ჩლიქები. გოგონა ცხენზე ჰედა! ჰედა გაბლერი!<sup>2</sup>

გამყიდველები თავის საკურთხევლებზე ახლადშემოსულ ხილს სთავაზობენ მყიდველებს: მწვანე-ლაქებიანი ლიმონები, ლალის ალუბლები, დარცხვენილი ატმები შემოფლეთილი ფოთლებით. ეტლი ჩაუვლის ტილოს დახლებს რიგს, ბორბლები ბრუნვაში დაძაბრმავებლად აბრიალებენ მანებს. გზა! მისი მამა ვაჟი-შვილთან ერთად ეტლში ზის. მათ ჭოტის თვალები და ჭოტის სიბრძნე აქვთ. სიბრძნე ჭოტისა მათი თვალებიდან იჭყიტება და მოიაზრებს Summa contra Gentiles<sup>3</sup>.

მას მიაჩნია, იტალიელი ჯენტლმენები სწორი იყვნენ, რომ ეტორე ალბინი<sup>4</sup>, Secolo-ს<sup>5</sup> კრიტიკოსი, პარტერიდან გამოათრის, რადგან ფეხზე არ ადგა, როცა სამეფო მარში დაუტრეს. ვახშამზე მოჰკრა ყური. ეპ. მათ უყვართ თავისი ქვეყანა, როცა საესებით დარწმუნებულნი არიან, თუ რომელი ქვეყანა იგი.

ისმენს: უადრესად კეთილგონიერი ქალწული.

მუხლის უეცარი მოძრაობით წამოხდელი ქვედატანი; თეთრი არშიით გაწყობილი პერანგი, ზომავზე მეტად აწეული; ფეხის მთელ სიგრძეზე დაჭიმული აბლაპუდა. Si pol?<sup>6</sup>

წყნარად ვუკრავ და ჯონ დაულენდის სევდიან სიმღერას ვლიდინებ. ა რ მ ი ნ დ ა გ ა ნ შ ო რ ე ბ ა. არც მე მინდა წასვლა. ის ხანა ჩემს წინაშეა. აქა ვნების წყვილიაღში გახელილი თვალები, აღმოსავლეთის აისს რომ დააბნელებენ, მათი ციმციმი — ქაფის ციმციმი, დორბლიანი ჯეიმზის<sup>7</sup> ჩასადენი ჰა ზემოდან რომ

1 ეს პასაჟი ოდნავ შეცვლილი სახით შეტანილია „ულისეში“.  
2 ჰედა გაბლერი — იბსენის იმავე სახელწოდების დრამის გმირი ქალი.  
3 „ჯამი წარმართთა წინააღმდეგ“ (ლათ.). თომა აქვინელის (1225-1274) ცნობილი თეოლოგიური ნაშრომი.  
4 ვახეთ „ავანტი“-ს მუსიკალური კრიტიკოსი (ჯოისი „ავანტი“-ს ცვლის „სეკოლო“-თი). ეტორე ალბინი ლა-სკალადან გააძევეს 1911 წლის 17 დეკემბერს.  
5 საუკუნე (იტ.).  
6 უფრო სწორი ფორმაა Si può — ნება მიბოძეთ (იტ.) პროლოგის პირველი სიტყვა ლეონკავალოს ოპერა „ჯამბაზეზში“.  
7 იგულისხმება მეფე ჯეიმზ სტიუარტი. ეს პასაჟი ჯოისს გამოყენებული აქვს „მახატრის პორტრეტში“.

მოიგდებს. აქ ქარვის ღვინოებია, ტკბილზმოვანი ჰანგების მომაცქდავი ცოდნე-  
ციები, ამაყი მენუეტი, კეთილი ბანოვანები, თავის აივნებიდან ტუჩების ცმა-  
ცუნით რომ არსიყობენ, ათაშანგით დამპალი როსკიებები და ახალგაზრდა ქალები  
ბი, რომლებიც მხიარულად ნებდებიან თავის მოძალადეებს და ვსუტებიან მათ.

ნოტიო რიდეგმოხვეული გაზაფხულის დილა. სუსტი სურნელება დასტრიალებს  
დილის პარიზს: ანისული, ნესტიანი ნახერხი, ახლადგამომცხვარი პური: და რო-  
ცა სენ მიშელის ხიდს გადავივლი, გამოღვიძებული მოლურჯო-ფოლადისფერი  
წყალი გულს მიციებს. იგი ეტყულაშუნება და ლოკავს კუნძულს, რომელზეც  
ქვის ხანიდან მოყოლებული ცხოვრობს ადამიანი..... მოყლალო-მოყავისფრო სევ-  
და გარგუიებით! გაწყობილ ეკლესიაში. ცივა, როგორც იმ დილას: quia frigus  
erat<sup>2</sup>. მალა, საკურთხევლის კიბეზე, შიშველნი, როგორც მაცხოვრის ტანი,  
უხასო ლოცვაში გამოტილან ღვთისმსახურები. უხილავი მთქმელის ხმა გაისმის.  
რომელიც წინასწარმეტყველ ოსედან კითხულობს. Haec dicit Dominus: in  
tribulatione sua mane consurgent ad me. Venite et revertamur ad Do-  
minum....<sup>3</sup> იგი ჩემს გვერდით დგას, ფერმიხდილი და გათოშილი, ცოდვაშავი ნა-  
ვის ჩრდილებში გახვეული, მისი წვრილი იდაყვი ჩემს ხელთან. მისი სხეული მა-  
შინდელ ნოტიო ბურუს-რიდეგმოხვეულ დილის ორთოლვას მაგონებს, აჩქარებუ-  
ლი ჩირაღდნები, დაუნდობელი თვალები. სული მისი მწუხარება, ცახცახებს და  
ტირილი მოსდის. ნუ დამიტირებ, ო, ასულო იერუსალიმისა!

ვუხსნი შექსპირს მოწადინებულ ტრიესტს: ჰამლეტი-მეთქი, ვეუბნები, რომე-  
ლიც მეტად თავაზიანად ეპყრობა დიდგვაროვანსა და მდაბიოს, მხოლოდ პო-  
ლონიუსთანაა უხეში. შესაძლოა, გაბოროტებულ იდეალისტს თავისი სატრფოს  
შზობლებში ბუნების მიერ მათი ქალიშვილის სახის შექმნის მხოლოდ გროტეს-  
კული ცდების დანახვა ძალუძს..... ეს შენიშნეთ? <sup>4</sup>

კორიდორის გასწვრივ ჩამივლის და მისი მუქი დაგრეხილი ნაწნავი სიარულში  
იშლება და ჩამოვარდება. ჩამოშლილი ნაწნავი. იგი ვერ ამჩნევს და ჩემს წინ  
ჩაივლის, სადა და ამაყი. ასე დადიოდა იგი დანტესთან სადა სიამაყით და ასე,  
სისხლითა და ძალადობით შეუბღალავი, ჩემჩნის ასული, ბეატრიჩე, თავის სიკვ-  
დილისაკენ მიეშურებოდა:

. . . . . შემეიარო  
ქამარი ჩემი და უბრალოდ გამინასკვე  
ნაწნავი თავზე წ.

<sup>1</sup> გარგუი — წყალსადინარი მილი, რომელსაც ფანტასტიკური ფიგურის სახე აქვს (გუთურ არქიტექტურაში).  
<sup>2</sup> რადგან ციოდა (ლათ).  
<sup>3</sup> ასე იტყოდა უფალი: კირსა შინა მათსა აღმსონ ჩემდამი მეტყველთა, წარვიდეთ და მივიქცეთ უფლისა მიმართ ღვთისა ჩვენისა (ლათ).  
<sup>4</sup> ლექციებს შექსპირის შესახებ ჯოისი კითხულობდა ტრიესტში 1912 წლის 4 ნოემბრიდან 1913 წლის 10 თებერვლამდე.  
<sup>5</sup> ბეატრიჩეს რეპლიკა შელის პიესაში „ჩენჩი“.



მოახლე მეუბნება, რომ მოულოდნელად საავადმყოფოში წაიყვანეს, poveretta<sup>1</sup>, რომ ძალიან იტანჯებოდა, poveretta, რომ ეს მეტად სახიფათოა..... კტორეტი... ცარიელ სახლს. ვგრძნობ, რომ საცაა ავტირდები. აჰ, არა! ეს არ მოხდება, არა! წამში, უსიტყვოდ, უნახავად. არა! არა! ძაღლის ბედი არ შინტყუნებს!

ოპერაცია გაუკეთეს. ქირურგის დანამ მის შიგნეულობას მიატანა, მერე უცებ უკან დაიხია და მთუელზე ახალი დაკბილული ღრმა ჭრილობა დასტოვა. ვხედავ მის სახსე შავ დატანჯულ თვალებს, ანტილოპას თვალებივით ლამაზს. ო, უწყალო ჭრილობა! ავხორცი ღმერთი!

და კვლავ თავის სავარძელში სარკმელთან, ბედნიერი სიტყვები მის ბაგეზე, ბედნიერი სიცილი. ავდრის შემდეგ მოჰიკვიკე ჩიტუნა, რომელიც ბედნიერია, რომ მისი პაწია სულელური სიცოცხლე ბნედიანი უფლისა და სიცოცხლის მომნიჭებლის ბრწყალვებს დაუსხლტა, ბედნიერად მოჰიკვიკე, მოჰიკვიკე და მოყდურტულე ბედნიერად.

იგი ამბობს, „მხატვრის პორტრეტი“ გულწრფელი რომ იყოს მხოლოდ გულწრფელობისათვის, მაშინ შემეკითხებოდა, თუ რატომ მივეცი წასაყითხად. მაშ შემეკითხებოდით, არა? განსწავლული ბანოვანი<sup>2</sup>.

შავებში ჩაძმული დგას ტელეფონთან. ნაწყვეტ-ნაწყვეტი მორიდებული ჩაცი-ნება, ნაწყვეტ-ნაწყვეტი წამოსლუკუნება, მორიდებული ლაპარაკი უეცრად შეწყვეტილი... Parlerò colla mamma...<sup>3</sup> მოდი! ჯუჯუ, ჯუჯუ! მოდი! შავ ვარიკელას ეშინია: მოკლე გამორბენა უეცრად შეწყვეტილი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი მორიდებული წამოსლუკუნება: თავისი დედიკო უნდა, ზორბა დედალი.

ოპერის ქანდარა. ნოტიო კედლებიდან ნესტის ოხშივარი ყონავს. სუნების სიმფონია ადამიანთა სხეულების ზედახორას შერევია: იღლიების დამპარებული სიმყარლე, ხარბად გამოხრული ფორთოხლები, მკერდის დამდნარი ნელსაცხებლები, დანამასტაქის სითხე, ნივრიანი ვახშმების გოგირდოვანი სუნთქვა, ფოსფორისსუნიანი მყრალი გაზები, ოპოპონაქსი<sup>4</sup>, გასათხოვრად მომწიფებული და გათხოვილი საქალეთის წრფელი ოფლი, კაცების საპნიანი სიმყარლე..... მთელი საღამო ვუცქერდი მას, მთელი ღამე თვალწინ მეყოლება: დაწნული და აკოკოლავებული თმა და ზეთისხილისფერი ოვალური სახე და წყნარი ნაზი თვალები. თმაზე მწვანე ხილაბანდი და მწვანით გაწყობილი კაბა ტანის ჯარშემო: ბუნების მცენარეული სარკის მირაჟის ფერი და ფერი ფუმფუშა ბალახისა, სატლავების თმა.

ჩემი სიტყვები მის გონებაში: ცივი სიბი ქვები, ჭაობში რომ იძირება.

<sup>1</sup> საბრალო (იტ.).

<sup>2</sup> ეს მსჯელობა საკითხზე — „გულწრფელობა გულწრფელობისათვის“ — იმაზე მიუთითებს, რომ ჯონის მოწაფეს წაკითხული ჰქონდა „მხატვრის პორტრეტის“ მესამე თავი, რომელიც მწერალმა მანქანაზე გადაბეჭდა 1914 წლის ივნისში.

<sup>3</sup> შინდა დედას ველაპარაკო (იტ.).

<sup>4</sup> პარფუმერიაში გამოსაყენებელი ფისოვანი სითხე.

ეს მშვიდი ცივი თითები ეხებოდნენ ფურცლებს, საზოზლარსა და მშვენიერს,<sup>1</sup> რომელზედაც სამარადისოდ ენთება ჩემი სირცხვილი. მშვიდი და ცივი და თითები. ნუთუ აროდეს შეუცოდიათ?

მის სხეულს არა აქვს სუნი: უსუნო ყვავილი.

კიბეზე: ცივი ნაზი ხელი: სიმორცხვე, სიჩუმე: მოთენთილობით ავსილი შავი თვალები: დაქანცულობა.

ნაცრისფერი ოხშივარის რგოლები დასტრიალებენ ვერან ადგილს. მისი სახე, როგორი ნაცრისფერი და მწუხარე! ნოტიო აწეწილი თმა. მისი ტუჩები ნაზად ეწებება, სუნთქვა ოხვრად აღმოხდება. კოცნა.

ჩემი ხმა, საკუთარი სიტყვების გამოძახილში ჩაზშული, კვდება მსგავსად დაუსაბამო ღმერთის სიბრძნით დაქანცული ხმისა, აბრამს რომ უხმობს მოგუგუნე მთებში. იგი ბალიშიან კედელს მიეყრდნობა: ჰარამხანას მხევალი განცხრომის წყვილიაღში. მისი თვალები ჩემს ფიქრებს შესვამს: და მისი ქალურობის სველ თბილ მიმნდობ გულდია სიბნელეში სული ჩემი, გალზობილი, ღვრის და აფრქვევს და მიაქანებს უხვსა და თხიერ თესლს..... ახლა წაიყვანოს, ვისაც უნდა!.....<sup>2</sup>

რალის სახლიდან<sup>3</sup> გამოვდივარ და უეცრად წავაწყდები მას, როცა ორივენი მოწყალებას ვაძლევთ ბრმა მათხოვარს. ჩემს მოულოდნელ მისალმებას ბასილისკოს შავი თვალების მიბრუნებით და არიდებით პასუხობს. E col suo vedere attosca l'uomo quando lo vede<sup>4</sup>. გმადლობთ სიტყვისათვის, მესერ ბრუნეტო.

ფეხქვეშ ნოხებს მიგებენ ძისათვის კაცისა. ელიან როდის ჩავივლი. იგი დგას დარბაზის ყვითელ ჩრდილში, მოსასხამი სიცივისაგან უფარავს დახრილ მხრებს: და როცა განცვიფრებული შევჩერდები და მოვიხედავ, ცივად მესალმება და კიბეებს აპყვება, თან მოთენთილი, დაელმებული თვალებიდან წამით მტყორცნის შავი შხამის ისარს.

რბილი დაკმუჭვნილი მუხუდოსფერ-მწვანე ფარდით მორთული საატუპრო ოთახი. ახლახან აქ პარიკმახერი ქალი იწვა. მე ვაკოცე მის წინდასა და ქანგისფერ-შავ მტერიან ქვედატანს. ეს სხვაა. ის. გოგარტი<sup>5</sup> მოვიდა წუხელ გასაცნობად. უ ლ ი ს ე ს გამო. ინტელექტუალური სინდისის სიმბოლო.... ესე იგი ირლანდია? ქმარილა? ბოლთას სცემს დერეფანში საშინაო ფოსტლებში ან საკუთარ თავს ჭადრავს ეთამაშება. რატომ დაგვტოვეს აქ? პარიკმახერი ახლახან აქ

<sup>1</sup> როგორც ჩანს, ჯოისი გულისხმობს კუდიანების სიტყვებს შექსპირის „მაკბეთის“ პირველი სცენიდან: „მშვენიერი — საზოზლარია, და საზოზლარი — მშვენიერი“ (მაჩაბელი ამ ადგილს განსხვავებულად თარგმნის).

<sup>2</sup> ეს პასაჟი გამოყენებულია „პორტრეტში“ და „განდევნილში“.

<sup>3</sup> ბარონი ამბროჯო რალი (1878-1939) — ტრიესტის შექმნებული მოქალაქე, რომელსაც ჰქონდა სასახლე პიაცა სკოროლაზე.

<sup>4</sup> მისი ერთი დანახვა წამლავს მის შემხედავს (იტ).

<sup>5</sup> ოლივერ ჯონ გოგარტი (1878-1957) — ირლანდიელი პოეტი, ჯოისის მეგობარი, ბაჟ მალიგანის პროტოტიპი („ულისე“).



იწვა და ხორკლებიან მუხლებს მიჰქერდა თავზე.... ჩემი რასის ინტელექტუალური სიმბოლო. ისმინეთ! ჩამოწოლილი წყვილიანი ჩამოინგრა. ისმინეთ! — დაწმენებული არა ვარ, რომ გონებისა და სხეულის ამგვარ ვარჯიშება არაჩანსალი ვუწოდოთ —

ლაპარაკობს. სუსტი ხმა ცივი ვარსკვლავების გადაღმიდან. სიბრძნის ხმა. ილაპარაკე! ო, კიდევ თქვი რამე, შემმატე სიბრძნე! ეს ხმა არასოდეს გამიგონია.

მოიკლაკნება ჩემსკენ დაჰმუჭვნილ ოთახში. ვერც ვინძრევი და ხმასაც ვერ ვიღებ. დაკლანილი საბედისწერო სხეულის მოახლოება. სიბრძნის სიძვა. არა. მე წავალ. წავალ.

— ჯიმ, ძვირფასო! —

რბილი მწუწნავი ტუჩები ჩემს მარცხენა ილიას კოცნიან: დაკლანილი კოცნა მირიად სისხლის ძარღვებზე. ვიწვი! ცეცხლოდებული ფოთოლივით ვიკრუნჩხები! ჩემი მარჯვენა ილიიდან აღის ნესტარი იეღებს. მბზინავმა გველმა მაკოცა: ცივი ღამისგველი. დავიდუბე!

— ნორა! —

იან პიეტერს სველინიკი.<sup>2</sup> ძველი პოლანდიელი მუსიკოსის უჩვეულო სახელი მთელ სილამაზეს უჩვეულოსა და შორეულს ხდის. ვუსმენ მის ვარიაციებს კლავიკორდისათვის ძველ პანგზე: ა ხ ა ლ გ ა ზ რ ღ ო ბ ა ს ს ა ზ ღ ვ ა რ ი ა ქ ვ ს. ძველი ხმების ბუნდოვან ბურუსში მბუტბავი სინათლის წერტილი გამოჩნდება: საცაა სულიც ალაპარაკდება. ახალგაზრდობას საზღვარი აქვს: საზღვარი აქვეა. ეს არასოდეს მოხდება. თქვენ ეს კარგად იცით. შერე და რა? წერე, დალახვროს ეშმაკმა, წერე ამის შესახებ! სხვა რისი მაქნისი ხარ?

„რატომ?“

„იმიტომ, რომ თუ ეგ არა, თქვენს ნახვას ვერ შევძლებდი.“

სრიალი — სივრცე — საუქუნეები — ვარსკვლავთა ფოთლოვანი ჩუქურთმა — და გალუული ზეცა — მღუმარება — და უფრო ღრმა მღუმარება — მღუმარება გაქრობისა — და მისი ხმა.

Non hunc sed Barabbam!<sup>3</sup>

მოუმზადებლობა. შიშველი ბინა. უღიმღამო დღის სინათლე. გრძელი შავი როიალი. მუსიკალური კუბო. ქალის ქუდი მის კიდებზე. წითელ ყვავილგარტობილი, და ქოლგა, დაკეცილი. მისი საგვარეულო გერბი: მუზარადი, წითელი ფერი, და ბლავვი მახვილი შავზოლიან ფარზე<sup>4</sup>.

შეგონება: გიყვარდე, გიყვარდეს ჩემი ქოლგა.


<sup>1</sup> ჯოისის ცოლისა და იბსენის „თოჯინების სახლის“ გმირის სახელი.

<sup>2</sup> უფრო სწორედ იან პიეტერ სველინიკი (1562-1621) — პოლანდიელი კომპოზიტორი.

<sup>3</sup> ნუ ეგე, არამედ ბარაბა (ლათ.) — „სახარება იოანესი“, 18, 40.

<sup>4</sup> შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ჯოისი აქ შექსპირის გერბს აღწერს, რადგან ყველა ნახსენებში პერალდიკური ელემენტი (მუზარადი, წითელი ფერი, მახვილი შავზოლიან ფარზე) სწორედ შექსპირის საგვარეულო გერბს შეადგენს. ჯოისი კი, როგორც ცნობილია, მეტად დაინტერესებულია „შექსპირული რემინისცენციებით“.





60  
წელი

\*

ო, არა გაზაფხულზე,  
ამ მზეში,  
ამ დარში!  
ო, არა გაზაფხულზე...  
ზამთარში, ზამთარში!

როცა კვდება მიწაც,  
კვდება ნელა, ნელა,  
როცა გარეთ ბნელა,  
როცა სულშიც ბნელა,

როცა სუსხი მეფობს  
ამ ბარში,  
ამ მთაში...

ო, არა გაზაფხულზე, —  
ზამთარში, ზამთარში!

## ენ ბ უ რ გ ე

მე მომენატრა  
ლექსში „ზაპესის“  
და „რიონპესის“ ახლად სსენება  
და შიშველ ლექსის  
და უსწრაფესის  
უბელოდ გზებზე გამოტყენება.

ჯერ უნათლავის,  
ჯერ ულოცავის,  
ჯერ უხედნელის,  
ჯერ კვლავ უგემის;  
ისევ ურჩის და შეუმოსავის,  
როგორც ჩემს ალალ სიჭაბუკეში.

მაგრამ ნაღდის და  
ჭირში უხრელის,  
დღეში გამტანის,  
ღნინში დამცველის,  
გაუტეხელის, მუხლმოდულელის,  
დაუზარელის, დაუქანცველის.

კვლავ ჩავუქროლო  
ჩემს ტკბილ მხარეში  
ჩვენს კლდის მტეხელებს,  
ჩვენს მხენელ-მთესველებს  
და კვლავ იმ ცეცხლით,  
კვლავ იმ თარეშით  
კარზე ვიკავებო ენგურპესელებს.



ო, არა გაზაფხულზე,  
 ამ მზეში,  
 ამ დარში,  
 ო, არა გაზაფხულზე...  
 სამთარში, სამთარში!

უკვე განვლილია ცხოვრების დიდი გზა, გამარჯვებებითა და სიხარულით-  
 ადამიანის ბედზე დაფიქრებითა და წუხილით, მომავლის რწმენითა და მომავ-  
 ლისთვის ნაღვაწით, ჭაბუკური გზნებითა და აღმაფრენით აღბეჭდილი გზა.

უკვე განვლილია ძიებათა და პოეტურ აღმოჩენათა, სიტყვასთან შერკინე-  
 ბისა და სიტყვის დათრგუნვის, ადამიანებთან და მოვლენებთან საკუთარი დამო-  
 კიდებულების დადგენის, ერის მსახურების, ბედნიერების წუთებისა და ბედ-  
 მრუდობის რთული და ძნელი ხანა და დღეს, სამოც წელს მიღწეული პოეტი  
 მძაფრი, დაუოკებელი სიცოცხლის სიყვარულით მიმართავს ბედსა და „წერა-  
 მწერალს“, მიმართავს ქედმოუდრეკი და ამაყი:

ო, არა გაზაფხულზე, სამთარში, სამთარში!

ზამთარი ჯერ შორსაა, ბატონო ირაკლი!

ამ ათი წლის წინ შეიქმნა შთაგონებითა და დაფიქრებით, ანალიტური ქვრე-  
 ტითა და სევდანარევი იმედით აღსავსე სტრიქონები „მიანლოებისა ნახევარ-  
 საუკუნესთან“. ეს იყო შემოქმედებით ზენიტს მიღწეული პოეტის ანგარიშგება  
 საკუთარი თავის, თაობისა და ხალხის წინაშე. ეს იყო თითქოსდა ზამთრის მოახ-  
 ლობა — თავისი ეპიური სიმშვიდით, გარემოსა და მოვლენების გულდინჯი  
 ქვრეტითა და მოლოდინით. მაგრამ ვის დაუდგია სამანი პოეტური სულის ინ-  
 ტენსივობისთვის... ქართველი მკითხველის წინაშე გადაიშალა ახალი პოეტური  
 სამყარო: ეროვნული კულტურის წიაღიდან დაძრული პოეტური ხილვების თა-  
 ნამედროვეობასთან ორგანულად შერწყმა; ერის ტრაგიკული წარსულის ღრმა  
 შეგრძნების შეერთება ხალხის განახლებულ ცხოვრებასთან; ღალადისი, მიტანი-  
 ლი ხალხის სულიერი ცხოვრების სამსხვერპლოზე.

ახალი საქართველოს მომღერალი ირაკლი აბაშიძე ქართველი ხალხის  
 უზენაესი გენიის, სულმნათი წინაპრის დაკარგულ ნაკვალევს მიყვება შორეულ  
 გზებზე და ძველი მონასტრის იდუმალ ბინდში კვლავ ნათდება შოთა რუსთავე-

ლის სახე, კვლავ ცოცხლდება ზვიადი ბრძენკაცის შეუმუსვრელი ნება, იმედი და წუხილი წუთისოფლის სიმუხთლეზე...

პოეტს ესმა ხმა ზეთისხილის ბაღში, თეთრ სენაკში, სამრეკლოსთან, კატამონთან... ხმა საუკუნეების მანძილზე შემონახული ტაძრის ცივსა და მშვიდ თაღებში; ეს იყო ლოცვა, ლოცვა ენისთვის, მაღალი აზრისთვის, კაცობისა და სამშობლოსათვის:

ჩვენს მართალ მამულს,  
მის კლდეთა დგომას,  
მის წყალთა დენას  
ეს ლოცვა ჩემი...

ირაკლი აბაშიძის შემოქმედება ჩვენი ხალხის განახლებული ცხოვრების პოეტური განსახიერებაა, მისი მიღწევებისა და აღმავლობის პოეტური მატრიანე. იგი, კომკავშირელი პოეტი, ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც შთაგონებით უმღეროდა სოციალისტური მშენებლობის დიად ხუთწლედებს. ედგა სათავეში უურნალ „ციცკრის“ წინამორბედ „ჩვენს თაობას“ და ახალგაზრდული ლიტერატურის საჭე ეპყრა ხელთ; მისი ომახიანი ხმა გაისმოდა სამამულო ომის გმირულ დღეებში და ხალხმა სიმღერად აიტაცა მისი ლექსები. წლების მანძილზე იყო ქართველი მწერლების მეთაური და დესპანი; მათი უფლებამოსილი და ნდობით აღჭურვილი წარმომადგენელი მსოფლიო მწერლობის წინაშე დიდი რუსთაველის საზეიმო დღეებში.

ირაკლი აბაშიძის მთელი ცხოვრება მაღალი პოეტური პრინციპების განხორციელების, აღმავლობისა და თავდადებული საზოგადოებრივი მოღვაწეობის მაგალითია... ესაა ცხოვრება პოეტის და ადამიანისა, რომელსაც ყოველთვის ღრმად ჰქონდა შეგნებული თავისი მოქალაქეობრივი ვალი, უტყუარად გრძნობდა თანამედროვეობის მაჯისცემას, იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა საბჭოთა საქართველოს მთელ კულტურასთან ერთად. იგი დღესაც მასზე მწრუნველი და მისი უანგარო მსახურია. დღესაც ერთი პირველთაგანია ერისკაცთა შორის, და ქართველი ხალხი მუდამ მოუთმენლად ელოდება მის ახალ სიტყვას და საქმეს.

ხოლო ზამთარი ჯერ შორსაა, ძალიან შორს!



## მერიკო ანჯაფარიძე

ჩემო ძვირფასო მეგობარო, ირაკლი!  
გილოცავ სიმწიფის წელს, შესანიშნავ ხანას, — როცა ყველაფერს აღიქვამ საოცარი სიმძაფრით, როცა სიცოცხლის ყოველი დღე ძვირი ხდება, როცა გულის სითბოს დაუზოგავად ხარჯავ! ბოლო წლებში შენ ჩემთვის მეორედ დაიბადე, ახალი ძალით, ახალი ელვარებით. იცოცხლე, ჩემო ძმაო, ძვირფასო შემომქმედო. დაე, ხვალინდელი დღე შენთვის უფრო მანათობელი ყოფილიყოს.

## ნიკა აბიაშვილი

ყოველნაირი კანონ-სამართალითა და ზუსტი ანგარიშით აქ უპრიანი იქნებოდა გამესხენებინა ირაკლი აბაშიძის რედაქტორული საქმიანობა „ჩვენი თაობისა“ და „მნათობის“ რედაქციებში და მისი ახლო ურთიერთობა-კავშირი რედაქციათა მაშინდელ მუშაკებთან და მწერლებთან. მაგრამ ამ საქმეს „ცისკრის“ ერთი ნომერი არც კი ეყოფა. ამაზე შეიძლება კარგა მოზრდილი წიგნიც კი დაიწეროს...

ახლა მხოლოდ მოკლედი მოვიგონებ ირაკლის ცხოვრება-შემოქმედების პირველ წლებს, როცა საშუალო სკოლის მერხიდან გადმოსული ყმაწვილი კაცი ჯერ პატარ-პატარა კორესპონდენციებს უგზავნიდა „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციას, შემდეგ თან ჩამოჰყვა იმ კორესპონდენციებს, ჩამოსვლისთანავე ჩაება ახალგაზრდა მწერალთა წრის მუშაობაში და ბავშვური გულწრფელობით ეხმარებოდა ყოველ ცოცხალ ლიტერატურულ მაჯისცემას.

1926 წლის დეკემბერში „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციასთან ჩამოყალიბდა ახალგაზრდა მწერალთა წრე, სადაც აღიზარდნენ და დაეჯაკცდნენ ჩვენი საბჭოთა მწერლობის მთელი რიგი ნიჭიერი ძალები. ისინი მგზნებარედ უმღეროდნენ რევოლუციის პირველი წლების ეპოქას. ჰქმნიდნენ ახალი ცხოვრების მშენებელი ადამიანის თავდადებული ერთუზიასტის შესანიშნავ ლამაზ სახეს.

ვუმღეროთ ბრძოლის ქუხილს და კივილს,  
ვუმღეროთ ქვეყნის მშენებელ ლაშქარს...

ეს სტრიქონები ვკუთვნის იმ წრის აქტიურ წევრს, მაშინდელ ახალგაზრდა დამწყებ პოეტს — ირაკლი აბაშიძეს.

შენახულია ამ წრის წევრთა სია (სხვადასხვა დროს აქ ირიცხებოდა 150-მდე



კაცი). ამ სიაში ანბანთა რიგი არაა თანმიმდევრულად დაცული, მაგრამ პირველი მაინც ირაკლი აბაშიძე წერია. თითქოს ასე დაებედა თავიდან.

ირაკლის მაშინდელ ლექსთა სათაურებია: მეუზოვე, მანვერები ქალაქგარეთ, წი თელი მფრინავი, ჩემი თბლიგაციები, ქსნის ხეობაში, მუშავამომგონი, ნეიტრალური პიროვნება, როცა ღამდება, ჩემი რეპორტიორობა, საუბარი რელიგიურ ნაშთებზე, ფიქრები სოფლად და სხვები.

თუ იმ წლების კრიტიკულ წერილებსა და, საერთოდ, მაშინდელ პრესაში გავრცელებულ ლიტერატურულ ტერმინოლოგიასა და გამოთქმებს მოვიშველიებთ და მივმართავთ, მრავალგზისი შეჯერებისა და მიგნების შემდეგ კონკრეტულიც შეიმჩნეოდა და ნიშნეულიც იყო, რომ, ახალგაზრდა ლირიკოსის ირაკლი აბაშიძის მიერ რედაქციაში წარმოდგენილ და გაზეთში დაბეჭდილ ნაწარმოებთა მიხედვით, იგი კარგი საიმედო პოეტი უნდა დამდგარიყო. ასეც მოხდა და გამართლდა ეს ვარაუდი. ამას ყველაზე უკეთ მეტყველებს მთელი მისი შემდგომი შემოქმედება, თვითონ მასავით შემართული და მაღალი.

რაც მახსოვს, ირაკლი სულ ასე მაღალი იყო. თავიდანვე ასე ტანკენარი და საკალათბურთელი აღნაგობის გახლდათ. სინორჩიდან ჯერ კიდევ გამოუსვლელს, გამხდარსა და კაფანდარას, ეცვა: ჩაჩნურად შეკერილი, სამაჯურებთან მაგრად შეკრული, ჯაროსასხელოებიანი თეთრი ან რუხი ტილოს ბლუზა, ვერეთ წოდებული „ბუტილკად“ გამოჭრილი ვიწრო და მოკლექტობიანი შავი შარვალი, ტილოს საზაფხულო „ტუფლები“ (ასე ვიცავამდით და ვიმოსებოდით მაშინდელი სტილიაგები!). ყველაფერი ეს წელზევით ძალზე მსხვილსა და ზორბას აჩენდა და იკარგებოდა სიმეტრიულობის შეგრძნება. ამხანაგები უკვირდებოდნენ და ვერ გაეგოთ: ამხელა ბიჭის რომელი ნაწილი იყო უფრო უკრძესი — წელზევითა თუ წელქვედა... შემდეგ, პოეტის კაი-კაი ლექსებთან ერთად, ისინი დაიხვეწნენ, თანდათანობით ჩამოყალიბდნენ და მივიღეთ ის ირაკლი აბაშიძე, როგორცაა დღეს: სახელოვანი პოეტი, დაუცხრომელი მოგზაური, ცნობილი საზოგადო მოღვაწე.

თმას ოსტატურად ივარცხნიდა მარცხნიდან მარჯვნივ, და იქ, მარჯვენა წარბს, ყოველთვის დასთამაშებდა მერცხლის ფრთა. მაშინაც ასე „სამ ადლზე ჰქონდა მკლავი გაშლილი“...


ირაკლის პირველი ლექსი „მეუზოვე“ დაბეჭდა 1927 წელს „ახალგაზრდა კომუნისტის“ 28 მაისის ნომერში. ეს იყო მისი პირველი გამოსვლა დიდ პრესაში. უკვე ორმოცდაორ წელზე მეტი ხანია მას შემდეგ...

„ახალგაზრდა კომუნისტის“ 1929 წლის 13 აგვისტოს ნომერში, „კომკავშირული მწერლობის“ სპეციალურ მე-3 გვერდზე მოთავსებულია ახალგაზრდა პოეტის ირაკლი აბაშიძის მეგობრული შარჟი. ქვეშ აწერია შემდეგი სტრიქონები მისივე ლექსიდან — „ფიქრები სოფლად“:

უცხოელს, მგონი, არ მიგავს სახე,  
ჯერ არც მოხუცის მეტყობა ხანი,  
მოველ და შრომის ქვეყანას ვაქვებ,  
თუმცა მგოსნობის არ ვჩემობ სახელს...

შარჟის ავტორია ახლა ცნობილი მხატვარი — აკადემიკოსი, მოსკოვის მკვიდრი, დიმიტრი ნალბანდიანი, — ინ ხანებში იგი ჩვენს რედაქციაში მუშაობდა. ირაკლი დასატულია ისე, როგორც ზემოთ აღვწერე: მარცხნიდან მარჯვნივ გადავარცხნილი თმა, გადმოსურული წარბები, წელში წახრილი, ფართო ხელები, წყალტუ ცხვირი.

მეტია ნალბანდიანმა იმ დღეებში ფაქტის ერთი მოსმით მოხაზა ამ მეგობრული შარჟის მსგავსივე ვარიანტი. რომელიც ამჟამადაც ინახება არქივში. ის უფრო ესკიზია, მაგრამ რამდენადმე, მაინც გადმოგვცემს მაშინდელი ირაკლის სახეს. ამ ნახატზე ეტყობა: აგვისტოს თბილისური ქერეთო სიციხისაგან შეწუხებულმა, ლასლასით ამოთავა რედაქ-



ციის 54-საფეხურიანი კიბე. ამოვიდა აივანზე, დაღლილ-დაქანცულს მუხლები ედრიკება და ოფლი წურწურით ჩამოსდის. ყოველთვის სახენათელსა და მომღიმარს ახლა ძალზე კუნტი გამომეტყველება აქვს...

იყო კიდევ ერთი ჩანაწერიც:

აბაშიძიანთ ყმაწვილი,  
ჩვენი ირაკლი ტანწვრილი,  
მოქნეულია ყანწივით...

მაგრამ ლექსის დანარჩენი სტრიქონები დაკარგულია.

ყოველთვის სასიამოვნო და საინტერესო იყო და არის ირაკლისთან გვერდიგვერდ ვაგლა და მგზავრობა. მაგრამ რუსთაველის მოედნიდან ლენინის მოედნამდე მასთან ერთად პროსპექტის ჩამოთავებას, მიუხედავად მისი განიერი ნაბიჯებისა, მთელი საათები უნდებოდა. მისი დამგზავრება მუდამყამს მიხაროდა: ხშირად გზადაგზა უამრავი ნაცნობ-მეგობარი ხვდებოდა, — შეაჩერებდნენ, გაუბამდნენ მასლაათს და მეც გამიცნობდნენ, თანაც ასეთ საუბარ-მუსაიფში უკვე შუადღე წამოვიდოდა და ნახევარი სამუშაო დღე დამთავრებული იყო. რედაქციაში მოგვიანებით მივიდოდი, რაც ხანდახან კარგი შედეგითი გახლდათ.

რასაკვირველია, ეს ხდებოდა მაშინ, როცა უფრო ხშირად ფეხით დადიოდა. მე-რე და მე-რე საღა მივიუდგებოდი! თუ მანქანაში არ იჯდა, ტუ-104 და სხვა მარკის თვითმფრინავები ბჟირივით ირეოდნენ ზეცაში და ისიც დანავარდობდა მთელ დუნიაზე გარდანქეშან აიარივით.

მოგზაურობა იმთავითვე იტაცებდა. თბილისში ჩამოსვლამდე ქარჩხაფელი ბიჭის-თვის დემარკაციული ხაზი იქვე იღო — გუბის წყლის პირას და ბომბუას ხიდთან. მგოსი, მანამდე ცხენისწყლის გაღმაც კი არ გასულა, ისე წამოვიდა დედაქალაქში ხონის, კუხის, მათჯოხის, ნახახულევის, დიდი ჯიხაიშის, მალაკის, ივანდიდისა და ახლონახლო სოფელთაგან მიღებული შთაბჭედილებებით დატვირთული...

1929 წელს რედაქციის რეპორტიორი რომ გახდა, თბილისი და მისი შემოგარენი გაიცნო, მე-რე დაიარა კასპი, კავთისხევი, ლამისყანა, მთელი ქსნის ხეობა. მაშინ, ალბათ, გურამიშვილის ნაკვალევს თუ ეძიებდა! ერთხელ ბორის ჩხეიძესთან ერთად ბორითსა და ამაშუკეთსაც კი ეწვია. იმდროინდელი ყველაზე დიდი ამბავი ირაკლის-თვის იყო გაზეთ „კომუნისტის“ სპეცკორობა სენაკის (ახლანდელი ცხაკაიას) მაზრის სოფლებში.

აი რამდენიმე სტრიქონი ერთი მაშინდელი წერილიდან, „ახალგაზრდა კომუნისტის“ თანამშრომლებს რომ გამოგვიგზავნა:

„...ამ წერილს სოფელ მარანში ვწერ, — სენაკის მაზრაში. აქეთ გაზაფხულია ლამაზი. დავდივარ და ვშრომებ ამ დროის ფუტკარივით. ხვალ მარტვილში მივდივარ, ვიყავი სენაკში და ვნახე ალიო ადამიასა და ფრიდონ ნაროუშვილის ნაცნობები. ნიკა, გენაცვალე ოქროსფერ ქოჩორში, შენი სურათი არ წამომიღია და ვილუპები უშენობით.. ბიჭო, წერილი მომწერეთ — მარანში, მოკითხვამდე. გიორგა ნატროშვილო და ალიო ადამიო — სალამნი თქვენდა!“

ამას იწერებოდა ირაკლი და ბარათს ასე აწერდა ხელს: „გაზეთ „კომუნისტის“ სპეცი, ესა და ეს კაცი...“

მაგრამ ეს პატარა მასშტაბის მანძილები იყო, არ აკმაყოფილებდა და სულ შორეულ მოგზაურობაზე ოცნებობდა. შემდეგ მწერალთა ყრილობებმა და სხვადასხვა პლენუმ-იუბილე-საღამოებმა ფრთები შეასხეს ამ ოცნებას. ომის დროს, და უფრო მე-რე, მთლად გაშორდა საქართველოს ფარგლებს. მახსოვს „მნათობის“ რედაქციაში მის მიერ სხვადასხვა მხრიდან გამოგზავნილი დეპეშები. ერთ-ერთ მათგანში წერია: „ვდგავარ თემურ-ლენგის საფლავთან და გესალმებით სამარყანდიდან“. მეორე ელვადეპეშაშია: „ვიმყოფები ტიან-შანის კალთებთან, გამოფრინდები ზუთ ამ თვეს“.

მერე მოსკოვი და კიევი, სამარყანდი და ტიან-შანიც აღარ ეყო, თანდათან ვაუტია და გაუტია. და, ბოლოს მიჰყვა იმ დიდებული რუსთაველის ნაკვალევს. — სად არ ეძია: ხან — განგესისა თუ ჰუძონის ნაპირებზე, ხან — ნიაგარის ჩანჩქერთან და გვიპტის პირამიდებთან... შემდეგ მიაკვლია და მიაგნო კიდევ დიდი მგოსნის ერთი ზონის ნაჟეზურს ჯვარის მონასტერში. მას მოღმა მისი ფიქრი და ოცნება იმ ტაძრის გარშემო ტრიალებდა, დღენიდაც არ ასვენებდა და საშველს არ აძლევდა. რაც იქ იხილა და განიცადა, იმ მშვენიერ ლექსებში გადმოიღვარა, ასე რომაა ახლ: განთქმული ქვეყნის ქვეყნად.

და განა მართო პალესტინასა და რუსთაველის ნაკვალევზე შექმნილმა და დაწერილმა ნაწარმოებებმა მოუპოვეს ეს სახელი! კიდევ რამდენი კარგი და კარგი ლექსი აქვს მას, რითაც დირსულად დაიმსახურა ქართველი ხალხის სიყვარული, აღიარება და პატივისცემა.

და ჩვენი ქვეყნის კვლავ რამდენ ახალ-ახალ, უფრო უკეთესსა და ჩინებულ სადიდებულ ჰიმნსა და სიმღერას მოელის მისგან მკითხველი, სანამ პოეტი წელთა დაღმართს დაეშვებოდეს...

ისეა იგი მიბმული მეგობართა გულებთან, ვერ შეეღვევა ამქვეყნად ვერაფერს, ვერ შეეღვევა თბილისის კარებს, აპრილის დილებს, ალაზნის ნაპირს, ინგილოურ ღამეებს, ვერაზე ახალ ბალთა შენებას, აყვავებულ გურიას, ხონსა და ქარჩხაფს, მიელ საქართველოს!

გუნატროთ ჩვენს კარგ ირაკლის დღეგრძელი სიცოცხლე. დაე, ყველგან და ყოველთვის პირველად ეწეროს მისი სახელი და გვარი ჩვენი დიადი ქვეყნის მოწინავე და რჩეულ ადამიანთა ნაირსახოვან სიაში!

## ელგუჯა აბაშიძე

მართო „პალესტინის ციკლი“ რომ დაეწერა ირაკლი აბაშიძეს, ისიც ეყოფოდა დიდი პოეტური სახელის მფობის. მის თავგაცობასაც თუ გაეცხსენებთ საზოგადო საქმიანობაში, საჯარო გამოსვლებს, პუბლიცისტურ წერილებს, სიტყვებს, ჩვენი პლანეტის ყველა პარალელზე და მერიდიანზე რუსთაველის სახელის მიტანაში მის წკლილსაც შევნიშნავთ, მაშინ ადამიანს, რომელსაც უყვარს თავისი ერის კულტურა და მის ავზეც და კარგზედაც ზოგჯერ რეაგირებს, არ გაუკვირდება ის დიდი სიყვარული და პატივისცემა, რითაც ირაკლი აბაშიძე ქართველ ხალხში სარგებლობს.

საქართველოს არასოდეს კლებია და არც დღეს აკლია მაღალნიჭიერი შემოქმედნი, რომელთა ნაღვაწი წარუშლელ კვალად აჩნევია ჩვენი ერის სულიერ მეგვიდრებობას, მაგრამ დღეს ბევრს როდი შეუძლია საკუთარი შემოქმედებისა და ინტერესების დონეზე დააყენოს საზოგადოებრივი საქმე და უმტკივნეულოდ გაიღოს თავის შემოქმედებისა და ცხოვრებისათვის „ძვირფასი“ დრო.

ირაკლი აბაშიძის, როგორც პოეტისა და საზოგადო მოღვაწისათვის არასოდეს ყოფილა დამახასიათებელი მოვლენების მიმართ ობიექტური სიყრუე და სკიმუნჯე. ის ყოველთვის იღბა და დგას დღესაც იქ, სადაც წყდება ჩვენი ერის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი პრობლემები.

60 წელი ადამიანისათვის ბევრიც არის და ცოტაც. ბევრია იმისათვის, ვისაც სიცოცხლის მიზნად მხოლოდ საკუთარი ფიზიკური კეთილდღეობა გაუხდია, ხოლო ადამიანისათვის, რომლის არსებობის მიზანს შემოქმედება და ხალხის სამსახური წარმოადგენს, 60 წელი ახალგაზრდული ასაკია. სულით და გულით მივესალმები შესანიშნავ ქართველ პოეტს და საზოგადო მოღვაწეს. ვუსურვებ მას მარადიულ ახალგაზრდობას შემოქმედებასა და ცხოვრებაში.



ირაკლი აბაშიძესთან ჩემს მეგობრობას ალბათ არ შეიძლება შემოქმედებითი მეგობრობა“ ეწოდოს: მე არასდროს არაფერი დამიწერია მის მშვენიერ ლექსებზე. და მაინც, ჩვენ დიდებული მეგობრობა გვაკავშირებს — უხინჯო და უანგარო მეგობრობა. ეს მეგობრობა ასაკითაც არის განმტკიცებული: მე მასზე ოდნავ უფრო ხნიერი „სამოციანელი“ ვარ. ახლა ირაკლიმაც გადმოაბიჯა ამ მიჯნას, გადმოაბიჯა შემოქმედებითი ენერგიითა და სურვილით სავესემ. ყოველგვარ საიუბილეო თარიღებსა და ღონისძიებებს მე მხოლოდ ერთი გამართლება შემიძლია მოვუწახო: იგი გვაძულვებს, მკაცრი კრიტიკოსის თვალთ გადავხედოთ საკუთარ წარსულს და, რაც მთავარია, გვიმდაფრებს პასუხისმგებლობის გრძნობას. ირაკლი აბაშიძეს შეუძლია კმაყოფილი იყოს — იგი ამ დღემდე ხელცარიელი არ მოსულა, მრავალი ღირსსახოვარა ლექსი და საქმე ამშვენებს მის წარსულ ცხოვრებას. სულითა და გულით მივესალმები ჩემს მეგობარს და, დარწმუნებული მის ელვარე ტალანტში, ვუსურვებ, ახალი შემოქმედებითი გამარჯვებებით გაეხარებინოს მისი მკითხველები, ახლობლები, მთელი ქართველი ხალხი!

ლადო გულიაშვილი

სიხარულის და სიყვარულის ღრმა გრძნობით მივესალმები ჩვენს ძვირფას ირაკლი აბაშიძის სამოცი წლის თარიღს. იგი გახლავთ ჩვენი სახელგანთქმული პოეტი, შესანიშნავი პროზაიკოსიც, ქართული კულტურის თავდადებული მშენებელი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, მგზნებარე პატრიოტი. ირაკლი აბაშიძის დაუცხრომელი შრომის ნაყოფია, დიდი ტალანტის მეშვეობით შობილი მისი ბრწყინვალე პოეზია, აღმაფრთოვანებული თავისი მძაფრი ტემპერამენტით, ნაზი და მჩქეფარე რიტმულობით, ვინ ჩამოთვლის რამდენი უბადლო შედეგური შეგვიქმნა მისმა მდიდარმა პოეტურმა ბუნებამ. „პალესტინა, პალესტინა“ ჩვენი ეპოქის უშესანიშნავესი ნაწარმოებია. ირაკლი აბაშიძემ თავის მოგზაურობით პალესტინაში და გამოკვლევებით, ჩვენი პოეტური მწვერვალის შოთა რუსთაველის ცხოვრების ირგვლივ ფასდაუდებელი ფურცელი ჩასწერა ერის კულტურის ისტორიაში.

ამჟამად ირაკლი აბაშიძე ნაყოფიერად, დიდი ინტერესით ხელმძღვანელობს საქართველოს საბჭოთა ენციკლოპედიას.

ვუსურვებ ჩვენს ძვირფას ირაკლის ჯანმრთელობას და მრავალ შემოქმედებით სიხარულს ჩვენი საბჭოთა კულტურის და პოეზიის სადიდებლად.

ნოდარ ღუმბაძე

კაპიტან ბუსაიძეზე სიმღერა რომ მოვიდა ჩემს სოფელში, 14-15 წლის ბიჭი ვიყავი. მღეროდა ყველა: რადიო, ბავშვი, ქალი, კაცი, მოსუცი, ახალგაზრდა. ომში მიმავალი, ომიდან ჩამოსული. მეც ვმღეროდი, ვმღეროდი და ვნატრობდი, მკვდარი ყოფილიყავი და ჩემზე ყოფილიყო ეს სიმღერა. ვმღეროდი და ვნატრობდი, ჩემი დაწერილი

ყოფილიყო ეს ლექსი. ვმღეროდი და ვნატრობდი, ამ ომში დაღუპული და მკურდურ მკლავდაკრეფილი ვუკაცის ან ძმა, ან შვილი, ან მეგობარი, ან ჯარისკაცი ვყოფილიყავი. ვმღეროდი და ვნატრობდი, ამის დამწერი მენახა და მერე მოემკვდარიყავი. მერე ისიც მინატრია, ნატურის თვალი მომცა, რომ ვინატრო და ეღირსოს საფლავიდან მხრების წამოწვევა-მეთქი.

მასხოვს, ერთხელ წისქვილში ღამეს ვათევდი, სამამულურ ომის ძალიან მძიმე წელი იყო. წიფნაგვარას წისქვილში მარტო მეწისქვილე ბაგრატი ქერქაძე და მე ვიყავით. გარეთ თოვდა...

— ნატურისთვალი რომ გქონდეს, რას ინატრებდი, ბიძია ბაგრატი? — ვკითხე კერძასთან მიფიცებულ მეწისქვილეს. იგი დაფიქრდა, დიდხანს ჩიჩქნა ნაღვერდალი ჯოხით, მერე რაღაცნაირად გაიღიმა. არ ვიცი, მე დამცინოდა, ნატურისთვალს თუ თავისთავს.

— ნატურისთვალი რომ მქონდეს, ნოდარი ბიძია, ჯერ იმას ვინატრებდი, აგი დოლაბი არ გამჩერებოდეს არასდროს, მერე იმას ვინატრებდი, აგი დასაწვაფი ომი მალე გათავდებოდეს და მერე იმას ვინატრებდი, ჩემი ბიჭი პეტრე ცოცხალი დამბრუნებოდეს. — თქვა მან.

— კიდევ რას ინატრებდით, ბიძია ბაგრატი? — ბაგრატი მეწისქვილე ისევ დაფიქრდა.

— მეტს არაფერს, ბიძია, — თქვა მან და ისევ გამიღიმა.

— რატომ? — ვკითხე გაკვირვებულმა.

— იმიტომ, ბიძი, რომ ნატურისთვალს მარტო სამი ნატურის შესრულება შეუძლია, მერე ძალას ჰკარგავს, ამიტომ, რასაც ინატრებ, ნატურად უნდა ღირდეს...

და მაშინ მივხვდი, რომ ჩემს ნატურას ერთი ნატურისთვალი არ ეყოფოდა...

მერე ერთი ნატურა „კაპიტან ბუხაიძის“ ავტორმა ამისრულა: გააცოცხლა იგი, წამოაწვეინა მხრები, ფრთები მისცა და სიმღერად აქცია მისი უკვდავი სული.

მერე მეორე ნატურაც ამისრულა: ამ ახოვანი, ლამაზი და სახელოვანი კაცის მეგობარი გაგხდი, კაცისა, რომელმაც 60 წელი იარა რუსთაველის ნაკვალევზე და ჰალესტინის ცის ქვეშ მიავნო მის მაღალ სულს.

ახლა, როდესაც ამ ერისკაცს 60 წელი უსრულდება, კიდევ ერთი ნატურა მაქვს: დმერთმა უმრავლეს ჩემს მამულს ირაკლი აბაშიძის ბადალი ხალხი და მისცეს მას დღე გრძელი.

ვიცი, ეს ნატურაც ამისრულდება.

## მურმან ლებანიძე

გილოცავ რა კიდევ ერთ შეღმართზე ავაკებას, შენს მაგივრად თვალს ვავლებ შენს განვილლ გზას, ვესროლე ტყვია საკუთარ ცენზორს („წარსულის საზიზღარ გადმონაშთს!“) რომელიც ყოველი ჩვენგანის კალმის წვერზე ზის, სამწუხაროდ! მინდა გულწრფელად გაგესაუბრო, ვითომც სასტამბო წერილს კი არ გწერდე, არამედ ჩაბნელებულ პალატში ბუხარს ვუჯდე შენზე ფიქრს აყოლილი.

ღვიძლი შვილი ხარ ჩვენი თანამედროვე საქართველოსი, ტიპიური წარმომადგენელი საბჭოთა ქართული ლიტერატურის. განუმეორებელი კაცი ხარ შენ შენი კერძო ადამიანური თვისებით, შენი წებოვანი მომხიბვლელობით, რასაც, საბედნიეროდ, შეუძლებელი იყო პოეზიაშიც არ ეპოვა თავისი ღრიჭო-გამოსახსივებელი.

გაგიცანი ოცდახუთი წლის წინათ. შენ მაშინვე გეცხო თავი და ხალხი ბუხივით გეხვია. ბრძოლის, შესლა-შემოსლის დიდმა ეპოქამ ჩაიარა. შენ ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების საქვსთან ყოფნაც გიხდებოდა და ჩვენთვის, განურჩევლად იმისა, თუ

ვინ ვის „ბანაკში“ აღმოჩნდა, საინტერესო იყო შენს გვერდით, გნებავს, შენს მაგნიტურ არეში ცხოვრება.

შენ ეკუთვნი რიგს პოეტებისა, რომელნიც თანდათან იბადებიან.

ამას წინათ, ერთ ჩვენს კოლეგას, რომელმაც თავის პოეტურ თხზულებათა ექვსტომეულის გადაიდება და ხელახლა მერამდენედ გამოცემა მოითხოვა, ფრთხილად უთხრეს, რომ შენ, ირაკლი აბაშიძემ, უარი თქვი საიუბილეოდ გათვალისწინებულ დიდ წიგნზე და პირიქით, შეამცირებინე მისი მოცულობა. ბრძნულად და გონივრულად, ჩემო ირაკლი! პირად საუბარშიც ხშირად გვსმენია შენგან შესახებ პოეტის პასუხისმგებლობისა შთამომავლობის წინაშე. ხოლო ეს — ბოლო ათ წელიწადში, სწორედ მაშინ, როცა პოეზიის ბევრ საიდუმლო კარს გასაღები მოარგე.

შენ ცხოვრობდი განუყოფელი პოეტების — გალაკტიონის, ტიციანის, პაოლოს, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ტერენტი გრანელის, ლადო ასათიანის ატმოსფეროში.

შენ ცხოვრობ დღეს ჩვენი ქართული პოეზიისათვის ბარე ორი ახალი დიდმნიშვნელოვანი ოსტატის გვერდით და გიხაროდეს შენ, რომ შენ არ მოხუცებულხარ მათთვის, როგორც პოეტი.

ბევრი ფასეულობა გადაფას-გადმოფასდა, შენს ლექსს კი ინტერესით ელიან ახალი პოეტები. ეს ცოტა როდია, ჩემო ირაკლი!

მე პირადად ხშირად ვკითხულობ შენს საუკეთესო ქმნილებებს. განსაკუთრებით მიყვარს სინანულის გრძნობით აღბეჭდილი ან ცხოვრების ფლამანდიური, ხორციელი სიყვარულით გაჩახჩახებული შენი ლექსები, პირველ ყოვლის „ჭომა“ და „ცხოვრების ყოველ ზვირთში ვერც“, „პაოლო იაშვილს“ და „მამა“, „ო, ენავ ჩემო“ და „სამარყან-დაში“, „მონადირის ღამე“, „ამიერიდან აქ დავსახლდები“ და სხვანი, რომელთა ჩამოთვლა ძნელი არ არის ჩემთვის.

რა შეიძლება დამატოს შენს პორტრეტს? იმაზე ლაპარაკი ახლა თუ სად და როდის არ მოგვეწონე, უადგილო დაწვრილმანებად მიმაჩნია. მთავარია, რომ იყო სეკუნდები, როცა ფანტასტურად მოგვეწონე — მოსკოვში, რუსთაველის იუბილეზე. ეს იყო ისტორიული სეკუნდები ჩვენი ერის ცხოვრებაში. საიუბილეო მრავალწლიან აჟიოტაჟებზე აღრენილმა მაშინდა ვიგრძენი, რომ ყოველივე აქამომდელი სწორედ ამ სეკუნდებისათვის მზადდებოდა. რუსთველით ამაყი, შენ იდექი კათედრასთან, მსოფლიოს რომელიც გნებავს ხალხთან ბარიბარს იყავი და როგორც ჭოლი-ტოლს ელაპარაკებოდი.

სხვა რა მოგწერო? გილოცავ იუბილეს! მეექვსე ათწლეულის ფინიშთან შენ მხნე და მოქმედი მწერალი ხარ. მრავალ ახალ მუშაირას დაესწარი, სხვისი და საკუთარი შემოქმედებით გამოწვეული სიხარული თანაბრად მოგცეს და ნუ მიგიშლავ.

## რეზუმე ჯადვარიძე

რა უცებ გაურბენია 60 წელიწადს! გუშინ არ იყო, ლექსების ციკლი „მიახლოება ნახევარ საუკუნესთან“ რომ გამოაქვეყნა? ის „ნახევარი საუკუნეც“ გუეცხოებოდა, რადგან შენს წარმოდგენაში ირაკლი აბაშიძე ისევ ახალგაზრდა კაცია, ახალგაზრდა პოეტი, ის ისევ აღვსილია სიცოცხლის და ახლის შექმნის წყურვილით და პოეზიის უვალ გზებზე სულ წინ და წინ მიისწრაფვის.

პოეტის ყველაზე უფრო საუკეთესო ლექსები თითქოს შექმნის დღიდანვე გამოსულან პოეზიის პირობითობიდან და უშუალო, ხელშესახებ ემოციებად ქცეულან. ისინი შენთან ერთად ცხოვრობენ შენში და სიყრმის ნეტარი დღეების მოგონებასავით მარად წმინდა და ხელიხელსაგომანებელი არიან. ხშირად, როცა ირაკლი აბაშიძის ლექსების ტომს ათვალეირებ, უნებლიეთ გიჩნდება გრძნობა, რომ პოეტმა სულ ერთი წამით დაგასწრო და თქვა ის, რაც შენ უნდა გეთქვა და რაკი პოეტური სათქმელი უკვე ხორც-შესხმულია, თუმცა სხვის მიერ, ის მაინც შენი ხდება და სასოებით იმეორებ, როგორც შთაგონების ბედნიერ წუთებში შენს მიერ მიგნებულ სახეს თუ პოეტურ ფრასას.

მე ხშირად მასწენდება ხოლმე ირაკლის ერთი, აწ უკვე ძველი ლექსი — „აქ დავსახლდები“.

ქართველ ადამიანს, ვისაც მშობელი ქვეყნის მიწა-წყალი ფეხით კიდით-კიდემდე შემოუვლია და ყველა კუთხე საკუთარი თვალით უნახავს, ყველა კუთხის ადამიანებთან პური გაუტეხია და „მათებური ქართულის“ მოსმენით დამტკბარა, მოუშორებელი თანა სდევს ეს გრძნობა — „აქ დაესახლდები!“

ხომ არ შეიძლება, ერთსა და იმავე დროს კაცი ყველგან იყო! სამშობლო ქვეყნის ყოველი კუთხე, ქართლი იქნება თუ კახეთი, იმერეთი თუ სამეგრელო, რაჭა თუ გურია, აჭარა თუ სვანეთი, აფხაზეთი თუ თუშ-ფშავ-ხევსურეთი, თავისებურად გამოხატავს მთელ საქართველოს. ერთი კუთხის მშვენიერება მოგზაურის თვალში უნებლიეთ ჩრდილავს მეორის განუმეორებელ მომხიბვლელობას და დედა სამშობლოს ყოველი მომდევნო კუთხე, ხეობა თუ ზღვისპირი, ღრუბლებში თავშერგული საჯიხვეები თუ შემოდგომის უთვალავი ფერით ნაქარგი დაცემული ჭალა, თავისკენ გეზიდება, გიბირებს. გინდა აქ დასახლდე, აქაურობას უმზირო, ამ ხალისიან, ცხოვრებასთან ვაჟაკურად შეჭიდებულ ადამიანებს შორის იტრიალო, მაგრამ შენი ქვეყნის სხვა კუთხეებს რაღას ეუბნები, არც ერთი რომ არ გეთმობა, ისინიც ხომ ისეთივე ზღაპრული და თავისებურად წარმტაცნი არიან, იქაც ხომ დასახლების სურვილმა შეგიტოკა გული, ისიც ხომ თან მოგდევდა, როცა სტოვებდი და სხვაგან მიდიოდი...

ვაჰ, როგორ დაგასწრო პოეტმა და ეს თქვა, ამას ხომ შენც გრძნობდი და სიტყვა ენაზე იყო მომდგარი!..

ამ პაწაწინა მილოცვაში, ვფიქრობ, საჭირო არ არის ირაკლი აბაშიძის პოეზიაში ვრცელი ექსკურსი მოვახდინო, მაგრამ დღეს არ შემიძლია არ გავიხსენო პოეტის ლექსების ციკლი „პალესტინა, პალესტინა“, რომელიც მათი ავტორის სულიერ კრემოს წარმოადგენს.

თავისი ყველაზე უფრო მაღალი ფიქრი და ზრახვა პოეტმა მკითხველს დიდი რუსთაველის პირით გაუმხილა და ამით მას თითქოს ზეციური შარავანდელი დაადგა. ეს უაღრესად თანამედროვე ციკლი ლექსებისა პოეტის ფიქრია სამშობლოს დღევანდელ და ხვალისდელ დღეზე, იგი პოეტური დეკლარაციაა ავტორის მიერ სამშობლოს საკურთხეველთან ლოცვად აღვლენილი.

„დედაო ენავ!“


სულის ეს ნაწი ღაღადისი ზარბაზნის მრისხანე გრგვინვასავით გაისმა იმ დროს, როდესაც ვიღაც ვიკინდარებმა ჯვაროსნული ლაშქრობა წამოიწყეს მცირერიცხოვან ერთა ენების წინააღმდეგ.

ი. აბაშიძის პოეტური სიტყვა ერთ-ერთი პირველი აღდგა ამ მკრეხელობის წინააღმდეგ და ამოღებულ ხმალივით აელვარდა. დაე, არასდროს დასქანებოდეს ხმალი ირაკლი აბაშიძის და იგი მარადჟამს თავისი მრავალტანჯული სამშობლოს სადიდებლად და თავყანსაცემად ექნისო.

## სმრბი ჭილაბი

ირაკლი აბაშიძის სამოცი წელი შეუსრულდა. სამოცი წელი, კაცმა რომ თქვას, ცოტა როდია, მაგრამ ისეთი ბუნების ლირიკოსისათვის, როგორც ირ. აბაშიძეა, ეს ასაკი პოეტური მოღვაწეობის შუაგზაა. ამის თქმის უფლებას ჩვენ გვაძლევს მისი ბოლოდროინდელი ლექსები. ამ ლექსებს სიბერე არ დასტყობია, პოეტურ სულს დაღდა არ მიჰკარებია. ისევ მხნე, ისევ მღერალი მისი პოეზია კვლავ ახალგაზრდული ენერგიით გვათბობს და პოეტური ძიებით გვახარებს. პოეტი იმდენი წლისაა, რამდენისაცაა მისი ახალი, კარგი ლექსები; პოეტი მანამ არის ახალგაზრდა, სანამ ლექსის მადანი არ გამოლევია.

ირ. აბაშიძე მორთცხებული პოეტია, ხალასი ნიჭით მიმადლებული, შეუმცდარი მუსიკალური სმენით აღჭურვილი. ამავე დროს მისი ლექსები საესვა აღერსით. საზოგადოდ მოალერსება, ინტიმობა მისი ხასიათია, ეს ბედნიერად მიგნებული პოეტური ინტონაციაა. მომხიბვლელობაც ხასიათიდან მომდინარეობს. ოღონდ ხასიათსა და ადა-



შინის დრამატიზაციას ვერ გაუაიგივებთ. აქ იყოფა გზები. აქვე იწყება კათარსისი და სასწაული, იშლება ზღვარი პირვანდელ იდეალსა და ნამდვილს შორის.

ირ. აბაშიძეს რაზე არ უწერია, რაზე არ უფიქრია. მრავალი ლექსისთვის გაუგებარე ნებმა თავისი ქვეყნის ნატვრა თუ დარდი, და მაინც, მისი ლექსების ყველაზე საყვარელი თემა რუსთაველია, ოღონდ აქ ერთიც სათქმელია, აბა რუსთაველი და საქართველო ღის გაუყვია? ეს ერთი მეზღლის ორი მხარეა, საქართველო და რუსთაველი ტყუპი ძმებით არიან ჩახუტებულნი. იქნებ ამიტომ დაუკავშირდა დიდი რუსთაველის პირველი სალოცავი — ქართული ენა, საქართველოს უკვდავებას. ქართული ენა არა მარტო საშუალებაა აზრთა გაგებინებისა, ურთიერთობისა, არამედ ის ჩვენი სულის ნაწილია, ღრის ფარ-ხმალი და იარაღი, ქართველობის ხარისხი და სიმდიდრე. ენის დათმობა ეროვნების დათმობას უდრის, ქართული ენის სიკვდილი — საქართველოს სიკვდილს. ეს აზრი დიდებულად ათქმევინა პოეტმა დიდ პოეტს:

— ო, ენავ ჩემო,  
 დედაო ენავ,  
 შენ, ჩვენი ნატო,  
 სრბოლავ და ფრენავ...  
 დაეცეს იქნებ სიმაგრე ყველა,  
 მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,  
 დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას.

დააკვდეს აზრი ნაპოვნის პოვნას,  
 ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი,  
 ყოველ ძველს, იქნებ, დაედგას ფეხი,  
 მხოლოდ შენ, უტკნობა,  
 შენ, ხატად ქცეულს,  
 რა დრო, რა დასცემს  
 შენს უკვდავ სხეულს?

რუსთაველთან, წინაპრებთან დიალოგის თუ პაექრობის ეს ფორმა მაშინ გაუჩნდა პოეტს, როცა ჩვენი სალოცავი რუსთაველი ჩვენმა დრომ ყველა დროზე მაღლა ასწია. ეს მოხდა 1934 წელს. მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე. იმ დღეს „კავშირთა სახლში შემოვიდა დიდი ქართველი“ („რუსთაველის სახე კავშირთა სახლის სვეტებიან ღარბაზში“). ამ ისტორიულმა აქტმა ნათელი მოჰფინა პოეტის ფიქრებს, რუსთაველის ხმები უცნაურად შეიჭრნენ მის სულში. ოცდაათი წლის შემდეგ ამ პოეტური ფიქრისა და ფანტაზიის ნაყოფი ლექსების წიგნად დაიბადა, „პალესტინა, პალესტინა“. ამ წიგნმა, დრამატიზმით აღსავსე პოეტის სულის აღსარებამ, ერთ სიმფონიად აკინძულმა, დიდება და სახელი მოუპოვა მის ავტორს. და მაინც, ლექსის წერა მისთვის არა მარტო შინაგანი მოთხოვნაა, პოეტური სიტყვით ერის სამსახური არა მარტო მოწოდებაა, არამედ თვით დედაარსი სიცოცხლისა და განწმენდილი სულისა.

გუსურვით პოეტს კვლავ ახალი ხმებით გაემდიდრებინოს ჩვენი საერთო სალოცავი — ქართული სიტყვა.







პირველი კვირული

ლენინი ჩვენს სოფელში

მამაჩემი სოფლის დალაქი იყო. კვირაობით მასთან თავს იყრიდნენ გლეხაკები, აგრეთვე ხარაზები, ნალბანდები, მჭედლები... ათასნაირი ხელობის ხალხი. ერთხელაც ორმოცამდე კაცი შეკრებილიყო. მამაჩემს სადალაქო სახლწინ, პანტის ქვეშ ედგა. გლეხები და ხელოსნები ზოგი ყორეზე, ზოგიც კუნძებზე ჩამოსხდარიყვნენ და ახალ ამბებზე საუბრობდნენ. მეც იქვე ვიდექი და მამაჩემს მივჩერებოდი.

— მამაშენის ხელობის შესწავლას ხომ არ აპირებ? — მკითხა ჩაცუტქებულმა ძია ადლომ — სოფელში განთქმულმა მეჩემქმემ.

— რას ბრძანებთ, ძია ადლო, — დავიბრუნებ. — მე ხომ ვსწავლობ?

— მერე, რო სწავლობ განა ზედმეტი ხელობა აწყენს ადამიანს? ესლა შენოდენა რო ვეყო, დალაქობასაც ვისწავლიდი და მეჩემქმეობასაც. შეილო, ცხოვრებაში კაცმა ყველაფერი უნდა იცოდეს. მამა!

ყორეზე მსხდომნი კი სხვა რამეზე საუბრობდნენ:

— ამბობენ, ბოლშევიკებმა ნიკოლოზი ტახტიდან გადმოაგდეს და რუსეთში მუშებისა და გლეხების მთავრობა გამოაცხადესო, — თქვა ერთმა გაჭირვარებულმა გლეხმა.

— ნიკოლოზი კი არ გადმოაგდეს ბოლშევიკებმა, — შეედავა მეორე, — კერენსკის მთავრობას პანდური ჰკრეს და თავის მინისტრებიანად ციმბირში მიაბრძანეს.

— არც შენა ხარ მართალი, ბათო, — ჩაერია ლაპარაკში სხვა, — ეს გახლდათ ერთი წლის წინათ რუსეთიდან დაბრუნებული ყოფილი ჯარისკაცი ილა ნიკოლოზიშვილი, ანუ „ლრიალას ბიჭი“, როგორც სოფლელები ეძახდნენ, — ბოლშევიკები რომ არ ყოფილიყვნენ, ნიკოლოზს ტახტიდან ვერაფერს დაძრავდა. კერენსკიმ მოტყუებით ჩაიგდო ძალაუფლება ხელში. მაშინ პეტროგრადში ვიყავი და კარგად ვიცი, რაც იქ მოხდა...

ამ დროს მამაჩემმა „ლრიალას ბიჭი“ მიიწვია გასალამაზებლად. ილას აღარ მიეცა საშუალება დამეთავრებინა დაწყებული საუბარი. ახლა ტუსნინათ ალექსა აღაპარაკდა:


— ორი დღის წინ საბუდეში ვიყავი, ნათლი-მამასთან, — დაიწყო ალექსიმ, — დამე იქ დავიხრი. სანამ ვახშამზე დავსხდებოდი, ერთი ახალგაზრდა შემოვიდა. ეტყობოდა, კარგა მაგარი ნასწავლი იყო. ყველას ხელი ჩამოგვართვა, შინაურულად მოგვიკითხა და თან დაინტერესდა — როგორ ცხოვრობთ, რა გიქირთო და რა გილხინთო. აბა რას ვეტყვოდი! სამ წელიწადზე მეტა წმინდა პური არ გვიქამია, დაკონილი-დაძონილი დავიარებოდი, ეს რა ცხოვრებაა, ბარემ სიკვდილი გვიჩვენებოდა. რატომ სიკვდილი? თქვენი ბედნიერების გასაღები თქვენსავე ხელშიაო, — თქვა და დავლოცვილმა, და განაგრძო, — აბა, ვიხედო რუსეთისაკენ! რუს მუშებს და გლეხებს თქვენზე ბევრად უარესი მდგომარეობა ჰქონდათ, მაგრამ სიკვდილი კი არ უნატრიათ, დაირაზმნენ ბოლშევიკების გარშემო. მათი ხელმძღვანელობით დაამხეს ხალხის საძულველი მთავრობა და მოშურ-გლეხური ხელისუფლება გამოაცხადესო.

— ტყუილია, მაგას არ იტყოდა, ისიც უცხო ხალხში! — წამოიძახა იახტინათ ალექსიმ.

— აი, ასე დავმხოს ჩემი ოჯახი, თუ ვტყუოდე! — ალექსამ თავიდან ნაზღის ქუდი მოიძრო, მიწაზე დაახტეა და განაგრძო, — რა ექნა, იმ მადლიანი კაცის შვილია ეგრე თქვა, კაცო, მე ხომ არ მოვიგონებდი!

— მაიცა ალექსავ, — შეაჩერა ერთმა ახალგაზრდამ, — მეც გამოვივა მაგ საბუდეში ბიჭის ამბავი... ვინ არის ევა? მგონი რუსეთიდან ყოფილა გამოგზავნილი.

— მართალი ხარ. ეგ სიმონ კარჭაული იყო. ნათლიმამამ მეორე დღეს მიიხრა, რუსეთიდან ლენინის გამოგზავნილი კაციაო.



— ლენინი ვინ არი, შვილო, არ თქვა ი ბიუ-  
მა? — იკითხა ოთხმოც წელს მიღწეულმა ქუ-  
რულიანთ საბრალომ.

— ოჰ, ლენინი! იცით, ხალხო, ის ყოფილა  
ყველაზე დიდი და ჭკვიანი კაცი, ღარიბი ხა-  
ლხის ქომაგი! მთელ ქვეყანაზე მაგისთანა კა-  
ცი არ დაბადებულა!

— მე თვითონ მინახავს ლენინი! — წამოიძა-  
ხა უცბად ილა ნიკოლოზიშვილმა და წელში  
გაიშარათა.

— შენა?! — ერთხმად შესძახეს გლეხებმა და  
გარს შემოეხვივნენ.

— ჰო, შეგვხვდრივარ! ოქტომბრის რევო-  
ლუციის დროს ერთმა ჩემმა რუსმა მეგობარმა  
სალდომმა ბოლშევიკების შტაბში წამიყვანა.  
მე აქეთ მოვეშურებოდი, ის კი მეუბნებოდა,  
ღარჩი და შენს სამშობლოში ერთად წაივდე-  
თო. ჰოდა, ერთხელ, ჩემს ამხანავს ველოდე-  
ბოდი გარბო, შტაბის ეზოში. მეზღვეურებსა  
და სალდათებს ცეცხლი დაენთოთ და ეფი-  
ცებოდნენ. მეც ცეცხლთან მივედი და სხვე-  
ბივით „მობოროკა“ გავაბოლე. ამ დროს თავს  
წამოგადგა შავპალტიანი, მომცრო ტანის  
თხელულგავშვერიანი კაცი. ბიჭები გაიჭიმნენ.  
წაიჩურჩულეს: ლენინო. მოგვიახლოვდა ის კა-  
ცი, ყველას ხელი ჩამოგვართვა და გვითხრა:

— ჰო, კარგია, რომ აბოლებთ და მეგობ-  
რულად მესაიდგობთ. ხომ არაფერი გიჭირთ,  
ყმაწვილებო!

— ყველაფერი რიგზეა, ილიჩ! — უპასუხა  
ერთმა აყლაყულმა მატროსმა, — ცოტა არ  
იყოს, იუნკრები იკბინებიან შემოდგომის ბუ-  
ზებშივით.

— მალე მავათაც საბოლოოდ გაუფასვრდე-  
ბით! — თქვა ლენინმა და განმარტოებით  
მდგომი რომ შემამჩნია, მომიახლოვდა, — ბო-  
ლიში, თქვენ საიდან ხართ? — მკითხა.

— საქართველოდან არის, ილიჩ, — უპასუხა  
ჩემმა მეგობარმა რუსმა, — ქართველი, ღარი-  
ბი გლეხია.

იმ დღეებში მხარზე ხელი დამკრა და  
მკითხა:

— ხომ არ მოგეანტრა შენი სოფელი, მშო-  
ბლები?! იქ, თქვენთან ახლა დიდი არეუ-  
ლობაა. მაგრამ მალე საქმე იქაც კარგად  
მოეწყობა...

— აი იმის გამჩენის ჭირიმე, კაი მადლიანი  
კაცი ყოფილა! — ჩაილაპარაკა პაპა საბრალომ.

— ბოლშევიკებს მართლა რქები აქვთო?  
რა თქვა კარკაულმა? — წამოისროლა ვილა-  
ცამ.

— თითონ არის რქებიანი, ვინც მაგას იძა-  
ხის! — გაეცხარა ალექსა, — ღერ გაიგეთ, რომ  
ეგ გვარდიელების მოგონილია? თვითონ კარ-  
კაული ბოლშევიკია. რა ვიცი, არც რქები აქვს  
და არც ეშვები. ისეთი კარგი ახალგაზრდაა,

მასთან ლაპარაკით ვერ გაძდება კაცი. იმ  
ღამეს სულ ლენინზე გველაპარაკებდა მალე  
აქაც ჩამოვა და ნახავთ, რა სიყვარული გვქმნი-  
ანია.

— მთელი სოფელი რომ ტყეში გარბის, მამ  
რატომ ეშინია ხალხს ბოლშევიკებისა? — მი-  
ხალა კუნწელაანთ ვასომ.

— ვერ გაიგე, ადამიანო, მოტყუებულნი  
არიან-მეთქი! — აუწია ხმას ალექსიმ და გა-  
ნაგრძო, — აი, სულ მალე ბოლშევიკებიც მო-  
ვლენ და შენ თვითონ ნახავ!

— მე კი ღმერთმა დამიფაროს მათთან შე-  
ხვედრისაგან, — ჩაილაპარაკა ჯოხზე დაყრდნო-  
ბილმა მოხუცმა, — რა ვიცი, შვილო, ზოგი  
ეგრე ლაპარაკობს, ზოგიც — იგრე. იმასაც  
ამბობენ, ლამაზ გოგოებს ნამუსს ხდიან და  
მერე კლავენო. აბა, კაცმა რა თქვას, რა ვიცი!...

— ძია იორამ, შენი თებრო და მაყვალა სა-  
დმე გადამადნ, თორემ ბოლშევიკები გავინა-  
ჭრებენ, — შეეხუმრა მოხუცს მჭედლიანთ მოჯა-  
მაიერე ვაბრო.

— წადი, დამსე, შე გამჩენძალო, შენა! —  
და ძია იორამამ ჯოხი დრუზა დანდობით  
მდგომ გაბროს.


ხალხი თანდათან შეთხელდა. პირგაპარსუ-  
ლნი სახლებისაკენ წაიხდნენ. ილა ნიკოლოზი-  
შვილი კი იჯდა და კიდევ დიდხანს ლაპარაკო-  
ბდა ბოლშევიკებზე.

ტყეში გახიზნული ხალხი ყოველდღე წარ-  
მომადგენლებს გზავნიდა, რომ გაეგო სოფელ-  
ში რა ხდებოდა. გახიზნულთათვის სანუგეშო  
ვერაფერი მიჰქონდათ. სოფელში თავისუფლად  
დათარეშობდნენ მენშევიკთა გვარდიელები.  
საქათმეში ქათმებს არ ტოვებდნენ და ბოიულ-  
ში — საქონელს. ხშირი იყო სახლების ვა-  
ჭურდვაც. მეორე დღეს გვარდიელები გაჰყვი-  
როდნენ, წუხელ სოფელს ბოლშევიკები დაე-  
ცნენ და რაც მოიხელთეს, გაიტაცესო. მაგრამ  
ამ მონაქორის გაქარწყლებას ბევრი მტკიცება  
არ სჭირდებოდა. ზოგიერთი გვარდიელი შინ  
დარჩენილმა სახლის პატრონებმა საქათმეებში  
ნამომწყყედეს, ზოგიერთიც ოთახებიდან გატა-  
ცებული ქონებით შარაზე დაჭირეს და თავ-  
პირჩამტკრეულები გაუშვეს.

ტყეში გახიზნულებმა რომ გაიგეს, სოფლი-  
დან მენშევიკების კომისარი, ერობის თავმჯ-  
დომარე და მათი მოხელეები გაიქცნენო, კან-  
ტიკუნტად უკან ბრუნდებოდნენ.

მთელი კვირის განმავლობაში სოფელი უპა-  
ტრონოდ იყო მიტოვებული: არც მენშევიკე-  
ბის მოხელეები იყვნენ და არც ბოლშევიკები  
ჩანდნენ. ეზოდან და სახლიდან გამოსვლას  
ვერავინ ბედავდა.

ორიოდე დღის შემდეგ მახრიდან ამბავი



ჩამოვიდა, თელავში ბოლშევიკები შემოვიდნენ, ციხის კლიტები დაღწეს და ყველა პატიმარი გამოუშვესო. ჩვენი სოფლიდანაც ბევრი იყო თელავის ციხეში გამომწყვდეული ბოლშევიკებისადმი თანაგრძნობისათვის. ისინიც გამოეშვათ, მაგრამ ჭერ არსად ჩანდნენ.

ზოგი შიშით, ზოგიც იმედით ელვდა ბოლშევიკების შემოსვლას ჩვენს სოფელში...

იმ სამახსოვრო დღეს ბავშვებმა თავი მოეცაოთ სოფლის მოედანზე, ხევის პირას. რატომღაც გვჭეროდა, რომ სწორედ ამ დღეს აუცილებლად უნდა მოსულიყვნენ ბოლშევიკები ჩვენს სოფელში.

ყველანი ძველი ციხის ნანგრევებზე ავედიოთ და თითქმის შუადღემდე იქიდან ვუთვალოთვალეზბდით გზას, „რქიანი“ ადაშიანების გამოჩენას ველოდით. ბოლისდაბოლოს, მზე სამხრეთისაკენ რომ გადაიწვერა, ხევს ვაღმა, „გაობობოლოზე“ სამი ცხენოსანი დავიჩინეთ.

— მოდიან! — თითქმის ერთხმად წამოვიძახეთ ბავშვებმა და გზისათვის თვალი არ მოგვიშორებია.

მხედრები მალე დაღმართზე დაეშენენ და კანტროანთ წისქვილის ზემოთ თვალს მიეფარნენ. ჩვენს წინ გადაშლილი იყო მდინარე ჩელთის განიერი ხევი. ამ ხევზე ვადიოდა გზა, აქ უნდა გამოეცლოთ აუცილებლად. ამიტომ ახლა ჩვენც ამ გზას გავცქეროდით. დიდ დროს არ გაუვლია, რომ ცხენოსნებმა რიყეზე გამოიჯაკეს და მალე აღმართისაკე შემოუდგნენ. მართლაც სამინ იყვნენ. შუაში ბოხოხიანი, შავგვრემანი კაცი მოდიოდა, მას აქეთ-იქიდან „ძაბრის ქუდიანი“ ორი მხედარი მოსდევდა. მხედრებმა მოედანი ჩაიარეს და სკოლის ძველ შენობასთან გაჩერდნენ.

მოედანზე ძე ხორციელი არ ჩანდა, მალულად ათასი თვალი კი უმზერდა მოსულეებს. პირველად პატარებს მხედართა „ძაბრის ქუდეები“ რქები გვეგონა. „თითო რქა ჰქონიათ“, — გაიფიქრეთ და ძალზე შეგშინდით კიდევ. ახგამ, როცა ბოხოხიანი ცხენიდან ჩამოვიდა და ქართულად დაიძახა, ხალხო გამოდიო, რისა გეშინიათო, ჩვენც, ბიჭები ნანგრევებზე ჩამოვედით და კვდელ-კედელ, ნელი ნაბიჯებით გავემართეთ მათკენ.

— მოდიოთ, ბავშვებო, მოდიოთ, ნუ გეშინიათ ესენი ჩვენი მეგობრები არიან! — გამოგვძახა ბოხოხიანმა, თანაც „ძაბრის ქუდიანებს“ სიცილით რაღაცა გადაულაპარაკა.

როგორც იყო, მოვიკრიფეთ ძალ-ღონე და გაუბედავად მიუახლოვდით ახალმოსულებს.

— ოხ, თქვე მიიმუნებო, თქვენ, რას იმალებით? — ღმილით დავკიტატანა ბოხოხიანმა, მოგვიახლოვდა და ვინაობა გვკითხა.

რომ გაიგო ვისიც ვიყავი, მკითხა:  
— სად არის მამაშენი?  
— სახლშია. თუ გინდათ დაგვიყვანოთ ვილულულე.

— არ გინდა...  
ამასობაში თითო-ორი კაციც გამოჩნდა, შორიახლო დადგნენ, უნდობლად დაუწყეს ცქერა მოსულეებს. ერთი მათგანი შეიშმუნა, მტკიცედ გადმოდგა ნაბიჯი და ხელებგაშლილი ბოხოხიანს მივარდა:

— გიო არა ხარ, ჩვენი გიო? — გადახეცია და მაგრად გადაკოცნა, — ცოცხალი ხარ, ბიჭო? აქ ამბავი მოიტანეს, ომში დაიღუპაო, შენ კი...

— მკვდრებით აღესდქე, არა? — სიცილით უპასუხა ბოხოხიანმა, — ბოლშევიკებს მაგრერიგად არ ეტანება ტყვია, თომაგ.

— ბოლშევიციც ხარ, კაცი? — გაიკვირვა თომამ.

— წითელარმიელიცა ვარ და ბოლშევიციც, რომ იცოდე, როგორ მოვეშურებოდი აქეთყენ. თელავში არც კი შეგვისვენია. ჩემი პოლიდან ეს ამხანაგები წამოვიყვანე. დაგვაალეს, ხალხს ვაცნობოთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. მაგრამ ხალხი რატომ არა ჩანს?

— ხალხი... ხალხი... — თომამ აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, — ჰო, ხალხი. აგერ მოდის, დაიძრა ხალხი... ხომ იცი, გიო, ხალხს როგორ ეშინია?

— ვისი ეშინიან, თომამ, ჩვენი, ბოლშევიკებისა ეშინიან? დალახროს ეშმაკმა მენშევიკები, რა არ მოუგონიათ მაგ წყუტლებს ჩვენზე! მართლაც, ხალხმა თანდათანობით იწყოთ თევითყრა. უბნებში ელვასავით გაეპარდა ხმა: ბურღიანთ გიო ცოცხალი ყოფილა, ის შემოუძღვა ბოლშევიკებსო. სოფელმა ერთიანად იქუხა. ყველა უბნიდან ხალხი მოედნისაკენ დაიძრა.

ერობის კანცელარიის წინ ხალხის ტევა არ იყო. მენშევიკების კომისრის კაბინეტთან მაგინდა გამოიტანეს, ზედ „ძაბრის ქუდიანები“ და გიო ავიდნენ.

ხალხი სმენად გადაიქცა.

— ამხანაგებო! ჩემო თანასოფლელებო! — დაიწყო გიომ, — მოვესალმებით და მოგილოცავთ მენშევიკების ბატონობის უღლისაგან განთავისუფლებას. ბედნიერი დღე დაუდგა ქართველ ხალხს. საქართველოს დედაქალაქ თბილისში თავისუფლების წითელი ღროშა ფრიალებს. დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. გაუმარჯოს საბჭოებს! გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას!

**არჩილ კოკილაშვილი**  
ლენინი ჩხინს სოფელში

ხალხი შეიშმუშნა. თითო-ოროლამ ტაშიც შემოჰკრა. მალე ყველაფერი ისევ მიწყნარდა. ახლა სიტყვა წარმოსთქვა „ძაბრის ქუდიანმა“. ეტყობოდა, მეთაური იყო, ფარაჯის საყვლის ბოლოებზე რაღაც ნიშნები ჰქონდა. იგი რუსულად დასარაყობდა. დამსწრეთა უმრავლესობა პირდაპირი შესტკეროდა, არავის არაფერი ესმოდა. სიტყვა რომ მოათავა, გიოს რაღაც ვადაულაპააკა.

— ქართულად გავაგებინეთ, რა თქვა მაგ რუსმა! — წამოიყვირა მჭედლიანთ „შხამამ“.

— სიწყნარე, ამხანაგებო! — მიმართა ხალხს ვიომ. — სწორედ ეგ მთხოვა ჩემმა მეთაურმა, ქართულად გადმოგაცეთ, რაც მან ახლა ვითხრა. ამხანაგებო, ჩემი მეგობარი რევოლუციის სახელით, რუსეთის პროლეტარიატის სახელით, ხალხთა ბელადის ლენინის სახელით მოგესალმებათ თქვენ, ჩვენი სოფლის მშრომელებს — ღარივ გლეხეკობას. ამიერიდან თქვენ იქნებით საყუთარი თავის ბატონ-პატრონი: ოქტომბრის რევოლუციის დეკრეტით მიწა ვადმოგეცემთ ღარივებს და მოჯამაგირებებს. რუსეთის მუშურ-გლეხური მთავრობა, რომელსაც ჩვენი ბელადი ლენინი მეთაურობს, თქვენს ინტერესებს დაიცავს. წითელი არმია მოვლდა, როგორც განმათავისუფლებელი არმია, როგორც თქვენი მეგობარი. არმია და ხალხი მშები ვართ. ჩვენს რიგებში ხომ მუშებისა და გლეხების შვილები არიან! ნურაფრისა გეშინიათ, ამხანაგებო! ნუ დაიჯერებთ მენშევიკებისა და მათი აგენტების ნალაყბებს. მათ გილატეს, გამარცხებენ არა მარტო თვითონ. მსოფლიო იმპერიალისტებს აჯიგნინებდნენ თქვენს მშვენიერ ქვეყანას. წითელი არმია კი მუდამ თქვენი ქომაგი და ერთგული იქნება. მამ გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციას! გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს! გაუმარჯოს წითელ არმიას!

მიტინგი დამთავრდა.

სოფელში თანდათანობით წესრიგი დამყარდა. შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი, რევიკო, რომლის თავმჯდომარედაც ვიო ბურდი-აშვილი დანიშნა. ბოლშევიკების შიშით ტყეში გახიზნულმა ხალხმა თანდათან მოაშურა სოფელს.

ჩვენი მეზობელი სვიმანა იმერლიშვილიც დაბრუნდა თავის ჯალაბობით.

თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. მენშევიკთა გვარდიელების გაქცევის შემდეგ არავის დაუჩივლია, რამე მომპარესო. ერთ დილას კი იმერლიანთ სვიმანას კარმიდამოდან მოისმა ქალების წვილ-კვილი და მოთქმით ტირილი.

უბნელებმა თავპირხეთქებით მიაჯიფეს იმერლიანებს. გზადაგზა ვაიგონებდით:

— ალბათ ბოლშევიკები შეუტყვევდნენ სოფელიც.

— ბოლშევიკებიდან უცხო არავინ არის სოფელში და აქაურები კიდევ მაგას არ გაბედავდნენ.

— მათი ათქვირებული თავფლოსთვის ყველა გადაალებდა თავს.

— ჩვენ რაღას ვუშველით ახლა, ი გოგო გამტკეცებლებს უკვე იბუჯაში ეყოლებათ... — ადასტურებდა დუთინეს ბიკი ვასო.

იმერლიანთ სვიმანას ეზოში თავმოყრილ ხალხს კი ასეთი სურათი გადაეშალათ თვალწინ: ოჯახის დიასახლისი ანა, მისი ქალიშვილები თავლო, სალომე და ქეთინო მუხლჩაკრეფილი ისხდნენ ეზოს შუაგულში, გათხრილ ორმოსთან და მიღუღრებოდნენ. სვიმანას კი ბარის ტარზე ორივე ხელი დაეყრდნო და თავჩაქიდრული მიწას დასტკეროდა.

— არ იტყვი, ადამიანებო, რა დაგეშართათ, რომ ასე იგლეჯთ ჭიგარს? გავაგებინეთ რა უბედურება გეწვიათ? — რიხიანდ მოიჭრა მათთან ჩვენი უბნის თავდედაცაი, ჭუნანთ ქალს რომ ეძახდნენ, ნიკას ცოლი, ქეთო.


ანიკომ მისი ხმა რომ გაიგონა, თავსახვევის ცალი ყურით თვალები შეიშრა და გულამოსკვნით შესტკერა მეზობელს:

— ჩვენო ტკბილო მეზობელო... ვაიხარეს ჩვენმა მტრებმა. გოგო ქეთო, გავანადგურეს, მოგესპეს იმ ოჯახამოსავარდნელებმა... თურამე გეებადა ორიოდ გროში... ხალიჩა და ფარდაგი... გრგობის სამზითვო თეთრეული და ჩასაცემლი... ჭურჭელი და სპილენძის ქვებო... სულ ერთიანად წაუღიეთ ქურდებსა და ყაჩაღებს... იმათ ოჯახში ამოვიდეს ახტალა... თავს დაატყდეს სამასამოცდასამი წმინდა გიორგის რისხვა... —

უფრო მეტად შესწვილა თავლომ ჭუნანთ ქალს:

— რაღა მეშველება, დეიდა ქეთო... ძლივს გავიშხადე მზითევი. მაგრამ დამთალხეს... ჩიესვენა ჩემი ბედნიერების მზე...

— რას მივდამოედებით, ქა! — დამსკვივლა ჭუნანთ ქალმა, — რასა კრიახობთ აქ ნაკრუხალი დედლებივით! ადექით ახლავე და სახლში შედით! აღარა გრცხენიათ, მთელი სოფელი რომ თავზე შეიხედეთ?! ახლა უფრო მეტად არ აცინებთ მტერს? აბა მოუსვით ოთახისაკენ! დაღვრილს და გატეხილს არაფერი ეშველება, ნუ გეშინიათ, გოგოებო, გაუთხოვარი არ დარჩებით! შენ რაღა ატოცის გლახასავით ვაჩერებულხარ? — ჭუნანთ ქალი ახლა სვიმანას მიუბრუნდა, — წადი რევიკოში ბურ-



დიანთ გიოსთან და გააგებინე შენი უბედურება, იქნებ გიშველოს რამე...

ნამტირალევი ანა და მისი ქალიშვილები სახლში შევიდნენ, სვიმანა კი ქეთოს რჩევით რეკომისიასკენ გაემართა. უზნელი გოგო-ბიჭები დაცარიელებული დიდი ორმოს წინ ვიდუქით და გულუბრყვილოდ გავიძახოდით:

— საწყალი თაფლო! ალბათ ველარ გათხოვდება, მისი მზითევი სულ მთლიანად წაუღიათ...

იმ დღეს სხვა ახალი ამბებიც დატრიალდა ჩვენს უბანში შუაღელე მოტანებული იქნებოდა, როცა ხმა გავარდა, მკვდილიანთ სოსისა ხორბალი დალაპობიანო. ხალხი იძახოდა, ახია მავაულო. სოსისა პურადიერად იცნობდნენ. საშუალო გლეხად ითვლებოდა. უშვილო იყო. გაპირებულს ხელს არ გაუმართავდა. ბოლშევიკების შიშით რამდენიმე საცალო პური ორმოში ჩაუყრია, წესიერად არ დაუფარებია, წყალი ჩასულა და სულ ერთიანად აობებულ — აშშორებულყო. ჰოდა, ახლა მეზობლები შორიდან ნიშნის მოგებით უცქერდნენ სოსისა, რომელსაც ეზოდან ურმით გამოჰქონდა დამპალი ზორბალი ვადასაყრელად.

ამ დროს მამაჩემმა ჩამოიარა და შინ წავედით. დედაჩემს უგუნებობა ეტყობოდა.

— რა იყო სონა, რა მოხდა? — იცითხა მამაჩემმა.

— რა იყო და სულ ერთიანად ამოებუგოს ოჯახი, ვინც ჩვენი ვერცხლის კოვლები და ჩემი მზითვის ოქროს სამაჭური წაიღო!

— კამოდიდან როგორ წაიღო, დედაკაცო. — ვაიკვირვა მამაჩემმა, — ჩვენ ხომ სოფლიდან არსად წავსულვართ?

— წასვლით კი არ წავსულვართ, მაგრამ ეგ ნივთები, ბოლშევიკების შიშით, სათონის იქით, ლუღვის ძირში, პატარა ორმოში გადავმალე. წელან მიველი ამოსაღებად, და არაფერიც არ დამხვდა, ვიღაცას დაუსწრია, ამოუღია და წაუღია.

— არა, მამა გიცხონდა, შენ დაგიციდინენ! — გაბრანებულმა უთხრა მამაჩემმა, — შე ოჯახნორო, შენა, თუ რაიმეს ვადამალვას აპირებდი, გეთქვა ჩემთვის! არადა, ბოლშევიკები რომელი მძარცველები ნახე, რომ ხალხს ძალით ართმევდნენ რამეს? აგერ მიჩილიანთ ილა და გზირიქალიანთ პავლე არიან ბოლშევიკები. ვაგვიგონია იმათი ქურდობა და ყაჩაღობა?

— ხალხი სხვა ბოლშევიკებზეა შეშინებული, ვერ გააგე, კაცო! — თავი იმართლა დედაჩემმა.

— ბოლშევიკი ბოლშევიკია, დედაკაცო! რომელი სხვა, რა ვადარებულად ლაპარაკობ, მენშევიკებისა ხომ არაფერი ვაცხია? იმათ ქორებს დაუჭერე ხომ! ჰოდა, რაც იმერლი-

ანთ სვიმანამ და ანამ მოიგეს, შენც ახლა იმას იმკი. წადი და სდიე შენი ბეჭდებისა და კოვლების წამლებს, მალე არ იპოვებ, ანა! მშობლების დავა იმით დამაჯერებია რომ მამაჩემი რეკომში დაიბარეს და იქითკენ გაეშურა. მეც მას ავედევნე.



სოფლის რეკომი მარმარაანთ დუქნის თავზე ორ ოთახში იყო მოთავსებული. ერთი, შედარებით პატარა ოთახში, რეკომის თავმჯდომარე ვიო ბურდიანოვი იჯდა. მეორე ოთახში კი კანცელარია იყო.

— ნათლიას ვახლავარ, — მიეგება რეკომის თავმჯდომარე მამაჩემს, ხელი ჩამოართვა და გადაკოცნა, — ომიანობა შენც დაგტყობია, ძია ლაზრო, ცოტა გამხდარი მეჩვენებია.

— ამ გაუტანელ წუთისოფელში აბა რა დავემართებოდა? — უბასუხა მამაჩემმა, — თუ რამე გეებადა, გვარდიელებმა წაიღეს: შიმშილმა და ისხანკამ ხომ მუსრი გაავლო ხალხს! შენც გეტყობა, დიდი წვალება გამოვივლია. თმაში ქალარა გაგრევიან.

— მაგას ნელარ მკითხავ, ნათლი! შემთხვევითა ვარ ვადარჩენილი. სამჭერ დავიჭერი, მაგრამ, როგორც ჩანს, სიკვდილი არ მეჭერა. მოვალწეი სახლამდე. ახლა აღარაფერი მიშავს...

ვიომ მიმედ ამოიხორა, ქალარაშერეულ თმაზე ხელი ვადისვა, მაგიდასთან დაბრუნდა, გაშლილ ქაღალდებს თვალი შეავლო, ერთი მათგანი აიღო, ვადიკითხა, ისევ მაგიდაზე დალო და მამაჩემს შემპარავად უთხრა:

— სოფელში გამოსული კაცი ხარ, ნათლიაჩემო, კარვად გესმის ხალხის გულისთქმა, ერთ საქმეზე მინდა რჩევა და დახმარება გთხოვო. ამიტომ შევაწუხე.

მე ვამო გავიკვდი. მამაჩემმა მინიშნა, დაბლა მომიცადიო. კარვა ხანი ვავიდა ლოდინში. შემდეგ ვიო და მამაჩემი ჩამოვიდნენ და „ბოგირისაკენ“ ვასწიეს.

მამაჩემი გვიან ღამით დაბრუნდა სახლში. ჩვენს სოფელში წითელარმიელები შემოვლენ. ალბათ პოლიკ, რამდენიმე დღეს ღარჩება სოფელში და ხალხს ოჯახებში უნდა ჩაუსახლონო. მართალია, მამაჩემი ჩუმად ელაპარაკებოდა დედაჩემს, მაგრამ მე ყველაფერი კარვად მესმოდა. ისიც ვავიგე, რომ რეკომის თავმჯდომარემ ამ საქმის თობაზე დაიბარა მამაჩემი და დაავალა, შეძლებულ ოჯახებს მოლაპარაკებოდა წითელარმიელთა მიღებაზე.

— წუხელე თითქმის მოვიარე სოფელი, — ამბობდა მამაჩემი, — ხალხი უარზეა, ბოლშე-

**არჩილ კოკილაშვილი**  
**ლინინი ჩვენს სოფელში**

ვიკებს შინ ვერ შევეუშვებოთ. ისევ ღარიბები არიან თანახმა, ოღონდ საქმელი არა გვაქვსო.

— შენ რომელი მთავრობის კაცი ხარ, რომ მაგ საქმეებში ერევი? — უსაყვედურა დედაჩემმა, — მემბრა რა ვუყოთ, რომ გთხოვა, შენც იტყოდი, მაგ დავალებას ვერ შეეასრულებ-თქო. იცი რას იტყვის ხალხი? დალაქი ღაზრო გამო-ლშევიკებულაო და მუშტარი დაგიფრთხება. მაშინ გამოცხება ჩვენი კვერი!

— ჩემი საქმისა მე ვიცი. შენ შენს კრუხ-წი-წილას მიხედე! — მიაძახა მამაჩემმა და ეზოში გავიდა.

იმავ დღეს სოფელში ხმა გავარდა — ბოლ-შევიკების ჯარი „ზეკუციად“ მოდის, ოჯახებში უნდა ჩასასხლონო.

ხალხი შეშინდა. განსაკუთრებით ისინი, ვინც უფრო „მსუქნად“ იყვნენ და შეძლებულად ითვლებოდნენ. ზოგიერთებმა მოწიფულ გაოგონებს სახეზე მური წაუსხვეს და თმები აუწეწეს, ზოგმა კი თელავში ნათესავებთან გადამალა შვილები. მენშევიკთა ნაბოლარების ბოროტი სისინით გაბრყვებული გლეხები ღობე-ყორეს ედებოდნენ, საბჭოთა ხელისუფლების პირველ ღონისძიებებს უნდობლად ეკიდებოდნენ.

„იფხიზლეთ, ხალხო!“ — აფრთხილებდნენ ერთმანეთს.

მოლოდინი გამართლდა.

მარტის ერთ სუსხიან დღეს სოფელი აგუგუნდა. წითელ კავალერისტთა სიმღერამ სოფლის ბოლოდან სოფლის თავამდე მიაღწია. შარახე ცხენოსნები მწყობრად მოდიოდნენ.

გზის ორივე მხარეს ღობეებსა და ქვის ყორეებზე გადმომდგარი მოსახლეობა განცვიფრებით, თანაც შიშნაკრავი თვალებით შესცქეროდა „ბალშევიკების ჯარს“. ზოგიერთები მაშინვე ოთახებს კლიტეს ადებდნენ და სადღაც ვარბოდნენ, იმალებოდნენ. „ზეკუციას ჩაგვისახლებენო“, ეშინოდათ.

ჩვენს უბანზე რომ ამოიარეს, ბალები ავედევნეთ; პირდაღებულები მიედევნით კავალერისტებს. მათი სიმღერა იყო მკექპარე, გამამხნევებელი, მიმზიდველი. საუბნო გზებზე გამოიშინებულნი ყოფილი ფრონტელებიც. ისინი აკომცემებული თვალებით მიაცილებდნენ წითელ ჯარისკაცებს და თვითონაც მოედნისაკენ მიეშურებოდნენ.

ცხენოსნები რეკომის წინ გაჩერდნენ. ორი ოფიცერი ცხენიდან ჩამოხტა. ერთი მათგანი იქ მდგომ ფრონტელებს შეეკითხა: რეკომი სად არის. ან თავმჯდომარეს სად ვნახავთო. ამ დროს გოცო გამოვიდა და კავალერისტებს მი-აშურა.

— ამხანაგო ესკადრონის უფროსო, ნება

მომცით წარმოგიდგინოთ ჩემი თავი — სოფელ შილდის რეკომის თავმჯდომარე ბურდაიშვილი! — რუსულად უბატყა ერთმა.

— ოჰ, თქვენა ხართ, ამხანაგო რეკომე-ლო! — მხარზე ხელი დაკრა მთავარმა. — ჯარიდან რომ გავიშვებს ის კი ვიცი, მაგრამ თუ ამ სოფელში იწებოდი, ამას კი არ მოველო-დი! სასიამოვნოა, სასიხარულოა.

— მზად ვარ გემსახუროთ, ამხანაგო უფროსო! აჯობებდა რეკომში ავსტლიყავით.

— კეთილი. ოღონდ სად შეიძლება ბიჭების გაჩერება?

— აგერ, მოედანზე, — გიომ ხელით მიუთითა სკოლის ძველი შენობისაკენ, — სანამ მოვილაპარაკებდეთ. შემდეგ კი ყველაფერი მოგვარდება.

— თქვენი იმედი მაქვს! — უთხრა მეთაურმა. შემდეგ მან გასცა განკარგულება მეორეები, მოედანზე გასულიყვენ და დაესვენათ. გიომ და წითელი მეთაურები რეკომში შევიდნენ. ჩვენ კი მოედნისაკენ მიმავალ კავალერისტებს გაყვეით. ცხენებიდან რომ ჩამოხტნენ, მათთან შორიახლო დაედგნენ და ბავშვური ვატაცებით ვუთვალთვალავდით არაჩვეულებრივ უცხო სტუმრებს.

იმ დღეს ძალზე ყინავდა. გაოფლილი ცხენები ორთქლმავლებივით უბრაჯდნენ. ერთმა წითელარმიელმა გვიანშნა, ახლოს მოდიოთ. ჩვენ შევშინდით და უკან დავიხიეთ, ზოგიერთმა კი შინისაკენ მოკურცხლა.

— რისა გეშინიათ, ბალებო, — მოგვმართა ყოფილმა ფრონტელმა, ჩვენმა მეზობელმა იოსებ ზუბიტაშვილმა, — მიდით ახლოს, იქნება რა უნდა გითხრან!

— ჩვენ ხომ რუსული არ ვიცი? — გაუბედავად ვუთხარი მე, — რომ დაგვიჭირონ და აღარ გავგიშვან?


იოსებმა გაიცინა. თვითონ მივიდა წითელ-არმიელებთან და ლაპარაკი დაუწყო. მერე ჩვენკენ მობრუნდა და გვითხრა:

— ეისაც არ გეშინიათ, მოდიოთ, ცხენები გაასიერნეთო. ამისათვის გეძახდნენ.

ძალიან გაგვიხარდა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, წითელარმიელები თავიანთ ცხენებს გასასიერებლად გვანდობდნენ! მე უხარბე და ორი ცხენის აღვირს ვწვიდი. ძალიან ჭკვიანი ცხენები შემხვდა. ცოტა მოშორებით რომ გავიყვანე, ვიგრძენი, რომ ერთი ცხენი კისერში მსუნავდა. გაგჩერდი საწისქვილე წყლის ახლოს. უცბათ ცხენებმა წყლისაკენ გაიწიეს. რას დავიმაგრებდი! აღვირებისათვის ხელი არ გამიშვია და ამითრისე.

— წყალზე არ გაუშვა, — მომესმა ზუბიტანთ იოსების ხმა, — ოფლიანებია, ქოთათა შეეცურებათ!

როგორ შემძლო ასეთი ცხენების დამაგ-



რება? წითელარმიელებმა რომ დაინახეს ჩემი გასაჭირი, თვალის დახამხამებზე მოვარდნენ და აღვირები მოქაჩეს. ხელებზე დავიხედე: თანამისაგან თითქოს ჩაჭრილი მქონდა, აწითლებული იყო, მტკიოდა. მაგრამ არაფრად ჩავადე; წითელარმიელებთან ახლა კი ვაბედულად მივედი და ვთხოვე, მოეცათ ცხენები სასივრთლად. კარგა ხანს ვატარებდი მოედანზე, ოღონდ წყლიდან მოშორებით.

წითელარმიელების გარშემო ფრონტლებს მოეყარათ თავი. ვახუთების ნახევრი თამბაქოს ხევედნენ და უწილადებდნენ მებრძოლებს. თანაც, ეტყობოდათ, გულთაღი საუბრით იყვნენ გართულნი. შვიდაშვიგ ხარხაროც ისმოდა. საკმაო დრომ განვლო. მოვიდნენ წითელარმიელები, გამოვკვარათვის ცხენები და წყლის დასაღვინებლად წაიყვანეს. რას მოვეცილდებოდით! ამასობაში რევკომის თავმჯდომარე, წითელარმიელთა მეთაურები და რამდენიმე ჩვენი სოფლელი კაცი გამოვიდნენ შენობიდან. გიოს ხელში რაღაც ქაღალდები ეჭირა.

ხალხმა ახლა მათ გარშემო მოიყარა თავი. რაღაც ახალი ამბის გაგონებას ელოდა. ჩვენც მათენ მივაშურეთ.

— პავლე, — გიო მიუბრუნდა ასაბაშვილს, რომელსაც სოფელში „გზორქალიანთ პავლეს“ ეძახდნენ, — აპა სია. ვინც აქ წერია, თითო ოჯახს ორ-ორ წითელ არმიელს დაუტოვებ. კი იციან, მაგრამ მაინც ჯერ შენ მოელაპარაკე, ხოლო თუ ოჯახის უფროსი შინ არ იყოს, იქ ნურავის დაუტოვებ. თანაც გააფრთხილე ყველანი, წითელარმიელებს არ მოაჯლონ საჭმელ-სასმელი და სითბო.

— უარი რომ თქვას ვინმემ, მაშინ რაღაც ექნა? — იკითხა პავლემ.

— გამოვიდით ბოლშევიკი ხარ, ხალხი გიცნობს, პატრისა გცემს და მგას მე მეკითხები? როგორც შეატყო საქმეს, ისე მოიქეცი.

ასეთივე დავალება მიიღეს ჩვენი სოფლის სხვა აქტივისტმა ბოლშევიკებმა — ილა მიჩილაშვილმა, თომა ბურღიაშვილმა, ყოფილმა ფრონტლებმა: ვასო ზუბიტაშვილმა, ილა ვაფრინაშვილმა, ილა ხახუტაშვილმა. სვიმანა მირინაშვილმა და სხვებმა. მოედნიდან ყველანი რომ გაიკრიფნენ, ადგილზე რევკომის თავმჯდომარე და ორი მეთაური დარჩა, ერთმანეთს რუსულად ელაპარაკებოდნენ. იქვე შორიანლო ვიდექი და რაღაც ცნობისმოყვარეობით შეეყურებდი მათ. გიომ შემამჩნია, გადმომხედა და დიმიდით მითხრა:

— რაო, ნათლის შვილო, შენც ხომ არ გინდოდა წაგყვანა წითელარმიელები?

— რატომაც არა! — ვუპასუხე გაბედულად.

— მერე, მამაშენი რას გეტყვის?

— ის თანახმაა, დედაჩემიც გააფრთხილა,

თუ ვინცილობა მე შინ არ ვიყო და გამოვსახე გზავნეს ერთი სალდათი, უარი არა გავუცხადე სახლის „საიდუმლო“.

— გომური რომ არა გაქვთ, ბიჭო, ცხენს როგორ შეინახათ?

— ძია გიო, — თითქოს მუდარით მივმართე რევკომის თავმჯდომარეს, — ჩვენს მეზობელს ქუქიანთან ანდრიას კარგი გომური აქვს, იქ დავაბინავებთ ცხენს. თივა საკმაოდ გვაქვს, არ მოვაგაშვევთ.

გიომ რაღაც ჩაუღაპარა და წითელარმიელთა მეთაურებს. კარგი, ვნახოთო — მითხრა და... რევკომისაკენ გასწია სამივემ. სწორედ ამ დროს ქვევიდან ხმაური და ყვირილი მოისმა. ზამთრის ამ სუსხიან დღეს ქვევიდან პერანგის ამბრა მობოროდა კაცი, თან ყვიროდა და ილანძლებოდა.

რევკომის თავმჯდომარე და ოფიცრები სასწრაფოდ მოტრიალდნენ და ქვევით გაეშურნენ. ქუჩაში გამოსული ხალხიც მათ აედევნა. ის კაციც მოახლოვდა. ვიცანი, ჩვენი მეზობელი მქედლიანთ ალექსა იყო. როგორც კი გიო ბურღიაშვილი დაინახა, უფრო მოუშტა ხმას, რევკომის თავმჯდომარისა და ოფიცრების წინ შედგა და იყვირა:

— რა გინდათ ჩემგან ამ ბოლშევიკებს, რად მიყენებთ „ზეკუციას“ სახლში, ახლაც ნიკოლოზის დრო ხომ არ არის?!

— დამშვიდდით, ძია ალექსი, რა განხუბუბებს, შე კაი კაცო? — დაუყვავა გიომ, — არა სჯობია წყნარად მოვილაპარაკოთ? თუ შენ არა გინდა წითელარმიელთა მიღება და წინააღმდეგი ხარ. სხვაგან წაიყვანთ მაგ ხალხს. რატომ ამბობ „ზეკუციას“ მიყენებთ სახლში? დიდი საქმეა. შე კაი კაცო, ამ ტიალ ზამთარში ორიოდ დღით შეიფარო ორი წითელარმიელი!

— როგორ ლაპარაკობ, ბურღიანთ გიო, პა! — აუწია ხმას ალექსიმ, — რატომ არა გრცხვენიან, რომ გასათხოვარი ქალების პატრონს ოჯახში ამ მოზრებებით ბიჭებს მისახლებ? ეგეც არ იყოს, მე მათი პარუსკობისა არაფერი გამეგება! მუნჯურად ლაპარაკი კიდევ. მე არ ვიცი.

— აი, თურმე რა ყოფილა! — გაიცინა გიომ, — კარგი, ძია ალექსი, მაგ ორი წითელარმიელიდან ერთს კოკილანთ ლაზროსთან ვავაზავნით, — გიომ თან მე გადმომხედა, — აგერ მისი ბიჭი აქვეა და წაიყვანს, მეორე შენ დაიტოვე.

— არაჟინაც არ მინდა, აღამიანო, არა! — ისევე აყვირა ალექსი, — მე სახლში გასათხოვარი ქალები მყავს, ოჯახში ძე ხორციელსაც არ შევეუშვებ, გინდ თავი აქვე წამაცალოთ.

**არჩილ კოკილაშვილი  
ლინინი ჩინს სოფელში**

გიომ და ოფიცრებმა კარგა ხანს ილაპარაკეს. როგორც სახეზე ეტყობოდათ, ალექსის მეგობარობას ანგარიში გაუწიეს და მისი სასარგებლო ვადაწყვეტილებაც მიიღეს. ალექსი კმაყოფილი, მაგრამ მაინც ბუტბუტით გაბრუნდა სახლისაკენ. გიომ ახლა მე მომიბრუნდა და მითხრა: — წადი, მამაშენი გააფრთხილე ერთი წითელარმიელი გვეოლებათ სტუმრად-თქო.

— არაფერი გაფრთხილებაც არ უნდა, ძია გიომ, ის თანახმაა, აკი მოვასხენეთ! — უბასუხე და ვთხოვე, წითელარმიელს მე წაიყვან-მეთქი.

გიომ და ოფიცრები თვითონ წამოვიდნენ ჩვენი უბნისაკენ. მკედლიანთ ალექსას სახლის წინ შარბაზე იოსებ ზუბიტაშვილი და ორი მეომარი იდგნენ. ერთი წითელარმიელი, რომელსაც რაღაც ნიშნები მოუჩანდა საყელოზე, თავის ოფიცრებთან მივიდა და კარგა ხანს ესაუბრა. მე კი სიცივისაგან ფეხები ისე დამაძრა, რომ მთელი ტანით ავაკვავდი.

— უპ, შე ყურუმსალო შენა, სიცივემ აგიტანა? — ღიმილით წამოიძახა გიომ, — დამიხედეთ ვეჯაცს!

რა მეთქმობდა. სირცხვილისაგან გაეწითლდი. თუმცა ფეხები მაინც მაძრებოდა. მარტო იმას ველოდებოდი, რომ ჩქარა გადაეწყვიტათ, რომელ წითელარმიელს გამატანდნენ. უფროსებს ეტყობოდათ, არ სურდათ ორი მეომრის ერთმანეთისაგან დაცილება. გიომ ბევრს ელაპარაკებოდა ოფიცრებს, თან მე არ მამორებდა თვალს, ხშირად ხელსაც კი იშვერდა ხოლმე ჩემკენ.

ამ დროს ზემოდან ჩამოიარა ისაკ დავით-მღვდლიშვილმა. იგი წვრილშვილი კაცი იყო, სოფელში გამოსული, მონინტელიგენტო. და მეტად კეთილშობილი ადამიანი, გიომ დიანახა, შეჩერდა, გამოელაპარაკა. საქმის შინაარსი რომ გაიგო, რეკომის თავმჯდომარეს უთხრა:

— ჩემი თავი თქვენ გენაცვალოთ! ექვსი შვილი სახლში მყავს. მაგ ორ მებრძოლსაც მე წაიყვან. როგორც იქნება ჩემი მეუღლე ოლა მაგ ორსაც თავის შვილებთან ერთად მოუვლის, ნიავსაც არ მივაკარებთ.

ისაკმა ახლა მეთაურებს მიმართა რუსულად. მან კარგად იცოდა რუსული ენა, სამოქალაქო სკოლა ჰქონდა დამთავრებული. მეთაურებს ესმოივინათ ამ ჭალაროსანი კაცის კეთილბუნოვნობა. ბევრი ლაპარაკის შემდეგ შეთანხმდნენ. ერთი ძია ისაკმა წაიყვანა თავისთან. ერთი ჩვენსა უნდა წამოსულიყო.

ძაგვამაც გამიარა. ახლა ვაბეულვად, ამავად მივაბიჯებდი ნიშნებიანი, „ძაბრის ქუდიანი“ წითელარმიელის გვერდით. ცხენის ადვირი მე მეკავა და მამლაყინწასავით გაბღვერილი აქეთ-იქით ვიხედებოდი, თითქოს მეზობ-

ლის გოგო-ბიჭებს ვეუბნებოდი: შენომხედეთ, რა ვეჯაცი ვარ, წითელარმიელის გვერდით მოვაბიჯებ, თქვენ ახლოს მოსულხარ, კბენი ნიათ-მეთქი...

ეზოში მამაჩემი გამოგვეგება, თან დედაჩემი გამოჰყვა. მეზობლებიც მოგროვდნენ და გაოცებულნი შეჰყურებდნენ წითელარმიელს. ფეფენა ბებიამ კი მკლავზე ხელი აუს-დაუსვა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— აკი კაციპამეზიაო, ქა, შეხე. რა კარგი ყმაწვილია? — მერე მიუბრუნდა წითელარმიელს და შეეკითხა, — ვისი ბიჭი ხარ, შვილო?

წითელარმიელს გაეცინა. მან ხომ ქართული ენა არ იცოდა? ფეფენა ბებიას კითხვა ვერ გაიგო, იქ კი არაფერ იყო, რომ ეს ვადაეთარგმნა რუსულად. ერთხანს უხმოდ იდგნენ ყველანი. მერე მამაჩემმა ცხენი გამომართვა და იქვე სათივის ქვეშ დააბა, მე კი მითხრა, სტუმარი შეიყვანე სახლში, ხომ ხედავ, როგორ ცივია. დედაჩემი ადრევე შევიდა ოთახში საქმლის მოსამზადებლად. მაშინ პირველად წაავლე წითელარმიელს მკლავში ხელი და ჩვენს ღარბ სახლში სიხარულით შევიყვანე.



სახლი მაინცდამაინც დიდი არაფერი გვექონდა. ერთი ვიწროაივანიანი ოთახი, ქვეშ მარანი, სახლის უკან — სათონე და პატარა შინავენახი. ეს იყო მთელი ჩვენი ავლა-დიდება.

ოთახში რომ შევედით, ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა, გავარგარებულ მუხის კუნძს ტაკატაკუი გაჰქონდა, თან ნაპერწყლებს აქეთ-იქით ისრთდა. ბუხარი განიერი იყო და ყველაფერს იტევდა, ნაპერწყალი იქვე მცემოდა და ინავლებოდა.

ჩვენი სტუმარი წითელარმიელი მეტად მორიდებული ახალგაზრდა ჩანდა. მიუხედავად იმისა, რომ ოთახში იცოდა, მას კი ხელები და პირისახე სიცივისაგან თითქმის გათოშნილი ჰქონდა, ცეცხლთან ახლოს მაინც არ მოდიოდა. დედაჩემმა სკამი გადმოუდგა ბუხართან და ანიშნა, იქ დამჯდარიყო. მე კი ფარაჯაზე ხელი წაავლე და ვთხოვე, გაიხადე-მეთქი. რაღაც მითხრა, ვერ გავიგე. ისე კი მივხვდი, რომ ცხენზე მეკითხებოდა, ცხენი ახსტნა.

ამ დროს ჩვენი მეზობელი ეასო შემოვიდა. იგი მთელი ექვსი წელიწადი ჯარში იყო და დეკარგული ეგონა ყველას. ამასობაში კი მოიარა პოლონეთი, გერმანია, ავსტრია და ესე, დაბრუნდა შინ. რუსულსაც გვარჩინად ლაპარაკობდა. ყოველ შემთხვევაში, მეზობლებს ასე სწამდათ. ხშირად იტყოდნენ ხოლმე: რაღა ილია მარჯანოვი და რაღა კოკილანთ ეასო. მარჯანოვი თავის დროზე სოფელში ყველაზე დიდ კაცად ითვლებოდა, რადგან რუსული-



კარგად იცოდა და ნიკოლოზის მეფობის დროს სოფლის მამასახლისის კანცელარიის მწერალი იყო. ვასოს მას ადარებდნენ. მართლაც, სადაც რუსულად ლაპარაკი იყო საჭირო, ყოველთვის ვასოს ეძახდნენ. სწორედ რომ ბედულ შემოვიდა ვასო ჩვენს სახლში. იგი წითელარმიელს მისვალმა: „ზღრასტი ტოვარიწი“-ო უთხრა და ხელი მავრად ჩამოართვა. ისინი ლაპარაკობდნენ, ჩვენ კი პირდაპირად უშვებოდით.

— ძია ლაზრო, — უთხრა ვასომ მამაჩემს, — ამხანაგი წითელარმიელი ამბობს, ჯერ ცხენი დამაბინავებინეთ და შემდეგ მე დავენაყრდებიო.

მამაჩემი, ვასო და წითელარმიელი ერთად ავიდნენ ოთახიდან ცხენის დასაბინავებლად. სანამ მობრუნდებოდნენ, დედაჩემს დიდი სპილენძის ქვაბით წყალი გაეცხვლებინა და, როგორც ყველა ოთახში შემოდგეს, დედაჩემმა ვასოს სთხოვა, წყალი ცხელია, ბარემ მაგ წითელარმიელს თავი ჩამომაბინე და მანამდის მეც სუფრას გავსული. წითელარმიელმა მადლობით მიიღო ეს წინადადება. დაბლა, მარჯვნივ, გავარვარებულ თუნუქის ღუმელთან თავი დაიბანა, მერე ვასოსთან ერთად მადლა ამოვიდა.

ყველანი შემოუსხდნენ ბუხრის წინ გაშლილ სუფრას. მე და დედაჩემი სამეფხა სკამებზე ვისხედით და ჩვენთვის ვსაუბრობდით, იმ დღეს ჩვენს უბანში დატრიალებულ ამბებზე. დაწვრიბიდან ვი თურმე ჩემი ბიძაშვილები იჭყიტებოდნენ. ეს მაშინ გავიგეთ, როცა მამაჩემმა დასწყვილა მათ:

— რას იუყიტებთო, დაიკარგეთ აქედან, თქვე კვირააღუბ დაყრილებო.

ჩემი ბიძაშვილები ამისთვის არ გამიმტყუნებია. მართლაც, იმ უბანში მხოლოდ ჩვენთან იყო რუსი წითელარმიელი და ყველას აინტერესებდა, როგორ მოიქცეოდა „რქიანი ბოლშევიკი“, როგორც მაშინ მათ უწოდებდნენ მერნევიკთა გვარდიელები.

ვახშმის დროს საუბარში გამოირკვა, რომ ჩვენი სტუმარი წითელარმიელი წარმოშობით იყო უკრაინელი, დონბასიდან, სახელად ტარასი ნიკოლოზის ძე, გვარად ტროფიმენკო. მისი მამა შახტის მუშა ყოფილა და ოქტომბრის რევოლუციის დღეებში ზამთრის სასახლის იერიშის დროს მძიმედ დაჭრილი პეტროვარდის სამხედრო ჰოსპიტალში გარდაცვლილა. ტარასის დონბასში დარჩენია დედა და მცირეწლოვანი დამა, რომელთა შესახებ წელიწადზე მეტი იყო, რაც არაფერი იცოდა. იგი ბევრს ლაპარაკობდა სერგო ორჯონიკიძეზე და ძალიან აქებდა მას. ვასო გვითარგმნიდა:

— ტარასი ამბობს, ჩვენთან არმიის ბიძარად იყო ხოლმე ერთი ქართველი უღვაშეზიანი,

კეთილი მეთაური გრიგოლ კონსტანტინეს ორჯონიკიძე, ის არის „ნასტაიაში დუშა ჩელავეკა“.

დედაჩემმა ეს უკანასკნელი პიროვნება გაიგო და ვასოს შეეკითხა, — ეგ ვილა არისო.

— არა, სონა ძალო, — გაეცინა ვასოს, — სხვა კი არ არის, ამ სიტყვებს ორჯონიკიძეზე ამბობენ თურმე. იცით, რას ნიშნავს ეს სიტყვები? ახლავ გეტყვი: ეგ ნიშნავს, ჩვენებურად რომ ეთქვათ, ძია ლაზრო ჩვენი პირიზიარება არისო. ჰოდა, ორჯონიკიძე წითელარმიელებისათვის „ნასტაიაში დუშა ჩელავეკა“ ყოფილა, მამ!

ლაპარაკი კარგა ხანს გავრძელდა. ტარასი ღვინოს ცოტას სვამდა. ჩვენს ვასოს ძალიან დაუმეგობრდა. ლაპარაკით გული რომ იჭრეს, გადაწყვიტეს, მოესვენათ. დედაჩემმა ხის „კუშეტაკაზე“ ტარასის დაუგო ლოგინი, ჩვენ კო ტახტზე გავიშალეთ. ვასო გამოგვემშვიდობა, გასვლისას კი დაიბარა დილაზე ისევ გადმოვალო.

ტარასი ტროფიმენკო ძალიან შეგვითვისდა. სადილად რომ დაიგვიანებდა, მაშინვე მათ შტაბისაკენ გავრბოდი წამოსავანად.

დედაჩემს სუფრა მუდამ გაშლილი ჰქონდა. მაგიდაზე შოთი პურის გარდა, ყოველთვის ეწყო ხახწყაჭირი, მშრალად მოხარშული ლობიო, რომელსაც ჩვენს სოფელში სირსეაღს ეძახიან, აგრეთვე კარგი მწილი, ლორი. იშვიათი არ იყო ქათმის ხორცი. ცხელ საუზმედ კი ერბო-კვერცი ან მისგან გაკეთებული „ყოყოყო“.

ერთ კვირა დღეს ტარასიმ თავისი მეთაურები მოიყვანა ჩვენსა და კარგადაც იქიცივნე. მაშინ პირველად მოვიხივე უკრაინული სიმღერა. ისეთი მელოდითი, ნაღვლიანი და გულში ჩამწვდომი იყო, რომ ადამიანს გააჭყოვლებდა. რა სიმღერა იყო, არ ვიცი, ვასო კი იტყოდა ხოლმე, ტარასი ამბობს, ეს სიმღერა ხალხურია და ჩემი სამშობლო უკრაინის წარსულს ეხებაო. მამაჩემი კარგი მომღერალი იყო. ის დედას-ლევიანთან ერთად მღეროდა და მისავე გუნდში წამყვან მომღერლად ითვლებოდა. ეს აღნიშნული აქვს გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილსაც კახეთში მოგზაურობის დროს დაწერალ, თავის დღიურებში. მამაჩემის დავალებით ვასომ საჩქაროდ მოიყვანა ჩვენსა დედას-ლევიანს. ელოშვილი ალექსა, ირემავილი მისა, ისე დასკვექეს ქართული ცნობილი სიმღერები „მრავალყამიერ“, „ჩაკრულო“, „მაყრული“; „გუშინ შეიღნი გურჯანელი“... რომ ქორწილი გეგონებოდათ. ჩვენი სტუმრები გაოცებულნი

**პარილ კოკილაშვილი**  
ლინინი ჩვენი სოფელში

შეკუთრებდნენ მომღერალთა „ოთხელს“ და აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ. შემდეგ დაამღერეს „ეს ბიჭი კარგად თამაშობს“... და გაიმართა ცეკვა. პირველად მამაჩემი გავიდა საცეკვაოდ. შემდეგ გადამატყია სტუმრები. ძალიან ჭირდა მათი ცეკვისათვის სიმღერის აყოლება, მაგრამ ცეკვა მაინც არ შეწყვეტილა.

მეორე დღეს მამაჩემი რევკომში დაიბარეს და მადლობა უთხრეს მეთათრის პატივცემისათვის.

ტარასის კარგად ვეხმარებოდი ცხენის მოვლაში: ვასუფთავებდი, წყალზე გამაყვავებდი, საყვებს ნორმაზე მეტს ვაძლევდი. ვასომ ესეც კი მითხრა: ტარასი შენზე ამბობს, კარგი კავალერისტი გამოვა, თუ აქედანვე ივარჯიშებს ცხენოსნობაშიო. რა დროს ცხენოსნობაა, უნდა ვისწავლო-მეთქი.

მამის სკოლები ჯერ ისევ დაკეტილი იყო. არ ჩანდნენ გახიზნული მასწავლებლები და მოწაფეები ველოდებოდით, როდის გაიხსნებოდა სკოლები. ერთხელ მამაჩემმა ჰკითხა ტარასის. მან ქალაქზე ჩაინიშნა, ჩემს უფროსებს მოვახსენებ და ყველაფერი იქნებაო. მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ რევკომში დაიბარეს მასწავლებლები და გააფრთხილეს, შეკრიბეთ ბავშვები და სწავლა გაანახლოეთ.

არ გასულა დიდი დრო, რომ ერთ საღამოს ჩვენი სოფლის გზირმა ანდრიამ, რომელსაც მეტსახელად „ლაფი აკურთხეს“ ეძახდნენ, სოფელში უბან-უბან ჩამოიარა და თან გაჰყვიროდა თავისი ჩვეულებრივი, ძაღოვანი ხმით, ორშაბათიდან ბავშვები სკოლაში გამოგზავნეთ, სწავლა იწყებაო.

ჩემთვის და ჩემი თანატოლებისათვის ამავნე მეტი სიხარული რაღა იქნებოდა!

შევედრეთ მზადებას სკოლაში წასასვლელად...

იმ დღეებში ჩვენს სოფელში მოხდა ერთი სამწუხარო ამბავი, რომლის მიზეზითაც სკოლაში სწავლის განახლებამ კიდევ რამდენიმე ხინი გადაიწია.

სკოლის მეზობლად ცხოვრობდა ხანშიშესული მანდილოსანი თალაა კრიჭიაშვილი. მისი შვილი ნიკო ხალხში გამოსულ კაცად ითვლებოდა და ყველა პატივს სცემდა. ნიკოს დათვებზე ნადირობა უყვარდა და ის რომ ამბებს მოჰყვებოდა ხოლმე, სულ გინდოდა ვესმინა. ჯადოსნური ზღაპრებიც იცოდა. ჩვენთან უყვარდა სათაფგადასავლო ამბების მოყვლა. ზოგჯერ ისეთ რამეს გამოურევდა. ბაღლებს შიშისაგან თმა აგვებურძღვებოდა. ნიკო ძალიან გვიყვარდა და ვნატრობდით,

მისაკით გულადები ვყოფილიყავით დათვებზე ნადირობაში.

სამაგიეროდ დედამისი თალაა მონავარი დედაცაი იყო. თავისი სწავლებების წიწილასაც არ გააჰაჰანებდა; შარაზე რომ დაინახავდა ვინმეს და არ მოეწონებოდა, მაშინვე ჭქოლას მიადრია და წყველა-კრულვას დაადევნებდა. რა იყო ამის მიზეზი, არავინ იცოდა. „ასკილი და კუნელაო, კაცია და გუნებაო“, — იტყოდნენ ხოლმე თალააზე მეზობლები. რამის თხოვნას ვერავინ უბედავდა, მისი კვილი ასეთ დროს ცასა სწვდებოდა. ასე მოხდა მაშინაც, როცა მას სთხოვეს, ორი წითელარმიელი ერთ ოთახში მოეთასებინა. ნიკო თანახმა იყო, დედა კი არა. ჩემს სახელში შინაურების მოსვლას ვერ ვიტან და უტხოვბი აქ როგორ გავაჰაჰანებო? ნიკო რომ მეზაფერს გახდა, რევკომის თავმჯდომარეს უთხრა, თქვენ მორიგდით დედაჩემთანო, თვითონ კი თოფისათვის დაევილო ხელი და ერთი კვირით „უხის ცერში“ დათვებზე სანადიროდ წასულიყო.

ბევრი რომ არაკი დასჭირდა გიო ბურღიაშვილს, ლამაზობაზე დეთანხმებინა თალაა ორი წითელარმიელის მიღებაზე სახლში. რევკომის თავმჯდომარეს სხვებიც წამოემგველნენ და როგორც იყო, გატეხეს თალაას ჭიუტობა, დაითანხმეს, დაეთმო ერთი ოთახი. მხოლოდ იმ პირობით, რომ საჭმელს ვერც მისცემდა და ვერც მოუშვადებდა.

ორი წითელარმიელი ჩაუსახლდა თალაას. დილით ადრე გადიოდნენ ოთახიდან და გვიან ღამით ბრუნდებოდნენ შინ. ასე, რომ თალაას არაფერზე არ აწუხებდნენ. ასე გადიოდა დღეები.

მართალია, არეული მარტის თვე იყო, მაგრამ იმ კვირა დღეს მზემ გამოაუჩიქა. წინა დღით მოსული თოვლი თანდათან ტალახში ითქვიფებოდა, წყალად იქცეოდა. როცა მოშუაღდევდა, ხალხი გამოიშალა, ბაზარში გამოვიდა, რევკომის წინ მოგროვდა. ჯგუფ-ჯგუფად მდგომი გლეხები საუბრით იყვნენ გართულნი. ზოგი რას ამბობდა, ზოგიც რას მეტწილად კი მათი საუბარი ბოლშევიკებს, ლენინს ეხებოდა.

— ბოლშევიკები არც ისე საშიშარნი ყოფილან, როგორც მენშევიკები და გვარდიელები გვიხატავდნენ, — თქვა აღნიანათ ბათომ.

— მეც ეგ მახარებს, კაცო! — დაუდასტურა ზაქარა ჯალალშვილმა, — ჩვენს ოჯახში ორი წითელარმიელია. ისეთი მორცხვები არიან, რომ ჩვენთან სუფრაზე არ ჯდებიან. აიღებენ პურს და ცხენების მოსავლელებს გომურში რომ მიდიან, იქა სუამენ ხოლმე.

— შენ ეგ რად გინდა, ზაქრო, — წამოიწყო ახლა კაკონანთ პეტრემ, — არ იკითხვ, როგორი პატივისცემით ექცევიან ქალებს? სწორედ

გიოხრა, პირველად გვეშინოდა, ჩვენს უბანში ქალს არაიენ უშვებდა გარეთ. ერთიც ვნახოთ და, რაიმე განიზრახონ, ხომ უბედურება და-ტრიალდებაო — ვეჭვრობდით. ხომ იცით, მაჰაჩეში რუსების ჭარში ნამსახურია, გიორგის ოთხი ჯვარი აქვს დამსახურებული. გვიოხრა კიდევ — რუსები სანოო ხალხიო. მაგრამ გვა-რდიელები იმდენს გვეჩიხინებოდნენ, რომ მათი გვეჯროდა, ბოლშევიკები მართლაც მხეცე-ბად მიგაჩანდა. ეხლა? მეტად პატიოსანი ხალხი ყოფილან, ეს ბოლშევიკები.

— წუხელ საღამოს აღნიანთ სიკა ამბობდა, რაც ბოლშევიკები ჩვენს სოფელში შემოვიდ-ნენ, ხალხი დაწყნარდაო. სოფელში შეწყვე-ტურდნა და ამამაძლობაო. ასე როდი იყო გვირდიელების დროსო. მართლაცდა, მათი ში-შით ხომ გარეთ ეანგაიან რკინის ნატეხსაც ვერ დაეტოვებდი! მოვისვენეთ, მე და ჩემმა ღმერ-თმა, ნამდვილად მოვისვენეთ! — გაუზიარა მეზო-ბლებს თავისი აზრი ლაზრო ჭალაიშვილმაც.

გულხეცავთა ემადლიერებოდა წითელარმი-ელებს, განსაკუთრებით მათ მეთაურებს, რომ-ლებიც თავიანთ მეომრებს წესრიგის სულ უბ-რალო დარღვევისათვისაც კი მკაცრად სჯიდნენ.

და აი ამ დღეს, როცა ზამთრის სუსხში გარ-ეთ გამოსული ხალხი დუქნების წინ მზეს ფეიცებოდა, თალა კრიჟიაშვილის კარმიდამო-დანი მოისმა მისი გულშემზარავი წვილი. მთელი ხალხი მოსწყდა ადგილიდან და იქით-კენ გაექანა.

— მიშველეთ, ხალხო!.. გამპარცევს, გამქურ-დეს ბოლშევიკებმა! აკი ვამბობდი, ყაჩაღებია-მეთქი, ახლა რა ქვას ვახალო თავი, ვინ მი-შველის? — გაჰკიოდა და ბოროტად მოსთქვამდა შავოსანი დედაკაცი.

ელვის სისწრაფით გაჩნდნენ შემთხვევის აღვილზე რეკომის თავმჯდომარე გიო ბურღი-აშვილი და სამხედრო ნაწილის ორი მეთაური. საქმის ვითარება რომ შეიტყვეს, შევიდნენ ოთახში, რომელშიც წითელარმიელები ცხოვ-რობდნენ. თალას მზითვის სკივრი გახსნი-ლი აღმოჩნდა, ხოლო შიგ ჩაწყობილი ტანსაცმე-ლი და თეთრეული, აქოთებული. წითელარმი-ელები ადგილზე არ იყვნენ. თალას სთხოვეს, ეამბნა რა მოხდა. ამ დილით წითელარმიელები არ მიწახვასო, ოთახის დასასუფთავებლად რომ შევედი, სკივრი გადებული დამხვდა, თავი ავხა-დ და ყველაფერი ერთმანეთში იყო არეულიო. ტანსაცმლის და თეთრეულის ქვეშ აღარ იყო ვერცხლის რამდენიმე კოვზი და ძვირფასი თვლებით მოპყდილი ოქროს ბეჭდებიო. თა-ლალა გაჰკიოდა, ოთახში წითელარმიელების გარდა არავის შეეძლო შესვლა, მათ გამქურ-დესო.

ამ ფაქტს შემოწმება ესაპირობებოდა. ასეც მოხდა: იმავე დღეს დააკავეს წითელარმიელე-

ბი. საღამოს კი თელავიდან ჩამოვიდნენ უფრო-სი მეთაურები შემთხვევის შესამოწმებლად. იმი-ება ორ დღეს გაგრძელდა. იმ წითელარმიელებმა გაჩხრეკის დროს მართლაც აღმოჩნდნენ ცხლის ორი კოვზი და ძვირფასთვლიანი ოქ-როს ორი ბეჭედი. მეხუთე დღეს ის ორი წი-თელარმიელი ადგილზე საჯაროდ ვასამარ-თლეს. პროცესს ესწრებოდა სოფლის მოსახლე-ობა. როგორც სასამართლოს პროცესზე გამო-ირკვა, აღნიშნული მეგრძობები ადრე ყოფი-ლან მახნოს თეთრგვარდიულ ბანდაში და წი-თელი არმიის მიერ აღნიშნული ბანდის განა-ღებების შემდეგ რაღაც მაქინაციებით შე-მოკედლებიან წითელ არმიას. ისინი ადრეც ყოფილან შემჩნეული მარადიობაში. როცა სომხების ანთავისუფლებდნენ დაშნაკ შავრაზ-მელთა ბანდისაგან, ერთ-ერთ სოფელში ოჯა-ხიდან ძვირფასი ნივთების გატაცება უძლიათ, დაუკავებიათ კიდევ, მაგრამ ნივთიერ მტკი-ცებათა უქონლობის გამო პირობით გაუნთავი-სუფლებიათ.

ამჯერად კი ორივე ფეხებით გაეხნენ. წაყე-ნებულ ბრალდებას, ქეშმარიტ ფაქტებს და ნი-ვთიერ მტკიცებას ეერსად გაექცნენ. თუმცა სცადეს სასამართლოს შეცდომაში შეყვანა — აღნიშნული ნივთები თვითონ დედაბერმა გვა-ჩუქაო, — თქვეს, მაგრამ თალალამ ამის გაგო-ნებაზე ისეთი ყვირილი ატეხა და წყევლა-კრუ-ლვა დააყოლა, მართალიც რომ ყოფილიყო, მაინც არაიენ დაიჯერებდა თალალას „ქველმო-ქმედებას“.

სწორედ ამიტომ, სამხედრო — საველე სასა-მართლომ, რომელსაც თავმჯდომარეობდა თმა-შევერცხლილი, უღვაშებიანი წითელი ოფიცე-რი; მშვიდობიანი მოქალაქის გაქურდვისა და წითელი არმიის მეომრისათვის შეუფერებე-ლი მიმე დანაშაულის ჩადენისათვის ორივე აღნიშნულ მეომარს მიესჯა დახვრეტა. განაჩენი საბოლოო იყო. იგი სისრულეში მოიყვანეს იმავე დღეს, საღამოს, „ჭოტის ხევში“.

ამ ამბავმა მეტად მიმე შთაბეჭდილება მო-ახდინა სოფლის მოსახლეობაზე. ბევრი ამტყუ-ნებდა თალალა კრიჟიაშვილს, რა აღრიალბდა, მაგ კერავაციებულს, ეთქვა იმ საცოდავებისა-თვის და იქნებ თვითონვე დაებრუნებინათ ნივ-თებით. ახლა ამ ორი კაცის ტოდო თვითონ ზი-დოს თავისი კისრითო. როცა მისი შვილი ნი-კო ნადირობიდან დაბრუნდა და გაიგო ეს ამ-ბავი, ძლიერ იწყინა, დედასთან უსიამო-ვნებაც მოუვიდა და თითქმის ერთი თვე სახლშიც არ გამოჩენილა, მართალია, და-მნაშვენი იყვნენ, მაგრამ მაინც ასე არ უნდა გაეწირა დედაჩემსო, ხშირად ამბობდა ნიკო.

**არჩილ კოპილაშვილი**  
**ლენინი ჩვენს სოფელში**

ხალხი კი ამ ფაქტის შემდეგ ერთსულოვნად განიმსჯელა რწმენით: ბოლშევიკები სამარ-ალიანები ყოფილან, დანაშაულისათვის არც თავისას ინდობენ და არც სხვას დაინდობენ, ჩვენც ასეთი მთავრობა გვინდაო.

გავიდა კიდევ ერთი კვირაც და მოვიდა ბრძა-ნება ჩვენი სოფლიდან სამხედრო ნაწილის ყვარლის ყაზარმებში გადასვლის თაობაზე.

დიდი გაცილება მოუწყვეს შილდელებმა ყვა-რელში მიმავალ წითელარმიელებს.

ტარასი ტროფიმენკომ წასვლის წინ მოირბი-ნა სახლში და ყველას გულობილად გამოგვე-მშვიდობა. როცა მე მომხვია ხელი და გადამ-კოცნა, თავისი წითელვარსკვლავიანი „ძაბრის ქული“ მოიძრო და მე დამახურა თავზე, თანაც მიიხრა:

— გქონდეს ჩემს სახსოვრად. როცა კომკავ-შირელი და კომუნარი გახდები, მომიგონე ხოლ-მე.

ტარასიმ საველე წამოსაკიდი ტომრიდან მე-ორე ჯარისკაცული ქული ამოიღო და დაიხურა.

ამასობაში მეზობლები მოგროვდნენ: ზოგს ხილი მოჰქონდა, ზოგს ხელთათმანი და მოქსო-ვილი წინდები... ფეფენა ბებიაჲ კი სველი ხე-ლადით ღვინო, შოთი და ნიგვზის ლებანით სა-ვესე ჩაის თეფში გამოიტანა. შემდეგ მიაპყრო თავისი კეთილი თვალები ტარასის და უთხრა:

— შენ გადღეგრძელებ შვილო, მშვიდობით გველოს შენს გზაზე, დედაშენს ცოცხალი დაუბრუნდი. ვაღღეგრძელებ თქვენს დიდ უფ-როს ღვინის. კაი კაცი ყოფილა, რომ ჩვენისთანა საწყალ-დაბეჩავებულ ხალხზე ფი-ქრობს. თუ შეხვდე ღვინის, უთხარი, რომ ჩვენს სოფელსაც ესტუმროს, კეთილი გულით დაე-ხვდებით...

ტარასი გვერდში ამოუღდა ჩვენი მეზობელი ვასო და ფეფენა ბებიას სიტყვებს უთარგმნდა.

ტარასი ძალზე გახარებული მივიდა ფეფენა ბებიასთან. დააცადა ღვინის დაღვეა, მერე გა-დაეხვია და მიიმე შრომისა და სიბერისაგან

დამქანარი სახე დაუკოცნა. მერე ჩემკენ გა-მოიხედა, წინ გადმოვადო მხარზე ჩამოკიდებუ-ლი საველე ჩანთა, გახსნა და გზებითს ქაღალდში ფაქიზად გახვეული სურათი ამო-ღო, მერე მალლა ასწია ყველსა და თანაც და-თქვა:

— აი ეს გახლავთ ჩვენი ბელადი და საბჭო-თა მთავრობის თავმჯდომარე, ღვინის!...

— ღვინის!... ღვინის!... ღვინის! — აგუგუნდა ხალხი.

— აი თურმე როგორი ყოფილა ღვინის! — თქვა ოსეფიანთ ანდრიაჲ და პირჯვარი გადაი-წერა.

ტარასი მოვიდა ჩემთან და გადმომცა ღვინ-ის პორტრეტი. თან მიიხრა:

— შენ მოგიხდება ღვინის ნაჩვენები გზით. სიარული, ახალი ცხოვრების შენება. გქონდეს სახსოვრად!...

სიხარულით ისე ვიყავი აღტაცებული, აღარ ვიცოდი რას ვაკეთებდი. მაშინ ჩემზე ბედნიერი არავინ მეგულებოდა. ასე მეგონა, უბნელები შურითაც კი მიყურებდნენ. ამ ძვირფასი საჩუ-ქრისათვის ტარასის კისერზე ჩამოვეკიდე. დე-დაჩემმა ჩურჩხელებითა და კომშებით აუვსო ჯიბეები.

უზოდან გასულ ტარასის მეც ავედევენე, ფე-ხით გავყვევი მოედნამდე. იქ უკვე ყველანი შე-კრებილიყვნენ. ტარასიც მათ შეუერთდა. მე-თაურის განკარგულებით ყველანი ცხენებზე შესხდნენ.

გაიცა ბრძანება!

წითელი ესკადრონი დაიძრა ყვარლის მიმარ-თულებით. სოფელი კვლავ აახშიანა წითელ-არმიულმა ლაშქრულმა. ჩვენი სოფლიდან მი-დიოდნენ ღვინის წითელვარსკვლავიანი მხე-დრები.

უზოებსა და გზებზე გამოფენილი ჩვენი სო-ფელელები კეთილი თვალთ მიაცილებდნენ თავის განმანათვისუფლებლებს, ახალი ცხოვ-რების მეკვლეებს.



ბაკი ბაქრაძე

## პრეზიდენტი, როგორც მწიგნობარი

ამჟვეყნად ყველაფერი ჩვეულებრივია. არა-ჩვეულებრივის ელფერსა თუ ხასიათს ამა თუ იმ მოვლენას ადამიანი ანიჭებს იმიტომ, რომ ჩვეულებრივი ერთფეროვანი და მოსაწყენია. ადამიანი გაუბრუნის ერთფეროვანსა და მოსაწყენს და მიუღწევს არაჩვეულებრივს. არაჩვეულებრივის სიყვარულმა და მისკენ ღრმად დაბადა რელიგია, ხელოვნება და მწერლობა. მათი საშუალებით ეზიარება ადამიანი ამაღლებულსა და ზებუნებრივს. მწერლობის ამოცანაც ჩვეულებრივში არაჩვეულებრივის, ამაღლებულის და ზებუნებრივის აღმოჩენაა.

პირველ მამაკაცს უყვარდა პირველი ქალი და პირველ ქალს — პირველი მამაკაცი. მას შემდეგ კაცობრიობა იმეორებს ამას. მაგრამ ყოველ დროში განიცდიდნენ და განიცდიან რომეოსა და ჟულიეტას, მანონისა და დე გრიეს, ნესტანისა და ტარიელის სიყვარულს, რადგან გადალახულია ზღვარი ჩვეულებრივისა და ადამიანის სული ტკებება არაჩვეულებრივით. ამჟვეყნად არავის უნდა სიკვდილი და არც არავის უოცნებია სიკვდილზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვინ უწყის, რამდენ შეყვარებულ ქალსა და კაცს უნატრია, მათი ცხოვრებაც ისე დასრულდებულყოფილი, როგორც რომეოსა და ჟულიეტასი, რადგან ყოველი კაცი მოჭადრებულა სიყვარულისათვის სიკვდილის მომხიბლავი პოეზიით. თავისთავად სიკვდილში არ არის პოეზია. ამ შემთხვევაში ეს პოეზია შექსპირმა აღმოაჩინა.


პირველ ომში მოკვდა პირველი ჯარისკაცი და მას შემდეგ ადამიანებს აძრწუნებს ჯარისკაცის სიკვდილი. სიკვდილიც ჩვეულებრივია და შეძრწუნებაც, რადგან ომი ომია და სიკვდილი ისე აუცილებელი და ჩვეულებრივია, როგორც გათენება ან დაღამება. მაგრამ ანდრეი ბოლკონსკის სიკვდილში არის შეძრწუნებისა და სიბრაღულის სხვა დოზა, რაც ბოლკონსკის ვარ-

დაცვლებას არაჩვეულებრივის ელფერს ანიჭებს. მოძებნილია ის, რითაც ანდრეი ბოლკონსკის სიკვდილი არ ჰგავს არც ერთი ჯარისკაცის სიკვდილს. ამით იგი განუმეორებელი და დაუეწიყარია.

მკითხველის დაუოკებელი ინტერესიც მხატვრული ნაწარმოების მიმართ იქ იბადება, სადაც ამ განუმეორებელსა და დაუეწიყარს აღმოაჩენს. ამიტომ, ბუნებრივია, როცა ყოველ ახალ ნაწარმოებში ვეძებთ ჭეარც წაუკითხავსა და არგაგონილს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ადამიანური გრძნობა ძველია და გაცვეთილი, ყოველი ადამიანი ამ ძველსა და გაცვეთილს ისე განიცდის, როგორც პირველქმნილს და ახლადშობილს. და თუ სიტყვაჯამულმა ნაწარმოებმა პირველქმნილისა და ახლადშობილის ემოცია არ დაგვეტოვა, მაშინ იგი სტანდარტული ლიტერატურის საზღვრებს ვერ გასცილდება.

სამწუხაროდ, ამირან კუსრაშვილის რომანმა „სადაც არ უნდა იქუხოს“ (გამომცემლობა „მერანი“, 1969 წელი) სტანდარტების სამანს ვერ გადააბიჯა. და ეს მოხდა სწორედ იმიტომ, რომ ნაცნობი და ჩვეულებრივი ისევ ნაცნობად და ჩვეულებრივად დარჩა. ავტორმა აღმოჩენის სიხარული ვერ განგაცდევინა. არა და რომანის მასალა იძლეოდა ამის საშუალებას.

თვალი გავადევნოთ თუნდაც რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის ზურა მარჯანიძის თავგადასავალს. როცა ომი დაიწყო, ზურა 16 წლისა არ იყო, მაგრამ მამამ, პოლკოვნიკმა მარჯანიძემ, იგი ფრონტზე წაიყვანა. რა თქმა უნდა, ჯარისკაცობა ყმაწვილის სურვილიც იყო. ბიჭმა ნახა ომის საშინელება, მამის სიკვდილი, დაიჭრა კიდეც. ყველაფერი ეს რამდენიმე თვეში გადაიტანა ზურამ. ე. ი. ავტორმა ბიჭი ჯოჯოხეთის ცხრავე წრეში გაატარა, მაგრამ ზურა მარჯანიძის სულიერ სამყაროს რა კვალი დააჩინა ამ ამბებში, როგორ დაკავდა რამდენიმე



თვეში ბავშვი, როგორ მიწვდა იგი ცხოვრების მძიმე სიმართლეს, მკითხველისათვის უცნობია. ა. კუსრაშვილი ნენარგის არ ზოგავს ბატალური სცენების აღწერისას, მაგრამ იოლად უვლის გვერდს ადამიანის სულის მოძრაობის ამსახველ სურათებს. მკითხველმა იცის, როგორ გამოჰყრა ზურამ ხელი ავტომობილს ჩახმახს და როგორ შეეღება ცხვირ-პირი სისხლით გერმანელს, როგორ ეცა ზურა ტანკის მუხლუხებში გახერგილ მორს და გამოათრია, როგორ დასცა ერთი ვასროლით მტრის სამი ჯარისკაცი და ა. შ. მაგრამ არ ვიცით, როგორ განიცადა ზურამ პირველი სიკვდილის სახვა, ანდა თავად ზურამ როგორ ესროლა პირველად ადამიანს, როგორ გაიმეტა სასიკვდილოდ. იოლზე იოლი დასაწერია — გამოჰყრა ჩახმახს თითი და ორი თუ სამი გერმანელი წაიქცა, მაგრამ ურთულესია და უძნელესი, აჩვენო ის ფსიქოლოგიური პროცესი, რომელიც ზურა მარჯანიძემ გაიარა უზრუნველი და უღადრდელი ბავშვობიდან ჯარისკაცობამდე, როცა შეგიძლია მტერს ისე ესროლა. გული და ხელი არ გიკანკალებდეს. ეს ფსიქოლოგიური პროცესი, სულის ეს მოძრაობა ა. კუსრაშვილმა რომანში არ აგვიწერა.

რომანში პერსონაჟები მსჯელობენ, დასკვნებს აკეთებენ, მაგრამ ის სინამდვილე, რის საფუძველზეც ამა თუ იმ დასკვნამდე მივიდა ადამიანი, ბო არის. მაგალითად, შიშლოვსკის არ უნდა აეთხოვენის მუსიკის მოსმენა იმიტომ, რომ ეს კომპოზიტორი გერმანელია: „გერმანელების წყალობით ვღაფავთ სულს ამ ქვის კუბოში; მე, აი, ხუთი გერმანული ტყვია მღეწს მუცელში, და ახლა გერმანულ მუსიკასაც მზრი? ნეტა რომელ გიგს მოსდის ასეთი გასაყენიგებელი იდეები, დასახვრეტიანა მამაძალის შეილი.“ (გვ. 296—297), ხოლო მფრინაეი ოთარ ხანდაველი გერმანელთა სრულ ამოწყვეტას მოითხოვს: „სუყველა უნდა... გაიფლიტოს... ადამიანები კი არა... მხეცები არიან... მხეცებზე უარესები!“ (გვ. 297. ეს ლაპარაკი ესმის ზურას და მერე ავტორი გვეუბნება, რომ „ზურამ წარმოიდგინა, რა წამების ღღეფი უნდა გადაეტანათ მათ. რომ ასეთი ზიზღი და სიძულვილი დაგუბებოდათ გულში“ (გვ. 297).

რა თქმა უნდა, პერსონაჟს აქვს უფლება, რაც უნდა ის წარმოიდგინოს. ისიც ცხადია, რომ საერთოდ ყოველმა კაცმა იცის, რასაც ფაშისტები აკეთებდნენ და ამით შეუძლიათ მიხედნენ შიშლოვსკისა და ხანდაველის გაბორტობას. მაგრამ შეჭრალი მოვლელა მის მიერ აღწერილი კონკრეტული სინამდვილის წყალობით დააჩეროს მკითხველი, რომ შიშლოვსკისა და ხანდაველს არ შეეძლოთ სხვაგვარი დასკვნის გაკეთება. ჩვენ ვიცით, რომ შიშლოვსკი დაქრილია, ხანდაველი მთელი თვეა გაუნძრევლად წევს და გადარჩება თუ არა, არავინ უწყის,

მაგრამ არ ვიცით უმთავრესი — რა გადაწყვეტილია მათ, რამ შეარყია მათი სული ფსიქიკური სად გააბოროტა. აქაც ავტორმა აღწერა რეზულტატი და არ გვიჩვენა პროცესი უმთავრესი სიძულვილის დაბადებისა.

პრობლემატურ მხატვრულ საკითხებს ა. კუსრაშვილი საერთოდ გვერდს უვლის და მხოლოდ ფაქტის აღწერით კმაყოფილდება. მაგალითად, ჯერ დაჟინებით გვარწმუნებს, რომ გალინასა და ზურას შორის პირველი სიყვარულის ნაპერწყმებმა იფეთქაო. ამას ადასტურებს არა მართო ის, რომ გალინას ხსენებისას ზურა ყოველთვის წითლდება, არამედ ისიც, რომ ვაცხარებული ბრძოლის წუთებში ბიჭი გალინაზე ფიქრობს და მას დაემბნება.

ზურას უყვარს გალინა. მაგრამ მაშინ როგორღა ავხსნათ მათი ბოლო შეხვედრის გულგრილობა? დაქრილი ზურა პოსიტილში წევს, მასთან მივიდა სანიტარი გალინა და ამხნევებს.

— როგორ ხარ, ზურა? იცი, რა ცუდად იყავი! არავის არ ეგონა, თუ გადარჩებოდი. კოლა გვერდიდან არ გცილდებოდა. თავისი სისხლი რომ არ დაეთმო...

— კოლა?...  
— კოლია. პერვენცევი, აი, ჩენი...  
— ა, ის... ჰო, ვიცი...

გალინა ისე წარმოთქვამდა „კოლიაო“, რომ ზურა უკმა მიხვდა, მისთვის პერვენცევი მართო ეთილმოზილი ადამიანი და კარგი ექიმი არ უნდა ყოფილიყო.

გული დასწყდა. მას მოსწონდა გალინა, მოსწონდა მისი ალერსიანი, ცისფერი თვალები, მისი ღიმილი, მოსწონდა მოგონებები მათ შეხვედრებზე კრუკოვგორესკის სამხედრო ბანაკსა და უჯრასთან ერთად დახვდის დროს, და რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ ეს მოგონებები მას სხვებზე უფრო მეტ უფლებებს ანიჭებდა. გალინას კი, როგორც ჩანს, სხვა ამოურჩევია გულის ტოლად.

თავს ძალა დაატანა და გაიღიმა“ (გვ. 287 — 288).

აქ, მართალია, არის სინანული, მაგრამ არ არის ტკივილი. სიყვარული, რომელიც ვარკვეულ და მკაფიო კვალს არ ტოვებს ადამიანის ცხოვრებაში, არ არის სიყვარული. ამირან კუსრაშვილმა ვერ უთხრა მკითხველს, რა იყო ზურასათვის გალინა, რა როლი შეასრულა ქალმა ვაჟის ცხოვრებაში ან რა დაუტოვა ზურას სულიერ სამყაროში — სიხარული თუ ტკივილი? იყო შეხვედრები, იყო რაღაც ალერსის მსგავსიც, იყო მადლიერი თვალების ყუყუნიც. მაგრამ არ არის უმთავრესი — რისთვის, რა მხატვრულ-აზრობრივი მიზნით აღწერა ა. კუსრაშვილმა ზურასა და გალინას ურთიერთობა.

სიყვარული არ არის მხოლოდ ორი განსხვავ-

ვებული სქესის ადამიანთა ურთიერთტოლკოვა. სიყვარული სულში არსებული სიცარიელის ავსებაა ღვთაებით. და თუ სულს განეშორა ღვთაება, იგი (სული) კვდება. ამიტომ ამბობდნენ ძველი ბერძნები — სიყვარული სიკვდილიაო. ამიტომ მოკვდა ოთარაანთ ქვრივის გიორგი. ამიტომ მოკლა თავი ანა კარენინამ და ა. შ. იგივეებენ არა იმას, ვინც უყვართ, არამედ იმას, ვის მიმართ სქესობრივ ლტოლვას განიცდიან. ცხოვრებაში შეიძლება აირიოს ეს ორი გარძნობა, მაგრამ მხატვრულ ნაწარმოებში მათი არევა შეუძლებელია. შეუძლებელია იმიტომ, რომ ერთია ემოცია მოგვირეო სიყვარულისაგან და მეორეა ემოცია გამოწვეული სქესობრივი ლტოლვით. ეს ემოციები სხვადასხვაგვარ კვალს აშენებს მკითხველის სულს. სიყვარული კათარზის (რუსთაველი რომ იტყვოდა, ავჯამალღებსო) იწვევს და ადამიანის განწმენილი სული მიისწრაფის უზენაესისაკენ. სქესობრივი ლტოლვა კი არ სცილდება ჩვეულებრივ ბიოლოგიურ საწყისს, მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად სქესობრივი ურთიერთობა უდიდესი და უმშვენიერესი მისტიკაა.

„შენ ჩამოხვედი ტახტიდან და ჩემი ქოხის კართან დადქი“ — მღეროდა დიდი რაბინდრანათ თაგორი. ან ტახტი, ან ქოხი! სიყვარულში საშუალო არ არსებობს. ის, რაც საშუალოა, უფერული, უგემური და უდიდძამოა. სამწუხაროდ, ზურასა და გალინას ურთიერთობა უფერული და უდიდძამო საშუალოა.

გულახდილად უნდა ითქვას, რომ რომანის კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ა. კუსრაშვილს ეშინია ვნებებისა და განცდების გამძაფრებისა და ცდილობს ნეიტრალურის ფარგლებში დარჩეს. ეს განსაკუთრებით იგრძნობა სიკვდილის აღწერაში.

ელენე ბურდული ისე გარდაიცვალა, რომ მკითხველმა ვერც მოასწრო მისი გაცნობა. ამ ქალის ბიოგრაფია და ცხოვრების გზა პუნქტირით მიანიშნა ავტორმა. არის რაღაც საინტერესო ამ უთქმელი, ოჯახგადაყოლილი ქალის ბედში. მაგრამ დაიბადა თუ არა მკითხველის ინტერესი ელენეს მიმართ, ავტორმა იგი წუთის ოფელს გამოასალმა. ნუთუ ელენე მხოლოდ იმიტომ სჭირდებოდა ა. კუსრაშვილს, რომ შენობა გვეწახა, როგორ აბანავებს შვილს დაქვრივებულ ბესარიონ ბურდული? მკითხველმა არც ის იცის, განიცადა თუ არა ბესარიონ ბურდულმა ცოლის სიკვდილი. შეიცვალა თუ არა რაიმე ბურდულების ოჯახში ელენეს გარდაცვალებით? ერთი სიტყვით, იყო პერსონაჟი, რომელიც თურმე არ სჭირდებოდა მწერალს და, როცა შეატყო, ზედმეტი პირი შემოპარულაყრომანში, სრულიად გულგრილად საიჭიოს გაისტუმრა. სიკვდილი არ არის ისეთი მოვლენა, რომელსაც შეიძლება ასე უბრალოდ წამო-

კრა ხელი. სიკვდილი ავლენს ადამიანის მთელი ცხოვრების შინაარსს. ამბობენ, დაშინი მიკროსამყაროა და ადამიანის სიკვდილში იღუპება მთელი სამყარო. ტყუილია ეს თქმა. ამბობდა ჯონ დონი — „ყოველი ადამიანის სიკვდილით გაკლდება შენ, რადგან კაცობრიობის ნაწილი ხარ. სწორედ იმიტომ, როცა ვესმის ზარების რეკვა, ნურასდროს იკითხავ, ვის იგლოვს ზარი; ის გიგლოვს შენ“. ელენე ბურდული არავის უგლოვია: არც ავტორს, არც მკითხველს. იგი აღნიშნავს ვაჭარა.


შეიძლება ვინმემ იტყვას, ელენე ბურდული მეორეხარისხოვანი პერსონაჟია და მწერალი დიდ ადვილს ვერ დაუთმობდაო. კეთილი და პატიოსანი ვთქვათ, ეს არის მიზეზი ელენეს სიკვდილის სხვათაშორის აღწერისა. მაშინ პოლკოვნიკ მარჯანიძე რატომღა იღუპება ასევე უფერულად? განა იგიც მეორეხარისხოვანი პერსონაჟია? პირიქით, მის სიკვდილს ზურას პიროვნების ჩამოყალიბებაში გადაწყვეტილი უნდა შეესრულებინა. მამის სიკვდილი 16 წლის ზურასათვის არ იქცა ტრაგიკული სამყაროს აღმოჩენის ფაქტად.

სიკვდილი შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი — მიულოდნელი, უმიზნო და უაზრო, ვაქაციური, სასოწარკვეთით გამოწვეული, მოწამებრივი და ა. შ. ყოველ მათგანს სათანადო მხატვრული სახისა და ატმოსფეროს შექმნა სჭირდება. მხატვრული სახე და ატმოსფერო ძალევეს საშუალებას მკითხველს სიკვდილის აქტის აღწერაში ჩამარბული ქვეტექსტი ამოიკითხოს. თვინეირ ქვეტექსტისა, გამოვა ფაქტის კონსტატაცია და არა მხატვრული სურათი. როგორც კარგად მოგვხსენებთ, სიკვდილის ფაქტის კონსტატაცია ექიმების საქმეა და არა მწერლებისა. ვაი, რომ პოლკოვნიკ მარჯანიძის სიკვდილი არ ატარებს აზრობრივ ქვეტექსტს და ამბობს მხოლოდ იმას, რომ ომში შეიძლება ადამიანი მოკვდეს.

რაკი სიკვდილზე ჩამოვარდა ლაპარაკი, არ შეიძლება ორიოდ სიტყვა არ ითქვას ოთარ ხანდაველის სიკვდილის ცრუ ცნობაზე. რა თქმა უნდა, ომის დროს ხდებოდა ასეთი რამ: მოვიდოდა ცნობა, ესა თუ ის პიროვნება დაიღუპაო, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდებოდა, რომ ცნობა ცრუ ყოფილა. ყუფილია რაღაც სერიოზული თუ არასერიოზული გაუგებრობის შედეგი. თუ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ ოთარ ხანდაველის დაღუპვის ცრუ ცნობაში არის ცხოვრების პროტოკოლური სიმართლე. მაგრამ არ არის მხატვრული ნაწარმოებისათვის აუცილებელი ემოციური სიმართლე. თუ მკითხველი მეტისმეტად გულუბრყვილო და გამო-

### აბაბი ბაჩრაძე

არც ისე წვიმს, როგორც შუხს



უცელი არ არის, მაშინვე მიხვდება — ოთარის სიკვდილის ცნობა ყალბიაო. მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურაში ელემენტარულად გათვითცნობარებულმა მკითხველმა იცის, რომ ოთარ ხანდაველი ისეთი პერსონაჟი არ არის, რომელსაც ავტორი ასე უცებ და მალე მოკლავს. რაკი ეს იცის მკითხველმა, იგი მიხვდება იმასაც, რომ ცნობის მოსვლა სიუჟეტური ტრიუჟი, რათა მოვლენები ხელოვნურად გართულდეს. მართლაც, მერე ავტორი აგვიწერს ოთარის მამის ლევან ხანდაველისა და სატრაფოს, ზეინაბის განცდებს. მაგრამ ავიწყდება, რომ სიცრუით გამოწვეული ტრაგიკული განცდა მასკარადულ ხასიათს ატარებს. ამიტომ მკითხველის თვალში ზეინაბი და ლევან ხანდაველი უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ისინი განიცდიან იმას, რაც მკითხველისათვის არ არის მტკივნეული, რაკი იცის, რომ ეს ტყუილია. ეს მკითხველსა და რომანის პერსონაჟებს თიშავს. მათ შორის ემოციური კონტაქტი აღარ მყარდება. ახლა დავუშვათ, რომ მკითხველი გულუბრყვილოა და დაიჭვრა, რომ ოთარ ხანდაველი მართლა დაიღუპა. მაგრამ დაიჭვრებს თუ არა ოთარის სიკვდილს, მაშინვე, სულ რამდენიმე გვერდის შემდეგ გაიგებს, რომ იგი — ოთარ ხანდაველი — ცოცხალია, ოღონდ მძიმედ არის დაჭრილი. როგორც კი ამას გაიგებს, უსიამოვნო განცდა იმისა, რომ მოატყუეს, აღარ მოასვენებს და რომანის ავტორს აღარ ენდობა. თუ მწერალსა და მკითხველს შორის ნდობა დაიკარგა, მაშინ ავტორის ყოველი ცდა დაუფუძვლავს მკითხველის გულს, წყაღში გადაყრილი შრომაა.

ყოველი მხატვრული ნაწარმოები სიცრუეა. მაგრამ ისეთი სიცრუე, რომლის ნამდვილობა ყველა სინამდვილეზე უფრო გჯერა. მწერლის ოსტატობაც ის არის, სიცრუე სინამდვილედ აქიოთ და ამ სიცრუის დაჭერების ისეთი აუცილებლობა შექმნა, რომელსაც მკითხველი ვერავითარი ძალით ვერ გაეჭყევა.

დამაჭერებლობის ამ დონას სათანადო ატმოსფეროც სჭირდება. ატმოსფეროს შექმნა კი უჭირს ამირან კუსრაშვილს. მაგალითად, რომანში არ არის ომიანობის ატმოსფერო თბილისში. მართალია, ყველა ომზე ლაპარაკობს, საინფორმაციო ბიუროს ცნობებსაც ისმენენ, ქარხნებში მუშახელის ნაკლებობას უჩივიან, ყველას ომში მოხალისედ წასვლა უნდა, მაგრამ ომის ატმოსფერო და განწყობილება მაინც არ არის და არ არის. არ იგრძნობა, რა ზეგავლენა მოახდინა ომმა ადამიანებზე, როგორ შეიცვალა მათი დამოკიდებულება მოვლენებისადმი, რა ძვრები მოხდა მათ სულიერ სამყაროში და როგორ გამომდგანდა თითოეული მათგანის თვისებები. ცხადია, ქვემოთ ციტირებულ სტრიქონები არაფერს ლაპარაკობს, რადგან ყალბია.

„მერე საიდანაც ყავარჩნებიანი კაცი ჩნდებ-

და და სუყველა მოწიწებით უთმობს გზას, განჩხლებული ქალები მას სასოვნელად მესტყვიან და თვალებზე ცრემლი ერევათ“ (პ. 118). ხომ ვერაზე განთქმული სპეკულიანტი კოკლი ღარიბაა. ამით კი ნაბრძოლ ნაომარი დაჭრილი პკონიათ და ლამის ხელში ატატებულ შიკყავთ ტროლებუსში“ (გვ. 74).

ვითომ ვინმე დაიჭვრებს, რომ თბილელ ქალებს განთქმული სპეკულიანტი დაჭრილი მემომარი ეგონათ? ძალიან საეკვოა. გარდა ამისა, ამბავი ისე უნდა დაიწეროს, რომ ალტაცების გამომხატველი სიტყვები — რა ხალხია! — მკითხველმა წამოიძახოს და არა ავტორმა. საერთოდ თქმის სიზუსტე ყოველთვის მიგნებულ და დაცული არ არის. მეტყველების ნიუანსი რომ შეიქმნას, ამირან კუსრაშვილი ზოგჯერ ისეთ სიტყვას ათქმევინებს ამა თუ იმ პერსონაჟს, რომელსაც იგი ვერ იტყოდა. ამის გამო გამოდის არა პერსონაჟის მეტყველების ნიუანსირება, არამედ არადამაჭერებლობა. მაგალითად, „ბებია მართა საშინლად ამაყობდა მდგომარეობით და მეზობლებში სასოებით ლაპარაკობდა თავის „ღენერალზე“ (გვ. 118). „ღენერალი იმდენად ქართული ელფერია სიტყვისა „გენერალი“, რომ რუსი ქალის (პართა რუსია) მეტყველების თავისებურების გამოსახატავად არ ვარგა. ანდა რუსი კაცი სიტყვა ოკოინტრეს ინხარს? „ეხ, შე ოკოინტრე, — ავიციან ალექსიმ — მე რა შენი ძია ვარ. ამხანავო გვარდის ეფრეიტორო-თქო, რამდენჯერ უნდა გითხრა!“ (გვ. 264). სიტყვებს ეროვნული სული აქვს და ამა თუ იმ ეროვნების კაცის მეტყველებისას ისინი ზუსტად უნდა გამოხატავდნენ ნაციონალურ სამყაროს. როგორც ჩანს, ა. კუსრაშვილი ძალიან უყვიარს სიტყვა — დანამა, რადგან როგორც კი ქალები ატირდებიან, ყველას თვალები ენამება:

„რა სულელი ხარ, ზურა! აბა, რას ამბობ! — თვალები და ენა მამა ქალიშვილს“... (გვ. 37).

ქალიშვილმა „ნამიანი თვალებით მიხვდა ვაჟს“ (გვ. 176).

ქალმა „ნამჩამდგარი, დანისლული თვალებით გაუღიმა ზურას“ (გვ. 190) და ასე შემდეგ.

კმარა შენიშვნები, თორემ შეიძლება ვინმე იკითხოს: ნუთუ სამასგვერდიან რომანში არაფერი კარგი არ არისო, არის, მასწავლებელ „ცეცეს“ ჭარში გაწვევისა და უკანასკნელი გაკვეთილის ეპიზოდი (გვ. 222—226). რომანში ეს თავი დაწერილია ჭეშმარიტად მწერლური ხელით. მაგრამ საშუალოდ, ასეთი ემოციური, მართალი, შინაგანი ტემპერამენტით დამაბული და სინტერესო ეპიზოდები მეტად იშვიათია რომანში. ამიტომ ამ თავმა ვერ მოახერხა რომანისაგან მიღებული სიერთო შთაბეჭდილების გაქარწყლება.





# დიონისესა და კრონოსის გამომ «ვეფხისტყაოსანში»

რუსთველოლოგთა უმრავლესობას ეკეი არ ეპარება, რომ «ვეფხისტყაოსანში» ნახსენებია დიონისე არეოპაგელი, ავტორი შუასაუკუნეებში განთქმული მისტიური წიგნებისა. საყოველთაოდ მიღებულია ის აზრიც, რომ პოემას არეოპაგეტიური მოძღვრების ძლიერი კვალი ატყვია. განსვენებულმა აკად. შ. ნუცუბიძემ ცხადყო ქართული ფილოსოფიური აზრის განსაკუთრებული ინტერესი ამ პრობლემატიკისადმი. ამიტომ შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო ამ საიდუმლოებით მოცული წიგნების ავტორის ხსენება რუსთაველის პოემაში. «ბრძენი დიონოსის» ხსენებას ამართლებს თვით პოემის დედაარსი (ცალკეულ გამონათქვამებს გარდა), მასში გატარებული ფილოსოფიურ-ეთიური აზრი, რომ ბოროტება უხანოა (თვით ქართულ თქმაშიც «უხანოა» ყოველთვის ბოროტს გულისხმობს), რომ მას თავისთავადი არსებობა არა აქვს და მხოლოდ არასრულყოფილი სიკეთისაგან იშვება. არც ისე ცხადია ბოროტების არსისა და გაჩენის საკითხი; იგი ემპირიული სინამდვილის მიღმა იჯარება. ეს რომ თავიდანვე ცხადი ყოფილიყო ყველასათვის, არც დაიწერებოდა რუსთაველის პოემა, უფრო სწორად, არ დაიწერებოდა ამგვარი «ვეფხისტყაოსანი», იგი უკეთეს შემთხვევაში ემპირიული სინამდვილის ასახვა იქნებოდა მხოლოდ.

«დაფარული საქმე» სიკეთე-ბოროტებისა არეოპაგელმა გააცხადა თავის ნაწერებში. რუსთაველმაც, გააცხადა რა იგივე დაფარული საქმე პოემაში, მისი აღსრულების (პოემის ნამდვილი ფინალის) შემდეგ დაიმოწმა «ბრძენი დიონოსი» და შეთხზა ეს სტროფი (1492):

ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დიონოს  
გაცხადებს:  
ღმერთი კარგსა მოავლინებს, და ბოროტსა  
არ დაჰბადებს,

ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა  
ხან-გრძლად გააკვლადებს,  
თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ  
აზადებს.

შ. ნუცუბიძის თქმით, ამ სტროფში უკიდურესი ლაკონიურობით არის გადმოცემული არეოპაგეტიურა მოძღვრების არსი.

დ. ქუმისიშვილს (ვეფხისტყაოსანში «დიონოსის» და «დიონოსის» საკითხისათვის, «მნათობი», 8, 1969) არ აკმაყოფილებს დღესდღეობით ყველაზე უფრო არგუმენტირებული აზრი «დიონოსის» თაობაზე. იგი აიგივებს ამ სახელს 177-ე სტროფში ნახსენებ «დიონოსთან» და აცხადებს: ორივენი ძველი ბერძნული მითოლოგიის ღმერთს, დიონისეს (ზევისისა და სემელეს ძეს) გულისხმობენო.

რა საფუძველი აქვს «დიონოსის» მიჩნევას ღმერთ დიონისედ დ. ქუმისიშვილის ნაკვლევში? ერთ-ერთი არგუმენტი, გარდა სახელთა მსგავსებისა, ისაა, რომ დიონისე «ბუნების შემოქმედებითი ძალების განსახიერება, ნაყოფიერებისა და წარმოქმნის ღმერთი გახლდათ, იგი ყოველგვარ მცენარეთა მფარველი იყო,» «დიონისე, რომელიც განასახიერებს სიცოცხლის წვენი ალსავსე მიწის ღვთაებრივ ძვლასა და სიჭარბეს, აგრეთვე დაკავშირებულია სიკვდილთანაც. სიცოცხლე და სიკვდილი, შარშანდელი დიონო და ახალი ყვავილობა ერთმანეთს ხედებოდნენ გაზაფხულის დღესასწაულზე, რადგან მიწის წიაღში ერთად არსებობს: სიცოცხლე და სიკვდილი; აღორძინება და ჭკნობა; მოსპობა შარშანდელი მცენარეულისა და ახლის ყლორტები».

ამ ზოგადი ადგილების შემდეგ ავტორი უშუალოდ გადადის 177-ე სტროფზე, სადაც ნახსენებია «დიონოსი», და განაგრძობს:  
«როდესაც რუსთაველი 177-ე სტროფში ამ-



ბობს, რომ ვარდი სიცივისაგან, თრთვილისა და ყინვისაგან შესაბრალოს ხდება, რადგან იგი წითელ ფერსაც ჰკარავს და მისი ღერო შვილდით ფიქლი იხრებაო, ვასაგებია, თუ რატომ იმოწმებს დიონისეს. დიონისე ხომ ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ვაზის, ვარდყვავილისა და საერთოდ, მცენარეულის მეუფეა... თუ არა მას, მაშ, ვის დაიმოწმებდა რუსთაველი?!

საიდან მოიტანა ავტორმა „ვარდი“ დიონისესთან დაკავშირებით (ან ქართული გამოთქმა „ვარდყვავილები“)? — რუსთაველის სტროფიდან. იგი დიონისეს არ ეკუთვნის. დიონისეს ეკუთვნის, პირველ ყოვლისა, ვაზი და უსურვაზი, რომელნიც ამ ღვთაების წმინდა ნერგებად ითვლებოდნენ. და უკეთუ რუსთაველი დიონისეს დაიმოწმებდა, ვარდის ამბავს კი არ მოუთხრობდა ქართველ მითხველს, არამედ პირველ ყოვლისა, ვაზისას. დიონისეს სიმბოლო ვაზია, ყუბოენი და მისგან დაწურული ღვინო. ვარდი არასოდეს ყოფილა დიონისეს ყვავილი. (შესაძლოა, ვარდით, ისევე როგორც სხვა ყვავილებით მისი მიმდევარი მენადები ირთვებოდნენ.)

იმის თქმა დიონისეზე, რომ იგი მცენარეულობის ღმერთია საერთოდ, — იმას ნიშნავს, რომ თითქმის არაფერი ვთქვათ ამ ღმერთის შესახებ, დიონისე სასველებით გამოკვეთილი ბუნების ღმერთია, იგი განსხვავდება ყველა სხვა ღმერთისაგან, რომელნიც მცენარეული სამყაროს კვდომასა და აღდგომას განასახიერებენ (ასეთნი კი მრავალადა როგორც ბერძნულ, ისე წინააზიურ მითოლოგიაში). დიონისე ორგანისტული ღვთაებაა, ორგისი მიზეზი მათორებლა ღვინოა, ორგისი მიზანი ექსტაზია. ასეთი დიონისეა სახელგანთქმული, ღვინის ღმერთი დიონისე, რომლის კულტი მთელ ძველ ევროპას მოედო (აზიაში ადრეც იყო დამკვიდრებული), და არა მცენარეულობის ღმერთი, ზოგადი. ამგვარი დიონისე საქართველოშიც (კოლხეთში) მოსულა, ამას მოწმობს გურიაში შემორჩენილი სიტყვა „გაბახება“ (ბაკოს — დიონისეს მეორე სახელი). დიონისეს ორგანისტებს ხელთ ეპყრათ თირსოს ხისაგან გამოჭრილი აგნები, უსურვაზით შემოკლანილი, რომელთაც თავზე ფიჭვის გირჩები ჰქონდათ წამოცმული. წრეგადასული სიშმაგით ფლთოდნენ სამსხვერპლო ცხოველებს, სვამდნენ მათ სისხლს და ხორცს უმად ყლაპავდნენ. ამით ეზიარებოდნენ ტიტანებისაგან დაგლეჯილი დიონისეს სხეულს და ამავე დროს მის ენებასაც განასახიერებდნენ. ორგების მიზანი იყო ზამთრის ძილისაგან მცენარეულობის ღმერთის გაღვივება, ამას ექსტაზი მოსდევდა (ექსტაზის — სხეულიდან სულის ამოსვლა). ამ თავაშვებული ორგების დროს მრავალი ქალწული, გადარეულ მენადებს ადევნებული, ჰკარ-

გავდა ქალწულობას (საქართველოში ნახსენებია აბახებას“ ეტყოდნენ, ე. ი. გაბახებას, დიონისეს სახელით თვის შეწირვას). ასეთია ხამდვილი დიონისე, ორგანისტული დიონისე, ზოგადად დახასიათებული.

ნუთუ ამგვარ დიონისეს იმოწმებს რუსთაველი 177-ე სტროფში?


ამ საქმესა მემოწმების დიონისი, ბრძენი  
 ეზროს;  
 საბარალა, ოდეს ვარდი დაეთრთოვლოს,  
 და-ცა-ეზროს,  
 ვის ბაღაზში არა ჰგვანდეს და ლერწამი  
 ტანად ეზროს,  
 იგი საღმე გაღარიბდეს, სამყოფთაგან  
 იაბეზროს.

ყველაფრის იმის გათვალისწინებით, რაც კი ცნობილია მითოლოგიურ და ორგანისტულ დიონისეს შესახებ, შეუძლებელია ამ გადმოცემული განწყობილება მიეწეროს მას. უცნაურია დიონისეს გამოცხადება ოზირისთან ერთად (თუმცა თვით ავტორი ეზროს-ოზირისის იგივეობას სამართლიანად თვლის „უპრეტენზიო პიპოთეზად“) „ვარდის დაქვნობის საქმეებში ჩახედულად და უდიდეს ავტორიტეტად“, როგორც კატეგორიულად დაასკვნის ავტორი. სასტიკი და ტრაგიკული იყო დიონისეს კულტი, ვარდის შებრალებისა და მისი პოეზიისათვის არ ეცალა მას.

მაგრამ დავანებოთ თავი დიონისეს ორგანისტულ კულტს. სად ჩანს ამ სტროფში დიონისეს მეორე ნიშანი, ვითარცა მცენარეულობის კვდომა-კვალავადგომის ღვთაებისა? უკეთუ ამგვარ დიონისეს დაიმოწმებდა რუსთაველი, იგი დაცარული ვარდის კვლავ აყვავებაზეც გვამცნობდა რასმე. თუ დავუჭერებთ წერილის ავტორს და მართლაც დიონისე დაიმოწმა რუსთაველმა, შესაფერისად ვერ დაუმოწმებია; რა უნდა ყოფილიყო პოემისათვის „კვლავ აღდგენაზე“ უფრო მნიშვნელოვანი (რაც ამ ტანჯული ღმერთის კულტის დვრიტას შეადგენს), მაგრამ არსად, მთელი პოემის მანძილზე, დიონისე არ გახსენებია პოეტს.

მკვლევარს, რომელიც სხვის ჰიპოთეზას ფანტასტიურს უწოდებს, თავად მეტი სიფრთხილით და თავშეკავებით უნდა გამოჰქონდეს დასკვნები. აღსანიშნავია, რომ პ. ინგოროყვასელი გაგება ამ სტროფისა და შესწორება მისი („ამ საქმესა მემოწმების მე დი ვ ა ნ ი ბ რ ძ ე ნ ი ს ე ზ რ ო ს“) ყველაზე მეტად უახლოვდება ჰემმარტიტას. იგი ლოგიკურია და ფანტასტიურს არააფერხ შეიცავს (ამ გაგებას იზიარებს შ. ნუტუბაძე).

მას შემდეგ, რაც ავტორმა დაასკვნა, რომ „აღარავითარი ეჭვი აღარ უნდა იყოს იმისა, რომ 177-ე სტროფში დაიმოწმებული „დიონო-



სი... ბერძნული მითოლოგიიდან აღებული მიცნარეთა შვარველი ღმერთი დიონისეა, იგი გადადის 1492-ე სტროფზე. აქ ავტორი სტილისტურ მომენტზე დაფუნდებულ არგუმენტს იშველებს იმ აზრის გასაბათილებლად, რომ ამ „დიონისე“ დიონისე არეოპაგელი იგულისხმება. უკეთეს იგი არეოპაგელია. — მსჯელობს ავტორი, — მაშინ ამ სტროფში ერთმანეთს დაუპირისპირდებოდა არა „კარგი“ და „ავი“, არამედ „კეთილი“ და „ბოროტი“. სიტყვა-სიტყვით:

„1492-ე სტროფში ლაპარაკია ავისა და კარის ურთიერთობაზე, ხოლო ფსევდო-დიონისეს ნაშრომში — ბოროტსა და კეთილზე. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის აღნიშნულ ნაშრომში კარზე და ავზე არსად არ არის ლაპარაკი.“

ერთი სიტყვით, ავტორის აზრით, კარგი და კეთილი სხვადასხვა ცნებებია; ასევე, ავი და ბოროტიც სხვადასხვა ცნებებია. თითქოს რუსთაველიან კანონი იყოს, რომ კარგი ბოროტს არ დაუპირისპირდეს, ავი კეთილს არ დაუპირისპირდეს. არა მგონია, ეს მოსაზრება სწორი იყოს. აქვე, ამავე სტროფში, ავტორი შეხვდება მისგან შეუძლებლად გამოცხადებულ დამირისპირებას: „ღმერთი კარგსა მოავლენებს და ბოროტსა არ დაჰბადებს“. არ მგონია, რაიმე უშლიდეს ხელს, რომ ქართულ ენაში ერთმანეთი შეცვალონ ამ სინონიმ-ანტონიმებმა. მაგრამ მთავარი ეს არ არის.

ავტორის ღრმა რწმენით, „ზოგიერთ მკვლევარს ამ ცნებების გაიგივება და „კარგის“ „კეთილად“ შეცვლა იმიტომ დასჭირდა, რომ 1492-ე სტროფში გამოთქმული აზრი ფსევდო-დიონისეს მიერ ბოროტისა და კეთილის შესახებ „საღმრთოთა სახელთაჲთა“-ში გამოთქმული დებულებებისათვის მიესადაგებინა.“

აქ საინტერესოა — რა დებულების მისასადაგებლად იყენებს „კარგს“ და რა აზრს დებს მასში თავად წერილის ავტორი:

„ბოროტზე სიკეთის გამარჯვება დამთავრებულია ნესტან-დარეჯანის გამოხსნის და ტარიელისა და ნესტანის შეუღლებით; ამას მოჰყვა მერვე, უკეთესი კარგი (ხაზი ჩემია, ზ. კ.) — თინათინისა და ავთანდილის ქორწილი; ესე იგი, ღმერთმა უფრო სრულყო, გაახანგრძლივა, გაავალადა სამი გმირის მიერ მოპოვებული გამარჯვება. კარგ საქმეს უკეთესი მოაყოლა.“ (ხაზი ჩემია, ზ. კ.).

რა აზრი გამოდის ამ მსჯელობიდან? — მე ასე მესმის: ქაჯეთის აღება და ნესტანის გამოხსნა ხომ კარგი საქმეა, მაგრამ თინათინისა და ავთანდილის დაქორწინება უკეთესი, უფრო სრულყოფილი საქმე ყოფილა და ა. შ., ვინ იცის, სადამდე გაგრძელდება „უკეთესი კარგის“ ქმნა (მჭობს მჭობი არ დაეღვეა, როგორც იტ-

ყვიან). ამის მეტს რას აკეთებდნენ ვეფხისტყოსნის უნიკო გამარქელებელი?

მაგრამ ვინ არის ეს ღმერთი, რომელიც სიკეთეს კარგს, სრულყოფილ საქმეებს უწოდებს. ეს ღმერთი, — პასუხობს ავტორი, — იგივე დიონისეა, სტროფში „დიონისე“ ხსენებული (თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტროფის მიხედვით დიონისე კი არ აკეთებს ამ საქმეს — „კარგის გაკვლად“, — არამედ ვაცხადებს მხოლოდ, რომელსაც ავტორის თქმით, „კარგის დანერგვას მიაწერდნენ და სრულყოფილ ძალად თვლიდნენ“ (კიდევ აღენიშნავ: ცხადია, ღმერთს ყოველთვის კარგის დანერგვა მიეწერება, არათუ ღმერთს, ადამიანსაც ზოგჯერ. თუნდაც დიონისე არეოპაგელს, რომელმაც, დამეთანხმება ავტორი, მართლაც ბევრი კარგი დანერგა).

მაგრამ მთავარი ისაა, თუ საიდან ვამოჰყავს ავტორს ახალი ასპექტი დიონისესი, ვითარცა „სრულყოფილი ღმერთისა“.

ეს მოდის პლატონის „ფედროსის“ (წერილი მექანიკური შეცდომით: „ფედონის“) რუსულ თარგმანიდან: Исступление божественное, — дар четырех богов, разделили мы на четыре вида: пророческое, внушаемое Аполлоном, усовершенное, производимое Дионисом...

ამ თარგმანიდან გამომდინარე, ავტორი ასკვნის: „როგორც ვხედავთ, პლატონის მიხედვით, დიონისე სრულყოფის ღმერთია... „რა-კი ამ თარგმანის მიხედვით მას მიეწერება исступление усовершенное.“


სამწუხაროა, როცა უმართებულო თარგმანს მკითხველი შეცდომაში შეჰყავს. მაგრამ კიდევ უფრო-სამწუხაროა და მიუტეველები, როცა ამ შეცდომამზე ჰიპოთეზა აიგება. 1863 წელს გამოცემული რუსული თარგმანი „ფედროსისა“. თუ მთლიანად არა, ციტირებულ ადგილას მცდარზე მცდარია. დედანი ან ახალი თარგმანი რომ გამოყენებინა ავტორს, მისი ჰიპოთეზა ერთი გადამწყვეტი არგუმენტის გარეშე ღარჩებოდა.

ნამდვილი აზრი ამ პასაჟისა ასეთია: божественную исступленность, исходящую от четырех богов, мы разделили на четыре вида: вдохновенное прорешание мы возвели к Аполлону, посвящение в тайнах, к Дионисиусу...» (Платон, Избр. 1965, გვ. 235). დედანში სწორია: „...მანტიკურ (წინასწარმეტყველურ) შთაგონებას აპოლონს მივაწერთ, ხოლო ტელესტიკურს (მისტერიებში ზიარებასთან დაკავშირებულს) — დიონისეს“.

მისტერიებში ზიარება — ტელესტიკოს — თუ

**ზურაბ კინკაძე**

დიონისესა და პრონოსის ბამო „ვეფხისტყაოსანში“



სიტყვასიტყვით ვთარგმნით, მართლაც ნიშნავს „სრულყოფილს (ზმნიდან „ტელეო“), ხოლო ზიარებული — „აღსრულებულს“ (ტეტელესმენოს.) თავის დროზე შემთხვევა მქონდა აზრი გამომეთქვა ამ საგანზე „ფედონის“ ქართული თარგმანის გარჩევისას (მნათობი, 10, 1967, გვ. 185). აქ დაესძენ, რომ ზიარება, ანუ სრულყოფა (ან აღსრულება) მისტერიებში განდობილობის იმ უმაღლეს ეტაპს მიუთითებს, როდესაც მორჩილის სულიერი განვითარება მისტის ხელმძღვანელობით დასრულდება და ადამიანის სული ცოცხლივ გადავიდოდა სიკვდილის ბუციდან წიად (როგორც ჩანს, ქართულ წარმართობაშიც არსებობდა ანალოგიური სემანტიკით აგებული ტერმინოლოგია. საბა ორბელიანის ლექსიკონში ამგვარი საგულისხმო ცნობა არის შემონახული: „ნასრული წარმართნი, რომელნი ასწავებენ საიდუმლოთა ეშმაკისათა, მას მასრული ეწოდების და რომელნი ისწავლიდნენ, იგი არს ნასრული“).

განა ამგვარ სრულყოფაზე საუბარი სტრიქონში „თავსა მისსა უკეთესსა უზადო — ჰყოფს, არ აზადებს“, საიდანაც ავტორს დიონისეს „სრულყოფილობა“ გამოჰყავს? არა მგონია, ავტორმა დაუშვას, რომ აქ დიონისური მისტერიები და მის შედეგად გამოიშინა-რი სრულყოფა იგულისხმებოდა (რუსთაველთან დიდაც არის დიონისური, ისევე როგორც აპოლონური, მაგრამ ეს სხვა კულტურული ფენომენია, მცენარეულობის კულტთან და სრულყოფილებასთან მას არავითარი კავშირი არა აქვს.

ძველი ქართველები კარგად იცნობდნენ ბერძნულ მითოლოგიას, ამას მტკიცება არ სჭირდება. მაგრამ სხვა საკითხია, როგორ იზრებდნენ მითოლოგიურ ფაქტებს, ან როგორ იყენებდა საკუთრივ რუსთაველი მითოლოგიურ პერსონაჟებს სახეების შესაქმნელად.

მე მინდა განვიხილო 1415-ე სტროფი, რომლის ნართაული მითოლოგიური აზრი არასწორად აქვს გაგებული ავტორს.

მაშინ ქაჯეთს მოაწია უსაზომო რისხვა  
 ღვთისა:  
 კრონოს წყრომით შემხედველმან, მოიშორვა  
 სიტკობ შინას;  
 მათვე რისხვით გადუბრუნდა ბორბალი და  
 სიმარგველე ცისა,  
 ველნი მკვდართა ვერ იტყვადეს, გადაიდა  
 ჭარი მკვდრისა.

სწორია დ. ქუმიშვილი, როდესაც მას კრონოსი ღმერთად მიაჩნია, მაგრამ ორ რამეში არაა სწორი: წინააღმდეგ მისი მტკიცებისა, ნუცუბიძის თარგმანშიც ღმერთია კრონოსი და არა პლანეტა: И покинул, хмуриясь Кронос солнца сладостный чертог. (ამაზე

ზუსტი და პოეტური თარგმანი მწელი, წარმოსადგენია).

მეორე შეცდომა ავტორისაა, როდესაც ასე უნდა გვესმოდეს: როდესაც სამა მადნაფიცმა იერიში მიიტანა ქაჯეთის ციხეზე, ქაჯებს ამით ღმერთის უზომო რისხვა დაატყდათ თავს. ეს ჰგავს მრისხანე ღმერთის კრონოსის შემოხედვას, რომელმაც რისხვით ზედ თავზე დაამხო ცა“.

ამგვარი ინტერპრეტაცია ვერ ეწყობა ვერც სტროფის გრამატიკულ წყობას, ვერც ძველბერძნულ მითს კრონოსის შესახებ. ამ სტროფში კრონოსს იგივე ბედი ეწევა, რაც ბერძნულ თეოგონიაში: კრონოსი, შვილთა მკვლელობის, რიგგარეშობით რომ შთანქადა შვილებს, რათა არ ამხდარიყო წინასწარმეტყველება და მისი ნაშიერის ხელით არ დაღუპულიყო, რეას (მისი ცოლის) მოხერხებით გადაარჩინილმა ზევსმა ჩამოაგდო ტახტიდან და ტარტაროსში (პადისის ქვემოთ) ჩაავლო. ამავე დროს ხდება ბრძოლა ტიტანებთან (კრონოსი მათი ბელადია), რომელნიც საბოლოოდ ითარგუნებიან და სათითაოდ ჩაილაღებიან ქვესკნელს. უმჯობესო ტარტაროსში ჩაგდებაზე მიგვანიშნებს სტრიქონი „კრონოს წყრომით შემხედველმან, მოიშორვა სიტკობ შინისა“. შემდეგ სტრიქონში „მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმარგველე ცისა“ — ქაჯეთმა ნავულისხმევი (იგივე ტიტანები). კრონოსმა კი არ დაამხო მათვე ცა, არამედ მათთან ერთად კრონოსს გარდუბრუნდა ცარგვალი. ცხადია რუსთაველის მხტერული ამოცანა: ქაჯები კრონოსსა და ტიტანებს განსახიერებენ. ამგვარად იყენებს პოეტი ძველბერძნულ მითს. პოემის გმირები იმ ნათელ ღმერთებს ედრებიან, რომელნიც ზევსის წინამძღოლობით ამხობენ კრონოსის სასტიკ უზურპატორულ მეუფებას.

როგორც დავინახეთ, დ. ქუმიშვილის წერილი მთელ წყება გაუგებრობებზეა აგებული. საკითხები, რომელთაც ამ ბოლო ხანებში თანდათან ეფინებოთ შექი (და რუსთაველის მსოფლმხედველობაც თანდათან იყენებდა), ამ წერილში, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურადაა დასმული. ყოველი ახალი პიპოტიზა ძველზე უფრო მეტად არგუმენტირებული უნდა იყოს და შემდგომი კვლევისათვის საიმედო პერსპექტივებს იძლეოდეს. რას მოგვცემს ამ მხრივ „დიონისე ღმერთის პიპოტიზა“? უკეთუ რუსთაველი თავისი პოემის დასასრულზე მართლაც დიონისეს, ორგანისტულ დიონისეს იმორწმებს, ეს მთლიანად ცვლის ჩვენს წარმოდგენას რუსთაველის მსოფლმხედველობაზე. მაგრამ შესაძლებელია კი ძალდაუტანებლად ამგვარი პიპოტიზების „გაცხადება“, პოეტისავე სიტყვით რომ ვთქვათ?

პროკოპი რაგინი

ისევ ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე\*

1. წინასწარი შენიშვნები

უპირველეს ყოვლისა, გვინდა ორიოდ სიტყვა ვთქვათ ავტორთაა წერილის ტონზე. პირდაპირ განსაცვიფრებელია, რომ პატივცემული მეცნიერები იფიქრებენ თავაზიანობის ელემენტარულ მოთხოვნებს და ისეთი ტონით გვეკამათებინ, რომელიც მეცნიერული პაექრობისათვის შეუფერებელია. სამწუხაროდ, ავტორები არ ერიდებიან ჩვენი პიროვნების შეურაცხყოფასაც კი და ცდილობენ დაარწმუნონ მკითხველი, რომ პ. რატიანი „ორმოცდაათი წლის წინანდელი ცოდნის დონეზე დგას ახლაც“ (გვ. 165); რომ „პ. რატიანის ცოდნა ამოიწურება ქრესტომათით“ (169); რომ პ. რატიანს „არ ესმის...“ (170), „პ. რატიანს არ სცოდნია...“ (170), „პ. რატიანს ვერ გაუგია...“ (171), პ. რატიანს „გულდასმით არ ჰქონია გადაკითხულა ქართლის ცხოვრების წიგნი“ (176); რომ გაოცებას იწვევს „პ. რატიანის გულუბრყვილობა და ზერულე მსჯელობა“ (177), მისი „წინდაუხედაობა“, „უსაზღვრო პრეტენზიები“, „ამბიცი“ (178) და ა. შ.

ბუნებრივად ისმება კითხვა: არის თუ არა საჭირო, მეცნიერული კამათის დროს ამგვარი ეპითეტებისა და გამოთქმების ხმარება? ნუთუ ჩვენი სწავლული ავტორები სერიოზულად ფიქრობენ, რომ სადავო საკითხების გამოჩვენება მოპირდაპირის შეურაცხყოფის გზით არის შესაძლებელი?

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეცნიერული კამათის დანიშნულება ჭეშმარიტების დადგენაა. ამ მიზნის მისაღწევად მეცნიერი მოკამათე უნდა იშველებდეს მარტო მეცნიერულ იარაღს, ე. ი. — ფაქტებს, არგუმენტებს, ლოგიკურ

3 სიმოკლისათვის პატივცემულ მეცნიერებს ალ. ბარამიძეს, ელ. მეტრეველს და ს. ცაიშვილს ჭეშმით, მეტწილად. მოვიხსენიებთ როგორც „ავტორებს“.

გასულ წელს ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე, საკითხის განხილვის წესით, დაიბეჭდა ჩვენი ნარკვევი „ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის“<sup>1</sup>. რომელშიც წამოყენებული და, შეძლებისდაგვარად, დასაბუთებულია ახალი თვალსაზრისი ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე. ამ თვალსაზრისის მიხედვით, პოემის ავტორი იყო არა ერისკაცი, — როგორც აქამდე რუსთველოლოგები ფიქრობდნენ. — არამედ დიდად განათლებული სასულიერო პირი, ეპისკოპოსის ან მთავარეპისკოპოსის ხარისხით, რომელსაც გარკვეულ დროს ეპისკოპოსის (ბოსტან ქაჯაქის) ეპარქიის მღვდელმთავრის თანამდებობა (კათედრა) და სწორედ ამიტომ იწოდებოდა რუსთველად.

როგორც მოსალოდნელი იყო, ხსენებულმა თვალსაზრისმა მკითხველ საზოგადოებაში, აგრეთვე სპეციალისტთა შორის, გარკვეული ინტერესი გამოიწვია: ბევრი „პოც“, ითქვა და ბევრი „არაც“, მაგრამ პრესაში ამის თაობაზე გამოქვეყნდა მარტო ერთი წერილი, სახელდობრ: „ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის (პ. რატიანის წერილის გამო)“<sup>2</sup> რომელსაც ხელს აწერენ ცნობილი რუსთველოლოგებო ალექსანდრე ბარამიძე, ელენე მეტრეველი და სარგის ცაიშვილი.

ჭეშმით ჩვენ დაწერილებით განვიხილავთ ამ წერილს და თვალნათლივ დავანახებთ მკითხველს, რომ მასში გამოთქმული არც ერთი შენიშვნა საფუძვლიანი არ არის. მაგრამ ვიდრე მის ავტორთა საბუთებსა და არგუმენტაციას უშუალოდ შევხებოდეთ, რამდენიმე წინასწარი შენიშვნა გვინდა გავაკეთოთ მეცნიერული კამათის იმგვარი ფორმის ირგვლივ, რომელიც ჩვენს კრიტიკოსებს ამ შემთხვევაში აურჩევიათ.

\* იბეჭდება შემოკლებით.  
1 „მნათობი“, 1968, № 2, 3, 4, 5.  
2 „მნათობი“, 1968, № 8.

მსჯელობას, და მეტს არაფერს. არავის არა აქვს უფლება ადამიანის პიროვნებას, მის ღირსებასა და პატივს უღიერად შეეხოს. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ აზრებს და არა პიროვნებებს.

ფრიად სამწუხაროა, რომ მეცნიერული კამათის ეს ელემენტარული მოთხოვნები ჩვენს ავტორებს, რატომღაც, დროებით დავიწყებიათ.

რა უნდა უნდა, არაფერა იმაზე ადვილი, რომ შეურაცხყოფელს მისივე იარაღით ვასცე პასუხი, მაგრამ ჩვენ ამ გზას ვერ გავყვებით, — ვერ გავყვებით, იმიტომ, რომ, ჩვენს აზრით, ლანძღვა საბუთი არ არის და, გარდა ამისა, იგი დაუფსებლობა არა მარტო მოწინააღმდეგისა, არამედ მკითხველი საზოგადოებისა და აგრეთვე საკუთარი თავისაც.

შემდეგი ჩვენი წინასწარი შენიშვნა შეეხება იმ მოვლენის წამდვილ მიზეზებს, რამაც აიძულა ავტორები საკამათო საკითხების დიდი ნაწილსათვის გვერდით აეგლო. მკითხველს უთუოდ ეს-სომეხები, რომ ჩვენი ნარკვევი „მართობის“ ოთხ ნომერში დაიბეჭდა. ამ ოთხი წერილიდან ავტორები თითქმის მარტო ერთ წერილს, სახელდობრ, პირველს ეხებიან, დანარჩენ წერილებს კი, ფაქტიურად, გვერდს უვლიან. ასეთი უცნაური საქციელის გამართლებას კატეციზული მეცნიერები შემდეგ მოსაზრებებით ცდილობენ: „მკვლევრის ძირითადი მოსაზრებანი და მათი საბუთაანობა გადმოცემულია „მართობის“ მეორე ნომერში (გვ. 150-178), ე. ი. პირველსავე წერილში. დანარჩენი წერილები, განსაკუთრებით მე-სამე და მეოთხე, პირველთან შედარებით რაიმე ახალსა და პრინციპულად მნიშვნელოვანს არაფერს შეიცავს. ამიტომაც ჩვენ უმთავრესად მხედველობაში გვიქნება სწორედ პირველი წერილი“ (გვ. 164).

ამ მსჯელობიდან მკითხველს, ბუნებრივია, ისეთი შთაბეჭდილება დარჩება, რომ ჩვენი ნარკვევის დაახლოებით სამი მეოთხედი სრულიად ზედმეტია, რადგან იგი, ავტორების აზრით, ნათქვამის უბრალო განმეორებაა და არაფერს ახალს არ შეიცავს. მაგრამ საკითხავია, ჯერ ერთი, რატომ უნდა დასჭირვებოდა ერთ წერილში ნათქვამის განმეორებას სამი წერილი, — თითოეულ ფრაზას სამ-სამჯერ ხომ არ გავიმეორებდით? მეორეც, — რატომ უნდა დასჭირვებოდა ავტორს დაეწერა, ან რედაქციას დაებეჭდა სამი ზედმეტი წერილი, თუკი მათში არც ახალი იყო რაიმე და არც მნიშვნელოვანი? განა მოიპოვება ქვეყნიერებაზე ან ასეთი მოცლილი ავტორი, ან ასეთი უღარდელი რედაქცია?!

მსგავსი შეუსაბამობა არა გვერნია ვინმემ დაიჯეროს.

მაგრამ ისმება კითხვა: რატომ დასპირდათ პატივიცემულ ავტორებს ხსენებულ წერილების წინასწარი უმნიშვნელოდ გამოცხადებათ და იქ წარმოდგენილი საბუთებისათვის გვერდი აეკლოთ? ვფიქრობთ, ამ კითხვის პასუხი ძნელი მოსახვედრი არაა: ჩანს, ისტორიული ფაქტების

წინააღმდეგ მათ სათქმელი არაფერი ჰქონდათ და ამიტომ იოლი გზა იარჩეს. — კამათს, წავსვლას თავი აარიდეს. მაგრამ განა ამიტომ ჩვენს წერილებს თავიანთ დიდ მნიშვნელობას დასტურებენ?

შემდეგი ჩვენი წინასწარი შენიშვნა შეეხება საკითხს, თუ რატომ მიჩქმდეს ავტორებმა ალ. ბარამიძის შეხედულებათა ის კრიტიკა, რომელიც ჩვენს ნარკვევში იყო წარმოდგენილი? მკითხველს უთუოდ ესსომეხები, რომ ნარკვევში განხილული გვერდები არა ერთი კონკრეტული საკითხი, რომელთა შესახებ ალ. ბარამიძის აზრად მდებარე შეხედულებები აქვს გამოთქმული, მაგრამ ავტორებმა ხსენებულ საკითხებს დღემდით აუარეს გვერდი და თანაც არც კი ჩანთვალეს საპიროდ, მკითხველისათვის თავიანთი დღემდის მიზეზი აეხსნათ. იქნებ მათ ეს საკითხებიც უმნიშვნელოდ მიიჩნიეს? ან, იქნებ, ავტორებს დაავიწყდათ მეცნიერული კამათის ის ყველასათვის ცნობილი წესი, რომ არ შეიძლება საკამათო საკითხი, — განსაკუთრებით ის, რომელშიც გაგამტყუნეს, — უბრალოდ მიათუჩნო?

დღემდე თითქოს ცნობილი იყო, რომ სერიოზული კამათის ელემენტარული წესი მოითხოვს, ან დაარღვიო მოწინააღმდეგის დებულება, ან კიდევ დაეთანხმო მას და საკუთარი შეცდომა აღიარო. ვგონებ, ეს წესი ჯერ არავის შეუცვლია. ამიტომ რა უნდა ვიფიქროთ ჩვენი ავტორების დაინებელი და უადგილო დღემდის გამო, თუ არა ის, რომ სადავო საკითხებზე მათ სათქმელი არაფერი ჰქონიათ?

ეს გარემოება ჩვენ უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ალ. ბარამიძის თვალსაზრისის ის კრიტიკა, რომელიც ჩვენს ნარკვევშია წარმოდგენილი, სავსებით სწორი და საფუძვლიანია.

დაბოლოს, კიდევ ერთი წინასწარი შენიშვნა გვინდა გავაკეთოთ ავტორების მიერ წერილობრივი და უმნიშვნელო საკითხებისადმი გამოდევნების, როგორც მათი პოზიციის დამახასიათებელი თვისების, გამო. ზემოთ ჩვენ უკვე გავეცანით მათ განცხადებას იმის შესახებ, თითქოს

1 ჩვენ, ძირითადად, პატივც. ალ. ბარამიძე ვეკამათებთ იმის გამო, რომ ის თანამედროვე რუსთაველოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი და თანაც ტიპიური წარმომადგენელია; ქ-ნ ელ. მეტრეველთან, არსებითად, საკამათო არაფერი გვაქვს, რადგან მიგვაჩნია, რომ მისი პოზიცია ჩვენს თვალსაზრისთან გაცილებით ახლოსაა, ვიდრე ა. ბარამიძის თვალსაზრისთან; ელ. მეტრეველი თვითონვე აღიარებს, ტ. ვაბაშვილის „მიმოსვლის“ მიხედვით, შოთა რუსთაველი „ქრისტიანული ეკლესიის დიდ მოღვაწედ“ წარმოგვიდგებაო („მიმოსვლა“, გვ. 059); რაც უნებება პატივც. ს. ცაიშვილს, მას სადავო საკითხზე, თუ არ ვცდებით, საკუთარი აზრი არ გამოუთქვამს და რატომ ჩაბმულა კამათში ძნელი გასაგებია.

ჩვენი ძირითადი მოსაზრებანი და დასაბუთება პირველსავე წერილში („მნათობი“, № 2) იყოს გადმოცემული, ხოლო დანარჩენი სამი წერილი არაფერს შეიცავდეს ახალსა და მნიშვნელოვანს. ამ ყალბი თეზისის საფუძველზე, როგორც ვნახეთ, ავტორებმა ჩვენი ნარკვევის დახლოებით სამი მეოთხედის განიხილვას სავსებით თავი აარიდეს და მარტო პირველ წერილს შეეხნენ. თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ მკვლევარები ხსენებულ პირველ წერილში აღძრულ საკითხებს მაინც განიხილავდნენ მეცნიერული საფუძვლიანობით, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ეს მოლოდინი გავეცდით.

პატივცემულმა ავტორებმა არა თუ მთლიანად ჩვენი ნარკვევი, არამედ მისი პირველი ნაწილიც კი, დაპირების მიუხედავად, არსებითად არ განიხილეს და გვერდი აუარეს თითქმის ყველა ძირითად სადავო საკითხს, რომელთა გარკვევა მოითხოვდა თეორიულ მსჯელობას, ლოგიკურ არგუმენტებს და ისტორიის ცოდნას.

სამაგიეროდ, მათ დიდი გულმოდგინებით განიხილეს და გახვიადებულნი ფორმით გადმოსცეს მეორეხარისხოვანი და წერილმანი საკითხები, რომელთა ასე თუ ისე ვადაწყვეტას რუსთველის ბიოგრაფიისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ვამიზნული არიან იმისათვის, რომ მოპირდაპირეს მკითხველის თვალში სახელი გაუტეხონ და ამ საშუალებით შავი თეთრად გაასაღონ.

დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:  
პირველი. ავტორების ნამდვილი პოზიციის გასაგებად ფრიად დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ ჩვენი ნარკვევის კრიტიკას ისინი... სქოლიოდან იწყებენ. ძველი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ სამი გამიზნული რუსთველოლოგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს და პოლემიკის მთავარ საკითხად აქცევს ჩვენს მიერ სქოლიოში გაკვრით მოხსენიებულ ერთ ნაწარმოებს, რომელსაც არსებითად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის დასადგენად. ეს ნაწარმოებზე გახლავთ იოვანე ბატონიშვილის „ხუმარსწავლა“, რომელიც წინათ ცნობილი იყო შერქმეული სახელით „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“, ამჟამად კი ცნობილია ასევე შერქმეული სახელით „კალმასობა“. რამდენადაც ჩვენს ნარკვევში ხსენებული ნაწარმოები დამოწმებულია (მეორეხარისხოვან საკითხთან დაკავშირებით) ძველი გამოცემის მიხედვით და აღნიშნული შერქმეული სახელით, ავტორებს მოსჩვენებიათ, რომ უეცოტაში დაგვიპირეს და დიდი აღფრთოვანებით მოგვიხიზნობენ „ხუმარსწავლის“ ტექსტის შესწავლისა და გამოცემათა ისტორიას, ჩვენზე კი ბრბანებენ, 50 წლის წინანდელი ცოდნის დონეზე იმყოფება დღესაცო. მაგრამ დაკვირვებული და ობიექტური მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ მთელი მათი მსჯე-

ლობა ამ საკითხზე უსაგნოა და თავიდან ბოლომდე ილუზიებზეა აშენებული.

ქვემოთ ჩვენ დაწვრილებით, სავსებით სავსებით და თვალნათლივ დავანახებთ მკითხველს არა მარტო ავტორთა თვალსაზრისის სრულ უსაფუძვლობას, არამედ იმ ფაქტსაც, რომ წერილმანი და უმნიშვნელო საკითხებისადმი გამოდევნება მათი მეცნიერული პოზიციის დამახასიათებელი ნიშანია.

მეორე. ავტორების ნამდვილი პოზიციის გასაგებად ფრიად დამახასიათებელია, აგრეთვე, ის ფაქტი, რომ მათ დიდი ხმაური ატეხეს... კორექტორული შეცდომის გამო. ეს კორექტორული შეცდომა, რომელიც კონტექსტის შინაარსს იღნეა არც სცელის, დაშვებულია არა ჩვენს ნარკვევში, არამედ ჩვენს მიერ დამოწმებულ ერთ ქრესტომათიაში<sup>1</sup>. ამის გამო ავტორები წარმოუდგენელ განგაშს სტეხენ და ცდილობენ მკითხველი რაღაც „სკანდალური შეცდომების“ არსებობაში დაარწმუნონ, ჩვენ კი მიუტყვებელ შეცდომად გვიტყვიან ქრესტომათიის გამოყენების თვით ფაქტს, თუმცა თვითონაც კარგად იციან, რომ, ალბათ, მთელ ქვეყნიერებაზე ამ მოპოვება მეცნიერი, რომელსაც ამა თუ იმ ქრესტომათით არ ესარგებლოს.

ქვემოთ ჩვენ თვალნათლივ დავანახებთ მკითხველს, რომ ქრესტომათიისა და იქ დაშვებული კორექტორული შეცდომის ბრალი როდია, რომ ჩვენი ავტორები არასწორი მეცნიერული პოზიციიდან ცდილობენ რუსთველოლოგიური საკითხების ახსნას და ამის გამო ყოველ ნაბიჯზე მარცხს განიცდიან.

მესამე. ავტორების ნამდვილი პოზიციის გასაგებად ფრიად დამახასიათებელია ის ფაქტიც, რომ ისინი სერიოზულად კამათობენ საკითხზე, არის თუ არა „ქართლის ცხოვრებაში“ ნახსენები სიტყვა „ხელბითა“? მით, როგორც ჩანს, დიდი შრომა დაუხარჯავთ ხსენებულ ძეგლში ამ სიტყვის აღმოსაჩენად და, თუმცა იგი, სამწუხაროდ, ვერ უპოვიათ, მაგრამ მათს გულმოდგინებას მაინც ნაყოფი გამოუღია; ავტორები აღფრთოვანებით აუწყებენ მკითხველს, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ მათ აღმოაჩინეს სიტყვა „ხელბითიდან“ ნაწარმოების სამი სიტყვა: „ხელბითიან“, „გახელებით“ და „ხელქმნილი“ („მნათობი“, № 8, გვ. 176). ასეთი აღმოჩენის შემდეგ, რასაკვირველია, ჩვენს ავტორებს სრული უფლება ჰქონდათ საყვედური ეთქვათ ისტორიკოს-

<sup>1</sup> ლაბარაკია საფუძვლივ კრებულზე „ქართული მწერლები შოთა რუსთაველს“, რომელსაც გამოიცა 1937 წელს კანადის ჩარკვიანის, პეტრონოვსკისა და სიმონ ჩიქოვანის რედაქტორული სახელით.

პროფორი რაბინი  
ისამ ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე

სისათვის, „ქართლის ცხოვრება“ ყურადღებით არ წაგიკითხავს, თორემ როგორ არ გეცოდინებოდა, რამდენჯერაა იქ ესა თუ ის სიტყვა ნახსენებო (თითქოს ისტორიკოსის მოვალეობა სიტყვების თვლა იყოს).

ქვემოთ ჩვენ ამ საკითხსაც განვიხილავთ და მკითხველს თვალნათლივ დავანახებთ, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ სიტყვების გულმოდგინედ თვლა არ არის საქმარისი ისტორიულ მოვლენათა არსის გასაგებად.

მეოთხე. ავტორების ნამდვილი პოზიციის გასაგებად ფრიად დამახასიათებელია, დაბოლოს, ის ფაქტიც, რომ ისინი არაერთხელ და თანაც სრულიად სერიოზულად გვადიხებენ ბრალს ისეთი მარტივი საკითხების უცოდინარობაში, რომელთა ცოდნა ყოველ სტუდენტს მოეთხოვება. ამ გზით, ცხადია, მათ სურთ ჩვენი უფიცობა დაპტიციონ, მაგრამ საქმე ისაა, რომ ზომიერებას ვერ იცავენ და ამის გამო მიზანი მიუღწეველი რჩებათ.

ვფიქრობთ, არც ერთი მკითხველი არ დაიჯერებს, თითქოს ჩვენ არ გვესმოდეს, რა განსხვავებაა ჩვეულებრივ ბერძნულბრაუნსა და ხევისბერს შორის, — არ დაიჯერებს იმიტომ, რომ თვით ჩვენი ნარკვევის შინაარსი გამორიცხავს ამგვარი ბრალდების ყოველგვარ შესაძლებლობას. განა ავტორებს არ წაუკითხავთ ჩვენი ნარკვევის ის ადგილი („მნათობი“, № 4, გვ. 153-154), სადაც ლაპარაკია ხევისბერობაზე და აგრეთვე მისგან წარმომდგარ კახეთის ქორეპისკოპოსთა ინსტიტუტზე? უთუოდ წაიკითხავდნენ, მაგრამ, ჩანს, იმდენად ძლიერი სტრვილი ჰქონიათ მოპირდაპირის დამცირებისა, რომ წაიკითხულს შინაარსი იქვე დაიწყებიათ.

ამრიგად, სერიოზული და არსებითი საკითხების განხილვის ნაცვლად, — სქოლიოებში შეცდომების ძებნა, კორექტირების მნიშვნელობის გაზვიადება, ცალკეული სიტყვებისადმი გამოვლენება და აგრეთვე იმისი დაფიქსირება ცდა, რომ მკითხველის თვალში მოპირდაპირე როგორმე უვიცად გამოიყვანო, — აი, გზა, რომლის საშუალებით ავტორებს რუსთველოლოგიური მეცნიერების ურთულესი საკითხების გადაწყვეტა მოუსურებიათ, მაგრამ ძნელი შესამჩნევია არაა, რომ ასეთი იაფფასიანი პოლემიკური ხერხებით ბევრს ვერაფერს შევძლებთ ვერც რუსთველოლოგიის და ვერც, საერთოდ, ქართულ მეცნიერებას.

ასეთია ჩვენი წინასწარი შენიშვნები ალ. ბა-ამიძის, ელ. მეტრეველისა და ს. ცაიშვილის ერისლის გამო.

ამ შენიშვნებიდან უდავოდ მტკიცდება შემდეგი სამი დებულება: პირველი, პატივცემულმა იერებმა შეგნებულად აუარეს გვერდი არაბთი მნიშვნელობის მქონე საკითხების განშვას და მთელი ყურადღება გადაიტანეს მეოქვისისხოვან, წვრილმან საკითხებზე; მეორე, ლოსევე შეგნებულად მიაფურჩეგის ალ. ბარსახვ

მიძის მცდარი შეხედულებების ის კრიტიკა, რომელიც ჩვენს ნარკვევაში წარმოდგენილი; მესამე, მათ მიზნად დაისახეს არა ქვეშაობრტეზა გამოკვეცვა, არამედ მოპირდაპირე როგორმე გამოტყუება, რის გამოც არ მოერიდნენ მეცნიერული კამათისათვის შეუფერებელი საშუალებების გამოყენებას.

იმედოვნებ, რომ ჩვენი დამპირების გარეშეც მიხვდებოდა, რომ ჩამოთვლილი დებულებები ავტორთა პოზიციის სასუსტის უტყუარი ნიშანია, მაგრამ, იმისათვის, რომ ეს ქვეშაობრტეზა ყველასათვის ნათელი გახდეს, ქვემოთ ჩვენ გულდასმით განვიხილავთ და გავანალიზებთ უკლებლივ ყველა მათ შენიშვნას, რადგან ნათქვამია, მტყუანს სიმტყუენის კარამდე მიჰყვო!

## 2. ორი რუსთველის პრობლემა

ისტორია უცილობლად გვიდასტურებს, რომ მეხუთე საუკუნის ბოლოდან მეცხრამეტე საუკუნის დამდეგამდე, ე. ი. დაახლოებით 13 საუკუნის განმავლობაში საქართველოში განუწყვეტლივ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მღვდელმთავრები, რომლებიც „რუსთველის“ ზედწოდებას ანუ ტიტულს ატარებდნენ.

ამიტომ ვინც იტყვის შოთა რუსთველი ერისკაცი იყო, ის ამით უკვე ამბობს, რომ საქართველოში ერთდროულად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ორი რუსთველი, — ერთი, გამოჩენილი მღვდელმთავარი, რომელსაც ისტორიკოსები, ხოლო მეორე, ასევე გამოჩენილი ერისკაცი — პოეტი, რომელსაც ისტორიკოსი იცნობს. მაგრამ შეიძლება თუ არა, რომ საქართველოში ერთდროულად ყოფილიყო ორი გამოჩენილი რუსთველი, — ერთი სასულიერო პირი, მღვდელმთავარი, ხოლო მეორე — ერისკაცი და პოეტი?

ამ კითხვაზე სწორი პასუხის ვასაცემად ნარკვევაში გაანალიზებულია გეოგრაფიული ადგილებიდან საერო გვარწოდებათა წარმოქმნის კანონზომიერება, რომელიც მიწის ფეოდალურ საკუთრებასთანაა დაკავშირებული, და შედარებულია იგი სასულიერო ზედწოდებათა წარმოქმნის კანონზომიერებასთან, რომელიც წალ სხვაგვარი ვითარებითაა განპირობებული. ამ ანალიზისა და შედარების საფუძველზე, აგრეთვე, საქართველოს ისტორიის წყაროთა კონკრეტულ მონაცემების ვათვალისწინების შედეგად, მიღებულია დასკვნა, რომ შეუძლებელია საქართველოში ერთდროულად ყოფილიყო ორი გამოჩენილი რუსთველი, — ერთი სასულიერო პირი, მღვდელმთავარი, ხოლო მეორე — ერისკაცი პოეტი.

რად დაუპირისპირეს ავტორებმა ამ თვალსაზრისსა და მის საბუთთანობას?

იმის ნაცვლად, რომ ჩვენს მიერ წამოყენებული დებულებები დაწვრილებით განეხილათ და



მისი არგუმენტები მეცნიერულად შემოწმებულ იქნა ფაქტებით დაერღვიათ, ავტორები დაკმაყოფილდნენ რამდენიმე შეუმოწმებელ ფაქტზე მითითებით, რომელთა საშუალებით საოცარი სიადვილით „დაარღვიეს“ და „მოხსნეს“ ყველა ჩვენი დებულება და საბუთი.

პირველი ფაქტი, რომელსაც ავტორები გვიპირისპირებენ, შემდეგია: „ერთ ძველ ჰიმნოგრაფიულ ძეგლში, სადაც შექმნილია დავით გარეჯელის სასწაულთმოქმედება, დასახელებულია ვინმე რუსთველი ამირა (ეს მახდენი რუსთველი დავით გარეჯელს ქრისტიანობაზე მოუქცევია). სახელწოდება რუსთველი აქ ნიშნავს ან რუსთავის მმართველს (რუსთავის ამირას) ან ამირას რუსთავიდან. მაგრამ როგორი მნიშვნელობაც არ უნდა მივცეთ ამ სიტყვას — რუსთველი, იგი ყოველ მიზეზს გარეშე მიეკუთვნება საერო-სამოქალაქო პირს, ე. ი. ამ ძველ ქართულ წყაროში დოკუმენტურად არის დამოწმებული ერისკაცი რუსთველი (და არამცდარამც მღვდელმთავარი).“<sup>1</sup>

თავი რომ დავანებოთ შინაგან ულოგიკობას, რომელიც ამ მსჯელობას აშკარად აჩნია, განასეთი „არგუმენტი“ რაიმეს დამტკიცება შეიძლება? ეს ფაქტი ხომ დიდი ხანია ცნობილია ქართველი ისტორიკოსებისათვის, მაგრამ დღემდე ვის მოსვლია აზრად, გარდა ჩვენი ავტორებისა, მოტანილ კონტექსტში სამოქალაქო პირის გვარწოდება რუსთველი ამოკითხვა? მართლაც, დავაკვირდეთ ტექსტს: განა აქ „რუსთველი“ საკუთარი სახელია? ნუთუ ძნელი მისახვედრია, რომ აქ ლაპარაკია არა ისეთ პირზე, რომელსაც რუსთველი ჰქვია, არამედ გარკვეული თანამდებობის მქონე მოხელეზე, — რუსთავის ამირაზე (ე. ი. ქალაქ რუსთავის გამგებზე), რომელიც ისტორიულად მართლაც არსებობდა? რუსთავის ამირა, ისევე, როგორც თბილისის ამირა, დადასტურებულია ისტორიული წყაროებით, მაგრამ რა შუაშია აქ რუსთველი? ჩვენი ავტორების ლოგიკას რომ გავყვეთ, მაშინ იძულებული ვიქნებით ქ. რუსთავის ყველა მცხოვრებელ — რუსთველი ამირადან დაწყებული, რუსთველი მეწისქვილეამდე — მოვენათლოთ გვარ-სახელით „რუსთველი“. ასევე მოგვიხდება თბილისის ამირასა და, საერთოდ, თბილისის ყველა მცხოვრებლისათვის „თბილისის“ ზედწოდება მიგვენიჭებია. აი, რა უხერხულ მდგომარეობაში ჩაიყენეს თავი ავტორებმა, რომლებიც სხვის ისტორიკოსობას დასცინიან!

შემდეგი საბუთი ჩვენი ავტორებისა პირველზე არანაკლებ ძლიერია. მოვუსმინოთ: „ისტორიკოსებმა ს. კაკაბაძემ და ნ. შოშიაშვილმა აღნიშნეს, რომ 1597 წლის ერთი საბუთი დაუწერია ვინმე რუსთველის შვილს მურმანს და ან ს. ცხაღზე უცხადესია, რომ აქ დასახელებული რუსთველი ერისკაცია (ვინც არ

უნდა იყოს იგი). ამრიგად, მცდარია პ. რატიანის განცხადება, ქართული საისტორიო წყარო არ იცნობს საერო შინაარსის მქონე რუსთველებს“<sup>2</sup>.

როგორც ვხედავთ, ავტორები სულ იოლად წყვეტენ საკითხს, მაგრამ ჯერ ერთი, ამ დოკუმენტში დასახელებულია არა „რუსთველი“, როგორც ეს ავტორებს მოჩვენებით, არამედ რუსთველის შვილი მურმანი“ (ე. კაკაბაძით კი „რუსთველის შვილი მურმანი“), რაც სრულიადც ერთი და იგივე არ არის. მეორე, აქ ნახსენები „რუსთველი“ რომ ერისკაცის გვარი იყოს, მაშინ მისი შვილიც „რუსთველი“ უნდა ყოფილიყო და არა „რუსთველის შვილი“; მესამე, — საიდანაა „ცხაღზე უცხადესი“, რომ ეს „რუსთველის შვილი“ („რუსთველის შვილი“), ან მისი მამა, ერისკაცია? ამ კითხვის განმარტებისათვის ჩვენი ავტორები თავს არ იწუხებენ, ამიტომ იძულებული ვართ მივმართოთ იმ წყაროს, საიდანაც მათ თავიანთი არგუმენტი ისესხეს.

ისტორიკოს ს. კაკაბაძეს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ უძლია, რაც შეეხება ნ. შოშიაშვილს, მისი აზრით, ზემოთ მოტანილ დოკუმენტში ნახსენები „რუსთველი“ რუსთავის ეპისკოპოსი „არ შეიძლება იყოს, რადგან ეპისკოპოსის შვილები არ ჰყავს“<sup>3</sup>. ალბათ ჩვენ ავტორებსაც ამ მოსაზრებით ჰგონიათ „ცხაღზე უცხადესად“ ის აზრი, რომ დოკუმენტში მოხსენიებული „რუსთველის შვილი“ (თუ მისი მამა) ერისკაცია, მაგრამ ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ მათი არგუმენტი სრულიად უსაფუძვლოა. მართალია, ეპისკოპოსს, როგორც წესი, შვილები არ ჰყავდა, მაგრამ ისიც საყოველთაოდ ცნობილია, რომ გამონაკლისები ყოველთვის იყო. ასეთი გამონაკლისების არსებობას გვიდასტურებს არა ერთი უტყუარი ისტორიული საბუთი. ქვემოთ მოგვყავს ერთ-ერთი მათგანი.

მეფე გიორგი XII შვილისადმი ერთ წერილში, რომელიც დათარიღებულია 1800 წლის 3 ნაისით, ნათქვამია: „უგანათლებულესო შვილო, ბატონო ბაგრატ. მერე ყოვლად სამღვდელოს ხარჭაშენლის ნიკოლოზის შვილს იოანეს...“<sup>4</sup> აქ, როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია, რადგან დღესათვის ნათელია, რომ მღვდელმთავარს ნიკოლოზს ხარჭაშენლს ჰყოლია შვილი. მაგრამ თუკი ხარჭაშენლს შეეძლო ჰყოლოდა შვილი იოანე, რატომ არ შეიძლებოდა, რომ რომელამე რუსთველსაც ჰყოლოდა შვილი მურმანი?

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტის საიუბილეო კრებული „შოთა რუსთველი“, 1966, გვ. 72. ბლა. ხ.

<sup>3</sup> საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის კრებაჟი, ტ. III, 1910, გვ. 237.

### პროკოფი რატიანი

ისამ მეფისბაჟის ავტორის ვინაობა

ეს ფაქტო საეხეობით ამათილებს ავტორების ზე-  
მოთ ხსენებულ არგუმენტს, მაგრამ ამასაც რომ  
თავი დავანებოთ, ვინა ყველა შემთხვევაში, რო-  
დესაც ესა თუ ის გვარი „შვილზე“ თავდება, მი-  
სი წარმოშობა უთუოდ მამა-შვილური დამოკი-  
ვლებების შედეგია? სრულიადაც არა! საიდან  
წარმოსდგა, მაგალითად, ისეთი ქართული გვა-  
რები, როგორცაა „ქრისტესიაშვილი“, „ხატია-  
შვილი“ და ა. შ.? ვინა ქრისტეს ან ხატებს შეი-  
ლები ჰყავდათ? ამნაირ გვარები, როგორც  
ჩანს, წარმომდგარია ადამიანის სახელებისაგან,  
მაგრამ არიან ისეთი გვარებიც, რომლებიც თა-  
ნამდებობა-საქმიანობის, ან სასულიერო პირის  
ხარისხის აღმნიშვნელი სახელებისაგან არის  
წარმომდგარი. ასეთებია, მაგალითად, ამირეჯი-  
ბი, მელიქიშვილი, კალატოზიშვილი, მღებრი-  
შვილი, ხუციშვილი, დეკანოზიშვილი და ა. შ.  
რადგამა გამორიცხებულ, რომ „რუსთველიშვი-  
ლიც“ ასეთივე გზით იყოს წარმოშობილი?

ამრიგად, ზემოთ განხილული დოკუმენტი და  
იქ ნახსენები „რუსთველის შვილი მურვანი“ არც  
ნ. შოშიაშვილის ინტერპრეტაციით და არც,  
შით უმეტეს, ავტორების გაუზარალებული გა-  
გებით. არა თუ არ არღვევს, არამედ კიდევ უფ-  
რო ამტკიცებს ჩვენს თვალსაზრისს.

მესამე და უკანასკნელი არგუმენტი ავტორე-  
ბისა, რომლის საშუალებით ისინი ჩვენი დებუ-  
ლებს დარღვევას ცდილობენ, ისეთივე დიკრუ-  
ლებისაა, როგორც წინა ორი. ამ შემთხვევაში  
მათ ჩვენს წინააღმდეგ მოუხმიათ ერთ-ერთი წი-  
განის... საძიებელი, რომელიც თურმე, საესებო  
საკმარისი ყოფილა იმისათვის, რომ ყოველგა-  
რი მეცნიერული დებულება „მოხსნას“. მაინც  
რაზეა ლაპარაკი?

ჩვენს ნარკვევში დასაბუთებულია აზრი იმის  
შესახებ, რომ სასულიერო ზედწოდებისა და სა-  
ერთო გვარწოდების წარმოქმნას კანონზომიერ-  
ებთან სხვადასხვაობა გამორჩეულად ან ტერმინე-  
ბის ურთიერთ დამთხვევას. ამ აზრის საილუსტ-  
რაციოდ, სხვათა შორის, მოგვყავს ტბელისა და  
მტბევარის მაგალითი. როგორც ცნობილია, სა-  
ქართველოში არსებობდა ორი დიდმნიშვნელო-  
ვანი გეოგრაფიული ადგილი. — ორი ტბეთი:  
ერთი ქართლში, რომელმაც ქართლის დიდგვა-  
რიანი აზნაურების გვარწოდება „ტბელი“ წარ-  
მოშვა, ხოლო მეორე — შავშეთში, რომელმაც  
იქაურ მღვდელმთავრებს დაუმკვიდრა ძველი  
ქართული სიტყვა „მტბევარი“. აქედან დღესა-  
ვით ნათელია, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც  
არსებობს ორი ერთნაირი გეოგრაფიული  
სახეწოდების ადგილი, რომელთაგან ერთი დი-  
დი ფეოდალის მამულის ცენტრია, ხოლო მეორე  
მღვდელმთავრის ეპარქიის ცენტრი, — ამ შემ-  
თხვევაშიც არ ხდებოდა ტერმინების ურთიერთ-  
დამთხვევა. მერე რა დაუპირისპირეს ამ დებუ-  
ლებას ავტორებმა? მოვესმინოთ:

„საკმარისია გადაფურცლოთ კ. კეკელიძის  
ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველ  
ტომის საძიებელი, რომ იქ იპოვოთ პ. რატიანის  
მიერ მოყვანილი „კლასიკური მშენებლობის“  
ბათილებელი ფაქტები „მტბევარი“  
ანტონ ტბელი, ახუსერიძე ტბელი, დავით ტბე-  
ლი, იოანე მტბევარი, პავლე ტბელი. სტეფანე  
მტბევარი“ (გვ. 647). ამ საძიებლის მიხედვით ჩა-  
ხედავთ წიგნში და ნახავთ, რომ ტბელის (sic)  
სასულიერო მესვეურები ხან ატარებენ მტბევა-  
რის, ხანაც ტბელის სახეწოდებას“.

როგორც ვხედავთ, ამ საკითხსაც პატივცემუ-  
ლი ავტორები ძალიან იოლად და მარტვად  
სწყევტენ („საკმარისია გადაფურცლოთ... ჩახე-  
დავთ წიგნში და ნახავთ“). მაგრამ საკითხავია,  
წერ ერთი, საძიებელი რა ისეთი საბუთია, რომ  
მეცნიერული კამათის დროს მას დავეყრდნოთ?  
ვინა ავტორებმა არ იციან, რომ საძიებელი უბ-  
რალო ტექნიკური ცნობარია, რომელსაც უფრო  
ხშირად ავტორები კი არა, კორექტორები ადგე-  
ნენ? მეორე. — კიდევაც რომ დავუშვათ, რომ  
კ. კეკელიძე იმავე აზრისაა, რა აზრსაც მას ავტო-  
რები მიაწერენ, რატომ ვართ ჩვენ მოვალე უსა-  
ბუთოდ დავიჭერით ყველაფერი, რაც კეკელი-  
ძეს უთქვამს? როდის აქვთ მიეცა ამა თუ იმ  
მეცნიერის საგარაუდოდ გამოთქმულ მოსაზრე-  
ბას ისტორიული საბუთის ძალა? მესამე. — მაინც  
რა აქვს კ. კეკელიძეს ნათქვამი ისეთი, რასაც  
შეეძლოს ჩვენი დებულების დარღვევა? ვინა კ.  
კეკელიძე, ან რომელიმე სხვა მკვლევარი საქარ-  
თველოს ძველი ისტორიისა, ოდესმე უარყოფ-  
და თვით ფაქტს — „ტბელისა“ და „მტბევარისა“  
ერთდროულად არსებობას? მეოთხე. — ვინ დი-  
კრებს ისეთ შეუსაბამობას. — თუნდაც მას კ.  
კეკელიძის დიდი ავტორიტეტი უჭირდეს მხარს,  
თითქოს ერთსა და იმავე ტახტზე მჯდომ მღვდელ-  
მთავრებს ხან მტბევარი ერქვათ, ხან ტბელი,  
მერე ისევ მტბევარი და ა. შ.? ვის რაში დას-  
კვირდებოდა მღვდელმთავრების ზედწოდების  
ასეთი ცვლა და აღრევა? ან, სად არის საბუთე-  
ბი, რომლებიც ამგვარ უაზრო ცვლას და აღ-  
რევას დაგვიდასტურებდა? ვინა საქართველოს  
ეკლესიის ისტორია იცნობს მღვდელმთავრების  
ზედწოდებათა ამგვარი ცვლის თუნდაც ერთ  
ფაქტს?

სრულიად გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ  
არც კ. კეკელიძეს და არც რომელიმე სხვა  
მკვლევარს არ მოეპოვება არც ერთი მოსაზრე-  
ბა, რომელიც უარყოფდეს იმ ფაქტს, რომ სა-  
ქართველოში ერთი და იმავე სახეწოდების  
ადგილიდან, სახელობარ ტბეთიდან წარმო-  
მდგარი იყო საერო აზნაურთა გვარწოდება  
„ტბელი“ და მღვდელმთავრის ზედწოდება  
„მტბევარი“. მართალია, კ. კეკელიძეს გამო-  
თქმული აქვს საგარაუდო მოსაზრება, რომ

წყაროებში „ტბელის“ სახელით მოხსენიებული ზოგიერთი მოღვაწე შესაძლებელია შავშეთის მღვდელმთავარი მტბევარი იყოსო, მაგრამ ეს მოსაზრება, — თუნდაც რომ მართალი იყოს, — ოდნავადაც არ სცელოს ჩვენს დებულებას, რადგან საქმე ის კი არაა, ვინ როგორ იხსენიებდა შავშეთის მღვდელმთავარებს; საქმე ისაა, რომ მათი ოფიციალური ზედწოდება ანუ ტიტული იყო „მტბევარი“, ხოლო ეს „მტბევარი“ დამკვიდრდა იმიტომ, რომ საქართველოში იმ დროს არსებობდნენ „ტბელის“ გვარწოდების მქონე დიდი ფეოდალები და შეუძლებელი იყო, რომ ხსენებული მღვდელმთავარების ზედწოდება მათ გეარს დამთხვეოდა.

აკად. კ. კეკელიძეს არ დაუწერია სპეციალური ნაშრომი, რომელშიც ვარკვეული იქნებოდა „ტბელისა“ და „მტბევარის“ წარმოშობა-ურთიერთობის პრობლემა, ხოლო ის მეცადე რამ, რაც მან ამ საკითხზე დაწერა, სრულადაც არ იძლევა ისეთი დასკვნების გაკეთების უფლებას, როგორსაც ჩვენი ავტორები აკეთებენ. მაგალითისათვის შეიძლება გავიხსენოთ, რას ამბობს კ. კეკელიძე აბუსერაძე ტბელის შესახებ:

„აბუსერაძე ტბელი ყოფილა დიდგვარიანი კაცი... სახელწოდება ტბელი გვაფიქრებინებს (ხაზი ჩემია. პ. რ.), რომ ის იყო მტბევარი ან ტბეთის ეპისკოპოსი“.<sup>1</sup>

ამ ამონაწერიდან ცხადია, რომ აბუსერაძე ტბელის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ საზნოდ ცნობები არ მოგვეპოვება და მკვლევარი იძულებულია ვარაუდის გამოთქმით დაკმაყოფილდეს. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა გვაქვს დანარჩენი ტბელების მიმართაც.

ამ ამონაწერიდან ცხადია, აგრეთვე, რომ კ. კეკელიძის თვალსაზრისითაც ტბეთის ეპისკოპოსის ზედწოდება „მტბევარია“, ოღონდ სახელწოდება „ტბელი“ მას აფიქრებინებს, შეაძლებულია ამ სახელწოდების ქვეშ მტბევარი იფიქსირებოდესო. რატომ აფიქრებინებს? იქნებ იმიტომ, რომ ფრთხილ მეცნიერს წყაროს დაწერილობა გადამწერის მიერ დამახინჯებულად მიანდა? ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ კ. კეკელიძეს არსად არ უთქვამს და ვერც იტყვია, შავშეთის მღვდელმთავრის ზედწოდება იყო არა „მტბევარი“, არამედ „ტბელი“.

ყოველივე ზემოხსენებულთან აშკარაა, რომ პატივცემულმა ავტორებმა ალ. ბარამიძემ, ელ. მებრეველმა და ს. ცაიშვილმა ვერ მიგვიბოძეს ვერც ერთ მეცნიერულად შემოწმებულ ფაქტზე, რომელიც ოდნავ მაინც შეარყევდა ჩვენს დებულებას. მეცნიერული კამათი და მსჯელობა მათ დააფუძნეს საექვო ღირებულების ფაქტებზე, თანაც. — ამ ფაქტების განხილვითა და ანალიზით თვითონ კი არ შეიწუხეს

თავი, არამედ შეეცადნენ სხვა ავტორთა (კ. კეკელიძე, ნ. შოშიაშვილი) ავტორიტეტს ამოყარებოდნენ, მაგრამ საქმეს, როგორც ვნახეთ, ამანაც ვერ უშველა. ჩანს, ისტორიული მონაცემების გასაგებლად საჭიროა რაღაც სრულყოფილი შვნელოვანი ციკოდეთ, ვიდრე ამა თუ იმ წიგნის საძიებლებია.

გადავდივართ შემდეგ საკითხზე. ჩვენს ნარკვევში დაწვრილებით არაა განხილული რუსთველოლოგიური ლიტერატურაში გაკვრით გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ შესაძლოა ვეფხისტყაოსნის ავტორი რუსთაველი იყოს, ხოლო „რუსთველი“ — მისი სადაურობის მარეგნებელი სახელი, ანუ, დღევანდელი გაგებით, ფსევდონიმი იყოს. ნარკვევში ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ეს აზრი დაუსაბუთებელი ჩანს, მაგრამ აღარ გამოვეკიდეთ მის დეტალურ განხილვას. ავტორები ვერ მიხვედრილან, თუ საიდან ჩანს ხსენებული აზრის უსაფუძვლობა, გვთხოვენ განმარტებას და თან მიგვიბოძებენ ნ. მარზე, რომელიც ვეფხისტყაოსნის ავტორს ჩვეულსებრივ უწოდებდა: «Шота из Рустави, руставский поэт».

ამ საკითხის დეტალური განხილვა ნარკვევში ჩვენ ზედმეტად მივიჩნიეთ იმის გამო, რომ ხსენებული, გაკვრით გამოთქმული აზრის უსაფუძვლობა თავისთავად გამომდინარეობს ნარკვევის ძირითადი აზრიდან. მართლაც, თუ ვეფხისტყაოსნის მე-8 სტროფში ნახმარი სიტყვა „ხელობა“ თანამდებობა-საქმიანობას ნიშნავს, როგორ შეეძლო რუსთაველი მცხოვრებ პოეტს ეთქვა: „მე ხელობით რუსთველი ვარო“, თუნდაც რომ მისი ფსევდონიმი მართლაც „რუსთველი“ ყოფილიყო, ასეთი ფრაზის წარმოთქმა არ შეეძლო რუსთაველს არც ერთ მეკვიდრს, გარდა იმ ერთისა, რომლის ხელობა-საქმიანობა მართლაც რუსთველობა, ე. ი. უმაღლესი სასულიერო საქმიანობა იყო.

2 ჩვენს ნარკვევში არ გავვიხილავს აგრეთვე თეიმურაზ ბაგრატიონის აზრი, „ხელობითა“ ხელოვნებასაც ნიშნავსო, — არ გავვიხილავს იმიტომ, რომ რუსთველი ხელოვნების ცნებას ყველგან გამოხატავს სიტყვებით: ხელოვანება, ხელოვნება, ხელოვნებითა და ა. შ. ამიტომ ათვისთვად ცხადია, რომ მას არ შეეძლო ამავე აზრით სიტყვა ხელობაც ეხმარა. თეიმურაზის განმარტება შესაძლოა სწორი იყოს მართო იმ აზრით, რომ ხელობა (თანამდებობა-საქმიანობა), როგორც ცნობილია, გარკვეული საფეხურის (დაოსტატების) შემდეგ, ხელოვნებად იქცევა და უთუოდ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში თ. ბაგრატიონს, როცა ამბობდა, ხელობითა ნიშნავსო „ქელოვნებასა და საქელოსაცა ორსავე“.

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 310

სხვათა შორის, შეენიშნავთ, რომ ასეთი ფრანგის წარმოთქმა არ შეეძლო, აგრეთვე, რომელმე ერისკაცს, თუნდაც რომ მისი გვარი „რუსთველი“ ყოფილიყო, — არ შეეძლო იმიტომ, რომ რუსთველობა მისი გვარი იქნებოდა და არა თანამდებობა-საქმიანობა.

ერთი სიტყვით, რა მხრივაც არ უნდა მივეუდგეთ საკითხს, სულ ერთია, — დებულება იმას შესახებ, რომ რუსთველი ერთი იყო და რომ საქართველოში არ შეიძლებოდა ერთდროულად ორი გამოჩენილი რუსთველი ყოფილიყო, ურყევი რჩება.

ამრიგად, მეცნიერულად გაანალიზებული ისტორიული საბუთები და სათანადო მოვლენათა კანონზომიერებანი ექვემდებარებულად გვადანსტურებენ ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობას. მაგრამ ამ ვინაობას კიდევ უფრო დამაჯერებლად გვიჩვენებს თვით ვეფხისტყაოსნის ტექსტი, — დიდი პოეტის ეს ხელთუქმნელი ძეგლი.

### 3. ვეფხისტყაოსნის ტექსტის მონაცემები მისი ავტორის ვინაობაზე და მათი მნიშვნელობა

ჩვენს ნარკვევში დაწვრილებით იყო განხილული და გაანალიზებული ვეფხისტყაოსნის ტექსტის მონაცემები, კერძოდ კი, ცნობილი მერვე სტროფის, რის შედეგად საშუალება მოგვეცა ექვემდებარებულად დაგვემტკიცება, რომ „გინი-აღური პოემის ავტორი იყო მაღალი რანგის სასულიერო პირი, რომელსაც გარკვეულ დროს ეპირა რუსთავის მღვდელმთავრის თანამდებობა, ეპარა საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კუთხის სასულიერო მწყემსის ტახტი, და სწორედ ამიტომ იწოდებოდა რუსთველად“ („მნათობი“, №2, გვ. 164). ეს აზრი დადასტურა აგრეთვე ვეფხისტყაოსნის 1667-ე (1543-ე) სტროფის ანალიზმა, — სტროფისა, რომელშიც კათალიკოსსა და მაწყვერელზეა ლაპარაკი, და რომელიც, არასწორი თვალსაზრისის შედეგად, რუსთველოლოგებს დღემდე ოდიოზურ სტროფად მიაჩნდათ.

რა დაუპირისპირეს ავტორებმა ჩვენს თვალსაზრისსა და მის საბუთიანობას?

ერთ-ერთი ჩვენს ძირითად არგუმენტს, სახელდობრ 1667-ე (1543-ე) სტროფს და მასთან დაკავშირებულ კათალიკოს-მაწყვერელის პრობლემას, მათ სავესებით გვერდის აუარეს, — თანაც ისე, რომ მკითხველისთვის არ გაუმყდვენებით მიზეზი ამ გვერდის ავლისა; რაც შეეხება მეორე არგუმენტს, სახელდობრ, მერვე სტროფს და იმ დასკვნებს, რომლებიც მისი ანალიზის შედეგად ჩვენ მივიღეთ, მათ წინააღმდეგ ავტორებმა წამოაყენეს მთელი რიგი საეჭვო ფაქტებისა და არგუმენტებისა, თუმცა არც ჩვენი საბუთიანობა განუხილავთ საჭირო სიღრმითა და სისრულით და არც რაიმე უთქვამთ ისეთი, რასაც შეეძლო ოღნავ მაინც მიეყენებინა ჩრდი-

ლი ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული თვალსაზრისისათვის.

გავეცნოთ ახლოს მერვე სტროფის ავტორთა მსჯელობასა და არგუმენტებს, უმთავრესი საბუთი ავტორებისა ისაა, რომ 1957 წლის, თითქოს, ვეფხისტყაოსნის დაძველებულ, 1957 წლის გამოცემაზე ვამყარებთ მერვე სტროფის ახლებურ გაგებას და არ ვითვალისწინებთ რუსთველოლოგიის უკანასკნელი დროის მიღწევებს, კერძოდ კი იმ შემუშავებას, რომელსაც ეწევა ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი სახელმწიფო კომისია და რომლის შედეგებმა გამოხატულა პპოვა ვეფხისტყაოსნის 1966 წლის გამოცემებში.

„ხელნაწერულმა ტრადიციამ დადასტურა, — ხანჯავშით მიუთითებენ ავტორები, — რომ ვეფხისტყაოსნის მერვე სტროფის პირველი ტაემის ხელობითა სწორედ ასე იწერებოდა და არა ფორმით — ქელობითა. ვამოიარკვე, რომ ხელობა თანამდებობის (ქელობის) მნიშვნელობით არდასტურდება რუსთველამდელი და რუსთველსდროინდელი არც ერთი წერილობითი ძეგლით“. (გვ. 175).

ჯერ ერთი, გამოსარკვევია, რომელმა ხელნაწერულმა ტრადიციამ დაუდასტურა პატრიკეიმულ ავტორებს, რომ მერვე სტროფის პირველ ტაემში ნახმარი სიტყვა „ხელობითა“ ძველდ მაინცა და მაინც ამ ფორმით იწერებოდა და არა ფორმით „ქელობითა“. რატომ კონკრეტულად არ აღნიშნავენ ავტორები, რა ტრადიციანაა ლაპარაკი, თუკი ასეთი რამ ბუნებაში მართლაც არსებობს?

ჩვენს ნარკვევში დასახელებულია ვეფხისტყაოსნის სამი ხელნაწერი (H 3061, H 1839 და K205), რომლებშიც ეს სიტყვა შე მო რ ჩ ე ნ ილი ა ფორმით „ქელობითა“, რაც სწორედ თანამდებობა-საქმიანობის ნიშნავს; გარდა ამისა, ნარკვევში აღნიშნულია იმ ფაქტის გათვალისწინების აუცილებლობა, რომ ქართული დამწერლობის (პალიოგრაფიის) განვითარების ყველასათვის ცნობილი ტენდენციის გამო, გვიან საუუუუნებში ასო „ქ“ (ჯარი) თანდათან ჰკარგავდათვის მნიშვნელობა და მის ადგილს „ხ“ (ხანი) იჭერდა (ბოლოს ხომ ი. ჰვაჭავაძემ სავესებით განდევნა „ქარი“ ქართული დამწერლობიდან). ეს ფაქტი გასაგებს ხდის, თუ რატომ განხდა მერვე სტროფის პირველ ტაემში „ქელობითას“ ნაცვლად „ხელობითა“ ხელნაწერთა უმრავლესობაში: ბუნებრივია, გადამწერები, რომლებიც ზემოხსენებული ტენდენციის გავლენას ვინიცდიდნენ, ხშირად წერდნენ მოძველებული „ქარის“ ადგილას უფრო გავრცელებულ „ხანს“; ეს ფაქტი სავესებით გასაგებს ხდის, აგრეთვე. თუ საიდანაა ხსენებულ სამ ხელნაწერში „ქარი“ მათში „ქარი“, ცხადია, შემორჩენილია ძველთაგანვე, რადგან იმ დროს, როდესაც ეს ხელნაწერები შეიქმნა, არც ერთი გადამწერი არ დასწერდა „ხანის“ ადგილს „ქარს“, პირველთა კი, რო-

გორც ითქვა, ადვილად შეეძლოთ დაეწერათ; დაბოლოს, ჩვენს ნარკვევში აღნიშნულია ის საყურადღებო ფაქტიც, რომ მერვე სტროფის მეორე ტაქტში ნახმარი სიტყვა „ვხელობ“ უკლებლივ ყველა ხელნაწერში წარმოდგენილია „ხანით“, რაც უთუოდ იმის მანიშნებელია, რომ აქ ძველადაც „ხანი“ ყოფილა.

ამ დიდმნიშვნელოვანი ფაქტების განხილვას ავტორებმა, სამწუხაროდ, გვერდი აუარეს და რაღაც არარსებულ ხელნაწერულ ტრადიციაზე მითითებით სცადეს თავიანთი შემცდარი აზრის დასაბუთება. მაგრამ ვინ არ იცის დღეს ჩვენში, რომ ვეფხისტყაოსნის უძველესი ხელნაწერები არ მოგვეპოვება და ჩვენამდე მხოლოდ მე-17 და მე-18 საუკუნეებში გადაწერილი ცალკემა მოაღწიეს? განა გონების დიდი გამოჭრიახობაა საჭირო იმის მისახედრად, რომ ხსენებული ეპოქის ხელნაწერებში „ხანის“ მომრავლება ქართული დამწერლობის განვითარების ბუნებრივი პროცესის შედეგია, ხოლო დასახელებულ სამ ხელნაწერში შემორჩენილი „ქარი“ ადრინდელი ვითარების უტყუარი მოწმეა?

ერთი სიტყვით, დღესავით ნათელია, რომ ე. წ. „ხელნაწერული ტრადიცია“ სწორედ იმას საწინააღმდეგოს ამტკიცებს, რასაც ჩვენი ავტორები მას მიაწერენ.

მეორე განცვიფრებას იწვევს ავტორების განცხადება, თითქოს „გამოირკვა, რომ ხელობა თანამდებობის (ქელობის) მნიშვნელობით არ დასტურდება რუსთველამდელი და რუსთველის დროინდელი არცერთი წერილობითი ძეგლით“. საიდან გამოირკვა, ბატონებო, ასეთი უებრო კუმშობის ტიპი? გადაზალეთ „ქართლის ცხოვრება“, რომელში თქვენ ასე გულმოდგინედ გქონიათ წყაითხული, და ნახეთ პირველი ტომის 351-ე და 353-ე, აგრეთვე, მეორე ტომის 54-ე, 129-ე, 535-ე და სხვ. გვერდები! სადაც „საქელო“, „ქელი“, „ქელოსანი“ და „ქელობა“ არაერთხელ არის ნახმარი როგორც თანამდებობის, ისე საქმიანობის მნიშვნელობით. რას ნიშნავს, მაგალითად, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ ნახმარი სიტყვები „საქელო“, („საქელოთა სჯანი“) და „ქელოსანი“ („ქელოსანთავან მორთმეული“), თუ არა თანამდებობას და თანამდებობის პირს? ანდა ავიღოთ თვით თამარის ისტორიკოსის გამოთქმა: „...უბოძეს სარგისის ძესა ივანეს პირველად მსახურ-უხუცესობა, ქელი (ხაზი ჩემია—პ. რ.). შინაური და საპატრიო“; რას ნიშნავს აქ „ქელი“, თუ არა მსახურთ-უხუცესის თანამდებობას? ეს ძეგლები ხომ რუსთველამდელი და თვით რუსთველის დროინდელი ძეგლებია? დაბოლოს, ავიღოთ XIV საუკუნის ძეგლი, ფამთაღმწერლის თხზულება, რომელშიც ვკითხულობთ: „ამან (ვახტანგ მეფემ...

პ. რ.) აღიყვანა ბატეისა ათბაგობისასა და ამირსპალარობისასა ხუტლუბელა, და მიუბოძა ორივე ქელი“ (ხაზი ჩემია.—პ. რ.). ნათქვამი ძეგლი სადავო იყოს, რომ აქ ნახმარია „გამო-თქმა“ ორივე ქელი“ აღნიშნავს ორ თანამდებობას — ათბაგობას და ამირსპალარობას, და არა გიყსა და სიგიყეს? ვფიქრობთ, მოტანილი სიტყვებისა და ფრაზების ნამდვილი აზრის გაგება არ უნდა გაუჭირდეთ მკვლევართებს, რომლებსაც ძველი ქართულის ცოდნით თავი მოაქვთ.

ავტორები რომ საკითხს ტენდენციურად უდგებიან, ეს კარგად ჩანს შემდეგი ფაქტიდან: როგორც ვნახეთ, „ქართლის ცხოვრებაში“ მათ „ვერ შეინიშნეს“ ვერც ერთი შემთხვევა, როცა ხელი და ხელობა ნახმარია თანამდებობა-საქმიანობის მიხედვით, სამაგიეროდ დიდი გამოჭრიახობა გამოიჩინეს და იმავე „ქართლის ცხოვრებაში“ იპოვეს ხსენებული სიტყვებიდან ნაწარმოები სამი სიტყვა: ხელდებიან, გახელუბით, ხელქმნილი. ამ „აღმოჩენის“ გამო, როგორც ითქვა, ავტორები დიდად აღფრთოვანდნენ, თუმცა აღფრთოვანებისათვის არაავითარი საფუძველი არ გააჩნდათ, რადგან, ჭერ ერთი, ნარკვევში ჩვენ ლაბარაკი გვაქვს ხელსა და ხელობაზე და არა მათგან ნაწარმოებ სიტყვებზე, ხოლო მეორეც, — რას სცვიოს მათი „აღმოჩენა“ ჩვენს დებულებაში? აბსოლუტურად არაფერს: ჩვენი აზრი ის იყო, რომ ვეფხისტყაოსანში, როგორც მხატვრულ ნაწარმოებში, ლაბარაკია ცოცხალ აღმინათა გრძნობებზე, მათ კაშმაგებულ, გაგიჟებულ სიყვარულზე და ამიტომ ინმარება იქ ასე ხშირად სიტყვა „ხელი“ გიყის მნიშვნელობით. „ქართლის ცხოვრება“ კი ოფიციალური ისტორიაა, რომელშიც სიტყვების ხელი, ხელობა და სახელი თითქმის ყოველთვის თანამდებობა-საქმიანობის მნიშვნელობით გვხვდება-თქო. ეს აზრი აბსოლუტურად სწორია და მას ვერ შეარყევს ჩვენი ავტორების მიერ „ქართლის ცხოვრებაში“ მოხდენილი ვერაერთარი აღმოჩენები!

ჩვენ ძალიან გვიყვირს, რომ ავტორები, რომლებიც გამოჩენილი რუსთველოლოგები ბრძანდებიან, ვერ ამჩნევენ ფაქტებს, რომელთა შემჩნევა არავითარი სიმწიფეს არ წარმოადგენს. თუმცა, კაცმა რომ თქვას, აქ საკვირველი არაფერია საქმე ისაა, რომ ავტორებს \* არ სურთ ისეთი ფაქტების დანახვა, რომლებიც მათ თელსაზრისს ეწინააღმდეგება, ხოლო თუ კაცს არ სურს, — ბოლიკარბე კაცაბაძის თქმისა არ იყოს, — ზღვის ბერსა რომ იღვას, ზღვას არ დაინახავს, იღონდ დეტს კია: ასეთმა კაცმა რომ მტკიცება დააწყოს, „გამოირკვა, რომ ზღვა არ არსებობსო“, — საეჭვოა, ვინმე დაუჭეროს.

მესამე. განსაკუთრებით განსაცვიფრებელი

1 გვერდები მითითებულია „ქართლის ცხოვრების“ ყუხჩიშვილისეული გამოცემის მიხედვით.

### პროკოფი რაბინი

ისევ მიფხინსტაოსნის ავტორის მინაოპაზი.

ის გარემოება, რომ ავტორებს „დავიწყებით“, რას წერდა საღაო საკითხის ირგვლივ ალ. ბარამიძე 1966 წელს, რასაც შედეგად ფრიალ სამუხარაო გაუგებრობა მოჰყოლია.

მკითხველს უთუოდ ეხსოვება, რომ ჩვენს ნარკვევში წარმოდგენილია ვეფხისტყაოსნის მერვე სტროფის შესწავლის დაწერილებითი ისტორია და ამის შედეგად მიღებულია შემდეგი დასკვნა: „ისეთმა გამოჩენილმა რუსთველოლოგებმა, როგორც არიან აკადემიკოსები კ. კეკელიძე, ა. შანიძე და ა. ბარამიძე, უარსყვეს სიტყვა „ხელობის“ ტრადიციული გაგება და „გვიყის“ ნაცვლად მასში დანიხეს თანამდებობის გამომხატველი სიტყვა „ქელობა“. ეს გახლავთ ამ საკითხში რუსთველოლოგიის უკანასკნელი სიტყვა, რაც ჩვენ ამ მეცნიერების უღო მიღწევად მიგვაჩინია“ („მნათობი“, № 2, გვ. 160).

რას ვემყარებოდით ჩვენ, როდესაც „ხელობის“ ასეთ გაგებას რუსთველოლოგიური მეცნიერების უკანასკნელ სიტყვად მივიჩნევდით? ჩვენ ვემყარებოდით არა მარტო ვეფხისტყაოსნის 1957 წლის ფრიალ ავტორიტეტულ გამოცემას (რედაქტორები: ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე), არამედ, აგრეთვე, გაცილებით უფრო გვიანდელ გამოკვლევას. სახელდობრ, ალ. ბარამიძის კაპიტულარ მონოგრაფიას „შოთა რუსთველი და მისი პოემა“, რომელიც 1966 წელს დაიბეჭდა. ამ მონოგრაფიაში გარკვევით არის ნათქვამი: „რუსთველი, ან რუსთაველი, არც სახელია პოეტისა და არც გვარი, არც ფსევდონიმი, იმ ხანაში, როდესაც ვეფხისტყაოსნის ავტორი მოღვაწეობდა, რუსთველი ნიშნავდა რუსთაველს (ციხე-ქალაქის, მამულის) პატრონს, მფლობელს... ამიტომაც მისაღებია ა. შანიძის განმარტება სიტყვებისა: „მე, რუსთველი ხელობითა, ვიქმ...“, — მე, რომელსაც რუსთაველი მაქვს სახელი“ (ვეფხისტყაოსანი, 1957 წლის გამოცემა, გვ. 397)“.

ამ ამონაწერიდან დღესათი ნათელია შემდეგი: ჯერ ერთი, ალ. ბარამიძეს არა მარტო 1957 წელს, არამედ 1966 წელსაც უდავოდ მიაჩნდა, რომ ა. შანიძის განმარტება საესებით სწორია, რის გამო თვითონვე მიგვიითებდა 1957 წელს გამოცემაზე, როგორც სანდო წყაროზე; მეორეც — ჩვენ სრული უფლება გვქონდა ჩავკეთვეთ, რომ ხსენებული განმარტება, რომელიც ძირითადად სწორ განმარტებად მიგვაჩინია, 1966 წელსაც ძალაში რჩებოდა და, მაშასადამე, რუსთველოლოგიის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენდა. ამიტომ ბრალდება, რომელიც ავტორებმა წამოადგიყენეს, შეგვიძლია მათ უკანვე დავუბრუნოთ და სრულიად კანონიერად ვკითხოთ: თუკი რუსთველოლოგიურმა მეცნიერებამ 1957 წლიდან 1966 წლამდე მართლაც ისეთი გამარჯვებები მოიპოვა, რომ ზადავო საკითხის გაგება

დამეტრალურად შესაცვლელი გახდა, როგორ მოხდა, რომ ეს ვერ შენიშნა ალ. ბარამიძემ, რომელიც 1966 წელსაც გვარწმუნებდა, აღნიშნული განმარტება სწორია და მხოლოდ ჩვენი სარკვევის გამოქვეყნების შემდეგ შეიცვალა აზრი?

ჩვენ დასაშვებად მიგვაჩინია, რომ ელ. მეტრეველსა და ს. ცაიშვილს დაევიწყებოდით, რას ამბობდა მათი კოლეგა 1966 წელს, მაგრამ წარმოუდგენლად მიგვაჩინია ალ. ბარამიძის დაევიწყებოდა საკუთარი აზრი, რომელიც მას სულ ცოტა ხნის წინათ უშუალოდ კემარტებად მიაჩნდა. ვფიქრობთ, მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ აქ საქმე ეხება არა გულმომიწყობას, არამედ თვალსაზრისის მოულოდნელ შეცვლას, რაც გამოწვეულია შემდეგი, ადვილად მისახვედრი, გარემოებით: როდესაც ალ. ბარამიძემ დანიხა (ჩვენი ნარკვევის გამოქვეყნების შემდეგ), რომ სიტყვა „ხელობითას“ ის გაგება, რომელიც წარმოდგენილია ა. შანიძის 1957 წლის განმარტებაში, ძირფესვიანად არღვევს მის საკუთარ, წლობით ნალოლიაებებ თვალსაზრისის ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე, მან ხსენებული გაგება უმაღვე დაძველებულად გამოაცხადა და მასზე სასწრაფოდ ხელი აიღო. მაგრამ რა გამოუვიდა? ჯერ კიდევ გუშინ ამტკიცებდა, მეტრევე სტროფის „ხელობითა“ თანამდებობას ნიშნავსო, დღეს კი გვარწმუნებს, იგივე სიტყვა სიგიყეს ნიშნავსო.

სწორედ ამგვარ შემჯევევებზე იტყოდა ხოლმე დიდი ილია:

ასე, ჩემო მანასეო,  
ხან ისე და ხან ასეო.

ასეთი მანასეობა, რა თქმა უნდა, ძალიან სამუხარაოა, მაგრამ კიდევ უფრო სამუხარაო ისაა, რომ ავტორები ცდილობენ თავიანთი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „შინაური უწესრიგობა“ სხვას გადააბრალონ. ჩანს, მათ დაევიწყებით, რომ უსაფუძვლო ბრალდება ბუმერანგს ჰგავს, — ის უკანვე უბრუნდება გამტყორცნელს.

ასეთია ჩვენი პასუხი მეტრევე სტროფის ახლებური გაგების წინააღმდეგ წამოყენებულ მთავარ არგუმენტზე. რაც შეეხება ამავე საკითხზე ავტორთა დანარჩენ არგუმენტებს, ისინი კიდევ უფრო სუსტი და უსაფუძვლო არგუმენტებია, რის გამო მათი დარღვევა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

ჩვენს ნარკვევში დასაბუთებულია ის აზრი, რომ მეტრევე სტროფის შინაარსი უარზობად იქცევა, თუკი ჰიტყვას „ხელობითა“ სიგიყეს მნიშვნელობით გავიგებთ, რადგან ძნელი შესამჩნევი არაა, რომ ასეთ შემთხვევაში კონტექსტში მივიღებდით გამოთქმას „მე, რუსთველი, სიგიყითა... ვგიყობ“, რაც სრული უარზობა და აშკარა დისონანსია არა მარტო ამ სტროფის, არამედ მთელი პოემის მიმართ.

ამასთან დაკავშირებით ავტორები გვარწმუნებენ, თითქოს დამოწმებული ტექსტი („სიგი-

1 ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, 1966, გვ. 39.

ერთა... ვგეოზბა“) სავესებით აზრანინ და მწყობრი; ისინი ეკამათებთან აკად. კ. კეკელიძეს, რომელსაც „ხელობითა“ თანამდებობად მიანდა, ხოლო ჩვენს მიმართ ბრძანებენ: „როგორ შეიძლება სერიოზულმა მკვლევარმა ამას უწოდოს „შეუსაბამობა და ყალიბი“? პ. რატანის ლოგიკით, მაგალითად შეუსაბამო და უაზრო გამოვიდოდა რუსთველის უბრწყინვალესი ფრაზები: „მზე ღაღრუვს მათის ღრეჯით“ („დაღრუვს... ღრეჯით“). „ძრწის და მიეცს ძრწოლასა“ („ძრწის... ძრწოლასა“) და ა. შ. (გვ. 175—176).

როგორც ვხედავთ, ჩვენი დებულების დარღვევის ამოცანა ავტორებს ორი მაგალითისათვის დაუქირებიათ, მაგრამ ძნელი შესამჩნევი არაა, რომ ერთ მათგანს („ძრწის და მიეცს ძრწოლასა“) საერთოდ არა აქვს არავითარი კავშირი, ან მსგავსება (არც ფორმით, არც შინაარსით) სადავო ქვეულ ტექსტთან, ამიტომ მასზე ლაპარაკი უნდებოდა; რაც შეეხება პირველ მაგალითს, ის მხოლოდ გარეგნულად წაგავს სადავო ტექსტს, შინაარსით კი ისიც არსებითად მისგან განსხვავებულია. მართლაც, დავევირდით: პოეტი გვეუბნება, ნესტან-დარჯანის ძეხნით სასომხილი ტარიელი და ავთანდილი ისე იყვნენ დაღრეჯილი, ე. ი. ძლიერად დაღრეჯილი, რომ მათი დაღრეჯით თვით მზეც კი დაღრეჯებოდა, ე. ი. მოიწყენდაო, როგორც ვხედავთ, ეს სავესებით ბუნებრივი და აზრანინ მსჯელობაა, მაგრამ რა აქვს ამ მსჯელობას საერთო სადავო ტექსტთან? დაფიქრდით, ბატონოებო, რას ამტკიცებთ: ჩემმა დაღრეჯამ შეიძლება სხვა დაღრეჯოს (თუნდაც ის „სხვა“, გადატანილი აზრით, მზე იყოს), მაგრამ ჩემმა დაღრეჯამ რომ ისევე მე დაღრეჯოს, ამნაირი ამბავი სად გავიწილა? ჩვენ სრულიად უდავოდ მივაჩინა, რომ ისეთ უაზრო ფრაზებს, როგორცაა „ჩემმა დაღრეჯამ დაღრეჯაო“, ან „ჩემი სიგიჟით ვგეოზბაო“ — არა თუ გენიოსი პოეტი, არამედ არც ერთი წიგნიერი ადამიანი არ იტყვის.

ავტორების შემდეგი შენიშვნა სავესებით გვაშორებს რეალურ-ისტორიული ფაქტების სფეროს და ემოციათა სფეროში გადაყვავართ.

გაღმოსცემენ რა მერვე სტროფის შინაარსს, ავტორები პათეტიკურად განაგრძობენ:

„ეთხოვთ მკითხველს, ერთი წუთით წარმოიდგინოს რუსთავის მთავარეპისკოპოსი, რომელიც გაშმაგებულია და დაუძლურებულია თამარის სიყვარულით, ემუდარება საქართველოს მეფესა და დედოფალს, თანაგრძნობა გაუწიოს მის გიჟურ ლტოლვას, ანდა პირდაპირ სამარას კარზე მიუთითოს.

ეს როლი სრულიად შეუფერებელია მთავარეპისკოპოსის ღირსებისათვის, მსგავსი რამის წარმოდგენა შეუძლებელიაო. გვიპასუხებს მკითხველი. ჩვენც აქა ვართ. ეს პ. რატანია, რომ გააშმაგა მთავარეპისკოპოსი (ის გვიბტ-

კიცებს, შოთა რუსთაველი რუსთავის მღვდელი მთავარი იყო)“ 1.

ამის შემდეგ ავტორები ბრძანებენ: ჩვენ რაღაც უხერხულობა ვგრძობთ, მაგრამ მომერვე სტროფის მეორე ნახევარს შევხებულად გვერდი ავუარეთ, თუმცა ეპისკოპოსის სახელი მანც სამწიღად შევხვალეთ, რადგან ამ პატიოსანსა და საქმიან გადატვირთულ კაცს თამარ მეფის წარბთა და წამწამთა ქება რავავალეთ: განაგრძობენ რა თანაგრძნობის ღრუბლებში ცურვას, ავტორებიც სავესებით სტოვებენ მკვლევართულ ნიადაგს და აშკარად ბანალურ მსჯელობაზე გადადიან:

„თურმე ნუ იტყვიო, რუსთავის მთავარეპისკოპოსისათვის უბრძანებიათ „თქმა ლექსებისა ტკბილსა, ქება წარბთა დ. წამწამთა, თმთა და ბაგე-ქბლისა“... კი, მაგრამ, იგიოთავს გაკვირვებულ მკითხველი, სხვა საქმე არა ჰქონდა რა თმ მამაცხონებულ ეპისკოპოსს, რომ საქართველოს დადოფლის წარბები და წამწამები, თმები და კბილები არ გაეხადა საქებრად. როგორ არა, ვუპასუხებთ ჩვენ, ეპისკოპოსს ამ დროს საქმეს ვინ გამოუღვედა! ასეთ უხერხულ მდგომარეობაში სულიერი მოძღვარი და განსწველული იერარქი ჩააყენა ისტორიკოსმა პროფოფი რატანამ. „შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე, მისგან ქმნილი!“ (გვ. 176).

კითხულობ ყოველივე ამას და გიკვირს, რა მარტივად, რა გაღარიბებულად ჰქონიათ წარმოდგენილი ჩვენს რუსთველოლოგებს საქართველოს ისტორია, საეკლესიო მოღვაწეთა სტოვებაც და თვით ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობაც!

ავტორების ზემოთ მოტანილი მსჯელობა იმდენად გამჭვირვალეა და ისე კარგად აჩვენს თავის სიღრმეს, რომ შეგვეძლო მასზე არც უთვჩერებულყოფივით, მაგრამ რაკი მიზნად ეპოქისათა ყველა შენიშვნაზე პასუხის გაცემა დავისახეთ, ამ მსჯელობის გამოც ვიტყვიო ორიოდე სიტყვას.

დაიწყეთ იმის გამოტყვევით, თუ როგორ ეპით ავტორებს მიჯნურობა, რომელზეც მერვე სტროფშია საუბარი, შემდეგ კი შევეხებით საკითხს, შეეფერებოდა თუ არა ეპისკოპოსის ღირსებას ისეთი დავალების მიცემა, როგორაც ვეფხისტყაოსნის დაწერაა.

როგორც ვნახეთ, ავტორები ფიქრობენ, რომ რუსთველი გაჭივრებით (თუ გაშმაგებით) შეყვარებულია თამარ მეფეზე და ემუდარება მას, „თანაგრძნობა გაუწიოს მის გიჟურ ლტოლვას ანდა პირდაპირ სამარას კარზე მიუთითოს“. აქედან კი ავტორები დაასკენიან: სადა ასეთი გაშმაგებული სიყვარული და სადა

1 იქვე, გვ. 176.

**პროკოფი რატანი**  
ისამ ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე

ეპისკოპოსი, „მსგავსი რამის წარმოდგენა შეუძლებელია“.

ჯერ ერთი, ყველასათვის ცნობილია, რომ რუსთველოლოგიაში საბოლოოდ დადგენილი ისიც კი არაა, თუ ვის მიმართავს ხსენებულ შერვე სტროფში რუსთველი, თამარს თუ დავით მეფეს (სოსლანს), რომელსაც „ჯარი სპა-თა“ უშუალოდ ემორჩილებოდა. მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, ვინ დაამტკიცა, რომ ხსენებულ სტროფში მინდა და მინც თამარ მეფისა და შოთა რუსთველის ხორციელ სიყვარულზეა ლაპარაკი? განა ავტორებმა არ იცო-ან, რომ წავიდა ის დრო, როცა ქართველი რუსთველოლოგები ამტკიცებდნენ, რუსთველს თამარი უყვარდა და ვეფხისტყაოსანშიც ამიტომ დაიწერა? მკვლევარი ივ. ლოლაშვილი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ეს საქა-თხი, საესებთი მართალია, როცა ამბობს, „საკითხი თამარისა და შოთას მიჯნურობისა არ შეიძლება დადებითად გადაწყდეს; ის, როგორც კვლევის საგანი, მოძველდაო“<sup>1</sup>. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ თვით ის ავტორებიც კი, რომლებიც წინათ თავგამოდებით იცავდნენ შოთასა და თამარის ხორციელ სიყვარულის თეორიას, დღეს უარყოფენ ამ აზრს და მის ნაცვლად ხედავენ „ამაღლებულ სიყვარულს, იდეალურ თაყვანისცემას თამარისად-მი, რომლითაც განათებულია ვეფხისტყაოსანი“<sup>2</sup>. ნუთუ ყოველივე ეს ავტორებს მხედველობიდან გამორჩათ?

მაგრამ დავუშვათ, ერთი წუთით, რომ რუსთველს, რომელიც საქართველოს ერთ-ერთი გამოჩენილი მღვდელმთავარი და უპირველესი პოეტი იყო, მართლა უყვარდა თამარი ჩვეულებრივი, ხორციელი სიყვარულით. მერე, რა არის აქ საკვირველი და წარმოუდგენელი? განა ეპისკოპოსი აღამიანი არ იყო?

ახლა, რაც შეეხება საკითხს, შეეფერებოდა თუ არა ეპისკოპოსის ღირსებას ისეთი საერო ხასიათის პოემის დაწერა, როგორც ვეფხისტყაოსანია, ამაზე სრულიად გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ავტორების მსჯელობა არც მეცნიერულია და არც ორიგინალური. ჯერ კიდევ 1886 წელს ანტონ ფურცელაძე დარწმუნებული იყო, რომ „ეპისკოპოზი იმისთანა ლექსის წერას არ შეუძლებოდა“; ანტონის აზრით ეპისკოპოსს „ვერავინ შეუკეთავდა საქებრად ამგვარი ლექსების წერას და მეტადრე როგორც ის კიდევ უმატებს: „ქება წარბთა და წამწამთა, თმთა და ბაგე კბილთა“, და ამისთან არც თვითონ დასწერდა იმისთანა რასმეს, სა-

დაც თხოულობს, რომ „ანუ მომეცს განკურნება, ანუ მიწა მე სამარისა“<sup>3</sup>.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ანტონ ფურცელაძის აზრს, მაგრამ ისინი მასზე კიდევ უფრო დაბლა ეშვებიან და საესებთი აუბრალოებენ, ავლგარებენ სწოფობს: „სხვა საქმე არა ჰქონდა რა იმ მამაცხონებულ ეპისკოპოსს, რომ საქართველოს დედოფლის წარბები და წამწამები, თმები და კბილები არ გაეხებადა საქებრადო“. საკვირველია სწორედ: რა საქმე უნდა ჰქონოდა ქართული კულტურის მოღვაწეს, პოეტს (სასულიერო იქნება იგი, თუ საერო) იმაზე უკეთესი, ვიდრე ვეფხისტყაოსანის დაწერა? „ქება წარბთა და წამწამთა, — ეს ხომ პოეზიაა, პოეტური განსახლერაა იმ დიდი ამოცანისა, რომელსაც რუსთველი მიზნად ისახავდა?! და თუ პოეზიის ასე ვაკუბრალოებთ, მაშინ ყოველი გამოჩენილი პოეტი ხომ სასაცილოდ ასავდები იქნება? მაგალითად, შეგვეძლო გვეთქვა: სხვა საქმე არაფერი ჰქონდა იმ მამაცხონებულ ჩახრუხაძეს, მთელი თავისი დრო თამარის ქებისთვის რომ არ მოენდომებია და ისეთი ლექსები არ ეწერა, როგორცაა: „თამარ წყნარი; შესწყნარი, ხმა-ნარნარი, პირ-მცინარი“ და ა. შ.? ჩახრუხაძის ბოგრაფია უტყობია და არ ვიცით, რამდენად დატვირთული იყო პოეტი საქმით, მაგრამ გრიგოლ ორბელიანზე ხომ მინც ვერ ვიტყვით, საქმე გამოლეული ჰქონდაო, და რა სჯიდა იმ მამაცხონებულს, ბეთანიის ეკლესიაში რომ მიდიოდა და თამარის სურათს მიმართავდა: „შენს წმინდა სახეს, შეენებთ სავსეს, სახიერებით განსხივებულსა, ვუმზერ კრძალვითა, თაყვანცემითა, ცრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა!“ ანდა გავიხსენოთ გენიოსი ნ. ბარათაშვილი: ის დალოცვილი სიღარიბეში ცხოვრობდა და საღ მოიცალა იმისათვის, რომ სამეგრელოს დედოფლის საყურებე ლექსი დაეწერა?

ერთი სიტყვით, ზედმეტია სიტყვის გაგრძელება იმაზე, რომ საყურეც და თვალ-წარბიც გენიოსების ხელში პოეზიაა, ხოლო პოეზიაზე უფრო დიდი საქმე ძნელად წარმოსადგენია. ჩვენი აზრით, დიდ რუსთველსა და მის ხელთუქმნელ პოეზიაზე იმგვარი გაუბრალოებულობა და ველგარული მსჯელობა, რომელსაც ზემოთ გავცაინით, მხოლოდ ისეთ მკვლევარებს შეუძლიათ, რომლებიც ვეფხისტყაოსანში ქალის თვალ-წამწამთა და ბაგე-კბილთა ქების მეტს ვერაფერს ხედავენ.

ასეთია ჩვენი პასუხი ავტორთა იმ შენიშვნებზე, რომლებიც მათ ვეფხისტყაოსანის ტექს-

<sup>1</sup> სახუთბილეო კრებულები, შოთა რუსთველი, 1966, გვ. 54.

<sup>2</sup> ვ. ინგოროყვა, თხზულებანი, I, გვ. 200.

<sup>3</sup> ა. ფურცელაძე, შოთა რუსთველი და იმი-სი ცოლი, თბ., 1886 წ., გვ. 47.



ღის, კერძოდ კი, ცნობილი მერვე სტროფის  
ჟალბი გაგების შედეგად წამოგვიყენეს.

გადავდივართ შემდეგ საკითხზე.

#### 4. აღორძინების ხანის მწერლობა და შოთა რუსთველი. სერაპიონ საბაშვილის ცნობა.

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ ავტორთა ის შე-  
ნიშვნები, რომლებიც ჩვენი თვალსაზრისის  
ძირითად, გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე  
არგუმენტებს შეეხებოდა; ახლა კი შევეუბნებ-  
ებით ავტორთა იმ შენიშვნების განხილვას, რომ-  
ლებიც, არსებითად, შეეხებიან მართოვროს სე-  
კიტხის, სახელობრ: იცოდნენ თუ არა აღორ-  
ძინების ხანის მწერლებმა და მოღვაწეებმა,  
რომ შოთა რუსთველი სასულიერო პირი და  
მღვდელმთავარი იყო?

მართალია, ახალი თვალსაზრისის დასამტკი-  
ცებლად ამ საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელო-  
ბა არა აქვს, მაგრამ ჩვენი კრიტიკოსები, რომ-  
ლებიც ხსენებული პერიოდის ლიტერატურის  
სპეციალისტები ბრძანდებიან, მას განსაკუთ-  
რებით ვუღმოდგინედ და ვრცლად იხილა-  
ვენ.— უთუოდ იმ იმედით, რომ მათთვის კარ-  
გან ცნობილ საკითხებში ადვილად შესძლებ-  
დნენ ჩვენს დამარცხებას.

მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ავტო-  
რებს ეს იმედი არ გაუმართლდათ  
დაიფიქსოთ სერაპიონ საბაშვილის დიდად  
საყურადღებო ცნობის ანალიზით.

ჩვენს ნარკვევში ნაჩვენები იყო, რომ სერა-  
პიონ საბაშვილის ლექსში, რომელიც როსტო-  
მიანის ქართული თარგმანის ტექსტში ჩართუ-  
ლი და რომელშიც რუსთველის, ბაგრატ მუხ-  
რანბატონისა და თვით სერაპიონის საუბარია  
გადმოცემული, ავტორი რუსთველს უწოდებს  
ბერს, ე. ი. სასულიერო პირს.

ჩვენი კრიტიკოსები უარყოფენ ამ აზრს და  
იძლევიან ხსენებული ლექსის იმგვარ ანალიზს,  
რომელიც მათ თვალსაზრისის კი ეთანხმება,  
მაგრამ ფაქტებს ეწინააღმდეგება. ამავე დროს  
ავტორები ავლენენ და დამყინავე ტონით  
აუწყებენ მკითხველს, თითქოს „პ. რატიანს  
ვერ გაუგია როსტომიანის ჩანართი ტექსტის  
მარტივი შინაარსი“, რადგან, სამწუხაროდ და  
სავალალოდ, „მერ გარკვეულ ძველი ლიტე-  
რატურული ძეგლის ენაში“; ასეთი ვითარების  
გამო ავტორები თვითონ გამხდარან იძულებ-  
ული მოვცათ ხსენებული ლექსის „წიგნიერო  
და თბიჭქტური ანალიზი“.

ავტორების დაცინვაზე ჩვენ არაფერს ვიტ-  
ყვით, რადგან იგი პასუხის ღირსი არ არის.  
რაც შეეხება საქმის არსებით მხარეს, ვასარ-  
კვევია, სულ მცირე, სამი სადგომი საკითხი: 1)  
რას ნიშნავს სერაპიონის ლექსის სათაურში  
ნახმარი სიტყვა „მარტივი“, წამებულს თუ

ბავშვს? 2) რას ნიშნავს იმავე ლექსში ნახმარი  
სიტყვა „ბერი“, მოხუცებულს თუ ბერ-მონა-  
ზონს? 3) როგორ ჰყავს სერაპიონს წარმო-  
გენილი რუსთველი: კარის პოეტად თუ სერა-  
თავის მღვდელმთავარად?

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ  
სერაპიონის ლექსის ანალიზის დროს ქართველი  
მკვლევარისათვის ენობრივი სიძნელე თითქ-  
მის არ არსებობს, რადგან ხსენებული ლექსი,  
არსებითად, ახალი ქართულთაა დაწერილი;  
სამაგიეროდ, გარკვეულ სიძნელეებთანაა და-  
კავშირებული ამ ლექსის, ისევე როგორც,  
საერთოდ, ყოველი ლექსის, შინაარსის გაგება.  
ამიტომ მკვლევარს ვერ უშველის ძველი ქარ-  
თულის ცოდნა, თუ მას არ შესწევს უნარი  
ლექსის აზრობრივ შინაარსს ჩასწვდეს. ამ დე-  
ბულების საუკეთესო ილუსტრაციაა ავტორებ-  
ის მიერ სერაპიონის ლექსის შინაარსის, კერ-  
ძოდ კი, მისი სათაურის გაშიფრვა.

სერაპიონის ლექსის სათაური ასეთია: „აქ ა  
მე ლექსე ავად გახდა, რა ვქნა ამ  
მარტვილ ბის. გარდამეკიდე?“ რას  
ნიშნავს აქ სიტყვა მარტივები?

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართულ  
სალიტერატურო ენაში სიტყვა მარტივი ნიშ-  
ნავს მოწამეს, ე. ი. ქრისტიანობისთვის წამე-  
ბულს. ასეთი მნიშვნელობით ეს სიტყვა და-  
დასტურებულია ყველა ისტორიულ-ლიტერა-  
ტურულ ძეგლში, მეხუთე საუკუნიდან (მშუშა-  
ნიკის მარტივობიდან) დაწყებული, თანა-  
მედროვე ლიტერატურის ძეგლებით დამთავ-  
რებული. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ავტო-  
რებისათვის ხსენებული სიტყვის ასეთი სწორი  
გაგება ხელსაყრელი არაა, რადგან ამით საფუძ-  
ველი ეცლება მთელ მათ თვალსაზრისს; ამიტომ  
ისინი ყოველწინაოდ ცდილობენ დამტკიცონ,  
ვითომ სერაპიონის ლექსის სათაურში ლაპარა-  
კია არა მოწამეებზე, არამედ... ბავშვებზე, რად-  
გან მესხურად მარტივი ბავშვსაც ეწოდებო.  
რა შუაშია აქ ბავშვები? — იკითხავს გაკვირვ-  
ებული მკითხველი. იმ შუაშია, ძვირფასო მკითხ-  
ველო, რომ ავტორების აკვირებული აზრით,  
რუსთველი ხომ მესხეთის რუსთავიდანაა და,  
მამსადაამე, ყველა, ვინც მის შესახებ საუბ-  
რობს, უთუოდ მესხურად უნდა უქცევდეს,  
სალიტერატურო ქართულს კი იეიწყებდეს;  
ახა, სხვა რა ვიფიქროთ?

„პ. რატიანს არ სცოდნიაო, — ბრძანებენ  
ავტორები, — რომ მარტივს ორი მნიშვნელო-  
ბა აქვსო“, და მიგვიითებენ სხვადასხვა ლექ-  
სიკონებზე, მათ შორის, საბას ლექსიკონზე,  
სადც ნათქვამია: „მარტივი ლათინაა  
ენაა, მოწამეს უწოდენ; ხოლო მესხნი ყრმა  
სა უწოდენ“. საბას ეს განმარტება სასგებით

#### პროკოფი რატიანი

ისამ ვიფიქრობს ავტორის ვინაობაზე

სწორია, მაგრამ რა გამოდის აქედან? აქედან ის გამოდის, რომ მარტივად საზოგადო მნიშვნელობა მოწამე ყოფილა, ხოლო საქართველოს ერთ კუთხეში, სახეივანო მესხეთში მის ყმა-წვილის მნიშვნელობაც ჰქონია.

მაგრამ აქ ისმება სრულიად ბუნებრივი კითხვა: რატომ უნდა ეხმარა ეს სიტყვა არა საერთო ქართული ვაგებით, არამედ მესხეთის კუთხური ვაგებით როსტომიანის გამაღვივების, ნიჭიერ ქართველ პოეტს სერაპიონ საბაშვილს? ასეთი ვადახვევა სალიტერატურო ენიდან გვსაგებოდა იქნებოდა მარტო იმ შემთხვევაში, ავტორი რომ სადავო სიტყვას დიალოგში იყენებდეს და მის მესხეთის რომელიმე მკვიდრს წარმოათქმევინებდეს, ან, ყოველ შემთხვევაში, — თვით ავტორი რომ იყოს მესხეთის მკვიდრი; მაშინ ვფიქრობდით, სალიტერატურო ქართულში მშობლიური კუთხის სიტყვა გაპარვიაო. მაგრამ საქმეც ისაა, რომ სერაპიონი ხსენებულ სიტყვას ხმარობს არა დიალოგში, არამედ სათაურში, ხოლო წარმომოხიტი იგი მესხი კი არაა, ქსნის ხეობის სოფ. ვრემის მკვიდრია და, მაშასადამე, საეჭვოა, რომ მესხურ კოლოზე რაიმე წარმოდგენა ჰქონოდა. მაშ, რა საბუთი ვაქვს, სიტყვა მარტივად საერთო ქართულ ვაგებას ზურგი შევაქციოთ და მასი შინაარსი მესხური კილოს მიხედვით განვმარტოვო? ცხადია, არავითარი!

მაგრამ საეჭვო რომ აღარაფერი დარჩეს, განვიხილოთ სერაპიონის ლექსის სათაური აზრობრივადაც, ე. ი. ლექსის შინაარსთან მისა შესატყვისობის თვალსაზრისით.

არა გვეგონია სადავო იყოს, რომ ლექსის სათაური უნდა შეესაბამებოდეს მის შინაარსს. ხოლო რაზეა ლაპარაკი სერაპიონის ლექსში? იქ ლაპარაკია სამ პიროვნებაზე: რუსთველზე, მუხრანბატონზე და თვით სერაპიონზე, რომლებიც ბავშვობის ასაკიდან დიდი ხნის გათასულები არიან. მაშ, საიდან მოიყვანეს ავტორებმა ამ ლექსში ბავშვები? ვერ ვიტყვით. არბან ეს მათ საიდუმლოებას შეადგენს და, ერთი შეხედვით, ძალიან უცნაური ამბავიცაა, მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც, ჩვენი აზრით, ნაწილობრივ მიანიც, შეუქს ჰქვენს ავტორების ამ საყვირველ საქციელს.

საქმე ისაა, რომ ავტორები, როგორც ჩანს, იმყოფებოდნენ აკად. ნ. მარის იმ ყალბი თეორიის გავლენის ქვეშ, რომლის მიხედვით თითქოს არსებობდა რაღაც გიბრიდული ენა, სომხურისა და ქართულის ნარევი, რომელიც ნ. მარის სიტყვით, «назывался свано-мехским или со-мехским. И этот сон-мехский язык, действительно, предшествовал как живой язык образовавшемуся впоследствии наличному состоянию грузинского языка»<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ქართული ისტორიოგრაფია, I, 1968, გვ. 53-54.

ნ. მარის ეს ყოველად უსაფუძვლო თეორია თანამედროვე მეცნიერების მიერ საბარდოვანად უარყოფილია, მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგიერთი რუსთველოლოგი ჯერ კიდევ განთავისუფლებულა ნ. მარის ხელოვნურად შეთხზული სქემების გავლენისაგან და უთუოდ ამით აიხსნება ის უცნაური ფაქტი, რომ მესხური კილოს ადგილობრივი მნიშვნელობის, კუთხურ სიტყვას იხინი სალიტერატურო ქართულს წინაშე უპირატესობას ანიჭებენ. მაგრამ ავტორებს უნდა მოეხსენებოდეთ, რომ ნ. მარის ყალბი თეორიების ბატონობის დრო დიდა ხანია წაივდა და რომ დღეს ეს თეორიები დამძვლილი ანაქრონიზმია.

გადავიდეთ მეორე საკითხზე. როგორ უნდა ვავიგოთ სერაპიონის ლექსში ნახმარი გამოთქმა „რას მიწერჩი ბერი ბერსა“? მოხუცებუმა აქ ლაპარაკი, თუ ბერ-პონაზუნებზე?


ავტორები, რომლებიც დაუინებით ცდილობენ მოაშორონ რუსთველს ყველაფერი, რაც კი გვიჩვენებს, რომ ის სასულერო პირია, გვარწმუნებენ, თითქოს აქ ლაპარაკი იყოს მოხუცებზე და იგულისხმებოდეს შემდეგი აზრი: რუსთველი მიმართავს სერაპიონს, რას მიმწერჩი მოხუცებული მოხუცებულსო. მაგრამ რა ააბუთს ემყარება სადავო სიტყვების ასეთი ვაგება? ავტორების ერთადერთი „საბუთია“ როსტომიანის ქართული თარგმანის შემდეგი ადგილი:

ვით დააბრკოლებს, არ ვიცი, ჯამსა სამოცი წლის მეტი,

ჭიქა სამოცდათორმეტი გაქვს, გამართებს სამარის მეტი?!

ავტორების აზრით, აქ ნახსენები 72 ჭიქა ნიშნავს, რომ როსტომიანის მთარგმნელი სერაპიონი 72 წლის კაცი ყოფილია; ჩვენი აზრით კი, მოტანილი სტრიქონები შეიძლება კმაროდეს ამა თუ იმ ვარაუდის გამოსათქმველად, მაგრამ მათი საშუალებით რაიმეს დამტკიცება ყოველდ შეუძლებელია. მართლაც, საიდან ჩანს, რომ ეს ჭიქები მინიცდამიანც სერაპიონის ხნოვანებას აღნიშნავდეს? ეს მით უფრო საეჭვოა, როცა სერაპიონი ლაპარაკობს არა თავის თავზე (ჭიქები მექვსო), არამედ მეორე პირზე (გაქვსო). გარდა ამისა, პირველ სტრიქონში რომ სამოც წელზეა საუბარი? ეს „სამოცი წელი“ ვისლა შეეხება?

ავტორები ცდილობენ, ამ შემთხვევაშიც. სხვის ავტორიტეტს ამოეფარონ და აკად. კ. კეკელიძეზე მიგვითითებენ, მაგრამ, ჯერ ერთა, მათ მშვენიერად იციან, რომ აკად. კ. კეკელიძეს არ უცდია ზემოხსენებული ჭიქების საშუალებით რაიმე დემტკიცებია, მან მხოლოდ. სავარაუდო მოსაზრება გამოთქვა (თუ ეციერო შეგნებულადა მოცემულ, უნდა ვიფიქროთ, შრომის დასრულებისას ის 72 წლია.



კაცი იყო“); მეორეც, — ცნობილია, რომ კ. კეკელიძე უფრო იმ აზრისაგან იხრებოდა, რომ სადავო ტექსტში სიტყვა „ბერი“ შეიძლება ნიშნავდეს არა მოხუცს, არამედ ბერ-მონაზონს. რატომ დაუმალეს მკითხველს ეს საყურადღებო ფაქტი ავტორებმა? კ. კეკელიძე ხომ პირდაპირ ამბობს, „სიტყვა „ბერი“ აქ შეიძლება აღნიშნავდეს არა ასაკს, არამედ თანამდებობას — გრემის ხევის ბერობასო“? 1.

მაგრამ დავუშვათ, რომ სერაპიონი მართლაც მოხუცი იყო, მერე რანიარა შეიძლება ამ ფაქტიდან იმის დამტკიცება, რომ სადავო ტექსტში სიტყვა „ბერი“ მიანიცადამინც მოხუცს ნიშნავდეს? რატომაა სავალდებულო, რომ მოხუცმა სიტყვა „ბერი“ უთუოდ მოხუცის მნიშვნელობით იხმაროს? ან, რატომაა შეუძლებელი, რომ პოეტმა, თუნდაც ის მოხუცი იყოს, ბერ-მონაზვნებზე ილაპარაკოს? გარდა ამისა, ლექსში ხომ თუ ბერზეა საუბარი? კიდევაც რომ დავუშვათ, რომ სერაპიონი მოხუცი იყო და, მაშასადამე, უფლება ჰქონდა თავისთავისთვის „ბერი“ მოხუცის აზრით ეწოდებოდა. რა უფლება ჰქონდა მას რუსთველისთვის მოხუცი ეწოდებოდა; საიდან შეეძლო მას სკოლდნოდა, რუსთველი მოხუცი იყო, თუ ახალგაზრდა? მას შეეძლო სკოლდნოდა მხოლოდ ის, რასაც ხალხური სიტყვიერება ანუ ფოლკლორი გადმოგვცემს, ე. ი. რუსთველი რომ ბერად შედგა და, მაშასადამე, სასულიერო პირი იყო, მაგრამ რუსთველის ასაკზე მას, ცხადია, არაფრის თქმა არ შეეძლო, რადგან საამისოდ არავითარი მონაცემი არ გააჩნდა; თუ იმას იტყვიან, სერაპიონს თავისი საკუთარი ფანტაზიით შეეძლო რუსთველი მოხუცად წარმოედგინაო, ესეც უსაფუძვლო აზრი იქნება, რადგან როდის იყო, რომ პოეტი და პოეზია ღრმად მოხუცებულობის სიმბოლო იყო და არა სიკვამლია? ჩვენ უკვე აღარაფერს ვამბობთ იმ აშკარა დისონანსზე, რომელსაც ქმნის სიტყვა „ბერის“ მოხუცებულად გაგება ლექსის სათაურის იმგვარ განმარტებასთან, რომელსაც ავტორები გვთავაზობენ: სად ეს მოხუცები და სად ზაგუებენ?!

ერთი სიტყვით, რა მხრივაც არ უნდა მივუღებთ საკითხს, სულ ერთია, ავტორების არგუმენტაციის უსაფუძვლობა სასესებოთ აშკარაა.

გადავიდეთ მესამე საკითხზე.

როგორ ჰყავს სერაპიონს წარმოდგენილი რუსთველი: კარის პოეტად, თუ სასულიერო პირად და რუსთავის მღვდელმთავრად? ამ კითხვებზე ავტორები შემდგვ პასუხს იძლევიან:

„სერაპიონი“ დარწმუნებული ყოფილა, რომ რუსთველი ნამდვილად იყო თანამედროვე ჩვენთვის უცნობი პოეტი. იგი ასევე აღიარებდა რუსთველს: „ამიცი ვარ თვალ-წარბისა, ვისოფელი დაამშვენა“. შეუძლებელია, რომ სერაპიონს რუსთველი წარმოედგინა თავშეუკავებელ მიჯნურად და მთავარბეჭდვითადა. რუსთველი მას დასახული ჰყავს კარის პოეტად, რომელიც თავისი შრომისათვის გარკვეულ სასყიდელს, ჯილდოს გამოელოდა („აჟამცა ფასი არ მიბოძა, მან რუსთავი ამიშენა“) 2.

როგორც ვხედავთ, ავტორთა მსჯელობა აქაც მოკლებულია როგორც ლოგიკურ არგუმენტს, ისე ქეშმარიტების ყოველგვარ ნიშანწყალს. ჯერ ერთი, თვალწარბის ამიციობა, ანუ ტრფილი პოეტური გამოთქმა და სრულიად არა ნიშნავს „თავშეუკავებელ მიჯნურობას“, ანუ ხორციელ სიყვარულს; მეორე — თუ რუსთველი სერაპიონს მოხუცებულად ჰყავდა წარმოდგენილი (როგორც ავტორები ზემოთგვარწმუნებდნენ), როგორღა შეეძლო მას, რომ ეს მოხუცი რუსთველი, — თუნდაც კარის პოეტი, — თამარის „თავშეუკავებელ მიჯნურად“ წარმოედგინა? ავტორების მიხედვით გამოდის, რომ სასულიერო პირი, თუნდაც ახალგაზრდა, ვერავის გაუმეორებდა, საერო პირი კი, მოხუციც რომ იყოს, შეიძლება თვით თამარის თავშეუკავებელი მიჯნური გახდეს. ეს სადაური ლოგიკაა? მესამე, — როგორ შეიძლებოდა სერაპიონს ეფიქრა, რომ თამარ მეფეზე გაგუებებით შეყვარებულ პოეტი, ვინც უნდა ყოფილიყო იგი, თავისა-შრომისათვის, (ე. ი. ვეფხისტყაოსნის დაწერისთვის) სატრფოსაგან „გარკვეულ სასყიდელს, ჯილდოს გამოელოდა“? ეს აზრი ხომ ძირიანად ეწინააღმდეგება იმ ეპოქის რაინდულ ზნეჩვეულებებს? ჩვენი აზრით, არა თუ ნიჭიერ პოეტს სერაპიონს საბაშვილს, არამედ არც ერთ ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს არ შეეძლო წარმოედგინა ისეთი რუსთველი, რომელიც თამარს ხელში შეჰყურებს, იქნებ ჩემი შრომისთვის ფასი მიბოძოსო, და, ამკედროს, მოხუცებულობის მიუხედავად, იმავე, თამარის „თავშეუკავებელი მიჯნურია“: მეოთხე, — როგორ შეეძლო კარის პოეტს ეთქვა, „მის (ე. ი. თამარმა) რუსთავი ამიშენაო? ვინ მისცემდა კარის პოეტს რუსთავს? როდის იყო, რომ კარის პოეტები ქალაქებს ფლობდნენ? განა ცხადზე უცხადესი არაა, რომ ასე თქმა შეეძლო მარტო რუსთავის მღვდელმთავარს, რომელიც ამ ქალაქის უმა-

2 მათობი, № 9, გვ. 171-172.

1. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 283.

**პროკოფი რაბინაი**

ისამ ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე

დღესი ძალაუფლების მქონე პერსონა იყო და რომელსაც რუსთავეცა და მისი თემიც სამწყსოდ ჰქონდა მინდობილი?

სამწუხაროდ, ავტორები ყურადღებას არ აქცევენ არც ლექსის დედა-აზრს და არც იმ კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებს, რომლებშიც ამ ლექსის შინაარსი განსაზღვრავს; ისინი ცდილობენ, თავიანთი მსჯელობა და დასკვნები დააფუძნონ მარტოოდენ გარეგან, მოჩვენებით ნიშნებზე (როგორცაა, მაგალითად, საექვო ანალოგია 72 ჭიქისა) და ჰგონიან, რომ სერაპიონის ლექსის „წიგნიერი და ობიექტური“ ანალიზი მოგვეცეს, მაგრამ სინამდვილეში მათი ანალიზი შორსაა ობიექტურობისაგან.

სულ სხვა სურათი გვექნება, თუ იმ, უდავოდ სწორ აზრს დავეთანხმებით, რომ სერაპიონის ლექსში ლაპარაკია არა ბავშვებზე და მოხუცებზე, არამედ სასულიერო პირებზე, — ბერებზე, რომლებსაც, ვადატანითი აზრით, დიხხაც შეიძლება ეწოდოთ აგრეთვე მარტველები, ანუ ქრისტიანობისთვის წამებულნი. ასეთ შემთხვევაში ლექსიც და მისი სათაურიც, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, აზრიანი გამოვა და ისტორიულ ფაქტებთანაც ლექსის შინაარსი თანხმობაში იქნება. ამასთან დაკავშირებით ჩვენს ნარკვევში ნათქვამია:

„როგორც აკადემიკოსმა კ. კეკელიძემ გამოარკვია, სერაპიონის ლექსში მოხსენებული ბაგრატ მუხრანბატონი ბერად ყოფილა აღკვეცილი, ასევე ბერი ყოფილა სერაპიონის მამა საბა სოგრატიც და, რაც მთავარია,

თვით სერაპიონიც თანამდებობით ბერი, ან უფრო ზუსტად, — ხევის ბერი! ყოფილა, რაც სერაპიონის პირდაპირი განცხადებით ჩანს. ახლა ყოველივე ამას თუ დაუმიჯნავთ საღმრთო გადმოცემას, რომლის მიხედვით რუსთველაც ბერი, ე. ი. სასულიერო პირი იყო, ადვილად გავიგებთ, თუ რანაირ „ბერებზე“ ან „მარტველებზე“ ლაპარაკობს თავის ლექსში პოეტი სერაპიონ საბაშვილი“ („მნათობი“, №2, ვვ. 171).

როგორც ვხედავთ, აქ ჩამოთვლილი ფაქტები და მათზე დაყრდნობით გაკეთებული დასკვნა ამჟამადაც მთლიანად ძალაშია, მიუხედავად ავტორების გულმოდგინე ცდისა, როგორმე ეჭვის ქვეშ დაეყენებიათ ისინი.

1 ამ გამოთქმის გამო, როგორც უკვე ითქვა, ავტორები სრულიად უსაფუძვლოდ გვემეზებენ, თითქოს არ გვესმოდეს, რა განსხვავებაა ბერსა და ხევის ბერს შორის, მაგრამ ნუთუ გონების დიდი გამჭრიახობაა საჭირო იმის მისახვედრად, რომ ლექსში შეიძლება ხევის ბერიც, უბრალოდ ბერად მოვიხსენიოთ? აკად. კ. კეკელიძე, რომელსაც ამ საკითხის უცოდინარობას ვერაიან დასწამებს, მეცნიერულ გამოკვლევაშიც კი ხევის ბერს სერაპიონს, უბრალოდ, ბერის სახელით იხსენიებს („სერაპიონი ყოფილა ხელოვანი მხატვარი, ენატკბილი მეღვწესე, ხევის ბერი და გრემის თავი, ესე იგი, გრემის ხევის თავი ან ბერი, მეფეებთან გაზრდილი“. (ქართული ლიტ. ისტ., II, გვ. 280).

დასასრული იქნება



ბორის პასკერანიძე

## შერიღები ქართველ მემობრებს

მ. ნ. ჩიკოვანს

25. II. 47.

ძვირფასო მარია!

წახვედით და, თითქოს მიწამ პირი გიყოთ, აღარაფერს მატყობინებთ.

ალბათ არც თქვენ ხართ მოღბენილი და დროს ვერ პოულობთ. ამით თუ აიხსნება თქვენი დუმბილი.

მეგონა, ბესო I მომწერდა რამეს წიგნზე, მოსწონს თუ არა ჩემი წინასიტყვაობა. თქვენთან ნეიგაუზა იყო საგასტროლოდ. ვამბობდი, ჩამოვა და წვრილად მომიყვება თქვენს ამბავს-მეთქი. მაგრამ მხოლოდ რამდენიმე გულთბილი სტრიქონი ჩამომიტანა ნინოსაგან. რა თქმა უნდა, ისიც ჩემსავით აღტაცებულია გუღიაშვილებით და მათზე ბევრი რამ მიაგბო.

ცხადია, ყველამ დამივიწყეთ, და თუ გატყობინებთ აქაურ ამბავს, მხოლოდ იმისთვის, აქნებ ვინმე თქვენს ფანჯარასთან ამეღელჩამეღელი ან მეზობელი მაინც დაინტერესდეს ჩვენი ავ-კარგით.

უცელა ძლიერ გაგვახარა სიმონის დებუტატად არჩევამ. სულით და გულით გილოცავთ თქვენც და მასაც... ისევ დაეწერე რამდენიმე ლექსი. ერთი კარგია...

Стояла зима.

Дул ветер из степи,  
И холодно было младенцу в вертене  
На склоне холма.

Его согревало дыханье вола.

Домашние звери  
Стояли в пещере.  
Над яслями теплая дымка плыла.

Доху отряхнув от постельной трухи  
И зернышек проса,  
Смотрели с утеса  
Спросонья в полночную даль пастухи.

Вдали было поле в снегу и погост,  
Ограды, надгробья,  
Оглобли в сугробе  
И небо над кладбищем, полное звезд.

А рядом, неведомая перед тем,  
Застенчивей плоски  
В оконце сторожки,  
Мерцала звезда по пути в Вифлеем.

Она пламенела, как стог, в стороне  
От неба и бога,  
Как отблеск поджога,  
Как хутор в огне и пожар на гумне.

Она разгоралась мгновенной скирдой  
Соломы и сена  
Средь целой вселенной,  
Встревоженной этою новой звездой.  
Растущее зарево рдело над ней  
И значило что-то  
И три звездочета  
Спешили на зов небывалых огней,  
За ними везли на верблюдах дары,  
И ослики в сбруе, один малорослей  
Другого, шажками спустились с горы.

И странным виденьем грядущей поры  
вставало вдали все, пришедшее после.  
Все мысли веков, все мечты, все миры,  
Все будущее галерей и музеев,  
Все шалости фей, все дела чародеев,  
Все елки на свете, все сны детворы,  
Весь трепет затепленных свечек, все  
цепи,  
Все великолепье цветной мишуры...

Все злей и свирепей дул ветер из степи.

...Все яблоки, все золотые шары...  
Часть пруда скрывали верхушки ольхи,  
Но часть было видно отлично отсюда  
Сквозь гнезда грачей и деревьев верхи.

Как шли вдоль запруды ослы и  
верблюды,  
Могли хорошо разглядеть пастухи.

— Пойдемте со всеми, поклонимся  
чуду,—  
Сказали они, запахнув кожухи.

От шарканья по снегу сделалось жарко.  
По яркой поляне листами слюды  
Вели за хибарку босые следы.  
На эти следы, как на пламя огарка.  
Ворчали овчарки при свете звезды.

Морозная ночь походила на сказку.  
И кто-то с навьюженной снежной гряды  
Все время незримо входил в их ряды.  
Собаки брели, озираясь с опаской,  
И жались к подпаску, и ждали беды.

По той же дороге чрез эту же местность  
Шло несколько ангелов в гуще толпы.  
От глаз их утаивала бестелесность,  
Но шаг оставлял отпечаток стопы.

У камня толпилась орава народу,  
Светало. Означились кедров стволы.  
— А кто вы такие? — спросила Мария.  
— Мы племя пастушье и неба послы.  
Пришли вознести вам обоим хвалы.  
— Всем разом нельзя. Подождите  
у входа.

Средь серой, как пепел, предутренней  
мглы

Топтались погонщики и овцеводы,  
Ругались со всадниками пешеходы,  
У гыдолбленной водопойной колоды  
Ревели верблюды, лягались ослы.

Светало. Рассвет, как пылинки золы,  
Последние звезды смешал с небосводом.

И только волхвов из несметного сброда  
Впустила Мария в отверстие скалы.

Он спал, весь сияющий, в яслях из дуба,  
Как месяца луч в углубленьи дупла.  
Ему заменяли овчинную шубу  
Ослиные губы и ноздри вола.

Стояли в тени, словно в сумраке хлева,  
Шептались, едва подбирая слова.  
Вдруг кто-то в потемках немного налево  
От яслей рукой отодвинул волхва  
И тот оглянулся: с порога на деву  
Как гостя, смотрела звезда рождества.

თავად მაინც თუ მომწერთ, მაშინ სიმონი  
და ბესო გავიცხებთ დუმილისათვის. ბესოს უთხა-  
რით, გაიხსენოს წარსული, ახალგაზრდობა, რო-  
ცა წერა-კითხვა იცოდა. იქნებ „ზარია ვოსტო-  
კას“ შეახსენოთ, რომ ფული გამომიგზავნონ...

თქვენი ბ. ჰ.

ბ. ლ. ჟღენცხ

29. VIII. 47.

მკირფასო ბესო! ნინოს ბილეთი ვერ უშო-  
ვია და დღეს თბილისს ვერ წამოსულა. ძალი-  
ან მინდა, რომ ამ წერილმა მალე მოაღწიოს  
თქვენამდე. „მერანი“ თავიდანვე ლაღად, ხა-  
ტუნად გამომივიდა და გადაკეთებას არ ვი-  
სწრებდები. აი, რა შემოკთავებთ (გვგზავნით  
ნინო, ხელით), მომყავს ზებირად:

Лети, Мерани, конь мечты моей!  
Пусть каркает вдолгую ворон черный,  
Рвись без оглядки мысленно упрямой  
Без усталы вперед за грань дурной!

შემდეგ იგივე მეორდება სხვა სტროფებთანაც.  
გოცონით, თქვენი ბ. ჰ.

ბ. ჰ. ჰაბიძეს (1948 წლის პირველი ნახ.).

...დაზამთრდა, დაღო თოვლი და ღაწუო  
ქეიფები, დღეობები. ბოლო ხანს, ზინას დღე-  
ობიდან მოყოლებული, ყოველ დამე წვეულებე-  
ბში ვართ. აქ მხოლოდ ლივანოვია<sup>2</sup> ცოტად თუ  
ბევრად ჩემი ყაიდის ადამიანი. მართობის  
გრძნობა შემბაყრობს ხოლმე, ლამის არის ყმე-  
ლი მგეროთ ამ ნაძალადევი მხიარულების  
ეპას. ელექტრონით გაჩინარდნებული სუფრა  
თითქოს ხორცშესხმული ნაყოფიერებაა მიწისა,  
მისი სიღამაზე. თავადაც ასეთი სასურველი  
სტუმარი ხარ, ყველა ასე კარგად იცნობს ერთ-  
მანეთს! მაგრამ ამ საუცხოო ღვინისა და საქ-  
მელ-სასმელის გვერდით რა უბადრუენი არიან  
ფრთაშეკვეცილი, წარმოსახვის უნარდაკარგული  
თანამედროვე ადამიანები.

ასეთი რამ ძალზე ახლოს მიმაქვს ხოლმე  
გულთან. ისე ვიტანჯები, თითქოს რაღაც გარე-  
გან ძალას ნანატრი ჰაემანი ჩაეშალოს. რადგა-  
ნაც ჩემთვის მომავლის სიყვარული ქალის სიყ-  
ვარულივით აუცილებელი და სისხლბორცვეუ-  
ლია და უამისოდ ვერ გავძლებ...

ამას წინათ სტუმრები გვყავდა. მორბოვი<sup>3</sup>  
ლივანოვსა და ჩავინს<sup>4</sup> წაჩხებდა. ალბათ ისიც  
ეწყინა, ჩვენგან მოშორებით რომ დასვეს. მეო-  
რე დღეს მოსაბოღიშებლად მოვიდა. ამბობდა,  
ბავშვობისას რახმანიწოვს, ბელის, სეროვს და  
სხვებს ვიცნობდი, ძალზე თავმდაბალი ხალხი  
იყო. რას გენიოსობს ლივანოვი, როცა ამი-  
უფლება არა აქვსო. მე ვუთხარი, სწორედ ამი-  
ტომ მიყვარს ლივანოვი, კაცმა უნდა იგენიო-  
სოს, უამისოდ ყველაფერი მოსაბეზრებელია-  
მეთქი.

მკირფასო ნინო, რა მადლობელი ვარ, რომ  
წერილში ჩემი სახელი ტყუიანისა და ნიტას  
გვერდით ახსენეთ. ნდობას გავიმართლებთ, არ  
გიმტყუნებთ. ზოგი რამ, რასაც თქვენ წყურთ,  
შეიძლებოდა სიმონისა და გოცელასთვისაც მი-  
მეწერა. შეატყობინეთ ჩემი ამბავი, თუ აინტე-  
რესებთ. დამიკონცეთ ორივე, ცოლებიანად, რო-  
გორც ღვიძლი და-ძმანი...

თქვენი ბორია

კაცი ისე უნდა წერდეს, როგორც არავის უწე-  
რია, ახალი რაღაც უნდა აღმოაჩინო, ისეთი რამ  
უნდა გადაგხდეს, რაც არავის გადახდომია. ამი-  
სათვის დიანს ცხოვრება. სხვა ყველაფერი სი-  
სულელება.

**5. ა. ტანიძე****5. IV. 49.**

ძველთაძველი ჩემი გატაცება ხელოვნებაა (ან ის, რაც ხელოვნებად მეჩვენება). იგია ჩემი ბრძანებული და ისევე მტკიცედ, ისევე შეუფარველად განაგებს ჩემს ცხოვრებას, როგორც ოდესღაც რელიგიური რწმენა ეუფლებოდა ადამიანებს. ვზისა და მიზნის ეს სიხალდე არსებობას მიადილეებს. წინასწარ შესადა ვარ, ყველაფრისათვის ჩემს ბედსა და ზეცას მადლობა შეეწირო.

გოცნით, ძვირფასო ნინიკო. თქვენდამი უსაზღვრო მადლიერებას და ყველა თქვენიანი-სადმი კეთილ სურვილებს გულით ვატარებ. მარად თქვენი ერთგული და მოსიყვარული

ბ. ბ.

**6. ი. ჩიქოვანი****24. IV. 49.**

ძვირფასო სიმონ!

თქვენს ამბავს რატომ არ მატყობინებთ? როგორა ხართ? იუნუნისაგან წერილი მივიღე და ვუბახუბე. თქვენი მოკითხვა გადმომცა ნატალია გიორგის ასულმა.

თქვენი ღია ბარათის გამოგზავნას ვაპირებდი იმის თაობაზე, რომ „სოვ. პოსტის“ კრებულისთვის ლეონიძის თარგმანს ვეღარ ვასწრებ. კრებულში მხოლოდ ოთხი ავტორი იქნება: ბარათაშვილი, აკ. წერეთელი, ვაჟა ფშაველა და თქვენ. მაგრამ წერეთელიც ალბათ გოგლას ბედს გაიზიარებს, რადგან მისი მხოლოდ 2 ლექსი ვთარგმნე, თანაც ძალზე უხეიროდ. მაშინ დარჩები: ბარათაშვილი, ვაჟა და თქვენ. წიგნს „სამ ქართველ პოეტს“ ან „საქართველოს სამ პოეტს“ დავარქმევ.

ღია ბარათში მიწოდდა ამის მოწერა, მაგრამ წერილი გამიგრძელდა. ახლა ვერხოვსისა 7 და ახმატოვას ერთი საერთო ნაცნობი მელაპარაკე ტელეფონით. ვერხოვსკი აუტანელ პირობებში ცხოვრობს: ღიდი იმედი ჰქონდა საგურამოში მოხვედრისა, მაგრამ იქ თურმე რემონტი ყოფილა. ძალზე საყვარელი, გონიერი, კეთილშობილი კაცი, დიდი გაჭირვება აქვს გამოვლილი და, როგორც ბედუქუდმართ ადამიანს ემართება ხოლმე, — განზრახ არ ვამბობ, ხელოვარულს-მეტი — მის შემოქმედებას უფერულობისა და გაუბედობის კვალი ემჩნევა.

მე და თქვენ იმდენი რამ გვაქვს საერთო, რომ შეუძლებელია, ამ კაცს თქვენც ჩემსავეთ არ მოვუპოოთ. იუ ჯანმრთელობა ხელს გიწყობთ, გეთავა, მასაც და მის ცოლსაც გაუხეხრებთ სატურამოს საგზური მთელი ზაფხულით, ანდა ორი თვით მაინც. ვაკეთებთ როგორმე ეს საქმე, ან კავშირში სთხოვთ ჩემი ხათრით. მართლა, სულ დამავიწყდა, ეს ხომ ჩვენს ძვირფას ბესოს უნდა სთხოვოთ! სთხოვეთ, რომ ორმაგი საგზუ-

რი ვერხოვსკის დაუყოვნებლივ მოუხერხონ და ამბავი საჩქაროდ შეატყობინონ მის მამართ. მოსკოვი, დიდი საყარეტო შეს. სახლში, იური ნიკანდრის ძე ვერხოვსკის, გოცნით, დამიკოცნეთ მარკია. უთხარით, წერილი მომწეროს. გოგლას საქმეს მისი ლექსების ცალკე გამოცემისას გამოვასწორებ, ანდა როცა ჩემი თარგმანების კრებულს გამოცემ ტფილისში. ძალიან კარგი განწყობილებით სავსე ბუკარედები გამოგიგზავნა და ამ ზაფხულს ან შემოდგომაზე აუცილებლად ვთარგმნი.

ბ.

**6. ბ. შანიძე****31. XII. 49.**

ძვირფასო ნატალია გიორგის ასულო, რა ნიჭიერი ხართ! 8 რა იშვიათი თვისებებისა თქვენი ნიჭიერება, რა სპეტაკია, რა მოკრძალებული, თანაც რა შეუბოვარი! ნიჭიერ ხალხს მეტწილად რცხენია თანდაყოლილი სულიერი მემკვიდრეობისა და ამ გაუბედობას ზიანის გარდა მათთვის არაფერი მოაქვს. იშვიათია ნიჭიერი კაცი, ბოლომდე თავისი ბავშვობისა და მშობლიური კერის ერთგული რომ რჩებოდეს, და ეს ერთგულზედა თითქმის გამირობად შეიძლება ჩაითვალოს.

თქვენ მართალი ხართ, როცა მიაიკოვსკისა და შენგელაის 9 დახასიათებისას ცდილობთ, უპირფრო გულწრფელობა და ცრურწმენებისაგან პაბუტური გათავისუფლება მთელ თაობას მიაწეროთ. მართლაც იყო დრო, როცა ეს შეიძლება მოგაჩვენებოდა. რუსულ რევოლუციურ მემკვიდრეობასაც აქეთვენი მივეყვით: გაიხენეთ დოსტოევსკის უკიდურესობანი, ტოლსტოისეული გაუბრალოება. მაგრამ ამას სხვათა შორის გწერთ, სათქმელს ვადავუხევი.

თქვენ შესანიშნავად წერთ. აი, ასე უნდა წერდეს ნამდვილი მწერალი. თანაც ისე წერთ, რომ თხრობის სავანს არაფერს ვნებთ. გაწაფული კალამი, დახვეწილი ენა და სტილის გრძნობა ჩვეულებრივ გააშორებს ხოლმე სათქმელს და თვითმიზნად იქცევა. თქვენ კი ვერ დაუშორებთ ჩილებიხართ სტილისტიკას, რადგან გიხსნათ სათნოებამ და ამქვეყნად ხდითგან ცნობილმა სხვა სულიერმა ღირსებებმა, კაცთმოყვარეობამ და წარმატაცი წარსულისადაღი მადლიერების გრძნობამ, რაც ალბათ საფუძვლად უდევს გემოვნებას. ამას თან ერთვის იმაზე ზრუნვა, რომ ასევე ლამაზად და მგზნებარებით მოიხალთთ ვალი გარდასტულ დღეთა წინაშე. და, ამა, ნახეთ, რა მოგება გხვდათ წილად. სწორედ ეს არის ყოველი ნამდვილი ხელოვნების ერთადერთი ქემ-მარტი გამარჯვება!

მე სულ უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ ადა-

**ზორის პასტერნაკი****ფირლიანი ძარბიველი მემორიანი**

მიანებს შორის მთავარი განსხვავება ნიჭიერების სხვადასხვაობიდან მომდინარეობს. და როცა ვითხოვლობდი თქვენი წიგნის ზოგიერთ ფურცელს (ეს ეხება „მოთხრობას საკუთარ თავზე“ და „მოგზაურობას ევროპაში“) და ვტიროდი, მიუხედავად იმისა, თუ რას პყვებოდით, ცრემლს თქვენი სულიერი სიმაღლე მალერევენებდა.

თქვენ მშვენიერად გვიხატავთ მამას, ზაფხულის მთავარიან ღამეს კახეთში, მშობლიურ ქერას, შესანიშნავად წერით ბავშვობის პირველ შთაბეჭდილებებზე და „გაბრეკ კახურზე“. ისე სხორტად, მომენტებულად აღწერთ 14 წელს ბერკ-პლაზეზე მგზავრობისას ნანახ დიდმნიშვნელოვან და საბედისწერო ამბებს, რომ ცრემლი მომადინეთ. ნიჭი თავისთავად ლაქონიურობის წყაროა, რადგან ისევე ზუსტი და ცხადია, როგორც მამხილებელი საბუთი. მას თითქმის ხედავ, როგორც სულის ნაოჯს, ტანსაცმლის ნაოჯივით რომ გვეცმა თვალში. მე არ მყამს არაფერი, რაც უზომოდ დიდია, ან მრავალია. ქალი ადამიანს შობს და არა ციკლოს. გიგანტურია მხოლოდ არაორგანული სამყარო, არცოდნის კოსმოსური სივრცე, სიკვდილის სიცარიელე, სიმახინჯისა და შებილწვის ამაზრუნენი საწყისებია.

გულში ჩამწვდა აგრეთვე ის ადგილი, სადაც ერთი კალმის მოსმით აღწერთ გიმნაზიის დამთავრებას, პირველ ქორწინებას და პირველ ანგაჟამენტს. ყოველივე ეს ერთ ბუკარში ასე წარმტაცად იმიტომ მოთავსდა, რომ ოდესღაც თვით ცხოვრებამ დააახლოვა წარმტაცად, მჭიდროდ. და ეს კვლავ ცხოვრებისა და თხრობის ნიჭის აბსოლუტური შესატყვისობაა. კარგადა გაქვთ ნათქვამი, კადრების გასინჯვისას როგორ შეგაპყრობდათ ხოლმე სურვილი, ასულივით ეკრანზე და ხელახლა გეთამაშათ, შეგესწორებინათ. ძალიან კარგია შენველაიას დახასიათება. მშვენიერად აღწერთ ქალაქებს (ავტობიოგრაფიასა და მოგზაურობაში), ფლორენციას, ბერლინს. კომპოზიციის დიდებული გრძნობა გაქვთ (რა თქმა უნდა ბუნებრივი, სხვაგვარი არც არსებობს), თანამიმდევრული თხრობის ინსტიქტი. იცით, როდის რა თქვათ: მაგალითად, ძალიან კარგია, რომ ბავშვების ამბავი წინ უსწრებს თრუსოს ხეობის აღწერას. რა ბუნებრივად იშლება მკითხველის თვალწინ მთის რელიეფი.

კმარა. ვილოცავთ. და თუ მოკრძალება გამოიჩინეთ და არ თქვით, როგორ უყვარდით საკუთარ ბედს, მზეს, თავს რომ დავნათოდით, მიწას (მარტო ქართულ მიწას კი არა, დედამიწას, თელ სამყაროს). რომელიც გატარებდათ, ეს არც იყო საჭირო, მაყურებელი თვითონ ხვდება ამას, როცა გული აღტაცებით აღევსება.

მე თქვენი ისე მწამს, როცა ზოგიერთ ადგი-

ლი აღარ მალელებდა და თავს გულგრილობას ვამჩნევდი, ვფიქრობდი, ეს ჩემსკენაა მიმართული-მეთქი.

ჰო, თავის დროზე ვერ გავიგე და საკადროსად ვერ დავაფასე გვიანდელი მიაჯოგისი და ბევრი სხვა რამ. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ საკუთარ გარსში მოქცევამ თითქმის დამახავა, შინაგანად გამაღარიბა. ამას განსაკუთრებით ახლა ვგრძნობ (გულწრფელად ვამბობ. არც თავს ვიწონებ და არც სინანულს გამოვთქვამ), როცა მხოლოდ საკუთარი ნაკლოვანებებით ვცხოვრობ.

თქვენმა წიგნმა მაგრძნობინა, რა სულიერი ნათესაობა გეკავშირებს ერთმანეთთან. სალამსა და მადლობას გითვლით თქვენ, ბედნიერსა და გამარჯვებულს, უიღბლო და ბედუქუღმართი კაცი.

გულითადი სალამი კირა გიორგის ასულს. აკოციტე ზორის 10.

თქვენი ბ. პასტერნაკი

ჰო, გილოცავთ ახალ წელს დღეს სიყვარულით გაიხსენებთ, ფატმა 11 და ნინო უნდა გვესტუმრონ.

## ბ. ა. ტაბიძის

გ. IV. 50.

ბოლო ხანს ძალიან კარგად ვგრძნობ თავს, ვმუშაობ ბუნერს და ხალისიანად. სხვა ახალ არაფერია.

დიდ სიხარულს მანიჭებს სტასიკი 12, კარგ ნიჭს ამქლავებს. ჩვენ ერთნაირად გვესმის ხელოვნება, ერთნაირია ჩვენი დამოკიდებულების ფორმა ხელოვნების მიმართ. ალბათ ცხოვრების მიმართაც...

თქვენს ნიტას, გიგიკოს და ალექსი ნიკოლოზის ძემ 13 გადმოგცემთ ჩემს კეთილ სურვილებს ყველა რადიოტალაზე, გრძელზეც და მოკლეზეც, რაც კი ქვეყნად არსებობს.

გარკი 14 სასწაულებს პყვება თქვენს გიგიკოზე, მის მომხიბვლელობაზე, ღრმავაროვან სენტენციებზე და წუხს, რომ ნიტასთან სტუმრობისას აკად. წერეთლის 15 იქ ყოფნამ და მასთან საუბარმა ხელი შეუშალა ყური დავგლო პატარა ბრძენისათვის.

თქვენ ალბათ უკვე ნახეთ „ოგონიოკში“ ახმატოვას ლექსები, ან დაბეჭდვის ამბავს გაიგებდით. ამ ლექსებიდან ზოგი, თუ გახსოვთ, კარგა ხნის წინ გავჩვენეთ. ახმატოვას ისინი ახალი, ჩემთვის უცნობი, საუკეთესო ლექსები შეუქსია. მე, ისევე როგორც ყველას, დიდად მახარებს ეს ლიტერატურული სენსაციისა და ახმატოვას წარმატება. მხოლოდ ის მაწუხებს, რომ ახლა ყველას ჩემკენ აქვს თვალი მოპყრობილი და ამგვარ რალაცას ჩემგანაც მოელაინ.

მაგვარ რაც მან ახლა თქვა, მე ჟურ კიდევ ოცი წლის წინ ვთქვი 16, როცა ასეთი ხმები კან-



ტიკუნტად გაისმოდა. ამისთანა რამეს არ იმეორებენ რამდენჯერმე. ეს ან რაღაცას ნიშნავს, ან არაფერს ნიშნავს, და თუ არაფერს ნიშნავს, გამეორება საქმეს ვეღარ უშველის.

მე კმაყოფილი ვარ ჩემი ბედით, სულიერი მდგომარეობის სიცხადით, იმიტომ, რომ შემოძლია, პატიოსანი შრომით ვიცხოვრო. თავი განაწყენებულად და სათვალავში გამორჩენილად არასოდეს მივტყენია. თუ ვინმე ფიქრობს, რომ გარემო თვალს შეიძლება „წამებულად“ ვეჩვენო, ჯერ ერთი, სხვის ბოდვავზე და ქიბრებზე პასუხს არ ვაგებ, და მეორე: ვინც დაინტერესებულია, რომ არავის არაფერი მოეჩვენოს, შეუძლია გამოუშვას ჩემი შეფერხებული წიგნები, მე კი ესტრადაზე გამოვივას — და ეს „მოწამება“, ჩემთვის რომ არც არსებობს, თავისთავად გაქრება. „ეთერში“ კი იმის განცხადება, რომ მე წამებული არა ვარ, უკიდურეს იდიოტიზმად მიმაჩნია. ძალზე ამაყი ვარ, მაგრამ წერილმანი, შურიანი არაკაცი, ყმაწვილი კომოვიაციერი უნდა იყო, რომ უტრანალიტიკური რწმენა მქონდეს ამ „ეთერისა“. მჯეროდეს, თითქმის იგი მიცნობს და ზრუნავს ჩემზე. ის კი არა, ზოგჯერ იმის დაჯერებაც მიჭირს, რომ ჩემი ბედი ზინას და თქვენ გაინტერესებთ. ამას გარდა, როცა მოწამებაში ეკვმიტანილი განაცხადებს, რომ განცხრომით ცხოვრობს, ევეი შევპარებათ, ეს წამებით ათქმევინესო.

ყოველივე სისულელეა. რა კაცი უნდა იყო, ამ საქმეს რომ მისდიო.

ვტყობ, ადამიანის მთელი ძალ-ღონე თამამი, ნაყოფიერი მოქმედებისკენ უნდა იყოს მიმართული. სხვა ყველაფერს ცხოვრება მოაგვარებს. სადღაც არსებობის უმადლეს სფეროშია სიყვარული (არა მარტო ქალისა, არამედ სიყვარული სამშობლოსი, ანდა თანამედროვეებისა), შემოქმედება და სხვა. ეს ბედნიერება ან გაქვს მონიკებული, ან სულ არა გაქვს და მაშინ ყოველგვარი ზრუნვა, მონღომება ამოა, ყველაფერი ნაყალბევი იქნება. ყალბ წარმატებას ის მირჩენია, მარცხი განვიტყო. მპატივით ნინო, რომ ასეთ იაფფასიან სისულელეს გწერთ. მაგრამ მინდა, რომ დაგამშვიდოთ, თუ რაიმე ლიტერატურულმა ჰორმა შეგაშფოთათ.

გაკონით თქვენ ბ.

## ბ. ა. ტაბიძის

1. V. 50.

ნინო, შეიძლება მეგობრები ვიყოთ, გვიყვარდეს ერთმანეთი, და მაინც შევიზარჩუნოთ ფხიზელი გონება და სამართლიანი გული. არ ვიცო, ბედი ასე რად მანებიერებს. რა ღიდი წარმოდგენა აქვს ჩემზე! ახლახან გოეთეს ვებერთელა ერთტომეული გამოვიდა. წიგნის მეთაუდი ფაუსტის ჩემეული თარგმანის I ნაწილს უკავია. ვიცო, ეს არ არის ურიგო ნამუ-

შეგარი, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ასეთივეა სხვა მონაწილეთა თარგმანებიც. განა მათ ჩემოდენა სახელი აქვთ? ვფურცლავ ტომს და მალე იშვიათად მხვდება რაიმე უხეშო, ანაქრონიკული უსუსური სლავიანული. გულზე მომეშვა. მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, ვიპოვე ერთადერთი სუსტი ადგილი. მოვებენ მთარგმნელის გვარი. კეთილი, ახლა მართლაც რომ ბრწყინვალე ადგილს წავაწყდი. ნუთუ კოჩერტკოია! 17 აი, ყოჩაღ! არა, თურმე, ის სუსტი მთარგმნელი ყოფილა, წელან რომ გამახარა უხეირო სტრიქონით. მაინც რა ისტატები არიან, პირდაპირ საშველი აღარ არის! აი, თავის მოჭრაც ამას ჰქვია!..

თქვენი ბ.

## რ. ა. მიხაძის 18

18. XI. 50.

ქვირფასო რაისა კონსტანტინეს ასულ! ალბათ თარგმავ გასოვართო, ასე იწყებთ თქვენი ბარას: რა მოხიზბლავი კეკლუცობა!

მინდოდა, ზაფხულშივე გამომეგზავნა სანტერესო საპასუხო წერილი და გამეხარებინეთ. თვალწინ დამიდგა ის ღამე, როცა გრძნობათორეული ცრემლს ძლივს ვიკავებდი, მგონი ვტიროდი კედელზე; თქვენი ლომიერებით წაქეზებული გავკადნიერდი და თავს ნება მივეცი, რიგაინი ქეცევის ნორმები ოდნავ დამერღვია.

მაშინ ჯერ თქვენ ჩამოხვედით მანქანიდან პროსექტის დასაწყისში თუ მანამდე, და აქედან დიწყო ჩემი გამოთხოვება იმ საოცრებასა და ჭადროსნობასთან, რასაც ყოველ ჩამოსვლაზე ვხვდებოდი სპართელოში და რაც არ აიხსნება მხოლოდ სამხრეთით, მთებით, ქართული გულხალვათობით, ქალის სილამაზით, ხალხმრავალ, ხმაურიან ლხინში აღგზნებისაგან გამოწვეული ზეაწეული გრძნობებით; იგი უფრო იდუმალი და ყველა შემადგენელ ნაწილზე უფრო ღრმა რაღაცაა.

ასე გვადლევენს ბუნებაში თუ ადამიანთა სამყაროში არსებული მნიშვნელოვანი რაღაც, რისთვისაც სახელი ჯერ ვერ მოუნახავთ და რაც ჯერ კიდევ ელის განსაზღვრას. სწორედ ამ მოლოდინით გვადლევენს იგი, როგორც ჯერ ამოუხსნელი ამოცანა, ანდა სიგნალი, ჰაერში რომ ეღრმა და აღსრულებას მოელო.

მაგალითად, რუსეთში, გასული საუკუნის სიღრმიდან დარჩენილი ასეთი სიგნალი ადამიანთა მოღვაწეობის ისტორიაში იყო ლერმონტოვი. მის სსოვნას პუშკინთან შედარებით უკიდურესად ამძიმებდა და ბორკავდა მიუწვდომელი და მოუხელთებელი თავისებურებანი, რაც ასე უხვად აქვს მას, თითქმის ისევე, როგორც გაუ-

## ზორის პასტერნაკი

წირილევი ქართველ მიგობრებს

ნელხელ მწუხარებას, ან ველურ ბუნებას. და მხოლოდ საუკუნის ბოლოს ვლადიმერ სოლოვიოვის<sup>19</sup> ზოგიერთი აზრი, ზოგი რამ სიმბოლისტებისა და, რაც მთავარია, ვრთბელის შემოქმედება იყო პირველი ანარქული, პირველი გამოძახილი ლერმონტოვის ხმისა ნახევარსაუკუნოვან მანძილზე; ასე ძნელია ახვევ ლერმონტოვის განუყოფებელ ხმას, მის სიგნალს ბანალური სიტყვით გაპასუხება არ ეკადრება.

...გვეუბნებიან, ლერმონტოვი იყო დიდი რუსი პოეტი, დიდი პატრიოტი... ეს თითქმის იგივეა, რომ ვთქვათ, ლერმონტოვს ხელ-ფეხი ჰქონდაო.

გაგიკვირდებათ, ლერმონტოვი რა შუაშიაო, მართლაც ცოტა არ იყოს, გამოიყდა საუბრის ძაღი. მაგრამ მერე იმაზე უნდა მელაპარაკა, ჩემი უახლოესი ამხანაგების საუკეთესო ნაწერებში რომ აღმოვაჩინე და ასე შემაწუხა. მაგრამ სიტყვა გამიგრძელდა და აღარაფერს ვიტყვი. დაე, ზემოთ ნათქვამი უთავებლო ლაპარაკად წამეთვალოს. ორიოდ სიტყვას საკუთარ თავზე მოგწერ.

რად მიმასპინძლებით ასეთი თავზაიანი ფრანგებით, საქართველოში ახსოვნებით და უყვარხართ, თქვენს ახალ ნაწერებზე ბევრს ლაპარაკობენო და სხვა. ვერ ვიტყვი, ეს აშკარა ტყუილია-მეთქი, მაგრამ ალბათ დამეთანხმებით, სულ სხვაა, როცა ამგვარი სიტყვები მართლად რაღაცას ნიშნავს! მაშ რას გვარგია ლიტონი სიტყვა? ნუთუ ასე დავღარიბდით?

არა, ჩემი ძვირფასო, მე სამი-ოთხი კაციღა თუ მიცნობს და ორი-სამი წლის შემდეგ იმათაც აღარ ვეცნობები. ბუნებრივია ბევრსაც მიგავიწყდი. მაგრამ ეს კიდევ არაფერია. სულ უფრო ხშირად მესმის საყვედური ჩემიანებისაგან, უახლოესი ერთგული მეგობრებისაგან. ისინი ჩემს ახლანდელ ინტერესებში, სიმწრით მოპოვებულ უბრალოებაში დაძაბუნებას, ორდინალურობას ხედავენ. მეუბნებიან, საკუთარი თავი დაჰკარგეო. მაგრამ ამასაც არა უშავს. თუ ხაღმე ტანჯვა არსებობს, რატომ არ უნდა ვიტანჯოთ მეც და ჩემი ხელოვნებაც? იქნებ მართალნი არიან ჩემი მეგობრები, ანდა სულაც არ არიან მართალნი, ადამიანთა ტანჯვის პატივისცემისა და ამ ტანჯვის გასაზიარებლად მზადყოფნის გზაზე იქნებ მე მათ მხოლოდ ოდნავ გაუფასვარ?

არ იფიქროთ, რომ სულის საცხოვნებელი, სემინარიული საუბრით გიმასპინძლებით მაშინ, როცა ჩემგან სულ სხვა რაღაცას მოელოთ. მე ხელოვნის უმადლეს არტისტულობაზე გლაპარაკობ, ურომლისოდ ხელოვნება არარად იქცევა და აღარც საკიროა. ურომლისოდაც ნაწარმოებს მხოლოდ გარეგნულად აქვს ნიჭიერების ელფერი, შინაგანად კი იმ იდეას ემყარება, კაცობრიობა ჯერ კიდევ ველურობდა

გამოსვლისას რომ იცნობდა. მაგრამ ეძიარს იხვევ რაღაც აბლა-უბლად მოგვეყვი.

ერთი რამ მინდა გთხოვოთ, თქვენა მიწვევა. კარგა ხანია, ნინო ალექსანდრეს ასტორისა ვის წერილის მიწერას ვაპირებ. სულ სხვა რაღაც მაქვს სათქმელი, მან ეს იცის, მაგრამ შესაფერი სიტყვები ვერ მომწინახავს, და ამიტომ აღარაფერს ვწერ.

გაუზიარეთ, გეთაყვა, ნაწილი ამ ფილოსოფიისა, თქვენ რომ თავს დაეატებეთ. გადაეცით, რომ ჯანმრთელად ვარ და ისე ვცხოვრობ, რთვორც მსურს. ამით თავს ბედნიერად ვგრძნობ და მზად ვარ, სიკვდილიც არად ჩივაგდო.

გახსოვთ, საგურამოში ოჯახი რომ გამახსენდა, ხმა ამიჯანგალდა და ველარაფერი ვთქვი. ახლაც ამასვე მოგახსენებთ. ზინა ჩემი არსებობის განუყოფელი ნაწილია. ეს იგივეა, რომ დავუღივარ, თვალნი მიხვლია. ამას გარდა ქვეყნად ყველაზე მეტად ნინო ალექსანდრეს ასული მიყვარს. შეგიძლიათ, ეს არ უთხრათ, შეგიძლიათ დაუთმლოთ. ხელზე გკოცნით.

ოქტენი ბ. პასტერნაკი

## ბ. ა. ტაბიძის

5. XII. 50.

ძვირფასო ნინო!

ალბათ მიიღეთ ჩემი ნაჩქარევად დაწერილი, არაფრისმთქმელი წერილი. პასუხის მიწერას ნუ იჩქარებთ. ასე ათ დეკემბერს, ე. ი. ერთი კვირის შემდეგ, მინდა ცოტაოდენი ფუნჯი გამოვიგზავნოთ, რომ შობა-ახალწლისათვის ხელმოკლედ არ იყოთ. პოდა, პასუხიც დღესასწაულზე შემოწერეთ.

თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ ალბათ უფრო კარგად და სწრაფად ვიმუშავებდი, ფაუსტის ამ საშინელ მეორე ნაწილს რომ არ ვთარგმნიდე.

შედის კმაყოფილი ასე არასოდეს ვყოფილვარ და არ მინდა, რამე შეიცვალოს. ბოლო ხანს ბევრი რამ ძალზე უმნიშვნელოდ მეჩვენება.

ჩემს ცხოვრებას ვისიმე სულგრძელობა შეეცვლიდა, თუ მოისურვებდა. ოღონდ ეს სულგრძელობა ისეთი ფართო უნდა ყოფილიყო, რომ მარტო ჩემს ცხოვრებაზე არ გავრცელებულიყო. თუმცა ეს იმ უტნობი, დიდსულოვანი არსების საქმეა და მე ისევ ისე უნდა ვიყო ჩემთვის, როგორც ვარ. ეს უცვლელობა ბედნიერებას მანიჭებს.

გკოცნით.


ოქტენი ბ.

## ბ. ა. ტაბიძის

23. II. 51.

ძვირფასო ნინო!

ერთ კვირაზე მეტია, მეკობრე პასტერნაკები თქვენს ხორაგულს უსირცხვილოდ ანადგურებ



ბენ. ტბილელუს მიეციენენ და ჩანთქეს. შექამეს ვაშლი, გამოცალეს ღვინო, შთავონებით ბეთპოვენს რომ უტოლდება, ახლა კი საკუთარი სამზარეთლოს ყოველგვარ უნიჭო ნაწარმს თქვენს სასწაულომომედ, ყველაფრის გარდამქმნელ ბროწუელის წვენს ასხურებენ.

მაგრამ ყველაფრის დაგვირგვინება, რა თქმა უნდა, იყო ის ყმაწვილი, ვინც ეს ძღვენი მოგვიტანა — ქაბუჯი გ. ლ. ასათიანი 20. რა მომხიბლავი ყმაწვილი! მანინვე გავიფიქრე, რა გახალისებულნი, თანაც რა შებოჭილნი უნდა იყვნენ ასათიანი და თინა კალისტრატეს ასული, ასეთი ვეჩის შემყურენი. რალაც მაგონებს ჩემს ურთიერთობას სტასიკთან. ოჯახის წევრი თითქოს სახლის ჩარჩოებში ვერ თავსდება, თითქოს ვიღაც მარადეამს სტუმრად არის და ამ ზეიმს ბოლო არ უჩანს.

მიხარია, რომ თქვენი ამბავი შევიტყვე და წერილიც მივიღე, რადგან შეშფოთებული ვიყავი. ამას წინათ მსახიობ გიაციენტოვასთან ერთად მესიზმრეთ (წინა დღით ტელეფონით ველაპარაკე). ვითომ ორივენი დებუტატებად აერჩიეთ და მთხოვნელებს იღებდით. ნინო, ყველაზე თქვენი პორტრეტები ეკიდა...

დღე არ გავიღის, როგორცდაც ახლებურად რომ არ დავრწმუნდე, როგორ მოვიგე, ბედი მოჩვენებითი წარმატებით რომ არ მანებებდეს, თითქოს მკაცრად მექცეოდა. ყოველთვის ნაყოფიერი ცხოვრება მქონდა, უშრომობდი. წინ მივიწვედი, ვხეწავდი ჩემს ხელობას. იმის ფიქრი კი არ მაწუხებდა. როგორ მეტარებინა ვაფაგლახით ნაშოვნი სახელი. ამისათვის მადლობას ვწირავ ზეცას.

... ერთ წვიმიან საღამოს ახმატოვას საიდანაც მივაკილებდი, ხელგაყრილი მიმყავდა. სპასიუხე 21 ვუყუებოდი რალადა. სახურავებიდან წყალი გეასხამდა. ერთ ადგილას, სადაც შხაბი ძალზე ძლიერია იყო და სერიოჟასაც ძალზე გულუხვად ეაქმებდი, ა. ა.-ს ხელი მაგრად მივიკარ მეკრღზე და ისე გამოვიყვანე ჩანჩქერიდან. მითხრა: „ო, მაგრამ მე ხომ სერიოჟა სპასი არა ვარო!“ საუცხოო რამ იყო!

თქვენი ბორისი

**გ. ნ. ლეონიძის 15. IV. 51.**

ჩემო ძვირფასო და დიდო მეგობარო გიორგი ნიკოლოზის ძე, გმადლობთ, გმადლობთ, გმადლობთ! ო, რამდენი რამ მინდა გითხრათ! მაგრამ სჯობია, არაფერი ვთქვა! თვით ეს სურვილი მხოლოდ სიტყვების უთავებოლო კორიანტელს გამოიწვევს, რადგან მინდა, უთქმელი არაფერი დამჩნეს.

ეს ხომ ძალზე ბუნებრივია. აბა, რა ჩამოვიდა ზინა და დაუსრულებლად მყვება ათას

რამეს. კვლავ თვალწინ დამიდგა განუყოფელი თბილისური ზღაპარი და ჩემს გულს განმუხტავდა. ბათა უნაპირო ზღვა დაეფულა. და, გაგიზიაროთ ეს გრძნობები თქვენ, ამ ზღვის ხმას, მის მძლავრ ხმაურს, შემოქმედებით გამოხატულებას.

მაგრამ ეს ხომ ყველასთვის ნამშობო თეთრი მოზერის ზღაპარი იქნებოდა. ხელახლა უნდა დამეწერა „ტალღები“, ან ის ლექსი მხატვარზე, თქვენ რომ გეხებათ 22, მერე 1933 წლის ზამთარში მან ჩამოსვლაც უნდა გამეხსენებინა.

ო, რა ბუნებრივი, რა კანონზომიერი იყო ყოველივე! ჩამოვედი და პირველსავე საღამოს ალტაცების ფალა პირთამდე აღმევსო. და მერე ვინ იყო უკანასკნელი წვეთი! ნერვიული სამხრეთული გარეგნობის არჩვეულებრივი ხალხით დასახლებულ ევროპულად ნაგებ ქალაქში დამით თოვლის (პირველი თოვლის! 23) ხმირ ფანტელთა ფონზე უცნობმა სილუეტმა გათელვა და ყველაფერი უკიდურესად დაიძაბა, ალტაცებისაგან ღონე წამერთვა! მეორე დღეს უცებ მივხედი, ვინც იყო 24. ამ გამაფრთხილებელი ძალის შემაყვებელი და ყოველგვარი შეხსენების მსგავსად ოდნავ ტრაგიკული მოძრაობა თქვენგან, თქვენი სახლიდან იწყებოდა!

ო, ლეონიძე, ლეონიძე, რა დიდი ამბავია ყოველივე, რა სერიოზული და მშვენიერი!

ზინა აღფრთოვანებულია თქვენი ლამაზი შვილიშვილით. როგორ მაწუხებს საწყალი თინას 25 ავადმყოფობა (თუმცა ნინოს აქ ვილაციისთვის მოუწერია, ცოტა უკეთ არისო). ეფემია ალექსანდრეს ასული ისევე საავადმყოფოშია? სულით და გულით ვუსურვებ ორივეს, შინ სულ მალე დაბრუნებულაყვნენ.

გვყენიათ, საახალწლო დებეშაზე რომ არ გაპასუხეთ. რა თქმა უნდა, უსინდისობაა, არც სხვებისთვის მიმილოცავს, მაგრამ თქვენთვის უთუოდ უნდა მომელოცა. ახალი წლის შეხვედრაზე და ერთი თვის შემდეგ ჩემი დაბადების დღის აღნიშვნაზე უარი რომ ვთქვი, მწუხარებისა და ცხოვრებაზე გულის აყრის ბრალი არ არის. თავადაც არ ვიცი, ეს რას მივაწერო და ვერც ავიხსნით, ალბათ ხასიათში ბევრი რამ მაქვს ქალური, პასიური. რა თქმა უნდა! შრომისმოყვარეობა და სიბეჯითე არ მაკლია, მაგრამ ვერაფრის წამოწყებას ვერ ვახერხებ, არ მიყვარს „ნაბიჯის გადადგმა“. მთელი არსებით რამდენჯერ მივდამოვიკარ ცხოვრებას, სერიოზულ სამუშაოს. ახლა ისღა დამჩნენია, ამგვარადვე, ოღონდ დიდი მასშტაბით, სიკვდილს მივინებდე. ჰოდა, ყოველივე დასრულდება. არავინ უწყის, კიდეც მიწერია თუ არა

**ბორის პასტერნაკი  
წირილავი ძარბიველ მეგობრებას**

რამიე, ვიდრე გამოგეთხოვებოდეთ. მაგრამ ესეც რა კარგია, რა დიდებული გოცინით. ხელზე გოცინი ეფეშა ალექსანდრეს ასულს. პო, მართლა! გმადლობთ, საარაკო სასმელის მთელი აუზი რომ გამომიგზავნეთ!

თქვენი ბ.

**მ. ი. ღაბაძის შანშაიზმი 15. IV. 51.**

ძვირფასო მარიამ იოსების ასული და ალექსანდრე ილიას ძე!

ყველაზე დიდი პატივი, რაც თბილისმა ზინას და ბავშვებს დასდო, იყო თქვენი მიწვევა და თქვენთან ყოფნა, ყვავილები, გაიცლება და თქვენი საჩუქრები. უღრმეს მადლობას გიძღვნი თქვენი ყველაფრისათვის! სტასიკი თვითონ, საკუთარი ძალით მოიგვეღვეს გზას თქვენი გულმხარისაგან და მიხარია, რომ იგი იმავე გზას ადგას, რომელ გზაზედაც ოდესღაც მეც გადავდგი ორიოდ ნაბიჯი, მიხარია, რომ მან იხილა სამყარო, სამუდამოდ რომ მომავლდოდა, და იგივე განიცადა, რაც მე განვიცადა.

ზინა და ლიონია<sup>28</sup> როგორღა გეწვევენ? შანშაიზმი, მე ყოველთვის მეშინოდა თქვენი. სიყვარულს, პატივისცემას, ყველაფერს, რასაც თქვენ მიმართ განვიცდიდი, ყოველთვის სძლედა მოკრძალება, რასაც თქვენი ჭბუტუტო, ნათელი თვალების გამოხედვა იწვევს.

ეს გამოხედვა ბერძენების ზოგიერთი ღვთაების თვალებს მაგონებს. იმ ღმერთებსაც თვალები სახის ნაკეთებთან და მთელ ფორმასთან შედარებით უფრო ჭბუტუტო აქვთ, რადგანაც სწორედ ამ თვალებში ვლინდება მათი უკვდავება.

ასეთი მზერა გაქვთ თქვენც. მახსოვს, რაც არ უნდა მომხდარიყო, რაც არ უნდა გველაპარაკა: მე, სხვებს, თავად თქვენც, თქვენი ნათელი (ცისფერი თუ რუხი) თვალების მზერა ყოველთვის განელტვოდა იმას, რაც ირგვლივ ხდებოდა, განდგომილი და საოცრად ჭბუტუტო, მუდამ თავის განსაკუთრებულ აზრს გამოხატავდა. ეს მზერა იყო თქვენი საბოლოო, იდუმალი, შემწყნარებელი, ღიწვი, უთქმელი სიტყვა. პოდა, მოკრძალებას მინერგავდა.

უზომოდ მოხიბლული ვარ, მ. ი. და თქვენ ისე ალერსიანად მოპყვეხიხართ ზინას. არ ვიცი, როგორ მოვიქცე, როგორ გამოვხატო ჩემი სიხარული, რითი დაგამტკიცოთ ჩემი ერთგულება.

ზინა მრავალ რამეს მიყვება თქვენს შესახებ. დიდხანს, დიდხანს იყავით ისეთი ჯანმრთელი და ბედნიერი, როგორც ახლა ხართ.

ესურებოდა ბედნიერებას ყველა თქვენიანს

თქვენი ბ. პასტერნაკი

**5. ბ. ტაბიძის**

15. IV. 51.

ძვირფასო ნინო! ჯერ კიდევ უწყვეტად ვაზიარებ ჩემს ბამდე ხელახლა განვიცადე ყველაფერი, რაც გორც მაშინ, ბარათშვილის დღეებში. ვახი დებეშა რომ მივიღე — „გმოვედით ოთხშაბათს 28-ში და ა. შ.“, გული შემეკვამა, თითქოს იმათ ადვილას მე ვიყავი. ვიგრძენი, როგორ დაიძრა მატარებელი და როგორ გაცურდა შორს, უკან, დიდებული ქალაქი, ზღაბრული ადამიანები და თითქმის სიზმარში ნახული, ექვსდღიანი ფერია. ნინო, ჩემო უძვირფასესო მეგობარო, ჩემო სიხარულო, მე ყოველ წუთს მზადა ვარ ყველაფრისათვის. აი, მოვეკვები და და ჩემი ცხოვრება, ღვთის მადლით ასე ბედნიერი, ერთი აზრით განმსჭვალული წიგნით დარჩება. რა იყო ჩემს ცხოვრებაში უმთავრესი, ძირითადი? მაშინვეს ღვაწლი, მუსიკისა და ა. ნ. სკრიბინის სიყვარული, ორიოდ ახალი ნოტა ჩემს შემოქმედებაში, რუსული დამე სოფლად, რევოლუცია, საქართველო.


უზომოდ გამახარა იმ ამბავმა, რომ ზინასთვის, პირდაპირი, უაფექტაციო ქალისათვის ასე ახლობელი შეიქმნით თქვენ და ყოველგვ თქვენული. თქვენზე, ნიტაზე, გვიკოზე და ალექსი ნიკოლოზის ძეზე ისე ლაპარაკობს, როგორც უახლოეს ნათესავებზე, როგორც სტასიკზე და ლიონიაზე...

პირდაპირ გაოგნებული ვარ, რა დიდებულად ხელგაშლილად დახვედრია ზინას გიორგი ნიკოლოზის ძე, ან როგორი საღამო შემომითხრო და რა საჩუქარი გამოატანა (მთელი კასრი საარაკო ღვინო). უფრო მეტად ამაღლევა მარიამ ალექსანდრეს ასულისა და ალექსანდრე ილიას ძე შანშაიზმი გულთბილობამ და გულისხმიერებამ. ყოველთვის უდიდეს მოკრძალებას ვგრძობდი ამ დამიანების მიმართ და სწორედ ამიტომ ვერ დავუახლოვდი. და უცებ ასე ალერსიანად დაუხვედნენ ზინას, ლიონიას და გალიას 27 (სტასიკზე არაფერს ვამბობ, მან ყველაფერი თვითონ დაიმსახურა), ლხინი გაუმართეს, ყვავილები მიართვეს, გამოაცილეს! მადლობას ვუთვლი მათ, მადლობას ვითვლით თქვენ, ყველას, ყველას!

ვერც გიორგი ნიკოლოზის ძისათვის მიწერილ ბარათში და ვერც ა. ი. შანშაიზმიდან ვაგზავნილ რამდენიმე სტრიქონში ვერ შეეძლო გამომეხატა ის გრძნობები, ზინას მოწყობა რომ აღმოძრა. ვუსმენდი ზინას და ფიქრით იქ ვიყავი, სადაც ეს ამბები ხდებოდა. ღვინისაგან გონებაშინისილული წამოვდექი შანშაიზმილების სუფრიდან და საღამოს ბინდშეპარულ ქუჩებს ვოგლისაგან სხვებთან ერთად მეც ვაუყუცი.

ბევრი რამ მინდა ვუთხრა ორივეს და თუ ეს სტრიქონები არაფრის მქმნელია, ნუ წააკითხებთ, ზემოთადაც გადაეცეთ მოკითხვა თქვენი სიტყვებით.

ამას წინათ ჩვენთან სტუმრად იყვნენ: ნატა-



ლია გიორგის ასული, ახმატოვა, ლივანოვები, ფატმა ანტონის ასული, ჩიქოვანი, ჩაგინები და სხვ. მე ეს საღამო, ყველაფერი, რაც მაშინ მოხდა (ელექტრონი ჩაქრა და სანთლები ავანთეთ) ჩვენგან შორს მყოფ ლეონიძეს მივუძღვევ. ნატალია გიორგის ასული უამბობს. გკოცნით მრავალს.

თქვენი ბ...

**ბ. ნ. ლეონიძეს**

9. VI. 52.

ძვირფასო გიორგი ნიკოლოზის ძე!

გულენე დავითის ასულმა 28 ეს ბუკარედი<sup>29</sup> რომ გადმომაკა, ვუთხარი, ახლა მხოლოდ იმ ნენებიდან ვთარგმნი, რაც ვიცო, თანაც, ფაუსტზე მუშაობის გარდა, პროზაც უნდა ვუწერო-მეთქი. მომეწონა ბუკარედის ზოგიერთი ადგილი, წარსულისა და აწმყოს ერთმანეთში გადახლართვა, ბარათაშვილის სიკვდილისა და მისი ამითეოზის შერწყმა. შიგხვდი, რომ ვერც ერთი მთარგმნელი, მათ შორის მეც, ბუკარედის მიხედვით ვერ გამოიცინობდა, რომელი სტრიქონები იყო ბარათაშვილისა და რომელი თქვენი. თუნდა აღვნიშნათ, ვერანაირი თარგმანი ვერ შეძლებდა შეექმნა მათ შორის ისეთი დისტანცია, რომ რუს მკითხველს ერთმანეთისგან გაერჩია და მიმხვდარიყო, რა რისი გამოძახილია და რა რას ერწყმის. ამიტომ ბუკარედის ვართიმვა ახრადაც არ გამივლია.

მაგრამ ერთ დღეს ეფემია ალექსანდრეს ასულმა დაგვირეკა. მშვიდად, ბედს შეგუებული აღმაინის ხმით, თანაც ხუმრობით გველაპარაკებოდა თავის გასაჭირზე, ექიმებზე, ავადმყოფობაზე. ამ ამბავმა ჩემზეც და ზინიამ<sup>30</sup> [ნიკოლოზის ასულზეც] ისე იმოქმედა, თითქოს მისი გასაჭირი ჩვენი გასაჭირი იყო. მაშინვე ბუკარედი გამახსენდა, მის ახლობელ საქმედ მივიჩნიე და მედიუმისებური მორჩილებით შეეუღლევი გალექსვას. როცა ე[ფემია] ალექსანდრეს ასული გვესტუმრა, ვუთხარი, ასე მგონია, თითქოს თქვენ თარგმნიდეთ და მე კი თქვენი ნამუშევრით უქმყოფილო ვიყო-მეთქი.

წინასწარ ვგრძნობდი, რომ საქმეს თავს ვერ მოვაბამდი. მართლაც, როგორც ხედავთ, რაღაც უაზრობა გამოვიდა, მარტო იმიტოე კი არა, რომ ცუდად ვთარგმნე, არამედ იმიტომაც, რომ ამ ამოცანის დაძლევა შეუძლებელია. მხოლოდ ორიგინალით, მხოლოდ ქართულ ენაზე იცნობს ქართველის სმენა ლექსში ჩართულ ბარათაშვილის ნაცნობ, ვაზებზედებულ სტრიქონებს და შეიგრძნობს ამ მონაცვლეობას. ვერც ერთ ენაზე ვერც ერთი თარგმანი ვერ შეძლებს ამის გადმოცემას.

მარტინსაივის განწირული ცდა ბოლომდე მაინც მივიყვანე და საჩუქრად გიგზავნით ამ ფურცლებს, როგორც კურობს, ყოველგვარი მოვალეობისა და შედეგების გარეშე. აქედან

არც ფულს მოველი და არც პატივმოყვარეობის დაქმყოფილებას. ეს თარგმანი არასრულმხსნა და თუ გგონიათ, რომ თქვენი დეკლარაციები შეიძლება (ბუკარედი არასრულად, სუსტად გადმოსცემს ორიგინალს), მაშინ სხვა ვინმეს დაავალეთ. ჩემს თარგმანს ნუ დაბეჭდავთ, თორემ უხეირო თარგმანს მყისვე ჩხრეკას დაუწყებს ვინმე კაცუნა, ბუზს აქლემად რომ მოგაჩვენებს და ამითი ხარობს.

მოსკოვში რომ ჩამოხვალთ, გვეწვიეთ ეფემია ალექსანდრეს ასულთან ერთად და თან ფატმა ანტონის ასულიც მოიყვანეთ.

გკოცნით.

თქვენი ბ. ნ.

იქნებ თარგმანის შემციობება, განახევრება სჯობდეს? იქნებ ამოგველო ყველა უფერული სტროფი, რამდენჯერმე რომ მეორდებო? ბოლოს თითქოს არა უშავს, ჩანადიქრი ცოცხლებდა.

**ბ. ნ. და ე. ა. ლეონიძეებს**

( . . . )

ჩემო ძვირფასო ლეონიძეებო!

როგორ მიხარია, რომ ჯერ არ წასულხართ და შეიძლება ყველანი ერთხელ კიდევ ვნახოთ. თქვენი სტუმრობიდან ერთი თუ ორი დღის შემდეგ მოვიწყინე. ზინა მეუბნება, ასე როგორ გარდაიქმენ, მოჯადოვებულნი ხომ არა ხართ. ჯერ კიდევ გასულ კვირას ძალ-ღონე მოპარბებულნი, ხალისიანად ვმუშაობდი, ახლა კი საოცრად შევიცალე. უქმყოფილო ვარ დროებით, უქმყოფილო ვარ საკუთარი თავით... თვით ჩემოც და ლეე ტოლსტოიკი ელარ მომწონს. მაგრამ ამაზე უფრო დაწვრილებით გელაპარაკებით, როცა ერთმანეთს შეხვებდებით. ამ შეხვებრაზე ზინას შეუთანხმდით (სხვათა შორის ზინა მანქანის თაობაზე სასარგებლო რჩევას მოგცემთ). როგორ მწყინს, ოთხშაბათს პოლიკლინიკაში ერთმანეთს რომ ასცდენიხართ.

რა უცნაური ხალხი ხართ ეფემია ალექსანდრეს ასული, რამდენჯერ შემოვათავაზეთ, პეტროვთან 30 მივიყვანთ-მეთქი. მაშინ ქალაქში გიყავი, პეტროვიც ნამდვილად აქ იყო. ახლა კი გქვი მეპარება ვაი თუ, შევებულემაში გავიდა ზინა ხვალ დილიდანვე ტელეფონით დაუწყებს ძენასა და როგორმე კვალს მიავგნოს. მარია ელუარდის ასული კვირას აპირებდა ავარაჟზე ჩამოსვლას, მაგრამ წვიმას მოერიდა და ვერ ჩამოვიდა. ამიტომ მხოლოდ ამ საღამოს, ორშაბათს, შევიტყე, რომ თქვენ პეტროვისთვის გინდოდათ მივიმართათ.

ერთი რამ კი მწამს, — პეტროვიც ამას გეტყვით და პოლიკლინიკაშიც ამას გეტყვიან: ჩვენი (განსაკუთრებით კი ჩემი) მოაოჯანმრთე-

**ზორის პასტერნაკი**

წირილანი ძარითმელ მიზობრებს

ლებისათვის აუცილებელია, რომ ერთმანეთს ხშირად შეხვდეთ. სწორედ ამით უნდა დავიწყოთ მკურნალობა.

ჩვენ ისეთ საინტერესო დროში ვცხოვრობთ, შეუძლებელია თავად ვიყოთ ოდნავ მაინც საინტერესონი. ეს ჩვენი საერთო უბედურებაა. ამ მხრივ მე ვარ ყველაზე უბედური. შემობრავდეთ.

კვლას გიძღვნიტ გულითად სალამს.

თქვენი ბ. პასტერნაკი

ჩვენ გვყავს ერთი საერთო, შესანიშნავი ნაცნობი, რომელიც ხელს ასე აწერს: ფ. ტ.<sup>31</sup> ასე აწერდა ხელს ტიუტჩევი თავის პირველ ლექსებს. მომიკითხეთ ტიუტჩევა.

**ბ. ი. ლა ბ. ნ. ჩიქოვანებს**

**14. VI. 52.**

ჩემო ძვირფასო სიმონ და მარია! რა არის თქვენგან ახალ, როგორც ცხოვრობთ? როდის აპირებთ მოსკოვს ჩამოსვლას, როდის განახლებთ ხელიდან აგარაკზე გადავდივართ და თუ განზრახვა არ შეგიცვლიათ (გაზაფხულზე ჩამოსვლის შესახებ) პერედელკინოში მოგვლით.

თქვენი წასვლის შემდეგ თავს კარგად ვგრძნობდი, განსაკუთრებით ბოლო თვეში, რადგან პრზა ცოტათი წინ წააწეე (ახლა ნაწილი წააწეა წრე). ათიღვე დღის წინ მეგობრების ვიწრო წრეს წავეუბნე. ამ წრეს თქვენც ეკუთვნით და იცნობთ კიდევ იმათ, ვინც ჩემთან იყვნენ — ჟურავლიოვს, ახმატოვას, სკრიბინას<sup>32</sup> და სხვებს.

ამ ვაცხარებული მუშაობის დამს (მე მუშაობა მხოლოდ გამალებით, გაბმით შემიძლია, ნამდვილ ნეტარებას მხოლოდ მაშინ ვგრძნობ). ეფემია ალექსანდრეს ასული ჩამოვიდა. არაადამიანური კითხვის პერიოდი რომ დავასრულე და კვლავ კაცად ვიქცეო, ერთმანეთს ტელეფონით დავუკავშირდით. ეფემია ალექსანდრეს ასული ისე დალაგებულად და მშვიდად მელაპარაკა თავის ავადმყოფობაზე და გასაჭირზე, თვალწინ ისე ცხადად დამიღვა დიდი ოჯახის დედა, დიდი და რთული ცხოვრების მეთაური, რომ მომესურვა, რაიმე სამსახური გამეწვია იმ სამყაროსათვის, იმ სახლისათვის, რომელსაც იგი განაგებს. ავიღე ლეონიძის ერთი ლექსი ბართოლომეოს სიკვდილზე და გარითმვა დავიწყვეს ლექსი ავტორის სტრიქონებისა და ბართოლომეოს სტრიქონების მონაცვლეობას ემყარება. კონტრასტები ალბათ მხოლოდ ქართულად აღიქმება, ბწყარედში კი იკარგება და თარგმანა შეუძლებელია.

ეს ბწყარედში ელინე დავითის ასულმა ზამთარში მომიტანა. მაშინ თარგმანაზე უარი ვთქვი, თუმცა ძალიან მომეწონა რამდენიმე ადგილი, სადაც გადმოცემულია უკიდურესი სიმწარე ბართოლომეოს ბედისა, მისი სიკვდილი,

კიდევ რამდენიმე სტროფი, სადაც ნათქვამია, თუ როგორ შეიცვალა ყველაფერი. მაგრამ ამ გულწრფელი სტრიქონების განხილვაზე უნდა იმდენი ბუნდოვანი ადგილია, რამაც უნდა გვარტყოს, რომ ბევრი რამის გაგება შეუძლებელია. ჩემი მხრიდან ულოგიკობა და ალბათ უსინდისობაც იყო, რომ ამ ბწყარედს ხელი მაინც მოვკიდე. ისეთი უაზრობა გამომივიდა, თვით კეთილი და ტაქტიური გიორგი ნიკოლოზის მეტეკი უარს იტყვის.

„დათვისა და განდევლის“ არაკი განმეორდა. ამ არაკის აზრი ის არის, რომ პატივისცემული ბრიყვი მტერზე უარსისა. ამჟამად ასეთი ბრიყვის ადგილას მე აღმოვჩნდი. მართლაც ამ საქმიანობას ჩემთვის, ზინასთვის, ეფემია ალექსანდრეს ასულსა და ლეონიძისთვის იმაზე მეტი არაფერი შეუძენია, რასაც შეგძენდა ის, რომ ორი დღე-ღამე კედლისათვის თავი მეხეთქებინა. ალბათ ბწყარედებით თარგმანაზე ხელი უნდა ავიღო და მხოლოდ იმ ენებიდან ვთარგმნო, რომლებიც ვიცი.

ო, ნეტა შემძლოს, სიმშვიდე და ცხოვრებით კმაყოფილება გაგინაწილოთ. თუმცა რა საჭიროა? ეს გრძნობები ალბათ არც თქვენ გავლით და მზად ხართ, მეგობრებსაც უწილადოთ. მაგრამ ჩემისთანა სქელკანიან მარტორქას ალბათ ვერსად შეხვდებით. ჩემზე არაფერი მოქმედებს.

რომანი ვისაც წავაკითხე, უმეტესობას არ მოეწონა. მარცხად მითვლიან, მეუბნებიან, შენგან მეტს მოველოდით, უფერულია, შენი საკადრისი არ არისო. მე კი ვისმენ ამ ლანძღვა-გაკიცხვას და ვიღიებ, თითქოს ქება-დიდებათ მაპოვებდნენ.

ორივეს გკოცნათ.

თქვენი ბ. პ.

ყური მივდეთ, ჩიქოვანო-მადამ და ჩიქოვანო-მესიე: აქ, ჩრდილოეთში, ყველას მოგვენატრეთ. ჩამოღით პერედელკინოში სააგარაკოდ! ჩემიანები მოკითხვას გითვლიან თქვენ და თქვენიანებს.

თქვენი ბ. პ.

ორივენი უზომოდ მიყვარხართ. ნუ მოგვერიდებით.

**ბ. ი. ლა ბ. ნ. ჩიქოვანებს**

**2. VII. 52.**

ძვირფასო სიმონ და მარია! სამშაბათს ქალაქში წასვლას ვაპირებ და რატომღაც იმედი მაქვს, რომ შინ თქვენი წერილი დამხვდება. თუნდა არ დამხვდეს, მაინც მინდა, რომ გამოგესაუბროთ.

გაზაფხულზე წერილი რომ გამოგავგზავნეთ, მას შემდეგ ფაქტმა ანტონის ასულისგან შევიტყვე, ზოგიერთ უსიამოვნებას სერიოზულად შეუწუხებიხართ. ერთი თვის შემდეგ ნინო ჩა-

მოვიდა და მახარა, რომ თქვენნი საქმეები კვლავ მოწესრიგდა.

ძალიან მიხარია. თუმცა ვგრძნობ, რომ განსაკუთრებული ბედის მხატვარი ხართ, განსაკუთრებული მიზნები გაქვთ დსახული და განსაკუთრებული ღვაწლიც მიგიძღვით. ამის გამო ისე მნიშვნელოვანად აღარ მეჩვენება თქვენი ყოველდღიური წვრილმანი უსიამოვნებანი. თქვენნი იხი თავისთავადი ნიჭით დაჯილდოებულ, მარად მაძიებელ შემოქმედს, ვინც ამდენ რამეს მიაკვლია და ამდენი რამ განახორციელა, განსაცდელი ვერაფერს დააკლებს, პირიქით, ყოველგვარი ცვალებადობა ძალს შემატებს და სულიერად გაამდიდრებს. როცა ვნახავთ, მაშინ უფრო მეტს გესაუბრებით ამ თემაზე.

ნინოს შინ გამგზავრების დღე ახლოვდება და ახლაც, როგორც ყოველ ზაფხულს, სევდას მგერის მოახლოვებულ განშორებაზე ფიქრი. ნინოს ჩვენ ჯანმრთელნი დავხვდით, ლიონია კი — გაზრდილი. ვაიცი ახლად მოვლენილი არსება — სტასიკისა და გალინას ქალიშვილი მარინა. ამ ზაფხულს მზიანი დღეება და მე დიდიდან საღამომდე ბაღში ვსაქმიანობ, მეტს არაფერს ვაკეთებ.

ზაფხულის დამდგეს, როგორც უკვე გწერდით, ეფემია ალექსანდრეს ასული გვეწვია, მერე გიორგი ნიკოლოზის ძეც ჩამოვიდა ქალიშვილებიანად. ლეონიძემ ერთხელ გინახულა, თუმცა კარგა ხანს დარჩა. ეფემია ალექსანდრეს ასულს და ნესტანს 33 კი ხშირად ვხვდებოდით. ორივე ოჯახმა ურთიერთისადმი გულითადი სიყვარულის აქამდე უქმად ჩამარხული მთელი მადანი აღმოაჩინა და ახლა გადაწყვიტეს გრძნობა საქმედ ექციათ: ეფემია ალექსანდრეს ასულმა, ნესტანმა, ზინამ და ლიონიამ ლენინგრადს მიაშურეს, რომ ქალაქისა და მისი შემოგარენის დოთვალიერებით, დროსტარება-ხეტილით მოეოხებინათ გული.

მეც მინდოდა, ჩემს გულში დავანებული გრძნობები სუფრასთან საუბარში გამეზიარებინა ყოველი მათგანისათვის, მაგრამ ისე უხეიროდ ვლაპარაკობდი, ყურს არავინ მიგდებდა.

როგორც გწერდით, ვერც ლეონიძის პოემა ბარათაშვილზე ვთარგმნე ხეირიანად და ვერც წერტილის სამი ლექსი. ჰოდა, ძალიან მრტყვენიდა, როცა ამ უბადრუკ ნაშუაფერებს მიქებდნენ...

გკაცნით ორივეს. გულითადი სალამი ჩვენს საერთო მეგობრებსა და ნაცნობებს.

თქვენი ბ. ჰ.

ნ. ა. ტაბიძის

6. IX. 52, შაბათი

ძვირფასო ნინო!

მოსკოვს დაბრუნებულმა სტასიკმა მითხრა, რომ მილოჩკასთან ერთად თქვენსა ყოფილა.

ნიტას მოუტყლოლობა არად ჩაუგდია და ორნი თუ ხუთი დღე მათთვის მოუდნომებია. ბარათაშვილი ნიტას! მე ასეთ მსხვერპლს (თქვენსავე დროს) ვერაფერს გულისთვის ვერ ვაძლავდი, ვწერილით თქვენთვის და მისთვის მადლობა უნდა შემომეფთვალა, მაგრამ უცებ საყვირაოდ (დღეს შაბათია) ქალაქიდან ზინა და ლიონია ჩამოვიდნენ და მითხრეს, რომ ნიტა მოსკოვს ჩამოსულა და გამოძახებული მანქანის მოსვლამდე ათი წუთით ადრე მათთან შეუღლია. ზინა და ლიონია თურმე ბევრს ეხვეწნენ, პერედელკინოში გამოგვეყვია, მაგრამ ნიტას საქმეები მოუმიზუნებია და არ წამოსულა, მაგრამ შემპირებია, ხვალ, კვირა აღდეს, ავარაკზე გესტუმრებითო. ახლა წერილის წერას შევწყვეტ და მერე განვავრძობ, როცა ნიტას ენახავ.

3 სექტემბერი, ორშაბათი

საოცარია, შაბათ დამეს თვალი ერთი წუთითაც არ მომიხუტავს. გათენებამდე ლოგინში მოუსვენრად ვტრიალებდი, ვერა და ვერ დავიძინე. მერე ცოტა წამთვიმდი, მაგრამ ფანჯარასთან მიშა აყუფდა და იბილი საბოლოოდ გამიფრთხო. ძალზე შეეწუხდი, რადგან კვირას სტუმრებს ველოდით და მინდოდა, კარგ გუნებაზე დაეხვედროდი, მთვლემარე აჩრდილს არ დავმგვერძობდი. ამას გარდა, მაინცა და მაინც არ მჭეროდა, რომ ნიტა დაპირებას შეასრულებდა და გვესტუმრებოდა. შაბათ საღამოს ვფიქრობდი, დილას ფატმა ანტონოვნას დაურეკავ და მოუძებნიებ. თუ ვერ იპოვნა, თავად ჩავალ მოსკოვში და სადილად პერედელკინოში ჩამოვიყვან-მეთქი. მაგრამ უძალიანად ისე მომადუნა, აღარაფერის თავი აღარ მქონდა. თუმცა ჩვეულებისამებრ დილას ბაღში მაინც წავიმუშავე.

ყველაზე ადრე ნიტა მოვიდა და თან მეგობარი მოიყვანა. ზინას და ლიონიას ჩამოტანილი ფოტოსურათები მის სილამაზეს ვერ გადმოსცემს. მშვენიერების შუქი მაშინ ეფინება, როცა ლაპარაკისას სახე ეცვლება, როცა რაიმე უკირს, ან იციენის, ანდა რაღაცით უზომოდ აღტაცებულია. შევეცქეროდი და ეტკებოდი იმ ცეცხლით, მას რომ აღაფხვნიებდა. ეტკებოდი მისი მახვილგონიერებით და კეთილშობილებით, დამოუკიდებელი აზროვნებუა და შერატანების უნარიით. უძილობისგან მოთენითილმა, მთელი დღე ბაღში გავატარე. ცხელოდა, დრო ნელა გადიოდა. ვაშლებს მიწა შემოვფუტარე და ნაყენი შემოვუყარე. თან ვმუშაობდი და თან ნიტას უესმინდი, თვალს წამით არ ვაკიცილებდი. ეაშლებს უხალისოდ ვუბარავდი ძირებს, ნიტას კი თვალცრემლიანი შევცქეროდი, მხოლოდ მაშინ კი არა, როცა რაღაცას ვიხსენებდით და

ზორის პასხრნაკი  
წერილები ძარბთველ მეგობრებს

ხმა ამითრთოდებოდა, ლაპარაკი მიძინდებოდა, არამედ მაშინაც, როცა ნიტა ცხოვრების საუცხოო ცოდნას ამკვლევებდა და გამჭვირებით მახარებდა.

ძალზე ვწუხვარ, რომ ნიტამ სუფრასთან ასეთი უფერული, ასეთი მოთენილი და უხალისო მიხილა. რამდენიმე დღის წინ. ზინას აქ არყოფნისას, როცა სახლი ჩემს ანაბარას დარჩა და ყოველგვარი მარაგიც გამოშლია, ლევანოვებმა მესტუმრნენ და დამე ჩემთან გაათეს. ფედინიც ღამის სამ საათამდე ჩვენთან იჯდა (დუქანი დაკეტილი იყო და ღვინო მეზობლებში ჩამოვითხოვე). მაგრამ რაოდენი ისიყვარული და აზრი მოიტანეს სტუმრებმა. საუბარში გავერთეთ და მთელი საღამო ძალზე სინტერესოდ გავატარეთ. მათი სახით თითქოს საკუთარი ცხოვრება მესტუმრა და მრავალი სასიხარულო, აუცილებელი რაღაც მიხსრა! როგორ ვწუხვარ, რომ ნიტამ ისინი, ან იმათგვარი სხვა ვინმე არ ნახა. ახლა კი ისიც გადაგვაფიქვდა, რომ ჰაერზე ვისხედით. ანა ნიკანდრის ასულმა შემოგვიარა და მხოლოდ იმას გაახსენდა, რომ ქვემოთ ნაყოფით დახუნძლული ვაშლები იდგა, ჩავიდა და დაკრიფა. ჩვერ კი სუფრას ვუსხედით, ვსვამდით და ირგვლვე ვერაფერს ვამჩნევდით, თითქოს სარდაფში ვყოფილიყავით. ისე სუსტად ვგრძნობდი თავს. ვერაგის გავახსენე, ბაღში ვართ-მეთქი. ენაობ, რომ ნიტამ ადამიანების მიმართ ასეთი გულგრილი მინახა და შესაძლებელია მცდარად დაასკენას, თითქოს განმარტოებული ვყო. ეს ასე არ არის.

დასასრულს მინდა გითხრათ: მრავალმა რამემ, თვით ნიტამ, მისმა მსგავსებამ მამასთან, წარსულის გახსენებამ, კვლავ მაგრძნობინა, რომ უტოციანოდ ჩემი ცხოვრება მიზანდაკარგულია. კიდევ ერთი რამ უნდა მოგწეროთ: მზირად მიფიქრია, თქვენ და ნიტას იქნებ ასე ახლობლებად, ჩემს თანასწორებად არ გიგულებდით, ცხოვრება რომ გავიოლებოდათ, მანქანა გქონოდათ, განებივრებულნი ყოფილიყავით და ხასიათი გაგფუჭებოდათ ლაყობით, მასხრობით და უსაქმრობით. მე მახარებს ის ამბავი, რომ თქვენ შრომით ირჩენთ თავს, რადგან თავდაც მთელ დღეს თავაულებლად ვშრომობ, ისე როგორც მზე მთელ დღეს დაუღალავად ანათებს, მიზანდასახული კაცი ვარ, მთლიან მიზანს ვემსახურები და არა მიზნის რაღაც პომეოპათიურ ნაწილს. მაგრამ, კმარა!

ლორნიძეებს გადავციტ, რომ მათი თავი გულმაიფიყობამ, გულმაიფიყობის ორმა შემთხვევამ გავგახსენა. ზინას დაავიწყდა, თქვენთვის გაეტანებინა პეტერგოფში გადაღებული სურათები (ფოტოგრაფმა ლიონია და ზინა შეალამაზა, ეფემია ალექსანდრეს ასული და ფისო კი უფოქსოდ გადაიღო და დააუშნოვა. ეს სურათები არ მიყვარს). მეორე შემთხვევა: ეფე-

მია ალექსანდრეს ასულსა და ფისოს ლორნიკრადის სასტუმროში პატარა სარკე დარჩენილი და ლიონიას ამხანავს პეტრედელსინოში გამოატანეს. ფანტასტიკური ამბავია! თუ ნიტას მომძემსვნი, ყველას ტკბილად ვაკვიცხ: ზინა, თქვენ არაჩვეულებრივი ქალშვილი ყავთ. გქონით.

თქვენი ზ.

ნ. ა. ტაბიძის

17. 1. 53.

ნინიო! სიკვდილს გადაეურჩი და ახლა შინა ვარ. ო, რამდენი რამ მაქვს თქვენთან სათქმელი!

თქვენგან რამდენიმე განსაცდელზელი, გულში ჩამწვდომი წერილი მივიღეთ, მაგრამ ვერცერთზე ვერ გიპასუხეთ. შემოდგომაზე გამოგზავნილ პირველ წერილში ნიტას ამბავს მატყობინებდით, თანაც მწერდით, სულ თქვენს წიგნებს ვკითხულობო. მეგრე ზინას სთავაზობდით, მასკოვში ჩამოვალ და დაგვხმარებდით. ბოლო წერილში ზინას ღვიძლ დას უწოდებდით... არ ვიცი, როგორ გადაგიხდით მადლობა.

ა. რა მინდა იცოდეთ თქვენ, სიმონმა და მარიკამ, გიორგი ნიკოლოზის ძემ და ეფემია ალექსანდრეს ასულმა, ამას ეუბნობენ ყველა ახლობელს.


ზოგი ამბობს: ეს მაღალფარდოვანი სიტყვები, იდეალიზმი, შემოქმედება, სადღეგრძელოები კარგია მეგობრულ სუფრასთან, განსაზღვრულ დრომდე, პირველ უბედურებამდე, პირველ სერიოზულ განსაცდელამდე. ვნახოთ ერთი, გარდუვალობასთან პირველი შეჯახების შემდეგ რა შემოგრჩებათ...

ეს ამბავი რომ შემეშოხვა და წამიყვანეს, ხუთი საათი მისაღებაში გამატარებინა, შემდეგ კი დამე გავათიე ხალხით გაქვილილ, ეგებბარეთელა საავადმყოფოს მერეფონში. გრძობის გყარავდათ და გულაც ავრთავთ. მაგრამ გონს რომ მოვდიოდი, საოცარ სიმშვიდეს და ნეტარებას ვგრძნობდი.

გვიჭრობდი, ჩემი სიკვდილით მოულოდნელი უბედურება თავს არავის დაატყდებამეთქი. ზინოჩკას და ლიონიას ფული რამდენიმე თვეს ეყოფოდათ. მეგობრები ჰყავთ, არავინ აწყენინებდა. სიკვდილი მოულოდნელად არ წამომდგომია თავს, მოსათავებელი არაფერი მრჩებოდა. ჟამთა სვლამ ბევრი სიმწარე მიამეზა: მაგრამ მცირედი რაღაცის გაყვება მინც შევქელი (ეთარგმნე უექსპირი, ფაუსტა, ბარათაშვილი).

ირველვე კი ყოველივე ნაცნობი იყო, ნათლად ვხედავდი საგნებს, სივრცეს მკვეთრად ეფენებოდა ჩრდილები. მიძინარე ხალხით სავსე გრძელი, ჩაბნელებული დერეფნის ბოლოს ფანჯარა მიჩანდა, ფანჯრის იქით კი — მღვრიე მელნისფერი ღაფი. ზეთა კებწეროების მიღმა





ასიკით ელავდა ქალაქის შუქი. და ეს ღერე-  
ფანი, მორიგე ექთანის მაგიდაზე აბაჟურის  
მწვენი შუქი, მდუმარება, მომვლელი ქალების  
ჩრდილები, ფანჯრის იქით და ჩემს ზურგს უკან  
ჩასაღრებელი სიკვდილი — ყოველივე თითქმის  
ერთი ლექსი იყო, საოცრად ღრმა, ზედაშია-  
ნური...

მეჩვენებოდა, თითქოს სიცოცხლის უკანასკ-  
ნელი წამი დამიდგა და ახლა უფრო ძლიერ,  
ჟიღრე ოდესმე, მინდოდა ღმერთთან მელაპა-  
რაკა, ქება შემესხა ყველაფრისათვის, რასაც  
ვხედავდი, სულში შთამებეჭდა. „უფალო, —  
ეზურჩულვდი, — გმადლობ, რომ ასე უხვად  
იმეტებ ფერებს, სიცოცხლესაც და სიკვდილ-  
საც ასეთი სიდიადე რომ მიანიჭე, გმადლობ  
იმისათვის, რომ მხატვრად შემქმენ, იმისათვის,  
რომ შემოქმედებაა შენი სკოლა და მთელი  
ცხოვრება ამ ღამისათვის მამზადებდი“. და მე  
ვენეტარებდი და ეტეროდი ბედნიერებისაკენ.

ახლა უთუოდ მკითხავთ, სადა ვარ და როგორა  
ვგროვებ თავს. გული კიდევ მიხვლეთეს:  
როცა ვმობრბობ, ან ვლაპარაკობ, ახლაც, რო-  
ცა ამ სიტყვებს გწერთ. მეუბნებიან, თანდათა-  
ნობით გაგივლისო.

ყველაზე მეტად კისრის მალეზე მარცხების  
დაგროვება (სპონდილოზი) მაწუხებს. გასულ  
ზაფხულს ბევრს ვმობრბობდი და ცოტა გამი-  
არა. ახლა კი, ორი თვე ლოგინში წოლის შემ-  
დეგ, ტკივლები ვანიბახლდა და საშინლად  
მტანჯავს. ფეხზე რომ წამომაყენეს, მხოლოდ  
მამინე მივხვდი, რაც დამმართნოდა და გამოჯან-  
მრთელებისაგან მონიჭებული სისხარული ჩამი-  
მწარდა.

ჩიჭოვანმა და ლეონიძემ დეებშით მოიკით-  
ხეს ჩემი ჯანმრთელობის ამბავი, ახალი წელიც  
მომილოცეს. ეფემია ალექსანდრეს ასულმა და  
ფისომ 33 ლიონიას დაბადების დღე მოულოცეს.  
ყველას უზომო მადლობას ეუთვლი გულთბი-  
ლი მოკითხვისათვის.

ახლა ძალიან გამიჭირდება მათთვის ცალ-  
ცალკე წერილების მიწერა: წერისას ან ლა-  
პარაკისას ტკივილი ყელში გამუდმებით მაწვე-  
ბა (ეს მგონი სტენოკარდიის ნიშანია).

უამბეთ, რას განვიცდიდი საავადმყოფოში.  
მით ეს უნდა იცოდნენ, არა მარტო როგორც  
უახლოესმა მეგობრებმა, უსაყვარლესმა ად-  
მიანებმა, არამედ როგორც იმ საოცარი სამყა-  
როს ინიკიამა წარმომადგენლებმა, სიკვდილის  
პირას მისულს თვალწინ მთელი სიგრძე-სიგა-  
ნით რომ გადამეშალა და კვლავინდებურად  
დაეუფლა ჩემს გულსა და გონებას.

ზინა თავს უკეთ გრძნობს. ბევრი იბრუნა  
ჩემზე და კიდევ გადაამარჩინა. ღვიძლი აქვს გა-  
დიდებული და გამიზღვებული. სანატორიუმში  
ვაპირებთ წასვლას ერთი თვით, ოღონდ ჯერ  
არ ვიცით სად და როდის წავალთ.

გკოცნი ნიტას, გვიციოს და ალექსი ნიკოლო-

ზის ძეს. ჩემს წერილს მკაცრად ნუ განსჯით,  
ჯერ კიდევ მიჭირს წერა და

საქართველოს  
მწერთა კავშირი

**5. ა. ტაბიძეს**

7. VII. 58.

ძვირფასო ნინო!  
რატომ არ ჩამოღიხართ? მე ახლაც შეუწყნა-  
რებელ საქციელს ჩავდივარ. საჩქარო საქმეს  
თავი მივანებე და წერილს გწერთ. ინფარქტის  
შემდეგ ბევრს ვმუშაობ, მინდა, ყველაფრის  
გაკეთება მოვასწრო.

ჩემო უსაყვარლესო მეგობარო! იცით რა, მე  
**დიდი ხანია აღარ მჯერა, რომ ტ. შეიძლება ცო-  
ცხალი იყოს.** ის ისეთი დიდბუნებოვანი, საო-  
ცარი, ირგვლივ სხვთაგანმჭვრეველი კაცი იყო,  
სადაც არ უნდა გადაეკარგათ, ვერავითარი  
ზღუდე მისი არსებობის ნიშნს ვერ წაშლიდა.  
აქამდე მის ამბავს უთუოდ შევიტყობდით.  
თქვენი განახლებული იმედი, იქნებ ოდესმე ვი-  
ხილოთო, წამით მეც გადმომედო.

თუ ცოცხალია, აუცილებლად დაგვიბრუნდ-  
ბა. ეს წარმოუდგენელი ბედნიერება იქნებო-  
და. ეს, სწორედ ეს, და არა სხვა რამ, მთლად  
შეცვლიდა ჩემს ცხოვრებას. ეს იქნებოდა ბე-  
დის წყალობა, რაც ყოველთვის მაკლდა. ამინა-  
ზლაურდებოდა ყოველივე. სულის უზარმაზარი  
ნაწილისა და ნერვების ვანადგურების შემდეგ...  
უესაზღვროდ მწადია რალც ტოლფასოვანი და  
ვერავეითარი ფული, ვერავითარი სიამოვნება,  
ვერც სახელის მოხვეჭა, ამქვეყნად ვერაფერი  
ვერ ამინაზლაურებს დახარჯულ ძალას.

ჩამოდი, რა ხანია, მოგვლით. იმდენი საქმე  
მაქვს, წერილი კი არა, დეებშიც ვერ გამო-  
მიგზავნია ადამიანურად. ალბათ ველარ მცნობთ,  
ისე ცივად, დაბნულად გწერთ. იმისთვის მა-  
ინც ჩამოდი, რომ ნახოთ, როგორ შევიცვალე.  
განზრახ არაფერს გწერთ ჩემზე და ჩვენთანებ-  
ზე. ჩამოხვალთ და ყველაფერს საკუთარი თვა-  
ლით ნახავთ. აკოცეთ ნიტას და ა. ნ-ს. გვიციოს  
სოფელში გაუგზავნეთ ჩვენი კოცნა. გული შე-  
მეძვრება ხოლმე, ისეთ მშვენიერ წერილებს  
გვწერთ მე და ზინას. ბოლო ხანს სტასიკზეც  
საუცხოო წერილები მოგვწერეთ. ასეთი წერი-  
ლების შესაფერი პასუხის გამოგზავნა შეუძ-  
ლებელია. ჩამოდი, ნინიკო, და გაგახსენებთ,  
როგორ მიყვარხართ. ნახავთ, რომ ჩემთან ლა-  
პარაკი ჯერ კიდევ შეიძლება. თქვენ ეს დაგა-  
ვიწყდათ. გკოცნით, გკოცნით, გკოცნით.

თქვენი ბ.

სალამი გადაეცით ლეონიძეების ოჯახს, ქა-  
ლებს და თავად მასაც. გული მოგვიკლა ნატ.

**ბორის პასტერნაკი**  
**წერილები მართველ მიმოგზავნა**

გიორგის ასულის სიკვდილმა. რა ნიჭიერი იყო, რა მშვენიერი, ნამდივილი გამოხატულება სი-  
ციოცხლის! ძალიან მინდა, წერილი გაუფზავნო  
ჩიქოვანებს, თუ მოვიცალე. აი, ვის შევხვდები  
კიდევ მრავალჯერ, თუ ვიცოცხლე. მჭამს სიმო-  
ნის მომავალი.

თქვენი ბ.

ბ. ნ. ლეონიძის

5. IX. 53. შაბათი

ძვირფასო გიორგი ნიკოლოზის ძე!

ზინა ქალაქიდან ჩამოვიდა და თქვენი ამბავი  
მომიტანა. მოთხრა, პერედელკინოში ლეონო-  
ვებს უნდა ეწვიოს და ჩვენც შემოგვივიდოს.  
თუ ვერ განხვთ, ყველაფერი ჩემი ბრალი იქ-  
ნება. ვიცი, რომ ქალაქში ბევრჯერ დავგვირე-  
კეთ, ეჭვიც არ მეპარება, რომ ჩვენი მონახულებ-  
ა გწადიათ. მეც ძალიან მინდა თქვენი ნახვა.  
ამ საქმეში ცოტა მეტი ინიციატივა უნდა გა-  
მომეჩინა და თავად მომეგვარებინა ეს შეხვედ-  
რა. მაგრამ ამ ბოლო დროს უხალისობა დამჩე-  
მდა და როგორღაც ჩამოვმორდი ლიტერატურ-  
ულ წრეებს; აღარ ვიცი, საერთოდ რა კეთდე-  
ბა ლიტერატურაში.

თუმცა, ეს არაფერია. ღვთის შეწევნით, სხვა  
დროს ჩამოხვალთ და მეც ქალაქში ვიქნები.  
შეხვდებით ერთმანეთს და ყველაფერი თავის-  
თავად მოგვარდება. ყოველივე ამას დასამშვი-  
დებლად გწერთ, რომ თავი უხერხულად არ  
იგვძნოთ, ან არ ინანოთ, რომ ვერა მნახეთ. გი-  
მეორებთ, თქვენ არაფერ შუაში ხართ. მე უნდა  
გამომეჩინა ცოტა მეტი მონდომება და უნარი-  
ანობა.

შემოდგომის დღეებს აგარაკზე მარტოდმარ-  
ტო ვატარებ. მხოლოდ შაბათ-კვირას ჩამოდიან  
ზინა და ლიონია. ვნატრობ, რა იქნება, ნინო  
ერთ თვეს ჩემთან დარჩეს-მეთქი. თუმცა ვიცი,  
რომ ეს შეუძლებელია. ჯერ ერთი მასსახურს  
თავს ვერ გაანებებს. გარდა ამისა, ჩემს გვერ-  
დით მოწყენილობა მოკლავდა, ისეთი გამოზო-  
მილი, რკინისებური სამუშაო რეჟიმი მაქვს.  
მთელ დღეს მღუმარედ ვიქნებოდი, პირს მხო-  
ლოდ სადღესობისას და საღამოობით გავალბე-  
დი. თავად კი, რა თქმა უნდა, ვინტარებდი.  
ხომ იცით, ის ჩემი საუკეთესო, უახლოესი მე-  
გობარია. მის ზიჯილვებს თავს საუტხოოდ  
ვგრძნობ და მუშაობაც მიაღვივდება.

ახლა, როცა მარტოდმარტო ვრჩები და შემო-  
დგომის რუხი, სუსხიანი ღრე გულს სევდით  
მივსებს, ღუმელს ვანთებ და კაეშანს ერთად-  
ერთი იარაღით — მუშაობით ვიჭარებ.

რომ იცოდეთ, როგორ მომწონს თქვენი კმ-  
რა, თქვენებური ცხოვრება.

ყველაფრისა და ყველას ნაცვლად ხელზე  
ვკოცნი ეფემია ალექსანდრეს ასულს. თქვენ კი  
გულში გიკრავთ.

თქვენი ბ. პ.

...ბავშვობიდან უსაზღვრო მოკრძალებას  
ვგრძნობდი ქალის მიმართ. დღემდე გაინტერეს-  
ული, დაძაბუნებული ვარ მისი სურათის მიმ-  
დაში სიბრალულით, მასზე წუხილით და ში-  
შით, რასაც მის წინაშე მუდამ განვიციდდი.  
მე რეალისტი ვარ და ყოველი წვრილმანი ვი-  
ცი ამა ქვეყნისა, იმიტომ კი არა, რომ დონ  
ქუანივით ქალებთან დროსტრებაში გავლენ  
წუთისოფელი, არამედ იმიტომ, რომ სიყრმიდა-  
ნვე კენჭებს ცვრედლი მათ სავალ გზაზე.

ჩემთან ოროდენ ქალი თუ ყოფილა დაახლო-  
ვებული. მათ დიდსულოვან მოწყალებად ვთვლი,  
რადგანაც ძალზე აუტანელი და უინტერესო ვარ  
„როგორც მამაკაცი“, ძალზე ხშირად ვამედღე-  
ნებ გამოუსწორებელ სისუსტეს და საკუთარ  
თავს დღემდე არ ვიცნობ ამ მხრივ. იქნებ მათ  
ვულს ის აღეღვებს, რომ სადღაც შორიდან  
მათთან მართე მოაღწია სიყრმიდან მათთვის  
თავშეწირულმა. მათზე წუხილით დაუძღურე-  
ბულმა, მათ გამო ომგადახდილმა და ამ დიად  
ომში დამარცხებულმა არსებამ. იქნებ მათ  
აღეღვებს ქალისათვის მუდამ ახლობელი, ბავ-  
შვობის მოგონებათა აღმძვრელი, უცნაური,  
მრავალ განსაცდელგამოვლილი, მაგრამ დღემ-  
დე შემორჩენილი სიწმიდენე...

ახლა ხელოვნებაზეც მინდა გელაპარაკოთ.  
ტოლსტოის „ადღომის“ და „ანა კარენინის“  
გაგახსენებთ. ერთგან ნეხლიუდოვი, მეორეგან  
კი იტალიაში ანასთან ერთად ჩასული ერონსკი  
ყიდულობენ ხატვისათვის საჭირო მასალას:  
ტილოს, ფაქტებს, ფუნჯებს, საღებავებს, და  
უნდათ, ხატვას ხელი მოჰკიდონ. მაგრამ მუშაო-  
ბის დაწყებას ვერა და ვერ ახერხებენ. ხან  
გუნებაზე არ არიან, ხან ცუდი ამინდია. იქვე კი  
ხატვაზე ვადარეული, ხელოვნებისაგან დაკლე-  
ქებული, ლატაკი, უბრალო კაცია... მძავს ეს დი-  
დაცატური, უქმი, მოხალისური დამოკიდებუ-  
ლება თავგანწირულებითა და შრომით აღესილ  
სამყაროსთან, რაც ასე ახლობელია ჩემთვის,  
რასაც დღენიდავ ვემსახურები. ჩემი ცხოვრე-  
ბა დიდ ადამიანებს უკავშირდებოდა და ცოტა-  
რამ მაინც მინახავს. მაღალ საზოგადოებაში მი-  
ღებულნი არტიტისში, კეკლუცი ქალბებისა და  
კინოსათვის განკუთვნილი არტიტისში, საჩემო  
ხილი არ არის. მე იმას არ ვამბობ, ვინც გე-  
ნოსის არ არის, ყველა უნდა ჩამოვასჩრით-მე-  
თქი, მაგრამ ასეთ შემთხვევაში სულ სხვანაი-  
რად უნდა ვილაპარაკოთ...

ო, როგორ მინდა, ფუსტი მალე გამოვიდეს  
და გამოვტავანოთ! ისე ცოტა საავტორო ცა-  
ლებს მომცემენ, რომ თბილისში თქვენს ვარ-  
და ვერავის ვაჩუქებ. ძალიან კარგი, თქვენს  
ძვირფას ხელში გამოვლილს წაიკითხავენ. წიგ-  
ნი შუაზე გახიეთ. პირველი ნაწილი თქვენ  
დაიტოვეთ, მეორე ნაწილი კი ე(ფემია) ა(ლექ-  
სანდრეს ასულს) მიეცით. პირველ ნაწილში მი-

წიერი სიყვარულია, მეორეში კი ზეციური. რას იტყვით, ე. ა. ხომ მართლაც უბაღლოა. მეორე ნაწილს როცა ვთარგმნიდი, ელენეს უნებურად მას ვამსგავსებდი. ისეთ სიტყვებს ვათქმევინებდი, რასაც ე. ა. იტყოდა. მინდოდა, მისთვის წიგნზე წამეწერა, წაიკითხეთ, გოეთე მეორე ნაწილში თქვენზე რას წერს-მეთქი. რას მეტყვით, შეიძლება ასეთი რამ წაეწერო?

ნინიო, გოსლიტიზატში ხითაროვას 34 სურდა, ჩიქოვანის სამი ბჭყარედი მოეცა. მე იგი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ საინტერესო პოეტად მიმაჩნია და მრავალჯერ დავამტკიცეთ. როგორ მიყვარს და ვფასებ. მაგრამ პროზით ისე ვარ გატაცებული, თავში ხანდახან თუ გამილეებს ლექსის მსგავსი რამ და იმასაც არ ვაყალიბებ თემატურად, როგორც ამ ზაფხულს ვაყალიბებდი. განაფიქრს ან მაშინვე ვიერიწყებ, ანდა ხატოვანდ ჩამოუყალიბებელი, ჩანასახოვანი ფორმით ვიმახსოვრებ, რადგან ერთადერთ საქმედ ახლა პროზას ვთვლი და თავს ლექსებზე დახურდავების ნებას არ ვაძლევ.

...ახლა ლექსად ჩავიწერთ იმას, რაც გავკრით ვახსენე. ეს ლექსები იმ ლექსებს ვერ შეედრება, რადგანაც მხოლოდ ნაზი და მუსიკალურია. ლექსი კი მუსიკალობის გარდა ხატოვნებას და აზრსაც უნდა შეიცავდეს. ეს პატარა-პატარა ლექსები საერთო სათაურით გავერთიანე, „ძილისპირული“ ვუწოდე. თქვენ რომ ლექსები ვაქვთ, იმასთან ერთად ესენიც შეგიძლიათ, ვისაც მოისურვებთ, იმას წაიკითხოთ...

ნინო, შემოდგომის უღრუბლო, თბილი დღეა. თორმეტი საათი სრულდება. მზე სხივებს აფრქვევს ექვსსაგდულოან, ფართო ფანჯარას. მე თქვენთან ერთად ვზოვიარ პერედელკინოში და იმის ნაცვლად რომ ვიმუშაო, დაუსრულებელი წერილით დროს გართმევთ. ნინო, ჩემო სიხარულო, ჩემო დაიკო. გკოცნით მრავალს

თქვენი ბ.

## ბ. ა. ტაბიძე

30. IV. 54.

ძვირფასო ნინიო!

ისე ვარ ჩადღული საქმეში, ნაჩქარევად გიგზავნიტ პასუხს... მომიტყევთ: ამდენ ხანს ვერაფერი მოეწერეთ; თანაც შევდომით ვფიქრობდი, რომ მოუცლელობის გამო თქვენც არაფერს მატყობინებდით. თურმე დრო გიპოვიათ და წერილი გამოგიგზავნიათ. მაგრამ, სამწუხაროდ, ის წერილი არ მიგვიღია. ლიონიას საყვლოს, მხრებისა და სახელოების შესახებ დავალბებულნი ვაქვს გაცნობით. რომ მას ამგვარი არაფერი აქვს. აქვს მხოლოდ თვლები, ცხვირი და თმა. რად გინდათ ეს, ნინო? ასეთ რამეებს თავს როდის გაანებებთ?

...რადგან სასიამოვნო დავალბებათა შესრულება გიყვართ, ერთ რამეს გთხოვთ. „ზნამია“ ხე-

ლში ვერა და ვერ ჩამივარდა. მხოლოდ გუშინ-წინ ვნახე საკუთარი სტრიქონები! ეურნალის ფურცლებზე. ჩიქოვანის „მეგობრული“ ვიდეოზე. წაიკითხე, რითაც ეურნალი იმეორებდა ცოცხლად. უშუალოდ, ნიქიერად აქვს აღწერილი მეყროვს მოგზაურობა. ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, როგორც კარგი რომანისტი სპროზა. ბარაქალა ორივეს!

როცა სიმონი აქ იყო, ეურნალი ჯერ ნანახი არ მქონდა და ვერაფერი ვუთხარი. ალბათ იფიქრებდა, რომ მისი ლექსები არ მომეწონა. „ზნამიაში“ ჩემთვის საავტორო ცალები გაემზავდნით, მაგრამ ვილაც სტუდენტები მისულიყვნენ, თავი ჩემგან გაგზავნულხად გაესაღებინათ და წაეღოთ...

გკოცნით

თქვენი ბ.

## ბ. ა. ტაბიძე

7. IX. 55.

ძვირფასო ნინო!

დიდ მადლობას გითვლით ყველაფრისათვის. ვივამ ახლახანს თქვენი წერილი ვადმომცა. წაიკითხე და მინდა, ორიოდე სიტყვით მადლობა ვაღვავიხლო.

ზინას გამოგზავნილი ღია ბარათი მივიღე. გიორგი ნიკოლოზის ძეს „სტუმართმოყვარობის სასწაულები“ მოუხდენია (ეს ზინას სიტყვებია). ვივამაც ბერი რამ დაუმატა. თვალწინ დამიდგა ყოველივე, თვალწინ დამიდგა ყველანი ჩემიანებთან ერთად. ვხედავ ვეფემია ალექსანდრეს ასულს და ლეონიძეს, როგორც საკუთარ თავს, როგორც ჩემს შემცველს, სითბოს რომ არ აკლებს ჩემიანებს და როგორც შინაურებს ისე პატრონობს. რა უნდა გითხრათ? მიღით მათთან და ორივენი დამიკოცნეთ.

მთავარი კი, აი, რა არის. ოცდახუთი წელია ცოცხლობს ეს მთლიანი, დაუნაწევრებელი, წარბიანი, ერთ ბგერად აქედრებული, ხან ავებედითი, საზარელი და ხანაც ღვთისური შუქით გასხვავსნებული საოცარი მოთხრობა. ეს მოთხრობა ჩემი ცხოვრებაა, იღუმალა, ფარული ბრძოლა, ჩემი საბარლო ზინა და ლიონია. ჩემივე ბედისა და ხასიათის მსხვერპლად, ამ მოთხრობის უახლოეს ნაწილხად რომ იქცინენ, ეს ხართ თქვენ და თქვენი ახლობლები, ე. ა. და გ. ნ. და, აი, ახლა ყოველივემ, თქვენი სითბოთი და სიმშვენიერით შეკავშირებულმა, კვლავ თავი მოიყარა თქვენი დიდებული ცისქვეშ, თითქოს უცებედად მოვლენილმა ყოვლი-სმომცველმა სულეიერმა აღგზნებამ ვაერთიანო. რა შესანიშნავი, ფასდაუღებელი სიმართლეა განსაკვიფრებელია, რომ ეს ერთხელ კიდევ განმეორდა.

## გორის პასპერნაჰი

წერილები პართემელ მებოზრებას

ნინიკო, მხოლოდ მადლობის თქმა მინდოდა და ენად კი გავიკრიფე. ბუნდოვანი, გაუგებარი რაღაც მოგწერეთ. ასეთ რამეზე სულ სხვა-ნაირად უნდა ილაპარაკო ცაცმა.

და მაინც ეს ბედნიერებაა, ნამდვილი ბედნიერება, სერგოზული, ღრმა, უყიდევანი და ნაღვლიანი, უსაზღვრობითა და სიღიადით დამქანცველი, ცრემლით განზანილი ბედნიერება.

გაკონით

თქვენი ბ.

**5. ა. ტაბიძის**

**4. X. 55.**

ძვირფასო ნინიკო! გმადლობთ, ასეთ წუთებში რომ გამიხსენიეთ და მომწერეთ<sup>35</sup>. არ შემეცდარხართ, მე ამას ვიმსახურებ. მოდი, ვიცხოვროთ შეუპოვრად. ყოველთვის თქვენს შემწედ მივლეთ. ამისთვის ვარსებობ, ეს არის ჩემი დანიშნულება.

ამ საზარელ სიმართლეს მე ყოველთვის გუ-მანით ვხვდებოდი. ამან განსაზღვრა ჩემი შეხედულებანი, ჩემი დამოკიდებულება დროისა და მისი უმთავრესი წარმომადგენლების მიმართ, განსაზღვრა ჩემი ბედი. საბრალო ტიტიანი! როგორი მოწამებრივი გზა გაიარა. გული ყველთვის მეუბნებოდა ამას, ყოველთვის ვხვდებოდი.

ძვირფასო ნინო, ძალ-ღონე მოიკრიფეთ. მე მინდა, რომ იცოცხლოთ, მე თქვენ მჭირდებით, რათა ჰკრებიტ უნარი შევინარჩუნო, რათა ჩვენს საერთო პასუხს ბოლომდე ჩავდიო, რათა ყველაფერს გავუძლო. გაკონით, ჩემო საყვარელო, ჩემო საბრალო მეგობარო.

თქვენი ბორია.

...ჩვენი მოგზაურები მშვიდობით ჩამოვიდნენ. ყველანი კარგადა ვართ. უსორო მადლობას ვთვლით თქვენ და ლეონიძეებს. ლეონიას ფოტოსურათებზე ხშირად ჩანს ე. ა. რა მშვენიერია! ყველა ჭგულში გამიორჩევი, ყველაზე მეტყველი, შთამბეჭდავი სახე აქვს.

ჰო, ერთი რამ მინდა დაგავალოთ! აბაშიძემ და ჭილაიამ დებეშით მიმიწვიეს გურამიშვილის დღეებზე. არ ვიცი, რა მისამართით გავუგზავნო დებეში, მადლობა გადავუხადო და მოვუბოდიშო, რომ ვერ ჩამოვალ, წამოსვლა არ შემეძლია. იქნებ ჩემი შემოწავილი თქვენ გადასცემთ?

...მომიტყვეთ, იშვიათად რომ გწერთ. ჩიქოვანის ოჯახიც მომიკითხეთ. მის პოემაში გურამიშვილზე საუცხოო ადგილებია.

**5. ა. ტაბიძის**

**21. VIII. 57.**

ძვირფასო ნინო, ძალზე შევშფოთდი, თქვენი ავლდმყოფობის ამბავი რომ შევიტყვე. ცოტა ხნის წინ მეც თქვენ დღეში ვიყავი და ვიცი, ეს რა ძნელია.

წერილთან ერთად გიგზავნით ზამთრის მიწურულს (ავად გახდომამდე) დაწერილ ლექსებს, აგრეთვე ოთხ ლექსს, უზოკოდან ავარაკზე. ჩამოსვლის შემდეგ რომ დავეწერე, ვიდრე ავად გავხდებოდი, თეატრში მარიამ სტეფანოვიძის მხატვრობის მოსკოვში ორ ღამეს ვიყავი დღეობაზე. ქალაქში დათოვლილი მინდვრების გავლით შევედიოდი, როცა ქუჩებს ზამთრის საღამოს ბინდი ეპარებოდა. როგორც ყოველთვის, მსურდა, ყოველივე ეს ერთბაშად, ერთი ლექსით მეტყვა. მესახებოდა მიჯნა ღრეობისა და მღვდელმსახურებისა, შენარჩევი თავაწყვეტილი მზიარულებისა და მისტერიისა, ოდესღაც ბაქანა-ლიას რომ უწოდებდნენ. ჰოდა, მერე ავად გავხდი.

წინასწარ ვიცოდი, გამოჯანმრთელების შემდეგ თუ განვასწლებდი მუშაობას, საავადმყოფოდ და სანატორიუმმა რომ შემაწყვეტინა, ახალი წვივისათვის ლექსების შეთხზვასა და მოგროვებას თუ შევეუდგებოდი, ზამთრის შთაბეჭდილებებს თავს ვერ დავაღწევდი, წინ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამდი, ვიდრე ამ ჩანაფიქრს ხარკს არ გადავუხდიდი.

აი, ასე დაიწერა ზამთრის ლექსი ზაფხულში 36...

თქვენი ბ. 3.

**5. ა. ტაბიძის**

**30. VIII. 57.**

ძვირფასო ნინო, რამდენი ხანია, ტიციანის წიგნის შესახებ მინდა მოგწეროთ, მაგრამ სულ მაიწყდება. ეს თქვენი დიდი გამარჯვებაა, შეგიძლიათ იამაყოთ. ენა ვერ მომიბრუნებია, რომ მოვილოცოთ თქვენი გარჯის, ზრუნვის, მონღო-მების კეთილად დაგვირგვინება.

ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში ძნელია ხელოვნებაზე, პოეზიაზე საუბარი. ეს იგივე იქნებოდა, ამგვარ რამეზე თხემის ადგილის შემსურემ რომ ილაპარაკო.

ძალიან, ძალიან კარგი თარგმანებია ტიხონოვისა, ანტოკოლსკისა, ზაბოლოცკისა, გამოუკლებლივ ყველასი. სერგოეა სპასკის თარგმანები მხატვრული მთლიანობით და ლირიკული სიმძაფრით თითქმის ყველას სჯობს. ჩემი თარგმანები კორექტურულ შეცდომებს ისე დაუმახინჯებია, რომ ზოგჯერ აზრის გამოტანაც კი უჭირს. სტაროსტინის<sup>37</sup> ბრაღია, ისევე მოახერხა, რომ კორექტურა ერეწენებინა. მაშინა ეს შეცდომები აღარ განპარებოდა. თუმცა, ეს თქვენთვის საინტერესო არ არის. ამაზე ბებუთოვს მივწერ, რომ თბილისის გამოცემა მაინც იყოს რიგიანი.

ყველაზე კარგი ბოლო წლების ლექსებია — წიგნის მეორე ნახევარი. თქვენ მართალი ხართ, სიკვდილის წინათგარძნობა ყველგან შემინევა.

ბევრი რამ არის დამოკიდებული თარგმანზე. ზშირად საუკეთესო თარგმანიც კი ვერ გადშოსცემს ორიგინალის არსსა და მშვენიერებას (მკითხველისათვის ზოგჯერ სამუდამოდ დაკარგულს). ყველა თარგმანიდან მკვეთრად გამოირჩევა „შეხვედრა ბალმონთან“ (თარგ. დერჯავინისა), „გულდაგულ“ (ზაბოლოცისა) „ლექსის დაბადება“ (მარტინოვისა).

ყველგან იგრძნობა ტიციანის, როგორც პოეტის, მამოძრავებელი ძალა — სიტოცხლის, სამშობლოს ისტორიისა და ბუნების ერთგულება, რასაც განწირულების გრძობა ერწყმის და ამ თემას ელგვიურ ელფერს აძლევს. დიდი სიკეთე აქ ჩაქსოვილი, გაცილებით მეტი, ვიდრე მე და პაოლის გვაქვს, ესენინსა და შაიკოვსკიზე რომ არაფერი ვთქვათ.

სიკეთე და საოცარი ხატოვანება („როგორც დედის რძე და ბავშვის ტუჩი, ასელება ატმის ჟევილი ყვავილს“, „და ანათებენ როგორც კანდელი მანდარინების მოლალურები...“) — აი, რით გვიზიდავს წიგნი!

გოცინით მრავალს. ბორისი.

#### ჰმირანს სიმონი

6. X. 57.

უკანასკნელმა ავადმყოფობამ ცხოვრების ჩვეული წესი და რიგიც დამირღვია და შემაწყვეტინა ყოველდღიური, დაძაბული მუშაობა. აღარაფერი მაინტერესებდა, არაფერი მაშახსოვრდებოდა. ალბათ იმ დღეებში მომიტანა ზინამ თუ ნინომ საავადმყოფოში თუ სანატორიუმში ტიციან ტაბიძეზე დაწერილი თქვენი სტატიის 38 რუსული თარგმანი (ძალზე კარგი, მაღალი ლიტერატურული დირსებისა). საღდაც შევიხანხე, მაგრამ საღ. აღარ მახსოვდა.

ვიღრე ავად გავხდებოდი, „მობრამ სტიუარტი“ მანქანაზე გადავახედვინე. ამ საღამოს დამპირდა და ვეძებდი. ამ ძებნაში თქვენი სტატიის დაკვიცილ ფურცლებს წავაწყდი და პირველად ახლა წავიკითხე.

ძალიან კარგი სტატიაა, რამდენიმე ცოცხლად მოთხრობილი მოვანება. გატაცებით გადმოცემული, საზოგადო მნიშვნელობის მქონე რამდენიმე სერიოზული აზრი. რაც სანდო, ავტორიტეტული საბუთის ძალას იძენს. მომავალში თქვენს სტატიას ბევრი დაიმოწმებს. კარგია ის ადგილი, სადაც ჭავჭავაძის ქუჩაზე სეირანობის შესახებ ლაპარაკობთ, და ის ადგილიც, სადაც მსჯელობთ ცნებაზე „გადავარდნა...“

მინდა, რამდენიმე სიტყვა ვიღერ გიხსრათ თქვენს სტატიაზე. ძალზე სწორია თქვენი აზრი იმის შესახებ, რომ პოეზიაში შედარებებისაგან თავისუფალ, საღა ენას და მეტაფორულ მეტყველებას შორის არ არსებობს რაიმე ზღვარი. ძალზე კარგი მაგალითები მოგვყავთ ჰუმეინიდან და ბარათაშვილიდან. ცდება, ვინც ფიქრობს, რომ მეტაფორა მწიგნობრული ელემენტი

აა, ან მხოლოდ პოეტების მიერაა შეთხრული. მეტაფორა ლიტერატურაში სასაუბრო ენიდანაა შესული. სასაუბრო ენა პოეტურზე უფრო მდიდარია როგორც პირდაპირი, ისევე მეტაფორით მნიშვნელობის მქონე სიტყვებით. აქ, ჩემი აზრით, უფრო ნათლად ჩანს, რომ პირდაპირი ფორმულირება და მეტაფორა ერთმანეთს კი არ უპირისპირდება, არამედ აზრის სხვადასხვა სტადიებია. პირველადი, უტყვე მარმოქმნილი და ჯერ ისევე ბუნდობლივი აზრი მეტაფორაში ახელს თვალს, შინაარსობრივად შეტდება და არამეტაფორულ გამოთქმაში მხოლოდ სრულყოფს გამოხატვის ფორმას. ბუნებაშიც ხომ გვხვდება საადრეო და საგვიანო ჩიშები, სხვადასხვა დროს რომ შემოდის. უაზრო ასკეტიზმი იქნებოდა, სულიერი ცხოვრების მდინარება მხოლოდ საწყისი ან მხოლოდ საბოლოო რიგის მოვლენებით რომ შემოგვეფარგლა.

დაბოლოს, ინტონაციის შესახებ. ამ სიტყვას ერთ დროს ზშირად ხმარობდნენ, როცა ჩემზე ლაპარაკობდნენ ან წერდნენ. ამის გამო ყოველთვის გაოცებული და უკმაყოფილო ვიყავი. ეს მეორეული, ძალზე დარბილ ცნებაა და არ ძალუქს ისეთი პრინციპული, მრავლისმომცველი რამის გამოხატვა, რომ მის საფუძველზე თუნდაც საზოგადოებრივი რღვევისა და ქუჩებში გამართულ შეტაკებათა ჭაბუქურ დღეებში შეიძლოდეს თეორიის შექმნა.

ტიციანი ამ სიტყვას ალბათ არასწორად ხმარობდა და სხვებზე უფრო მეტად გულისხმობდა სულ სხვა შინაარსს, რასაც „ჩემი ცხოვრების დის“ პერიოდში ჩემთვის რაღაც ტექნიკური აღთქმის ძალა ჰქონდა. თუ ეს ასეა, მაშინ სიმართლესთან ახლოს ყოფილა.

17 და 18 წლებში მინდოდა, ლექსი რაც შეიძლება მიმეხალსეებინა ექსპრომტისათვის. საქმე მართო ის არ არის, რომ ვცდილობდი, „დაიჩემი ცხოვრება“ და „თემები და ვარიაციები“ კალმის ერთი მოსმით დამეწერა, რაც შეიძლება ნაკლებად მესწორებინა, — აქ უფრო სერიოზული ამბავია.

თუ წინათ და შემდეგაც ჩემს ყურადღებას იპყრობდა და ლექსად იქცეოდა ის, რაც ფერადოვანად ან ღრმად, ან მგზნებარედ, ან ძალუქმად მეჩვენებოდა, ზემოხსენებულ წლებში (17 და 18) მხოლოდ იმას ვწერდი, რაც წყობილ სიტყვად, გამართულ გამოთქმად აღმომხდებოდა ხალხმე თავისთავად, ძალდაუტანებლად, მოულოდნელად.

შერჩევის პრინციპად (თუმცა ძლიერ მოსაწყენ პრინციპად) ჩანაწერების დამუშავება და სრულყოფა კი არ მქონდა, არამედ ის ძალა, ზოგიერთ მონახაზს იმთავითვე რომ დაჰყვებო-

#### ბორის პასტერნაკი

წერილები ჰართხელ მებოგბრებს

და სიახლის, ბუნებრივობის, ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით.

მაპატიეთ, რომ თავს გაბეზრებთ თქვენივე აზრების გარჩევით. აი თქვენთვის განუყოფელი, მთავარი, ტრაგიკული საქმეობრივი სიტყვა, თავიდანვე ენაზე რომ მადგა, მაგრამ თავს ვიკავებდით და ახლა კი მაინც უნდა გითხრათ. სტატია თავად თქვენ სახეს აჩენს. თქვენ შერევიხართ იმ მივიწყებულ ხალხს, დიდი ხნის წინათ სადაღაც შორს რომ დარჩნენ და ახლა ბინდით არიან მოცულნი. ვისთვის იღწევით, ვისთვის ეძიებთ, ვის სჭირდება თქვენი სიზუსტე, თქვენი დახვეწილობა?

თქვენი ბ. პასტერნაკი.

### ბ. პ. ტაბიძის

22. XII. 57.

ძვირფასო ნინო, დიდი ხანია ვაპირებდი, ნიტასთვის ან სხვა ვინმესთვის მეთხოვა, თქვენი ჯანმრთელობის ამბავი მოეწერათ. მაგრამ ყოველთვის რაღაც მაფერხებდა და ხმა ვეღარ მოგაწვდინებ. ერთი კვირის წინ როდამმა პერედელკინოში მომიტანა ფანქრით ნაწერი, მთლად გაცრეცილი თქვენი ბარათი. მწერთ, ძალიან დიდი სიძებები მაქვსო. მე მგონი, ეს წერილი ვიღაცასთან დიდხანს იდო და იმ წერილზე აღწერა გამოგზავნილი, ფოსტით რომ მივიღეთ...

ძალიან გთხოვთ, ვინმემ მომწეროს, ახლა თავს როგორ გრძნობთ.

ამას გარდა, სიმონს, კონსტ. ლორთქიფანიძეს, ყველას გადაეცით: თუმცა „ლიტერატურნია გრუზია“ არ მინახავს, მაგრამ მომიყვენენ, რა კეთილშობილურად გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას ჩემს მიმართ მრავალნი. ეს ამბავი გადმომცეს ევტუშენკომ, სტაროსტინმა, ამას წერენ ზღაწევიზი და სხვები. მე უზომოდ მადლობელი ვარ ყველასი, ეს მახარებს და ძალას მმატებს...

აკოცნით, თქვენი ბ.

### ბ. 3. ბეაუთოვის

24. V. 58.

ძვირფასო გარეგინ ვლადიმერის ძე!

წიგნისათვის 39 მადლობა აქამდე იმითომ ვერ გადაგიხადებთ, რომ საავადმყოფოში დიდხანს ვიწექი. ამ წიგნის გამოსვლა არ გამხარებია. არ მიყვარს მოგონებები და წარსული, განსაკუთრებით კი საკუთარი. ჩემთვის მომავალს განუზომელი ფასი აქვს. მომავლით ვცხოვრობ და უკან მიხედვა არ მიყვარს.

ალბათ მკითხავთ, მამ ეს წიგნი რატომღა გამოვიტოვო? არა. ხელახალი გამოცემები და თარგმანები არსებობის მატერიალური წყაროა, მომავლის ხილია, გზაა მომავლისაკენ.

მაგრამ წიგნის მიმართ ჩემი დამოკიდებუ-

ლება ერთია და სულ სხვა რამაა თქვენი წინასიტყვაობა, თქვენი რედაქტურა, არუნვა, გერჩევა, ძიება — სასწაული, რაც მოახდინებთ რიანტების შენარჩუნებითა და გამოცემებით. ეს ვარიანტები ისე მქონდა გადავიწყებულ, თითქოს არც არსებობდა.

მომიტკვეთ, გეთაყვა, რომ ასე ძუნწად და უფერულად გამოგხატავ (თანაც მერამდენად) მადლიერებას. ეს იმითომ არ ხდება, რომ უმადური შევიქნენ. მაგრამ ბედი სულ უფრო მეტად მიმაქანებს სადაღაც. საით, ეს ჯერ არავიციის, თავად მეც არ ვუწყი კარგად. ალბათ ჩემი სიკვდილიდან მრავალი წლის შემდეგ გამოირკვევა, ჩემი მოღვაწეობა უკანასკნელ წლებში რა ფართო, უფართოეს საფუძველს ემყარებოდა, რითი სუნთქავდა, რა ასაზრდოებდა, რას ემსახურებოდა. თქვენ კი უღრმეს, გულითად მადლობას გიძღვნი.


თქვენი ბ. პასტერნაკი.

### ბ. პ. ლორთქიფანიძის

22. VI. 58.

ძვირფასო კონსტანტინე ალექსანდრეს ძე, დიდი ხანია მსურდა, მადლობა გადამეხადა ყურადღებისა და მხარდაჭერისათვის, ბოლო წლებში ჩემს მიმართ ასე კეთილშობილურად რომ იჩენთ. მივიღე თქვენი დებეშა და პასუხად გაცნობებთ: მხოლოდ „ივლისი“ დაიბეჭდა ერთხელ „ზნამიაში“, სხვა ლექსები დაუბეჭდავია. წერილთან ერთად კიდევ რამდენიმე ლექსს გიგზავნი; ახლახანს დაწვერე, საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ, სადაღაც უკანასკნელად ძალიან დიდი დრო გავატარე. მხოლოდ ინტერესის გულისათვის გიგზავნი, თავს არ გახვევთ, დაბეჭდვას არა გთხოვთ. თავადაც კარგად ვხედავ, რომ ძალზე მოსაწყენი, უფერული ლექსებია. ამას ყალბი მოკრძალებულება ანდა წუხილი არ მალაპარაკებს. სხვანაირ ლექსებს ახლა ჩემგან არც უნდა მოელოდეთ. რადგან მრავალი მიზეზის გამო თითქოს უსულგულოდ, უხალისოდ ვწერ. ჯერ ერთი, თევობით საავადმყოფოში ვარ და ამის გამო დრო, გარდამავლად, მერყევად მეჩვენება... ავადმყოფობის ახალ შემოტევაზე სულს ცოტა ხნით მოვიტყავ ხოლმე და ამ სულის მოთქმის უკან ლექსების წერას მაინც და მაინც არ ეტანები. ამას გარდა ბოლო ხანს დიდ დროს მართმევს დასავლეთთან მიმორწრა სხვადასხვა საკითხებზე: დღეს რაბინდრანატ თაგორზე უნდა ვუპასუხო მის ლონდონელ ბიოგრაფს, ხვალ ფაუსტზე უნდა მივწერო რომელიღაც მუზეუმს, მისი (ფაუსტის!) დაბადების ადგილას რომაა შტუტგარტის ახლოს, და სხვ. და სხვ. მაგრამ გართმევთ ხელს.

თქვენი ბ. პასტერნაკი.



ქვირფასო მარკ ისრაელის ძევი  
 ძალიან მწყინს, ჩემი წიგნი ასეთი დიდი ზა-  
 რალით რომ გამოეცით, როცა შეგეძლოთ, ისე-  
 თი ტირაჟით დაგებუქდათ, გამოცემლობისათ-  
 ვის სარგებლობა მოეტანა. 3000 ეგზ. საავტო-  
 რო ჰონორარის ნახევარსაც ხომ ვერ დაფარავს,  
 რაც იენისში გამოგზავნილი ანგარიშის მიხედ-  
 ვით მერგება. თუმცა უსაშველოდ მივიწყებუ-  
 ლი ვარ, მაგრამ არა მგონია, ათი ტირაჟი მაინც  
 არ გასაღებელიყო. ეს გამოცემის ხარჯს აანზ-  
 ლაუბრებდა. რა თქმა უნდა, ვიცი, რომ ბევრი  
 რამ თქვენზე არ არის დამოკიდებული. ლიტე-  
 რატურის ბედს ადმინისტრაციულად ზემდგომი  
 ხალხი განაგებს. მაგრამ საქმე ის არის, რომ  
 სხვებიც არ იჩენენ ნაკლებ გულმოდგინებას. რა  
 შეთქმის, თქვენი ნებაა. ძალიან დასანანი კია.

ბ. პასტერნაკი

ლ. გულღიაშვილს

3. III. 59.

თქვენთან სტუმრობა ჩემთვის ნამდვილი დღე-  
 სასწაულია. მეორე დღეს ისეთი გრძნობით მელ-  
 ვიძება, თითქოს ყოველივე დამისიზმრებოდეს,  
 რაც თქვენთან ვიხილე, რაც გავიგონე. მართ-  
 ლაც სიზმარს ეღარება ყოველგვარ საუნჯეზე  
 უძვირფასესი. ერთადერთი სიმდიდრე გულისა  
 — ხელოვნება.

Пронесшейся грозой полон воздух.  
 Все ожило, все дышит, как в раю.  
 Всем роспуском кистей лиловогроздых  
 Сирень вбирает свежести струю.  
 Все живо переменою погоды,  
 Дождь заливает кровель желоба,  
 Но все светлее неба переходы  
 И высь за темной тучей голуба.  
 Рука художника еще всеильней  
 Со всех вещей смывает грязь и пыль.  
 Преображенной из его красильни  
 Выходят жизнь, действительность  
 и быль.  
 Воспоминание о полувеке  
 Пронесшейся грозой уходит вспять.  
 Столетье вышло из ее опеки.  
 Пора дорогу будущему дать.

ბ. პასტერნაკი

თქვენი ბ. პასტერნაკი.

თარგმანი: ლევან აოლქვაძემ, ვიკი კიკილაშვილმა


შ ე ნ ი შ ზ ე ნ ბ ი

- 1. ბ. ელენტი — იმეამად გამოცემლობა „ზარია-ვოსტოკას“ მთავარი რედაქტორი.
- 2. ბ. ლივანოვი — საბჭოთა მსახიობი.
- 3. მ. მოროზოვი — საბჭოთა შექსპიროლოგი.
- 4. პ. ჩაივინი — საბჭოთა ლიტერატორი, საზოგადოებრივი მოღვაწე.
- 5. რიურიკ იენევი — რუსი საბჭოთა მწერალი.
- 6. ნ. ვაჩნაძე.

7. ი. ვერხოვსკი — პოეტი და მთარგმნელი.
8. წერილი ეხმაურება ნ. ვაჩნაძის წიგნს „მოგონებები და შეხვედრები“.
9. ნ. შენგელაია — ქართველი კინორეჟისორი.
10. ბ. ანდრონიკაშვილი — ბ. პილნიაკისა და კ. ანდრონიკაშვილის ვაჟი.
11. ფ. თვალთვაძე — ქართული პროზის მთარგმნელი.
12. ს. პ. ნეივაუზი — ზ. ნ. პასტერნაკის ვაჟი პირველი ქმრისაგან.
13. ტიციან და ნინო ტაბიძეების ქალიშვილი, შვილიშვილი და სიძე.
14. პ. პ. ნეივაუზი — გამოჩენილი საბჭოთა პიანისტი და მუსიკათმცოდნე.
15. გ. წერეთელი — ქართველი აღმოსავლეთმცოდნე.
16. იგულისხმება წიგნი „მეორედ დაბადება“ და მასში შესული პოემა „ტალღები“.
17. ა. ს. კონეტკოვი — პოეტი და მთარგმნელი.
18. რ. კ. შიქაძე — ბ. პასტერნაკის თბილისელი ნაცნობი.
19. ვ. ს. სოლოვიოვი — რუსი ფილოსოფოსი, პუბლიცისტი და პოეტი.
20. ვ. ასათიანი — ქართველი კრიტიკოსი, იმჟამად მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი, ცნობილი ლიტერატურათმცოდნის ლევან ასათიანის ვაჟი.
21. ს. სპასკი — პოეტი და მთარგმნელი.
22. გ. ლეონიძის მოწმობით იგულისხმება ლექსი „მხატვარი“.
23. აქ ბ. პასტერნაკს აღბათ ახსენდება გ. ლეონიძის ლექსი „სიმღერა პირველი თოვლისა“.
24. ე. ა. ლეონიძე.
25. გ. ლეონიძის უმცროსი ქალიშვილი.
26. ბ. და ზ. პასტერნაკების უმცროსი ვაჟი.
27. სტანისლავ ნეივაუზის მეუღლე.
28. ე. დ. დოლობერიძე-ლუნდბერგი — ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი.
29. გ. ლეონიძის ლექსი „ნ. შარათაშვილი“.
30. ნ. ნ. პეტროვი — საბჭოთა ქირურგი.
31. ფ. თვალთვაძე.
32. კომპოზიტორ სკრიაბინის ქალიშვილი.
33. გ. ლეონიძის უფროსი ქალიშვილი.
34. ს. მ. ხითაროვა — იმჟამად ვოსლიტიზდატის რედაქტორი.
35. იმზნად ცნობილი ვახდა, რომ ტიციან ტაბიძე დაიღუპა 1937 წელს, დაპატიმრებიდან ორი თვის შემდეგ.
36. ბ. პასტერნაკის ლექსი „ბაკჟანალია“ გამოქვეყნებულია ჟურნალ „ნოვი მირში“ (1965, № 1).
37. ა. ვ. სტაროსტინი — იმჟამად ვოსლიტიზდატის რედაქტორი.
38. ს. ჩიქოვანის სტატია წამძღვარებული აქვს ტიციან ტაბიძის ლექსთა კრებულებს რუსულ ენაზე (თბილისისა და ლენინგრადის გამოცემები).
39. ბ. პასტერნაკის წიგნი: „ლექსები საქართველოზე. ქართველი პოეტები“ (რუსულ ენაზე). თბილისი. „ზარია ვოსტოკა“. 1958 წ. რედაქტორი, შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორია ვ. ვ. ბეზუთოვი.
40. მ. ი. ზლატკინი — დირექტორი გამომცემლობისა „ზარია ვოსტოკა“, რომელმაც გამოსცა ბ. პასტერნაკის ლექსებისა და თარგმანების კრებული.







# მსჯილან



## აშშ

ცნობილმა ფრანგმა რეჟისორმა ჟაკ დემიმ დაამთავრა თავისი ახალი ფილმი „მოდელების საცაქრო დუქანი“.

ფილმის გმირები არიან ცოცხალი მოდელები — გოგონები. ყოველი მათგანი, როგორც ნატურა, 12 დოლარად ემსახურება ყველას, ვინც ამას მოისურვებს. ერთ-ერთ გოგონას თამაშობს ცნობილი მსახიობი ანჟუ ემე. ფილმი ეხება მეტად მტკივნეულ პრობლემებს — ვიეტნამს, უმუშევრობას ამერიკის შეერთებულ შტატებში, ახალგაზრდობის შიშს მომავლისადმი. ამერიკის კრიტიკა ჟაკ დემის ახალ ფილმს მკაცრად შეხვდა.

## ინგლისი

### „ჰეილაზი ხელმოკლე აღამიანები ინგლისში“

ინგლისელმა მწერალმა ჯულიან მიტჩელმა „ნიუ-იორკ-ტაიმს ბუკ რევიუში“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ჰეილაზი ხელმოკლე აღამიანები ინგლისში“.

„ამჟამად მწერლების მდგომარეობა ინგლისში მეტად სავალალოა, — წერს მიტჩელი, — მწერალს ძალიან უჭირს საარსებო ფულის მოვნა. დეკორაციებამ ცხადყო, რომ პროფესიონალი მწერლის საშუალო წლიური შემოსავალი არ აღემატება 500 გირვანქას. ეს თანხა კი ნიშნავს შიმშილს წლიდან წლამდე. პოპულარული მწერლის, მეხუთე ან მეექვსე რომანის ავტორის პონორარი არ აღემატება 1000 გირვანქას. ხოლო დამწყები მწერალი დიდად კმაყოფილი იქნება, თუ პირველ რომანში 250 გირვანქას მიიღებს. მატერიალური ხელმოკლეობა და საარსებო პირობების გაუმჯობესებისაკენ სწრაფვა იძულებულს ხდის მწერალს იჩქაროს და როგორმე ფული აიღოს. ნაჩქარევი ნაწარმოები საექვია მოწონოს ჰქვიაან მკითხველს, — წერს იგი. ინგლისში ყოველწლიურად საშუალოდ 4.000 რომანი გამოდის. აქედან მხოლოდ რამდენიმე მათგანი სდება მოწონების ღირსი. ყოველივე ეს მხოლოდ და მხოლოდ სიჩქარის შედეგია. ნებისმიერი ჩემი წიგნი, — აგრძელებს მწერალი, — გაცილებით საინტერესო იქნებოდა, დაწყნარებულად რომ მიმუშავა. მე კი არასოდეს მქონია დამშვიდებელი მუშაობის პირობები, ვინაიდან სისტემატურად ვაღებუმი ვარ.“

ყველა ინგლისელ მწერალს ძალაუნებურად უჩნდება სურვილი დაიბეჭდოს ჯერ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც გაცილებით კარგ პონორარს მიიღებს, და მერე დაიბეჭდოს თავის საშობლოში. მაგალითისათვის მას მოჰყავს ინგლისელი მწერალი ელიზაბეტ ტელიორი, რო-

მელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში გაცილებით უკეთ იცნობენ, ვიდრე საშობლოში.

დაბოლოს, მიტჩელი აღნიშნავს, რომ მაღალგანვითარებული, კულტურული სახელმწიფო პატივს უნდა სცემდეს თავისი ქვეყნის მწერალს და აძლევდეს მას საშუალებას იარსებოს საკუთარი შრომით.

## იტალია

### ანა სალვატორე

1944 წელს, როდესაც ის იყო ომი დასასრულს უახლოვდებოდა, იტალიაში, რომში, 19-წლის გოგონამ ანა სალვატორემ სან-მარკოს გალერის პირველად გამოფინა თავისი ნამუშევრები. მხატვრის ნამუშევრებმა საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია. კრიტიკოსებმა ახალგაზრდა გოგონას დიდი მომავალი უწინასწარმეტყველეს.

1952 წელს ანა სალვატორემ მიიღო პრემია საუკეთესო გრაფიკული ნამუშევრებისათვის, ხოლო 1958 წელს — ფერწერული ნამუშევრებისათვის. 1956 წელს ვენეციაში, მხატვრების საერთაშორისო გამოფენაზე სალვატორეს ნამუშევრებმა კვლავ საერთო მოწონება და პრემია დაიმსახურა. მხატვრის სახელი წლითწლივით პოპულარული ხდება. მისი ნამუშევრები დიდი მოწონებით სარგებლობს რომის, მილანის, ლონდონის, ნიუ-იორკის გამოფენებზე.

ანა სალვატორემ გადაიღო საინტერესო ფილმი თავის ნამუშევრებზე. ფილმის ტექსტის ავტორია ალბერტო მორავია. გამოვიდა მხატვრის პირველი წიგნი. ამჟამად მხატვარი აგრძელებს მუშაობას კინოში, ამთავრებს მეორე წიგნს და კვლავ დიდი ვატყებით ხატავს.

## ლიბანი

ბეირუთში, 76 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი ლიბანელი სახელმწიფო მოღვაწე და პროგრესული მწერალი ურუჰ ხანა. მრავალი წლის განმავლობაში ურუჰ ხანა ხელმძღვანელობდა მშვიდობის მოძრაობა მოძრაობის ლიბანში და რედაქტორობდა მათ მიერ დაარსებულ ორგანოს ურუჰალ „ატ-ტარიკს“.

ურუჰ ხანას კალამს ეკუთვნის მრავალი რომანი, მოთხრობა, ნოველა, ნარკვევი, გამოკვლევები სოციალოგიასა და მედიცინაში (ხანა პროფესიით ექიმი იყო). ხანა იყო ჩენი ქვეყნის დიდი მეგობარი. მან საბჭოთა კავშირს უძღვნა მრავალი საუკეთესო წიგნი და სტატია.

# კოლონეთი

## მსოფლიოს კომატები ვიენაში

ვარშავის სახელმწიფო საგამომცემლო ინსტიტუტში გამოვიდა პოეზიის კრებული, რომელსაც კრიტიკოსები სავსებით სამართლიანად თვლიან უნიკალურ წიგნად. წიგნის სათაურია — „მსოფლიოს პოეტები ვიეტნამს“. წიგნი წარმოადგენს თანამედროვე პოეზიის ანთოლოგიას. რომელიც ეძღვნება მამაცი, მეომარი ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, ბრძოლას ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ. ანთოლოგიაში შეტანილია 150 პოეტის ლექსი. ანთოლოგია შეადგინეს ცნობილმა პოლონელმა პოეტებმა — ლეოპოლდ ლევისმა და იუზეფ ოზგა-მიხალსკიმ. შესავალი წერილი ეკუთვნის იაროსლავ ივაშევიჩს. ანთოლოგია „მსოფლიოს პოეტები ვიეტნამს“ გამოცემა პოლონეთის მშვიდობის დაცვის კომიტეტის ინიციატივით.

ხშირად ბაძავდნენ მასწავლებელს, ან მხატვარი უფლებასაც კი აძლევდა მათ წყვეტდნენ მისი ესა თუ ის ნახატი. დღემდე შემორჩენილია მხატვრის ნამუშევრებიდან დღემდე ოსტატობით შესრულებული მრავალი ასლი.

„ნამუშევრების თითქმის 40%, რომლებიც რემბრანტის ნახატებად არის მიჩნეული, სპეციალისტების ექვს იწვევს. მაგრამ მხატვრის შემოქმედების სპეციალური გამოკვლევა, თანამედროვე მეთოდების გამოყენება, მათ შორის, რენდგენოსკოპია, საშუალებას მოგვცემს, ბრედისის კატალოგში შეტანილ იქნას ცვლილებები, — წერს ხელოვნებათმცოდნე ვან სხენდელი“.

## საბჭოთა ფილმების შესახებ

### ინგმარ ბერგმანი

...საბჭოთა ფილმი „ქალი ძალით“ მე მიმარნია მწვერვალად. იგი უსაზღვროდ იტაცებს მაყურებელს, იწვევს მასში მრავალ ემოციას. მე, როგორც პროფესიონალს, დიდ აღტაცებას მგვირის ფილმის დახვეწილი რეჟისორული მანერა. ყოველი კადრი დიდი ოსტატობითაა შესრულებული, უწყალოა მსახიობების თამაში, კომპოზიტორის, ოპერატორის, ტექნიკური პერსონალის, მთელი გადასმები ჯგუფის მუშაობა. იშვიათად თუ შეხვდებით ასე ყოველმხრივ სრულყოფილ ფილმს.

### ჟან მარ

საბჭოთა კინოში მე ყოველთვის მზიბლავდა მისი ჭუმანოში, სამყაროს ოპტიმიზტური ხედვა. მე მიმარნია, რომ მსოფლიო ეკრანებზე დიდი წარმატებით გამოვიდნენ ისეთი ცნობილი პიროვნებები, როგორებიც არიან ჩუხრაი, კალატოვი, ბონდარჩუკი. განსაკუთრებული სიმპათიით ვუსურებ იმ გარემოებას, რომ საბჭოთა კინემატოგრაფიაში არ არის „ვარსკვლავების“ სისტემა, რაც დიდად უშლის ხელს მსახიობის მუშაობას.

## კოლანდია

### რემბრანტის ხსოვნას

რემბრანტის გარდაცვალების 300 წლისთავთან დაკავშირებით, წელს, ამსტერდამის სახელმწიფო მუზეუმში მოეწყობა გენიალური მხატვრის 20 საუკეთესო ნამუშევრის გამოფენა მსოფლიო კოლექციიდან. რემბრანტის ზოგიერთი ნამუშევარი მხატვრის სამშობლოში პირველად იქნება გამოფენილი. გამოფენისათვის სპეციალურად გაიხსნება ახალი დარბაზები, სადაც იუბილესთან დაკავშირებით წარმოადგენენ მხატვრის სხვა 120 ნამუშევარს.

გარდა ამისა, ამსტერდამში მოეწყობა სპეციალური შეკრება მხატვრის ნამუშევრების გამოკვლევის ტექნიკური მეთოდების საკითხზე. როგორც ცნობილია, ამსტერდამის უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ინიციატივით გასულ წელს დაიწყო მხატვრის ყველა ნამუშევრის შემოწმება ავტორობის დამტკიცების მიზნით. ცნობილი პოლანდიელი ხელოვნებათმცოდნის ბრედისის ნაშრომში მოხენიებული რემბრანტის 680 ნამუშევარი განმეორებით გადასინჯავს მოითხოვს. რემბრანტის ეპოქაში ტრადიციად არ იყო დამკვიდრებული ავტორობის მიერ შესრულებული ნამუშევრის ხელისმოწერა. გარდა ამისა, მოწაფეები ძალიან

გარეკანის მეორე გვერდზე ნახ. ზ. ფორჩხიძისა.

ქრონალი გააფორმა დ. ზარაფიშვილმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აბღუშელიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლხანოვის პარკი. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-86. განყოფილებები: პოეზიის, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-35. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-83.

გადაეცა ასაწყობად 1/IX-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/IX-69 წ. ქალაღლის ფორმატი 70X1081/16. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 10. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 14. შეკვ. № 2679. უე 62386. ტირაჟი 18.400.

საქ. კბ ც-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14, Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

## შურნალი „ცისკარი“ 1970 წელს

დიდი ლენინის საბუღილოდ „ცისკარში“ დანიშნულია მოთხრობები, ლექსები, მხატვრული ნარკვევები, მოგონებანი და სამეცნიერო სტატიები ილიჩის დიდ რევოლუციურ და მოქალაქეობრივ ბრძოლაზე, იმაზე, თუ როგორ შეინსხა ხოციანი მისმა ბრძოლამ იდეებმა საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს შრომაში.

ბაისად შეგიძლიათ წაიკითხოთ:

**ნოდარ დუმბაძის** ახალი რომანი, რომელიც მესაქვრეთა ცხოვრებას ასახავს. **ვახუა ამირეჯიბის** პრჩილ სულაქაურის, **გურამ ფანჯიკიძის**, **რაფი პაიჭვილის**, **თამაზ პილაძის** რეჰანები.

ახალი მოთხრობებით წარსდებებიან მკითხველის წინაშე: **სერგო კლდიაშვილი**, **კონსტანტინე ლორთქიფანიძე**, **რევაზ ჯაფარიძე**, **რევაზ ინანიშვილი**, **ვლადიმერ სიხარულიძე**, **ნოდარ წულეისკირი**, **დავით ჯავახიშვილი** და სხვანი.

მოგავალ წელს კოეფიის მოქყარულთ კვლავ შეხვდებიან კუებები: **ბრიგოლ აბაშიძე**, **ირაკლი აბაშიძე**, **კარლო კალაძე**, **მუხრან ლებანიძე**, **რევაზ მარგიანი**, **მუხრან მამაგვარიანი**, **ზოთა ნიშნიანიძე**, **მოსეზ ნონეშვილი**, **მორის ფრცხიშვილი**, **ოთარ პელიძე**, **ოთარ პილაძე** და სხვები.

თანამედროვე ლიტერატურის, ისტორიის, ეკონომიკის, მეცნიერების, მის, მორალის პრობლემატურ საკითხებს გააშუქებენ თავინათ კუგლიცისტურ ნაწარმოებებში — **ა. ზაქარიალი**, **ბ. ქლენტი**, **ს. პილიანი**, **ბ. ასათიანი**, **ა. ბაჭრაძე**, **ბ. გვარდ. წითელი**, **ნ. კაბაბაძე**, **ბ. მარგველაშვილი**, **ს. ცაიშვილი** და სხვები.

დანიშნულია კომეროსის „ოდისეას“ ახალი კოეზაული თარგმანი, ძველბრძნულიდან შესრულებული **ზ. კიკნაძის** და **თ. ჩხენკელის** მიერ.

შურნალს თავის ახალ ნამუშევრებს შეჰკირდა ცნობილი მთარგმნელი **ვახტანგ პელიძე**.

3360 60 333.

6.16/196



საქართველოს  
საქართველოს

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76236